

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე**

2013, №10

**საცივი სამართალი
და საპოლიტიკური უფლებების დაცვა**

საძიებელი

სანივთო სამართალი

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა
მოჩვენებითი და ოვალომაქცური გარიგებანი
შეცდომით და მოტყუებით დაღებული გარიგებები
ბინათმებაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა
ინდივიდუალური საკუთრება

საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა
უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა
კეთილსინდისიერი შემძენი
საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე
პასუხისმგებელი პირი

მფლობელობითი გირავნობის შეწყვეტის საფუძველი
საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

საავტორო უფლებები

საავტორო უფლებების დაცვა

საავტორო უფლებების ობიექტი

მონაცემთა ბაზის ავტორის უფლებები
ზიანის ანაზღაურება საპატენტო უფლებების
დარღვევის გამო

უარი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობაზე

სასაქონლო ნიშნის მსგავსება

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

სანიციონ სამართლი

აირალი არაკონეპრივი უფლებების დაცვა

განხილვა

№ას-1149-1169-2011

25 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაში სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხის დავალდებულება სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების, პატივისა და ღირ-სების შელახვით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ვ. და კ. ე კ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე შპს „რ-ს-ოს“ მიმართ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-14 მუხლების, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და 413-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეებმა მოითხოვეს პატივისა და ღირსების შელახვით მიყენებული მორალური ზიანისათვის, თითოეულის სასამართლოდ - 1 ლარის ანაზღაურების და კისრება, ასევე ვ. კ-ებ მოითხოვა მისი მისამართით გაკეთებული ცილისმნამებლური განცხადებისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესახებ ცნობების გავრცელება. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს:

ვ. კ-ე არის უურნალისტი, სტუდია „რ-ს“ დამფუძნებელი და დირექტორი, რომლის საქმიანობაც უკავშირდება საგამოძიებო უურნალისტიკას და გადალებული აქვს ფილმები საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებზე. 2009 წლის 16 დეკემბერს ვ. კ-ე – საგამოძიებო უურნალისტი, პ. ზ-ი – რესპუბლიკური პარტიის წევრი და მ. მ-ე, ინვალიდ და დაღუპული მებრძოლთა მეუღლეთა კავშირის თავმჯდომარე, ჩავიდნენ ცხინვალში, სადაც შეხვდნენ ე. კ-ს და მოინახულეს ცხინვალის არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ ორი დაკავებული ტირდნისელი მოზარდი. ვ. კ-ის ცხინვალში სტუმრობის მიზანს, გარდა დაკავებული მოზარდების ნახვისა, წარმოადგენდა საგამოძიებო ფილმის გადაღება. ქართველების ცხინვალში სტუმრობის ფაქტი გავრცელდა მედიასაშუალებებით, რასაც კრიტიკული შეფასებები მოჰყვა, განსაკუთრებული აგრესიულობით კი საქართველოს ხელისუფლება გამოირჩეოდა, რომელიც ვ. კ-სა და ცხინვალში მყოფ ქართველებს კრემლის ინტერესების გატარებასა და ხელისუფლების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის განხორციელებაში ადანაშაულებდნენ. განაცხადა რა ვ. კ-ემ ცხინვალის რეგიონში გადალებული მასალების ფილმის სახით გამოცემის შესახებ, მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარას, რაც გამოიხატებოდა მოთხოვნაში, შეენყვიტა უურნალისტური საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე დამუშავებოდნათ მას და მისი ოჯახის წევრებს, ყოველივე ეს გახდა მოსარჩელის მიერ შევიცარის მთავრობისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის საფუძველი. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია მოსარჩელის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე, ტელეკომპანია „რ-ს“ გადაცემა „რ. თში“ მომზადდა სიუჟეტი ვ. კ-ზე სახელწოდებით – „ციხე, მედია და უშიშროება“, რომელიც გადმოსცემს მის პირად და პროფესიული საქმიანობის ცხოვრების დეტალებს, მოცემულია არასწორი ფაქტები და გაკეთებულია უარყოფითი შეფასებები როგორც პირად, ასევე უურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით. გადაცემის პირველ ნაწილში მითითებულია ვ. კ-ის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზების შესახებ, ხოლო მეორე ნაწილში დეტალურად არის აღნერილი 16 წლის ასაკში ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რასაც თან ახლავს განაჩენის ასლი, ბოლოს კი მოცემულია უურნალისტის დასკვნა, რომელიც განმარტავს რომ, ვ. კ-ემ თავისი წარსულის გადასაფარავად პროფესიად აირჩია უურნალისტიკა. გადაცემაში უურნალისტი ყურადღებას ამახვილებს ვ. კ-ის კარიერაში არსებულ მედიასაშუალებებზე („რუსთავი 2“, „რადიო თავისუფლება“ და „სტუდია რეპორტიორი“). რეპორტაჟში ასევე გადმოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვ. კ-ე მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, საიდანაც, ფინანსური მაქინაციების გამო, დაითხოვეს ერთი წლის თავზე. გადაცემაში ვ. კ-ე მოხსენიებულია როგორც მრავალშვილიანი მამა, რომელსაც ერთდროულად ჰყავდა რამდენიმე ცოლი, ასევე, მითითებულია, რომ მისი პირველი მიტოვებული ოჯახი მცხეთაში, უპატრონობა ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენები – სხვადასხვა ადგილას. კ. კ-ე ვ. კ-ის შეინარჩუნავით, რომელსაც ზემოაღნიშნული გადაცემის გამუქებით შეელახა თავისუფალი განვითარების უფლება, მას, როგორც კერძო პირს, არ შეუთანხმდნენ და არ მიიღეს თანხმობა, რათა გაევრცელებინათ მისი და მისი ოჯახის ამსახველი მონაცემები.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკავშირებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სამოქალაქო სააროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლოში განხილვას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ბლანკეტური ნორმაა და მოითხოვს ისეთი ნორმატიული აქტების გამოყენებას, როგორიცაა: საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებულ მაუწყებლის ქცევის კოდექსი და საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანო-

ნის 52-ე მუხლის, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6, მე-7, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, მოსარჩევესა და მის ნარმომადგენელს სიუჟეტის ეთერში გადაცემიდან 10 დღის ვადაში უნდა ნარედგინათ საჩივარი ტელეკომპანია „რეალტივის“ თვითრეგულირების კომისიაში და მოეთხოვათ ტელეკომპანიის მიერ გაშუქებული პატივის, ლირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად შეფასებული სიუჟეტის შესაბამისი ფორმით ან უარყოფა, რაც მოსარჩევეს არ განუხორციელებია. მოსარჩევები სარჩელს ასაბუთებენ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტით, თუმცა შეგნებულად არ უთითებენ ამავე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც ცხადყოფს, რომ მაშინაც კი, თუ ცილისმნამებლური ცნობების გავრცელებას აქვს ადგილი, პირს, კანონით დადგენილ ვადაში, შეუძლია, მოითხოვოს გავრცელებული ცნობების შესწორება ან უარყოფა, ხოლო, თუ აღნიშნულ ფაქტს არ მოჰყვება რეაგირება ტელეკომპანიის მხრიდან, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მოსარჩევების ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი 6-თვიანი ვადა არ დაუცვიათ, შესაბამისად, დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. კ-ის და კ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლისის განჩინებით ვ. კ-სა და კ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. კ-ე არის უურნალისტი, სტუდია „რ-ს“ დამფუძნებელი და დირექტორი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, ის საჯარო პირია. ქ.თბილისის ლენინის სახელმისამართლოს 1981 წლის 9 სექტემბრის განაჩენით ვ. კ-ე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 25 იანვრის №135 ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის ვ. კ-ეც, გათავისუფლდნენ სამსახურიდან 2005 წლის 25 იანვრიდან „საჯარო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად (დანესხულების ლიკვიდაცია). 2010 წლის 9 თებერვალს ტელეკომპანია შპს „რ-ს-ოს“ მიერ გადაცემა „რ. თ-ში“ მომზადდა სიუჟეტი ვ. კ-ზე სახელწოდებით „ციხე“, მედია და უშიშროება“. სიუჟეტში გაუდერდა ინფორმაცია, რომ „იგი (ვ. კ-ე) 2004 წლის მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, საიდანაც ერთი წლის თავზე ფინანსური მაქინაციების გამო დაითხოვეს“, „ვ. კ-ე მრავალშვილიანი მამა და მას რამდენიმე ცოლი ერთდროულად ჰყავდა, რომ უურნალისტის პირველი მიტოვებული ოჯახი მცხოვის უპატრონო ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ადგილას იზრდებიან“.

პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე მუხლის პირველსა და მე-4 პუნქტებზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე, პალატამ ჩათვალა, რომ სასამართლომ დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლზე და განმარტა, რომ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცავდეს სხვა პირთა უფლებების და მათი რეპუტაციის შელაცვის რისკს. გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, მაგრამ არ არსებობდეს ამ უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ისეთი აუცილებელი წინაპირობა, რაც დაცულია განსახილველი კონვენციის მე-10 მუხლით. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო პირი გალლებულია, დაადასტუროს არა მხოლოდ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სიყალპე, არამედ თავად განმცხადებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მის მიერ წარდგენილი განცხადების სიყალბის მიმართ. პალატა დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ მოსარჩევემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესის დაცვით, ვერ დაადასტურა ის გარემოები, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ, ის გარემოება, რომ უურნალისტმა არაკეთილსინდისიერად გადასცა საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაცია. ვ. კ-ე, როგორც ცნობილი უურნალისტი, წარმოადგენს საჯარო პირს, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება, რაც მიუთითებს სიუჟეტის მიზანზე – საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებაზე. უურნალისტის მოვალეობაა, გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია საზოგადოებისათვის საინტერესო თემაზე და ამავე დროს დაიცვას სხვათა რეპუტაცია, მაგრამ, თუ უურნალისტმა კეთილსინდისიერად გადმოსცა საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაცია, არ შეიძლება მან პასუხი აგოს თუნდაც არასწორი და სახელის გამტები ინფორმაციის გავრცელების გამო. სასამართლომ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტებით და ჩათვალა, რომ არ არსებობდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. და კ. კ-მა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისას სამართლებრივი დასაბუთების გარეშე დაეთანხმა გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაიზიარა ისინი. გაურკვეველია, რატომ არ ახდენს რეაგირებას სააპელაციო სასამართლო ვ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველზე, მაშინ, როცა მოსარჩელემ, მართლაც წარადგინა უტყუარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ვ. კ-ე სამსახურიდან გათავისუფლდა არა ფინანსური მაქინაციების, არამედ სამსახურის ლიკვიდაციის ფაქტის გამო. სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას უგულებელყო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით განმტკიცებული ადამიანის ფუნდამენტური უფლება, არ იქნას მიჩნეული პირი დამნაშავედ, ვიდრე მისი დანაშაულებრიობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია ვ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი, საზოგადოება ინფორმირებულია, რომ გათავისუფლების საფუძველი არა სამსახურის ლიკვიდაციი, არამედ ფინანსური მაქინაცია. გარდა ამისა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, ასევე ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი და არ შეეცადა, აღდედგინა სამართლიანობა. სიუჟეტი ვ. კ-ის შესახებ აგებულია ყალბ ფაქტებზე, მოპასუხემ არაკეთილი დისიერად გამოიყენა მის ხელთ არსებული საშუალება უკრნალისტის ცილინდრამების, ასევე პატივისა და ლირსების შელახვისათვის. ფაქტობრივი გარემოება, რომ 2004 წელს ვ. კ-ემ მუშაობა უშიშროების სამინისტროშიც დაინწყო და ის იმ უწყებიდან ერთი წლის თავზე, ფინანსური მაქინაციების გამო, დაითხოვეს, ასევე ის, რომ სალამოს მოვიდა უშიშროების სამინისტროს ყოფილი ხალხი და სრულიად უკანონოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოინდომეს რაღაც დოკუმენტის ამოღება ოფისიდან – ერთმანეთს ემთხვევა და წარმოადგენს მცდარ ფაქტებს. კასატორი არ ყოფილა ნასამართლევი სამოხელეო დანაშაულისათვის და მის მიმართ არ განხორციელებულა დევნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჩადენილი დანაშაულის გამო, სასამართლოს არ მიუჩნევია იგი დამნაშავედ ფინანსურ მაქინაციებში და ის სამსახურიდან არ გათავისუფლებულა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლით დადგენილი საფუძვლებით, ასევე, ალსანიშნავია, რომ მაუწყებელს არ დაუზუსტებია და არ დაუღენია ფაქტის ნამდვილობა, რასაც ადასტურებს ფილმში მოყვანილი კადრები, კერძოდ, ფილმის დაწყებიდან 03 წუთსა და 26 წამზე საუბრობს კასატორი რაღაც დოკუმენტებზე, რომელიც უკანონოდ ამოიღეს. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ჩანაწერი უნდა ეკუთვნოდეს სამსახურიდან გათავისუფლების თარიღს 2005 წლის იანვარს (რეალურად კი ჩანერილია „ტელეკომპანია 2002-ის“ ეზოში 2005 წლის სექტემბერში), ამ კადრის ფილმის დაწყებიდან 01 წუთსა და 08 წამზე გაშვებულ კადრთან შედარების შემთხვევაში, რაც ზენოლის ფაქტების გახმაურებას შეეხება, დასტურდება, რომ ეს უკანასკნელი გადაღებული უნდა იყოს მოგვიანებით, მაშინ, როცა ცხინვალში 2009 წლის 16 დეკემბერს ვიზიტის შემდგომ განხორციელდა უკრნალისტზე ზენოლა, უდავოა, რომ ჩაცმულობა (როგორც ვ. კ-ის, მისი თანმყოფი პირების და ასევე, პეიზაჟი, რომელიც კასატორის კადრში გამოჩენამდე ჩნდება, არ შეესაბამება იანვრის და არც თებერვლის კლიმატს) და უკანა ფასადის განლაგება ამ ზემოაღნიშნულ კადრებში არის იდენტური, ხოლო „რ-ის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი შექმნილია არა რეალობის წარმოსაჩენად, არამედ უკრნალისტის პატივისა და ლირსების შესალახვად. უკრნალისტის ქმედება, დამაჯერებლად წარმოადგინოს არარეალური, ყალბი ფაქტები, მიმართულია მაყურებლის მოტყუებისაკენ. გადაცემა, რომელიც ვ. კ-ზე მომზადდა, მიმართულია მის და არა კ. კ-ის მიმართ, თუმცა აღნიშნულმა გადაცემამ ამ უკანასკნელსაც შეულახა პატივი და ლირსება, დაურღვია მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

სასამართლომ არასწორად განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, კერძოდ, გადაცემა ეხებოდა რა ვ. კ-ეს, სასამართლომ მასში მითითებული ფაქტები არ მიიჩნია კ. კ-ის უფლებების შელახვად, ასევე დაადგინა, რომ ბავშვთა სახლში ცხოვრება არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას, ასეთ ადგილებში ცხოვრება და მასზე ინფორმაციის გავრცელება არ შეიძლება გახდეს პატივისა და ლირსების შელახვის საფუძველი. აღნიშნული ფაქტის განხილვისას სასამართლომ არ გაითვალისწინა ქართულ საზოგადოებაში არსებული რეალობა, პირის სენსიტიური დამოკიდებულება აღნიშნული სიუჟეტის გაშუქების მიმართ, ასევე ყურადღების მიღმა დატოვა სიუჟეტის ფაბულა, რომელიც განსაკუთრებული აგრძისულობით გამოირჩეოდა. მნიშვნელოვანია, რომ, რეალურად, კ. კ-ეს არასოდეს უცხოვრია მცხოთის ბავშვთა სახლში. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, ფილმი ეყრდნობა განაჩენსა და ინტერნეტპორტალიდან აღებულ მონაცემებს, თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სიუჟეტში მითითებული ინფორმაცია არ ყოფილა განთავსებული ინტერნეტგვერდები, კერძოდ, www.internet.ge და www.forum.ge, თუმცა საქმეში არსებობს მოსარჩელის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ამონანერები აღნიშნულ ვებგვერდებიდან, რაც ადასტურებს, რომ 2010 წლის 7-9 თებერვალს გავრცელებულ ინფორმაციაში მსგავსი ჩანაწერები არ მოიძიება. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულ საიტზე განთავსებული, არის www.pressa.ge-ის მიერ, მოსარჩელის განცხადება თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნულ მტკიცებულებასთან მიმართებაში სასამართლომ განმარტა, რომ მითითებულ გვერდზე ინფორმაციის არ აღასტურებს, რომ 2010 წლის თებერვალისათვის, როცა გადაცემა მომზადდა, ასეთი ინფორმაცია არ არსებობდა, თუმცა, გაურკვეველია, რის საფუძველზე დაადგინა სასამართლომ აღნიშნული გარემოება. პალატა დაეყრდნო მცდარ მონაცემებს, არასწორად გამოიკვლია მტკიცებულებები და ფაქტის დამადასტურებლად მიიჩნია მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განცხადება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ნოემბრის განჩინებით ვ. და კ. კ-ის საკასაციო საჩივრარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შე-

საბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. და კ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მხულის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 394-ე მხულის „ე“ ქვეპუნქტის შემადგენლობა სახეზეა, როდესაც ქვემდგრმი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე სრულად არ დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რის გამოც, შეუძლებელია სამართლებრივი კვალიფიკაციის გაკეთება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მართალია სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენება სამართლის ნორმები, თუმცა, სრულად არ დაადგინა ამ ნორმების დისპოზიცით განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობა, რასაც შედეგად მოჰყვა გადაწყვეტილების არასრული ფაქტობრივი დასაბუთება, კერძოდ:

განსაზილველი დავის საგანია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო ზიანის ანაზღაურება. მოსარჩევე ვ. კ-ე მიიჩნევს, რომ შპს „რ-ს-ოს“ გადაცემა „რეალ-ტაიმში“ მომზადდა სიუჟეტი ვ. კ-ზე, სახელწოდებით – „ციხე, მედია და უშიშროება“, სადაც მის მიმართ გავრცელდა ცილისმრავებლური განცხადებები, რამაც შელახა მისი პატივი და ლირსება. ამასთან, სიუჟეტი შეეხებოდა მისი პირადი ცხოვრების დეტალებს, რითაც დაირღვა პირადი ცხოვრების ხელშეუხელობა. კ. კ-ე განმარტავს, რომ 2010 წლის 9 თებერვალს გადაცემული სიუჟეტით ასევე შეიღლახა მისი პატივი, ლირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხელობა. კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-4 პუნქტით რეგლამენტირებულია ამ უფლებათა განხორციელების შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ იგი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებისა და ლირსების დასაცავად. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი იმეორებს იმ პრინციპებს, რომელსაც გვთავაზობს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის“ მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა ურადვებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის 2004 წლის 24 ივნისამდე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა პირის პატივის, ლირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხელობის ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების შემთხვევაში, დარღვეული უფლების აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს. 2004 წლის 24 ივნისის კანონით ცვლილება განხორციელდა მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში იმგვარად, რომ ზემოთ მითითებული სამართლებრივი სიკეთის დაცვა უფრო ახალი და სპეციალური კანონის – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესხებ“ საქართველოს კანონის რეგულირების ფარგლებში მოქმედია.

როგორც მოსარჩევე ვ. კ-ის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, მოპასუხის მიერ 2010 წლის 9 თებერვალს გადაცემა „რეალ-ტაიმში“ მომზადებულ სიუჟეტში გავრცელებული ინფორმაცია – „ვ. კ-ე უშიშროების სამინისტროდან ფინანსური მაქინაციების გამო დაითხოვეს“, ნარმოადგენს ცილისწამებას, რითაც მიადგა ზიანი, შეიღება მისი პატივი, ლირსება და რეპუტაცია. ვ. კ-ე სარჩელში აღნიშნავს, რომ გამავრცელებელმა არ მიმართა სათანადო ზომებს, კერძოდ, ტელევიზიაში შეეძლო, საჯარი ინფორმაციის სახით გამოეთხოვა მოსარჩელის გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მაყურებლისათვის მიეწოდებინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენტური პირის კომენტარი, რაც არ შეასრულა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, ცილისწამება განმარტებულია, როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:

ვ. კ-ე არის ურნალისტი, სტუდია რეპორტიორის დამფუძნებელი და დირექტორი.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის ვ. კ-ე საჯარო პირია.

ქობილისის ლენინის სახელმის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 9 სექტემბრის განაჩენით ვ. კ-ე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 25 იანვრის №135 ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის ვ. კ-ეც, გათავისუფლდნენ სამსახურიდან 2005 წლის 25 იანვრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად (დანესხულების ლიკვიდაცია).

2010 წლის 9 თებერვალს ტელეკომპანია შპს „რ-ს-ოს“ მიერ გადაცემა „რ. თ-ში“ მომზადდა სიუჟეტი ვ. კ-ზე სახელნოდებით „ციხე, მედია და უშიშროება“. სიუჟეტში გაულერდა ინფორმაცია, რომ „იგი (ვ. კ-ე) 2004 წელს მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, საიდანაც ერთი წლის თავზე ფინანსური მაქინაციების გამო დაითხოვეს“, „ვ. კ-ე მრავალშვილიანი მამა და მას რამდენიმე ცოლი ერთდროულად ჰყავდა, რომ უურნალისტის პირველი მიტოვებული ოჯახი მცხოვრილი ბავშვთა სახლში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ადგილას იზრდებიან“.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გადაცემა „რ. თ-ში“ გაულერბული ინფორმაცია – „იგი (ვ. კ-ე) 2004 წელს მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, საიდანაც ერთი წლის თავზე ფინანსური მაქინაციების გამო დაითხოვეს“, წარმოადგენს ფაქტის შემცველ ინფორმაციას და არა აზრს. საკასაციო პალატის ამგვარი შეფასება გამომდინარეობს როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით შემოთავაზებული „აზრისა“ და „ცილისწმების“ განმარტებიდან, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებათა ანალიზიდან (იხ. სუსგ: №ას-677-638-2011, 24.09.2012 წ.; №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.; №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.; „პერნა იტალიის ნინააღმდეგ“; „ლინგენი ავსტრიის ნინააღმდეგ“). ერთ-ერთ საქმეში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კონსტიტუციურობის საკითხს იხილავდა, განმარტა შემდეგი: „აზრი – ეს არის ადამიანის პირადი სუბიექტური შეფასება ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ. ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება).

ის გარემოება, რომ ვ. კ-ის უშიშროების სამინისტროდან დათხოვნის საფუძველი მცდარად იქნა გაულერებული ტელეკომპანია „რ-ს-ოს“ გადაცემა „რ. თ-ში“, დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომლის მიხედვითაც, ვ. კ-ე საქართველოს სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნილია დანესხულების ლიკვიდაციის გამო, ამდენად, ის ფაქტი, რომ ვ. კ-ის მიმართ გავრცელდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია, დადგენილია და მისი ნამდვილობის შემონმება არ წარმოადგენს საკასაციო განხილვის საგანს.

რაც შეეხება განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისათვის ისეთ აუცილებელ ნიშნებს, როგორიცაა „პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტები“, ალნიშნულთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გადმოცემული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არ იზიარებს სასამართლო ვ. კ-ის არგუმენტებს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვასა და ზიანთან დაკავშირებით. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მოპასუხემ მოსარჩელეს ქურდი უზოდა და ეს უკანასკნელი ამ ფაქტის ჩადენაში ამხილა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორც. შ-ას მოსაზრებას, რომ სადავო განცხადების ცილისწამებად მიჩნევის მეორე პირობა – ბ. კ-ის ზიანის მიყენების ფაქტი არ არსებობს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტები განცხადება. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯვრებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთვის ვად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ლირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია“ (იხ. სუსგ: №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.). ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ არის დადგენილი ცილისწამებისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, შეუძლებელია საკასაციო სასამართლო შეამონმოს გადაწყვეტილების კანონიერება.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორ ვ. კ-ის პრეცენზიას უურნალისტის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაბუთებული პრეცენზია. კერძოდ, კასატორის განმარტებით, მაუწყებელს არ დაუდგენია განცხადებაში მოყვანილი ფაქტის ნამდვილობა. როგორც ზემოთ აღნიშნული, კასატორი აპელირებს უურნალისტის ბრალეულობაზე, რაც გამოიხატა ინფორმაციის გადაუმონმებლობაში, რისი შესაძლებლობაც ობიექტურად არსებობდა. საკასაციო პალატა განმარტებას, რომ ინფორმაციის გამავრცელებლის ბრალეულობის საკით-

ხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც დავის სწორად გადაწყვეტის, ასევე საჯარო პირის ცილისნამებისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრაში. აქედან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილებელმა სასამართლომ აუცილებლად უნდა გადაწყვეტის გამარტინილებლის პრალეულობის საკითხი, რაც ფაქტობრივ და არა სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სამართლებრივი შეფასება მისცეს კასატორ კ. კ-ის მიერ საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიებს, რომელიც ეხება მის მიმართ განხორციელებულ ცილისნამებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, წარმოადგენს თუ არა კ. კ-ის ოჯახის წევრს, ან სიუჟეტში მოხსენიებულია თუ არა უშუალოდ კ. კ-ე. საქმის ხელახლა განმხილებელმა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სასამართლოში თავდაპირველად წარდგენილ სარჩელში კ. კ-ე მცხეოს უპატრონო ბავშვთა სახლში ცხოვრების ფაქტს არ მიიჩნევდა სადაცოდ, ამასთან, კ. კ-ის ამგვარი პოზიცია ასახულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში. საკასაციო პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ცილისნამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. მთითობული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ კ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეამონმოს მოცემული ნორმის შემადგენლობა.

როგორც კასატორები განმარტავენ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცენდენტულ გადაწყვეტილებებთან („ტამერი ესტონეთის წინააღმდეგ“; „პრინცესა პანოვერი გერმანიის წინააღმდეგ“). სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება კ. კ-ის პირადი ცხოვრების დეტალების გავრცელებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კ. კ-ე, როგორც ცნობილი უურნალისტი, წარმოადგენს საჯარო პირს, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. პირადი ცხოვრების თემასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: საინფორმაციო საშუალებები საზოგადოებრივი მეთვალყურის როლს ასრულებენ, რაც გამოიხატება საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებით. აქვე გასათვალისწინებელია ევროპული სასამართლოს მოსაზრება მიხედულობის ზღვრის თეორიასთან დაკავშირებით, სადაც ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ დისკრიციით მიმის შესაფასებლად, თუ რამდენადიქნა წონასწორობა დაცული ინდივიდუალურ უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებაზე შეზღუდვის დაწესებისას. ინტერესთაშორისი წონასწორობის დამყარება ან თაბარზომიერების შემოწმება საერთო საზოგადოებრივ საჭიროებას შორის ეხება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის“ მე-8 მუხლს, რომლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, პატივი სკენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ამ კუთხით საინტერესო მოსარჩელეთა პოზიცია, სადაც განმარტავენ, რომ კ. კ-ის პირადი ცხოვრების შესახებ გავრცელებულ ინფორმაცია არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა მიმის თაობაზე, რომ საჯარო პირის სტატუსი უთუოდ მიუთითებს საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესზე, იცოდეს საჯარო პირის პირად ცხოვრებას მიკუთვნებული ინფორმაციის დეტალები, არ არის საკმარისად დასაბუთებული წონასწორობისა და თანაზომიერების პრინციპებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განსხილვისას უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასოს თუ რაში მდგომარეობს ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე მწვავე სოციალური საჭიროება, რომელიც „აუცილებლობის“ კონტექსტში მოიაზრება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსაზიდველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განსილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღმდებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახლა განსილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარჩელოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. კ. და კ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივლის განხინება და საქმე ხელახლა განსაზიდველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოჩვენებითი და თვალითაკცური გარიგებანი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო მთავრობის სამინისტრო

№ას-1439-1357-2012

1 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

სს „ა. დ. თ-მა“ და ჰ. გ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი/ზ ჯ. ტ-ის, თ. ტ-სა და ა. წ-ის წინააღმდეგ და მოითხოვს მოპასუხე ჯ. ტ-ის, სს „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ, 162663 აშშ დოლარის, ხოლო ჰ. გ-ის სა-სარგებლოდ – 162835 აშშ დოლარის დაკისრება; 2011 წლის 18 აპრილს ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებუ-ლი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; 2011 წლის 23 მაისს ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებუ-ლი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; 2011 წლის 3 თებერვალს ჯ. ტ-სა და ა. წ-ეს შორის და-დებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტე-ბით, ქ. ქუთაისში პქონდა აბაზანის აქსესუარების მაღაზია, სადაც პარტნიორობას უწევდა თ. ტ-ე. საქმია-ნობის დასწყისში ჯ. ტ-ე კეთილსინდისიერად უხდიდა წალებული საქონლის ლირებულებას. 2008 წლის ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შემცირდა რეალიზაცია და 2010 წლის შემოდგომაზე მოსარჩელე იძულებული გახდა, დაეხურა ქუთაისში მაღაზია. ჯ. ტ-ან საბოლოო ანგარიშსწორება და დარ-ჩენილი საქონლის ამოღება გაჭირდა. არაერთი მოლაპარაკების შემდეგ მოპასუხემ დააპრუნა გარკვეული რაოდენობის საქონელი. დარჩენილ სხვაობაზე კი, ვერ შეთანხმდნენ. დავალიანების გადახდის თავიდან აცილების მიზნით, ჯ. ტ-ემ თავისი კუთვნილი ქონება მიჰყიდა ოჯახის ნეკრებს, ისე, რომ არ შეუწყვეტია აღნიშნული ქონებით სარგებლობა, რაც ადასტურებს გარიგებების მოჩვენებით დადების ფაქტს.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძვლით, რომ არავითარი დავალიანება ჯ. ტ-ეს მოსარჩელის მიმართ არ გააჩნდა, ხოლო უძრავი ნივთების გასხვისება განპირობებული იყო მძიმე ეკონომიკური მდგო-მარებიდან გამომდინარე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სს „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ჯ. ტ-ეს სს „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 147963 აშშ დოლა-რი, ხოლო ჯ. ტ-ეს ჰ. გ-ის სასარგებლოდ – 69146 აშშ დოლარი, ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნა-წილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ჯ. ტ-ეს დაეკისრა მოსარჩელეთა მიერ გადახდილი სახლებწიფო ბა-ჟის – 5000 ლარის გადახდა სს „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლოს დასხელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სს „ა. დ. თ-მა“ და ჰ. გ-მა, მოითხოვს მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ჯ. ტ-ემ.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწ-ყვეტილებით ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის ნარმომადგენელ თ. ტ-ის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი ნა-წილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვე-ტილება 2011 წლის 18 აპრილს ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათი-ლად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გაუქმდა ქუ-თაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება 2011 წლის 3 თებერვალს ჯ. ტ-სა და ა. წ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის ნარმომადგენელთ. ტ-ის სარჩე-ლი 2011 წლის 18 აპრილს ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 2011 წლის 18 აპ-რილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის ნარმომადგენელ თ. ტ-ის სარჩე-ლი 2011 წლის 3 თებერვალს ჯ. ტ-სა და ა. წ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 2011 წლის 3 თე-ბერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის ნაწილში და ამ ნაწილში ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის ნარმომადგენელ თ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ჯ. ტ-ეს ს.ს. „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 147 963 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, თვეში 0,4%-ის ოდენობით 2010 წლის 01 ნოემბრიდან. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ჯ. ტ-ეს, ჰ. გ-ის სასარგებლოდ, დაეკის-რა 69 146 ა.შ.შ. დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში თვეში 0,4%-ის ოდენობით გადაწყვეტილების

კანონიერ ძალაში შესვლამდე 2010 წლის 1 ნოემბრიდან, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. ჯ. ტ-ეს ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის სასამართლო, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის, 5250 ლარის გადახდა, დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეებს შორის წლების მანძილზე არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, კერძოდ, მოსარჩელები ჯ. ტ-ეს ანვდიდნენ შესაბამის საქონელს, ხოლო მოპასუხე ახდენდა მიწოდებული საქონლის რეალიზაციას ანუ სახეზე იყო საკომისიო ხელშეკრულება.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ ჯ. ტ-ის დავალიანება სს „ა. დ. თ-ის“ მიმართ შეადგენდა 147963 აშშ დოლარს, ხოლო გ. თ-ის (ჰ. გ-ი) მიმართ 69146 აშშ დოლარს.

დადგენილ იქნა, რომ 2011 წლის 3 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ჯ. ტ-ემ ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული №2 90.10 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მიჰყიდა ა. ნ-ეს 81 000 აშშ დოლარად, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ა. ნ-ის საკუთრებად.

2011 წლის 23 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, დადგინდა, რომ ჯ. ტ-ემ თავისი კუთვნილი უძრავი ნივთი მდებარე წყალტუბოს რაიონის სოფ. რ-ი 5457 კვ.მ მიჰყიდა თავის შვილს – თ. ტ-ეს 5000 ლარად, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და მესაკუთრედ აღრიცხულია თ. ტ-ე.

2011 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, დადგინდა, რომ ჯ. ტ-ემ ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული 93.53 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მიჰყიდა შვილს თ. ტ-ეს 39 000 აშშ დოლარად.

ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის წარმომადგენლმა თ. ც-ემ, ასევე ჯ. ტ-ემ.

ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით ჯ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად, რაც მას კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია.

დადგენილია, რომ 2012 წლის 23 აგვისტოს, ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა სს „ა. დ. თ-ის“ წარმომადგენელმა თ. ც-ემ და მოითხოვა მოპასუხე ა. ნ-ეს აკრძალვოდა ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2 /გ-ის ქ. №2ა/ (საკადასტრო კოდი ...) 90,10 კვ.მ №2 არასაცხოვრებელი ფართის გასხვისება ანდა სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვა.

დადგენილია, რომ ქ.ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 აგვისტოს განჩინებით ს.ს. „ა. დ. თ-ის“ წარმომადგენელ, თ. ც-ის განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე ა. ნ-ეს აკრძალვო უძრავი ქონების, მდებარე – ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2 /გ-ის ქ. №2ა/ (საკადასტრო კოდი ...) 90,10 კვ.მ №2 არასაცხოვრებელი ფართის გასხვისება ანდა სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვა.

სააპელაციო საჩივარის განხილვისას მოწმის სახით დაკითხული ზ.ნ-ის ჩვენებით დადგინდა, რომ მას სურდა ქ.ქუთაისში სასკოლო მაღაზიის გახსნის მიზნით, ექირავა ფართი, რაშიც მას დაეხმარა თ. (რ.) ც-ე. ამ უკანასკნელმა მას (ზ.ეს) მისცა სამი ადამიანის ტელეფონის ნომერი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ვინმე „ჯ. ი.“, მეორე კი ვიღაც ირანელი, რომელსაც თავად ნაქირავები ჰქონდა ფართი და გადაქირავება უნდოდა სხვისთვის. ის (ზ. ნ-ე) მობილურით დაუკავშირდა, როგორც ირანელს, ისე ჯ. ტ-ეს და ქ.ქუთაისში შემდეგ შემდეგ შეხვდა ჯ. ტ-ეს. შეხვედრაზე ფართის გაქირავების საქმესთან დაკავშირდებით. ირანელის მიერ შემოთავაზებული წინადაღება არ მოეწონა. ამის შემდეგ შეხვდა ჯ. ტ-ეს. შეხვედრაზე ფართის ქირავნობის შესახებ მოლაპარაკებას მართავდა პირადად ჯ. ტ-ე, ამ მოლაპარაკებას ესწრებოდა ჯ. ტ-ის სიძეც. მას (ზ. ნ-ეს) მოეწონა ფართი და გადაწყვიტა ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულება ჯ. ტ-ემ წაიღო დასაბეჭდად, ხოლო მესაკუთრეს ხელი მოაწერინა ჯ. ტ-ის სიძეც, ამასთან, ჯ-მა უთხრა, რომ რაღაც პრობლემების გამო, სხვა პირთა სახელებზე ჰქონდა გაფორმებული ეს ფართი, ზუსტად არ ახსოვა შვილებზე თუ ნათესავებზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში უნდა გაეხსნა ამ უკანასკნელს მაღაზია, მაგრამ ისევ თ. ც-ან გაიგო, რომ მის მიერ წაექირავები ფართი სადაო ყოფილა და თავი შეიკავა მაღაზიის გახსნისგან.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი 2012 წლის 1 სექტემბრის ქირავნობის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ ნ. ბ-ს, ა. ნ-სა და ზ. ნ-ეს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე ობიექტზე.

პალატამ დადგენილად მიიჩნია ასევე ის ფაქტი, რომ 2011 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით ჯ. ტ-ის მიერ შვილის სახელზე გასხვისებული, ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე წყალტუბოს არასაცხოვრებელი ფართი ამჟამად საჯარო რეესტრში აღრიცხულია ნ. ბ-ის სახელზე.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ წანილობრივ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის გამოც ს.ს. „ა. დ. თ-სა“ და ჰ. გ-ის სასარჩელო მოითხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის, ჯ. ტ-სა და თ. ნ-ეს შორის, ასევე ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლისა და 394-ე მუხლის ე' პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების წანილობრივ გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა და ამავე კოდექსის 386-ე მუხლის

თანახმად, ამ ნაწილში უნდა მიღებულიყო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემობების სამართლებრივი შეფასებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ ნარმოდგენილი სადაც სამართლებრივი ურთიერთობები ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის, ჯ. ტ-სა და ა. ნ-ეს შორის, ასევე ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის იყო გარიგებები, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო ურთიერთობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ასევე ნარმოდგენდა სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება განხორციელდა მას შემდეგ, რაც მოსარჩელეს გარკვეული პრეტენზია ნარმოებვა ჯ. ტ-ის მიმართ.

პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ჯ. ტ-სა და მის შვილს თ. ტ-ეს შორის 2011 წლის 23 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა შეთანხმება კანონსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად არ არსებობდა, რადგან აპელაციის მიერ აღნიშნულის თაობაზე არავითარი მტკიცებულება არ წარმოდგენილა. ასევე, გარდა ზეპირი ვარაუდისა მოცემული ვარიგების მოჩვენებითობის შესახებ მის ნამდვილაბათობაზე დაკავშირებით მოსარჩელეს არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

პალატამ მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ჯ. ტ-ემ ქ.ქუთაისში, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე, თავისი კუთვნილი 90.10 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მიჰყიდა ა. ნ-ეს 81 000 აშშ დოლარად, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ა. ნ-ის საკუთრებად და 2011 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ჯ. ტ-ემ ქუთაისში, გ-ის ქუჩა №2-ში მდებარე, თავის საკუთრებაში არსებული 93.53 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მიჰყიდა შვილს, თ. ტ-ეს 39 000 აშშ დოლარად, ნარმოდგენდა მოჩვენებით ვარიგებას, რადგან სადაც გარიგებების მონაზილე სუბიექტების ნების გამოვლენის მოჩვენებითობაზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ ქ.ქუთაისი, გ-ის ქუჩის №2-ში მდებარე უძრავ ნივთს ფაქტობრივად ფლობს გამყიდველი, რაც დადასტურებული იყო კიდევ მოწმეთა ჩვენებით.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სადაც ნივთის ლირებულების გადახდის ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 3 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულება და 2011 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო მოსარჩენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა. იგი დადებული იყო იმ მიზნით, რომ მოვალე ჯ. ტ-ეს თავი აერიდებინა კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისათვის.

პალატამ მიიჩნია, რომ საპელაციო საჩივრის მოთხოვნა ე.ნ. ბირი თანხის ჯ. ტ-ის დაკისრების ნაწილში სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად შეაფასა, ასევე სწორად იქნა გაზიარებული ექსპერტიზის დასკვნაც.

რაც შეეხება არაუფლებამოსილი პირისათვის გადახდილი თანხის თაობაზე სააპელაციო საჩივარში მითითებულ შეფასებას, პალატამ მიიჩნია, რომ ამ საკითხში დასაბუთება და მტკიცებულებით ნაწილი აპელაციის მხრიდან არასრული იყო.

სააპელაციო საჩივარი მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე უარის თქმის შესახებ სადაც გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე პალატამ მიიჩნია, რომ ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ, მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღება პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში, იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ (ამ ნაწილში სადაც გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში) 2010 წლის პირველი ნოემბრამდე იყო ვალდებული ჯ. ტ-ე, რომ ვარიგების პირობები შეესრულებინა ჯეროვნად, შესაბამისად, ჯ. ტ-ეს ს.ს. „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 147 963 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ხოლო ჰ. გ-ის სასარგებლოდ 69 146 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. პალატამ მიიჩნია, რომ ჯ. ტ-ეს მიუღებელი შემოსავლის სახით გონივრული გაანალიზების ფარგლებში მოპასუხეთა სასარგებლოდ უნდა გადაეხადა დაკისრებული თანხის 0,4% თვეში, 2010 წლის პირველი ნოემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო ნებით გაასაჩივრებს თ. ტ-ემ, ა. ნ-ემ და ასევე, სს „ა. დ. თ-მა“.

კასატორმა თ. ტ-ემ საკასაციო საჩივრით მოთხოვნა ქუთაისის სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება თ. ტ-სა და ჯ. ტ-ეს შორის 2011 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ არასწორი იყო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ თ. ტ-სა და ჯ. ტ-ეს შორის დადებული ხელშეკრულება თვალმაქცური იყო. კასატორის აზრით, სასამართლო არასრულყოფილად გამოიკვლია თ. ტ-სა და მოწმე ზ. ნ-ის ურთიერთობა, ამასთან, არასწორის აზრით, სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ თ. ტ-ემ ჯ. ტ-ის ჯარიმის თანხა გადაიხადა 2011 წლის იანვარში.

კასატორმა ა. ნ-მ საკასაციო საჩივრით მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ა. ნ-ა და ჯ. ტ-ეს შორის 2011 წლის 3 თებერვალს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და

ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: არასწორი იყო სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ თ. ტ-სა და ჯ. ტ-ეს შორის დადებული ხელშეკრულება თვალთმაცური იყო. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორულყოფილად გამოიკვლია თ. ტ-სა და მოწმე ზ. ნ-ის ურთიერთობა, ამასთან არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი.

სს „ა. დ. თ-მა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 23.05 11 წლის ნასყიდობის ბათილობაზე უარის თქმის ნაწილში, აგრეთვე ხარჯის – შპს „პ. 007“-ზე აუდიტორულ დასკვნაზე გადახდილი 1650 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით აღნიშნულ ნაწილებში სარჩელის დაკმაყოფილება იმ საფუძვლით, რომ სადაც გარიგების ნამდვილად მისაჩინევად სასამართლოს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, გამყიდველს გააჩინა მისი ვალი, მყიდველი კი, მისი შვილია, ქონება ნაყიდობა ძალიან დაბალ ფასად. სასამართლომ კი არ შეაფასა გარემოება მასზე, რომ აშკარა შეუსაბამობა ქონების ფასა და ნასყიდობის ფასს შორის, რაც გარიგების ბათილობის პირობას ნარმოადგენდა. ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სასამართლომ დაარღვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 144-ე და 105-ე მუხლები – არ დაადგინა საქმისთვის არსებითი მინშვნელობის ქონება გარემოება თ. ტ-ის ნასყიდობის ნაწილში, არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რის გამოც ეჭვეჭვეშდად გა გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან თ. ტ-ემ შეძლო, ხელახლა გაყიდვა ქონება და ფაქტობრივად მხოლოდ 90 კვ.მ კომერციული ფართი შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად, რომლის უმაღლესი ფასი 100000 აშშ ლოდინი შეიძლება იყო, მაშინ, როცა ჯ. ტ-ის დაკისრებული თანხა 250000 აშშ ლოდინი შეადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 თებერვლის განჩინებით თ. ტ-სა და ა. ნ-ის საკასაციო საჩივრები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შემოწმების შედეგად, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 7 თებერვლის განჩინებით სს „ა. დ. თ-ის“ საკასაციო საჩივრი დასაშვებად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ა. დ. თ-ის“ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 23.05 11 წლის ნასყიდობის ბათილობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იხილავს ქუთაისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერებას სს „ა. დ. თ-ის“ (ნარმომადგენელ თ. ტ-ის) საკასაციო საჩივრის ფარგლებში. კასატორი ითხოვს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებას ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 23.05 11 წლის ნასყიდობის ბათილობაზე უარის თქმის ნაწილში, აგრეთვე ხარჯის – შპს „პ. 007“-ზე აუდიტორულ დასკვნაზე გადახდილი 1650 ლარის და კისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით აღნიშნულ ნაწილებში სარჩელის დაკმაყოფილებას იმ საფუძვლით, რომ სადაც გარიგების ნამდვილად მისაჩინევად სასამართლოს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, გამყიდველს გააჩინა მისი ვალი, მყიდველი კი, მისი შვილია, ქონება ნაყიდია ძალიან დაბალ ფასად. სასამართლომ კი არ შეაფასა გარემოება მასზე, რომ აშკარა შეუსაბამობა ქონების ფასა და ნასყიდობის ფასს შორის, რაც გარიგების ბათილობის პირობას ნარმოადგენდა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩინებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლ. მოჩვენებითი გარიგების დროს კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩინებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამომვლენი, ასევე მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასითებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი. სასამართლო პარატიკამ გვიჩვენა, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთშეთასთან (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება ნარმოადგენდეს მესამე პირის მოტუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ). ამრიგად, იმისათვის, რომ სასამართლომ სადაც გარიგება, მიიჩნიოს მოჩვენებით

გარიგებად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის წაკლზე, ფიქტური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.

ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმუციებისა და მტკიცების ტვირთის სწორად განსაზღვრას. მითითებული გარემოებების დადასტურება ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას, რადგან თუნდაც მოსარჩელე უთითებდეს გარიგების ერთი მხარის არაკეთილსინდისიერებაზე, ივარაუდება, რომ გარიგების მეორე მხარე მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რისი გაქარწყლება, ევალება მოსარჩელეს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება იდება ნათესავებს (მაგალითად, მამა-შვილ შორის) ან სხვა ოჯახის წევრებს შორის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის წევრებისათვის ცნობილია არსებული ვალდებულებების თაობაზე და, ასევე, მათი ოჯახის წევრის მიერ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების თაობაზე (იხ. პრტაქტიკა უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის №ას-571-879-09 განჩინება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ჯ. ტ-ეს არა აქვს შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სს „ა. დ. თ-ის“ მიმართ. იმ პერიოდში, როდესაც სს „ა. დ. თ-ი“ ითხოვდა ჯ. ტ-ან ვალდებულების შესრულებას, ამ უკანასკნელმა განკარკა თავის საკუთრებში არსებული ქონება და მიპყიდა თავისი ოჯახის წევრებს. ამ ვითარებაში ჯ. ტ-ეს მიერ შვილისათვის (თ. ტ-ის) ნივთის მიყიდვა შეიძლება მიუთითებდეს მხარეთა კეთილ ნებაზე და განპირობებული იყოს გარკვეული აუცილებლობით, მაგრამ ზუსტად, რომ თ. ტ-ეს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს ის, თუ რამ განაპირობა და რა აუცილებლობა არსებობდა ამ ხელშეკრულებების დადება ჯ. ტ-ის მიერ ვალდებულების შესრულების მონაკვეთში.

თ. ტ-ეს ეკისრება ტვირთი ამტკიცოს, რომ, მიუხედავად მათი ნათესაური კავშირისა მისთვის არ იყო ცნობილი ყოველივე ამის თაობაზე და ის ნარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს, რაც არ დასტურდება საქმეში არსებული მასალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გალებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ ხარჯების გადახდა, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე, სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილდა ან უარი ეთქვა გადაწყვეტილებით. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, დაკმაყოფილდა სს „ა. დ. თ-ის“ სარჩელის მოთხოვნა ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლის ფასი საქმეში ნარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრება 5000 ლარით, შესაბამისად, მონინააღმდეგე მხარეებს, ჯ. და თ. ტ-ს, სს „ა. დ. თ-ი“ სასარგებლოდ, უნდა დაეკისროთ, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელის საგნის ლირებულების შესაბამისად, კასატორის მიერ პირველ, მეორე და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (5000 ლარის 3%, 4% და 5%), სულ 650 ლარისა და კასატორის მიერ აუდიტორული მომსახურებისათვის გადახდილი 1650 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ა. დ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 23.05 11 წლის ნასყიდობის ბათილობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ა. დ. თ-ის“ სარჩელი ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის 23.05 11 წლის ნასყიდობის ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი 2011 წლის 23 მაისს ჯ. ტ-სა და თ. ტ-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება;
5. მონინააღმდეგე მხარეებს, ჯ. და თ. ტ-ეს, სს „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 650 ლარის გადახდა;
6. მონინააღმდეგე მხარეებს, ჯ., თ. ტ-სა და ა. ნ-ეს, სს „ა. დ. თ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისროთ აუდიტორული მომსახურების ხარჯის – 1650 ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინება

№ძს-1350-1275-2012 25 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თხოვების ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ნ. მ-ამ ა. ლ. ს. მ. ი-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 29 ივნისს შეიძინა ქ. ქობულეთში, ვ-ის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მინის ნაკვეთი. იგი აპირებდა სასტუმროს მოწყობას. 2011 წლის ივლისსა და აგვისტოში ნ. მ-ან ჩამოვიდნენ მისი მეცობრები ო. ს-ა, ქ. ი-ა და ო. ი-ი, რომლებმაც ჩამოიტანეს სასტუმროსათვის საჭირო ნივთები და განათავსეს მოსარჩელის კუთვნილი შენობის №1-№5 კორპუსებში. 2011 წლის ივლისში მოსარჩელესთან ჩამოვიდა ა. ლ-ე, რომელმაც შესთავაზა, რომ არსებული შენობების ბაზაზე ფუნქციონირება დაეწყო ა. ლ. ს. მ. ი-ას. იგი გეგმავდა ა-ის ეგიდით ლექცია-სემინარების ჩატარებას, იმავდროულად, რეკლამას გაუწევდა ნ. მ-ას სასტუმროს. 2011 წლის 1 ივლისს ა. ლ-ემ მოიტანა ქართულ ენაზე შედგენილი თხოვების ხელშეკრულება, რომლის შინაარსიც მოსარჩელისათვის არ განუმარტავს. როგორც აღმოჩნდა, ხელშეკრულება დაიდო 19 წლის ვადით, ნ. მ-ას კუთვნილ მთლიან შენობა-ნაგებობასა და მინის ნაკვეთზე. მხარეები ამგვარ პირობებზე შეთანხმებული არ ყოფილან და ა. ლ-ემ ნ. მ-ა მოატყუა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-სა და ა. ლ. ს. მ. ი-ას შორის 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული ქონების თხოვების ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხებ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოები მიიჩნია:

1. ქ. ქობულეთში, ვ-ის ქუჩის №9-ის მიმდებარე 3005 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და მასზე არსებული 542,2 კვ. მ შენობა-ნაგებობები ეკუთვნის ნ. მ-ას. მასვე ეკუთვნის იმავე მისამართზე მდებარე 1580 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი და 18,8 კვ. მ შენობა-ნაგებობა. აღნიშნული უძრავი ქონება შეძენილია 2011 წლის 29 ივნისს;

2. ზემოაღნიშნულ უძრავი ქონებას მთლიანად ფლობს ა. ლ. ს. მ. ი-ა;

3. მოსარჩელესა და ა. ლ. ს. მ. ი-ას შორის 2011 წლის 1 ივლისს წერილობით დაიდო უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ნ. მ-ამ მისი კუთვნილი, ქ. ქობულეთში ვ-ის ქ. №9-ში მდებარე უძრავი ქონება მოპასუხეს 19 წლის ვადით ათხოვა;

4. მითითებული ხელშეკრულება მხარეებმა საჯარო რეესტრში 2011 წლის 1 აგვისტოს წარადგინეს. ხელშეკრულება 2011 წლის 25 აგვისტოს დარეგისტრირდა;

5. მოპასუხე ისე დაუფლ ქონებას, რომ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. აღნიშნული პირობა ხელშეკრულების 2.1. პუნქტით არის გათვალისწინებული;

6. თხოვების ხელშეკრულება მხოლოდ ქართულ ენაზე შედგენილი. ნ. მ-ამ კი, ქართული არ იცის;

7. ნ. მ-ას განმარტებით, მას სურდა თხოვების ხელშეკრულების დადება, მაგრამ არა ხელშეკრულებაში მითითებული ვადით და მხოლოდ შენობის ნანილზე (№1 და №2 კორპუსებზე);

8. ნ. მ-ამ სასამართლოს სარჩელით მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, რაც მოპასუხემ მისი მეგობრები გამოასხლა ქ. ქობულეთში, ვ-ის ქ. №9-ში მდებარე ფართიდან. ამჟამად, ვერც ნ. მ-ა და ვერც მისი პარტნიორები ვერ სარგებლობენ ქონებით;

9. ა-ის წარმომადგენელმა ნ. მ-ას კუთვნილ შენობებში სარემონტო სამუშაოების განხორციელება და-იწყო და მესაკუთრის დაუკითხავად შეუცვალა იერსახე;

10. სადაც ხელშეკრულებაში მითითებული არაა თხოვების მიზანი;

11. ნ. მ-ამ დაუშვა არსებითი შეცდომა. მას ამ სახის ხელშეკრულების დადება არ სურდა. მხარეთა შორის არ მიმდინარებდა მოლაპარაკება ხელშეკრულების 19 წლით დადებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, გარიგება დაიდო არა მოტყუების, არამედ არსებითი შეცდომის საფუძველზე, ვინაიდან, ნ. მ-ას სურდა ხელშეკრულების დადება, მაგრამ განსხვავებული შინაარსით, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თხოვების ხელშეკრულება, როგორც შეცდომით დადებული გარიგება, ბათილი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სარჩელით ნ. მ-ა ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობას ითხოვდა და მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მან კი ქართული არ იცის. სააპელაციო სასამართლომ სარ-

ჩელის საფუძვლების განსხვავებული ინტერპრეტაცია მოახდინა და მიიჩნია, რომ ხელშეკრულება შეცდო-მით დაიდო. სასამართლომ ხელშეკრულება ბათილად სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ნ. მ-ა მოთხოვნას ამ მუხლიდან გამომდინარე არ აყენებდა და არც შესა-ბამის ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 248-ე მუხლი დაარღვია და სარჩელის ფარგლებს გასცდა. მოპასუხის შესაგებელი მთლიანად მი-მართული იყო სარჩელში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მოპასუხე აპათილებდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ თხოვების ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო. სააპელაციო სასამართლომ კი, მოულოდნელად, სრულიად განსხვავებულად შეაფასა სასარჩელო მოთხოვნა, რითაც მხარეს შედავე-ბის შესაძლებლობა მოუსპო, კერძოდ, შეცდომით დადებულ გარიგებასთან მიმართებით, ხანდაზმულობის საკითხიცა დასადგენი. თავად სარჩელშია მითითებული, რომ ა. ლ-ე ხელშეკრულების დადებისთანავე და-ეუფლა უძრავ ქონებას, შესაბამისად, მოთხოვნის შესახებ მოსარჩელისათვის ამ მომენტიდან იყო ცნობილი, სარჩელი კი, 2012 წლის იანვარშია აღმოჩენილი. ხელშეკრულება შეცდომით არ დადებულა. ხელშეკრულების პირველი ვარიანტი თავად ნ. მ-ამ შეიმუშავა. გარდა ამისა, საჯარო რესტრში რეგის-ტრაციისას, რეესტრის თანამშრომელმა ხელშეკრულების პირობები განუმარტა მხარეებს. ხელშეკრულე-ბა შედგენილ იქნა ორჯერ და ნ. მ-ამ ორივეჯერ მოაწერა ხელი, ამდენად, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მას დაეშვა შეცდომა ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებუ-ლი განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს რომ ა. ლ. ს. მ. ი-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეცვალა სარჩელის საფუძვლები და თხოვების ხელშეკრულება ბათილად ცნო, როგორც შეცდომით დადებული გარიგება, მაშინ როდესაც, მხარე მიუთი-თებდა, რომ ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, განსხვავებულად განმარტა რა სარჩელის საფუძვლები, საშუალება მოუსპო მოპასუხეს ხანდაზმულობაზე მითითებით და-ეცვა თავი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მტკიცება გაზიარებული უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდი-ნარებს შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებ-ლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ ნამოყენე-ბული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადას-ტურებული ეს ფაქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალ-დებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები. სარჩელის საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას, აქედან გამომ-დინარე, სარჩელის საფუძვლის შეცვლა ნიშნავს იმ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლას, რომლებიც თავ-დაპირველად იყო მითითებული მოსარჩელის მიერ თავის სარჩელში. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქ-ტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შო-რის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში და მხარის მიერ არასწორი ნორმატიული საფუძვლის მითითება არ შეიძლება გახდეს სარ-ჩელზე უარის თქმის საფუძველი (იხ. მაგ. სუსგ №ას-690-651-2010), თუმცა სასამართლოს აღნიშნული დის-კრეცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მოპასუხეს არ შეეზღუდოს კონკრეტულ საკითხზე შესა-გებლის წარდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება. საქმეზე გადაწყვეტილება მი-ლებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად დრეალიზაციის პირობებში. საკასაციო სასამარ-თლო აქვთ მიუთითებს, რომ სარჩელისაგან განსხვავებული სამართლის ნორმების გამოყენება არ გულის-ხმობს გარიგების შეცილების საფუძვლის შეცვლას. მხარის განმარტება მის თაობაზე, რომ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია და არა ნორმატიული სა-ფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მხარისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს და ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, როგორც სარჩელსა და შესაგებელში ასახული გარემოებების შეფასებიდან, ისე მხარეთა ახსნა-განმარტებების და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვენებიდან. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ის გარემოება უნდა მიიღოს მხედველობა-ში, რომ სამოქალაქო მხარის მიერ არ შეეზღუდოს კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამარ-თლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწ-ყვეტილებებში ან სხდომათა აქმებში, ამდენად, მხარე ახალ ფაქტებზე საკასაციო სასამართლოში ვერც საპატიო მიზეზის არსებობისას მიუთითებს, მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგა-ნი განიშნული გადაწყვეტილების კანონიერებაა და იგი საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს არ ადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეს აღარ აქვს შესაძლებლობა, პროცესუალური საშუალებების გა-მოყენებით აიცილოს მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი შემთხვევის თავიდან

ასაცილებლად, საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციონ სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება ან საქმე ხელახლა განსახილველად დააპრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, კერძოდ, სააპელაციონ სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დააპრუნოს, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონბება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“). საკასაციონ სასამართლოს მოსაზრებით, თუ სააპელაციონ სასამართლო დავის განხილვისას მიიჩნევს, რომ ამ საქმის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სარჩელში აღნიშნულისაგან განსხვავებული ნორმები და ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად განსხვავებულად უნდა შეფასდეს, მან ასევე უნდა შეაფასოს, გამოიწვევს თუ არა, ამგვარი ცვლილება მეორე მხარის ინტერესების დარღვევას და თუ წარმოიშობა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოპასუხეს, შეიძლება, შეეზღუდოს შეჯიბრებითობის პრინციპით გათვალისწინებული უფლებამოსილების რეალიზაციის შესაძლებლობა, საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დაბრუნდეს.

სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება. ამგვარი მითითების მიმართ კი, გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს. საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი. ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული შეზღუდვა გამომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან: თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მონინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხარის უფლება, გარდა ამისა, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად, ჩვეულებრივ პირობებში, ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მოსარჩელისაგან განსხვავებულად აფასებს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და მოპასუხეს ობიექტურად არ აქვს საშუალება გარკვეულ გარემოებებზე (ხანდაზმულობის ჩათვლით) მითითებით დაიცვას თავი სარჩელისაგან, ხანდაზმულობის საკითხის ხამოჭრა ზემდგომ ინსტანციაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. სააპელაციონ სასამართლოსათვის, ამგვარ ვითარებაში ხანდაზმულობაზე მითითება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევად უნდა შეფასდეს.

რაც შეეხება კასაციას, ჩვეულებრივ პირობებში, მხარე ამ ინსტანციაში ხანდაზმულობის საკითხს ველარ წამოჭრის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით, საკასაციონ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს ხანდაზმულობაზე და ამ კუთხით შეაფასოს სააპელაციონ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება, თუ მხარეს ეს საკითხი არ წამოუჭრია ქვემდგომ სასამართლოებში, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის ქვემდგომ ინსტანციებში წარმოების მანძილზე სადაცვო ხელშეკრულება განიხილებოდა როგორც მოტყუებით დადებული გარიგება და მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა მიჩნეული შეცდომით დადებულ გარიგებად, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპამდე მოპასუხეს არ გააჩნდა ხანდაზმულობაზე მითითების ინტერესი, ამგვარი მითითების შესაძლებლობა კი, სასამართლოს მიზეზით შეზღუდა, გასაჩინვებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებულობის შედავება ხანდაზმულობის საკითხის შეუფასებლობის მოტივით დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

საკასაციონ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს მოტყუებით და შეცდომით დადებულ გარიგებათა შორის არსებულ განსხვავებებზე. სამოქალაქო კოდექსის 72-ე-73-ე მუხლების მიხედვით, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე. არსებით შეცდომად ითვლება, როცა: ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა; ბ) პირ ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადგებაც მას სურდა; გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად. იმავე კოდექსის 81-ე მუხლის მიხედვით კი, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოტყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. საკასაციონ სასამართლო განმარტავს, რომ როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლ მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადება გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძვლად დაედო, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართლურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაპერტი კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. სწორედ ამ მიზეზით, შეცდომით დადებული გარიგება, საცილო გარიგებათა შორის, ხანდაზმულობის ყველაზე მოკლე ვადას ითვალისწინებს. სამოქალაქო ბრუნვისათვის საზიანო იქნებოდა კეთილსინდისიერი მხარის კანონიერი ინტერესების ხანგრძლივად ეჭვეშ დაყენება გარიგების შეცდომით დასაშვებად უფლების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ გაიმიჯნოს შეცდომით და მოტყუებით დადებული გარიგებები, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული გარიგების დადების წინაპირობები და უნდა დადგინდეს, რა გარემოებები დაედო საფუძვლად მხარეთა მიერ წერის გამოკლენას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის გარკვეული პირობები იყო შეთანხმებული, ხოლო მოპასუხებ მის მიერ ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებაში განსხვავებული პირობები მიუთითა, იმის გათვალისწინებით, რომ მ. მ-ა ქართულს არ ფლობდა, ამ შემთხვევაში, იგი სამართლურთიერთობის კეთილსინდისიერ მხარეს არ წარმოდგენს. სააპელაციო სასამართლოს კი, მითითებული გარემოებები სათანადოდ არ გამოკვლევია.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის მიხედვით, გარიგების წანილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა წანილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი წანილის გარეშეც. მოცემულ შემთხვევაში, თავად მოსარჩელე ადასტურებს, რომ მას სურდა თხოვების ხელშეკრულების დადება მისი კუთვნილი შენობის №1 და №2 კორპუსებზე, შესაბამისად, ამ წანილში 6. მ-ას მიერ გამოკვლენილი ნება შესაძლოა, ნამდვილი იყოს, სააპელაციო სასამართლოს კი, არც აღნიშნული გარემოება შეუფასებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 წანილის მიხედვით, საპროცესო სამართლის წორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე მოპასუხეს სასამართლოს მიზეზით შეეზღუდა ხანდაზმულობის საკითხზე შედავების წარდგენის შესაძლებლობა და ეს გარემოება დავის განხილვის შედეგზეც აისახა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი წანილის მიხედვით საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო წორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამავე მუხლის მე-2 წანილის მიხედვით კი, ამ მუხლის პირველი წანილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინებაში ასახული განმარტებებით, სრულყოფილად გამოიკვლიოს სადაც თხოვების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გარემოებები, ასევე სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტო.

სარეზოლუციო წანილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ლ. ს. მ. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი წანილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირათხმისაპუთრეთა ამსახაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრება

განრიცხება

№ას-864-810-2012

11 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან წივთის გამოთხოვა

აღნერილობითი წანილი:

კ. ს-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში გ. ჩ-ისა და ნ. ქ-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე სახლის სარდაფის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით:

ქ.ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე ბინა მოსარჩევემ შეიძინა 2010 წლის 6 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით დ. ე-ისაგან და ნარმოადგენს მის საკუთრებას. 2010 წლის 9 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტყიბულის სარეგისტრაციის სამსახურის მიერ. სადარბაზოს საძირკვლის სართულში საცხოვრებელი სახლის თითოეულ მობინადრეს გააჩნიათ 17.14 კვ.მ სარდაფის სათავსი, რომელიც წარმოადგენს ძირითად უძრავ ნივთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით დაკავშირებულ ფართს. განკერძოებული რეგისტრაცია გასხვისებისას სახელშეკრულებო, სანოტარო და საჯარო რეესტრის დოკუმენტებში არ ხორციელდებოდა.

დ. ე-ისაგან საცხოვრებელი ბინის ნასყიდობა თავისთვად მოიცავდა საძირკვლის სართულში მდებარე 17.14 კვ.მ სარდაფის სათავსის შეძენასაც. დ. ე-ის განმარტებით, მან ნება დართო, ამავე საცხოვრებელი სახლის მეზობელი სადარბაზოს მობინადრე გ. ჩ-ეს, სარგებლა თავისი სარდაფის რომელსაც გაათავისუფლებდა მოთხოვნისათანავე. მიმდინარე წლის დასაწყისში მოპასუხე გ. ჩ-ემ მოსარჩელეს მოსთხოვა გა-საღები, რათა სარდაფიდან გაეტანა თავისი ნივთები, მან ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ჩ-ეს ათხოვა სარდაფის გასაღები, რაც მაღლებ დაუბრუნა უკან.

მოსარჩელეს სარდაფი არ შეუმონმებია, მაგრამ სათავსოს კარის გაღებისას გასაღები საკეტს არ მოერგო, აშკარად ეტყობოდა გამოცვლის კვალი. საკეტის გამოცვლა კი, მოპასუხის გარდა, არავის შეეძლო, რადგან გასაღები კ.ს.-ემ მხოლოდ მას ათხოვა. გ. ჩ-ემ დაუდასტურა, რომ გასაღები მან გამოცვალა, რადგან საჭიროდ მიიჩნია. არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხე სადავო სათავსს არ ათავისუფლებს.

მოპასუხე გ. ჩ-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო 17.14 კვ.მ სარდაფი არ წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას. იგი მოსარჩელის საცხოვრებელ ბინას საერთო სამეურნეო დანიშნულებით არ უკავშირდება. მოსარჩელე თავად ადასტურებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით იგი არ შეუძინა და არც საჯარო რეესტრში მის საკუთრებად არ იჩიცხება.

ნ. ქ-ე ასევე არ დაეთანხმა სარჩელს და განმარტა, რომ სადავო სარდაფი არასოდეს ყოფილა მოსარჩელის მფლობელობასა და სარგებლობაში. დ. ე-ე სარდაფი კ. ს-ეს უერ მიჰყიდიდა, რადგან უკვე გასხვისებული ჰქონია გ. ჩ-ის სახელზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. ჩ-ეს აეკრძალა ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სამეურნეო ნაწილის 17.14 კვ.მ სარდაფით კ. ს-ის მიერ სარგებლობის ხელშეშლა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ჩ-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო მოსარჩელემ შეიტანა შეგებებული სარჩელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით ძირითადი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შეგებებულ სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ საცხოვრებელი ბინა 2010 წლის 9 დეკემბრიდან წარმოადგენს მოსარჩელე კ. ს-ის საკუთრებას, რომელიც იყიდა დ. ე-ისგან (ს/კ. ...). საჯარო რეესტრის ამონანერით (ს/კ. ...) დადგენილია, რომ კ. ს-ეს სარდაფი საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს. იგი არ არის სადავო ნივთის მესაკუთრე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქონება წარმოადგენს ცალკე უფლების ობიექტს.

ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/10-ში მდებარე (75.87 კვ.მ) საცხოვრებელი ბინა 2010 წლის 9 დეკემბრიდან რეგისტრირებულია მოპასუხე გ. ჩ-ის სახელზე (ს/კ ...).

საჯარო რეესტრის ამონანერით (ს/კ ...) დადგენილია, რომ გ. ჩ-ეს სარდაფი საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს. 2010 წლის 9 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. საქმეზე დართულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2011 წლის 15 ივნისის კრების ოქმში მითითებულია ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9-ში მდებარე სარდაფის მფლობელ დ. ე-ის მოთხოვნის შესახებ, რომლითაც წება დაერთო დ. ე-ეს, პირად საკუთრებაში დაერეგისტრირებინა 18 კვ.მ სარდაფი. დადგენილია, რომ ამ დროისათვის დ. ე-ე ამხანაგობის ქერი არ ყოფილა და სარდაფს არასოდეს ფლობდა. არ არსებობს არც განცხადება, რომლითაც დ. ე-ემ მიმართა ამხანაგობას აღნიშნული მოთხოვნით. ამხანაგობის თავმჯდომარის ახსნა-განმარტების თანახმად, კრება არ ჩატარებულა, შესაბამისად, ამხანაგობის ნევრებს ნება არ გამოუვლენიათ.

სადავო უძრავი ქონება მოცემული პერიოდისათვის წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებას.

სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიუთითა, რომ უკანონ მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მისი მფლობელი და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ კ. ს-ემ ქალაქ ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე ბინის შეძენით ასევე შეიძინა უფლება სადაც სარდაფზე, რადგან სარდაფი უძრავი ნივთია და მის შესაძნად უძრავი ნივთისათვის კანონით გათვალისწინებულია გარკვეული რეუიმის დაცვა (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი).

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის (ამოქმედდა 2007 წლის 1 აგვისტოდან) მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილისა და მე-2 ნაწილის შესაბამისად, კ. ს-ე, მართალია, არის ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის ამხანაგობის წევრი, მაგრამ მას ამხანაგობისთვის განცხადებით აღნიშნულ საკითხზე არ მიუმართავს და გადაწყვეტილება ამხანაგობასაც არ მიუღია. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ არც დ. ე-ე და არც კ. ს-ე ამ სარდაფს არ ფლობდნენ იმ ფორმით, რაც გათვალისწინებულია მითითებული ნორმებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩევე კ. ს-ის მოთხოვნა სადაც სარდაფზე მესაკუთრედ აღიარების შესახებ უსაფუძვლოა, რადგან მოსარჩელეს სარდაფი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წევრით არ გადასცემისა და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში არ აღურიცხავს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნივთის მესაკუთრე არც გ. ჩ-ეა, რადგან ასეთი სტატუსით იგი საჯარო რეესტრში აღრიცხული არ არის. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მესუთე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე პალატამ მიუთითა, რომ სადაც უძრავი ნივთი არის ამხანაგობის საკუთრება, შესაბამისად, ამხანაგობაა უფლებამოსილი, მოთხოვნის (თუ იგი მიიჩნევს საჭიროდ) სადაც ფართიდან გ. ჩ-ის გამოსახლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით დადგენილი პირობები მოთხოვნის ფარგლებში აკმაყოფილებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას და არა კ. ს-ეს, რომელიც არ არის სადაც ფართის მესაკუთრე. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადაც სარდაფი არის ცალკე უფლების ობიექტი. ამხანაგობა მოსარჩელეს მითითებული ჰყავს მოპასუხედ და, შესაბამისად, ამ მომენტისათვის ამხანაგობის წება გ. ჩ-ის გამოსახლებაზე არ არსებობს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ამხანაგობის თავმჯდომარეც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოება: მოსარჩელის მოთხოვნა ქ. ტყიბულში, რ-ის ქუჩის №9/2-ში მდებარე უძრავი ნივთის – 17.14 კვ.მ სარდაფის სათავსიდან მოპასუხე გ. ჩ-ის გამოსახლება და სათავსის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელე კ. ს-ისათვის ჩაბარება მოიცავს მოთხოვნას უკანონ ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, რადგან კანონით გათვალისწინებული საფუძვლით მოსარჩელეს ასეთი მოთხოვნა არ დაუფიქსირებია. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოსარჩელე კ. ს-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულად შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების უფყუარად არსებობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებითა შესაძლებელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კ. ს-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მიის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საჩივრის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ ტყიბულში, რ-ის ქ. №9/10-ში მდებარე 75,87 კვ.მ 2010 წლის 9 დეკემბრიდან რეგისტრირებულია მოპასუხე გ. ჩ-ის სახელზე, რაც არასწორია, სინამდვილეში 2010 წლის 9 დეკემბრიდან მოსარჩელე კ. ს-ის სახელზეა რეგისტრირებული ქალაქ ტყიბულში, რ-ის ქ-ს №9/20-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა, ხოლო გ. ჩ-ემ ბინა 2010 წლის არა 9, არამედ 24 დეკემბერს დაარეგისტრირა. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ მოსარჩელე კ. ს-ე უფრო აღრე გახდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი, ვიდრე მოპასუხე გ. ჩ-ე. აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. მითითებული შეცდომა არა ტექნიკური, არამედ არსებითი ხასიათისაა, რამაც გავლენა მოახდინა სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე.

მართალია, მოპასუხე არის სადაც უძრავი ქონების ფაქტობრივი მფლობელი, მაგრამ მფლობელობა მოპავებული აქვს თვითხებურად და მოტყუებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, უძრავი ქონების ფაქტობრივი დაუფლების დროისათვის მოპასუხე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი არ ყოფილა. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მოპასუხე ამხანაგობის სახლში ბინა შეიძინა 2010 წლის 24 დეკემბერს, მოსარჩელე კი 2010 წლის 9 დეკემბერს, ე.ი. მოპასუხე გაცილებით ადრე. მანამდე სადაც ქონების კანონიერი მფლობელი იყო მოსარჩელის წინამორბედი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი, მესაკუთრე დ. ე-ე.

დ. ე-ე სანოტარი წესით დადასტურებულ გადასტურებაში მიუთითებს, რომ მოპასუხე მას 1000 აშშ დღო-ლარი მისცა ბეს სახით, რის შემდეგაც მისივე მიზეზით საცხოვრებელი ბინის ნასყიდობა არ შედგა. სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფის საგარანტიო ღონისძიებას და არა საკუთრების ან მფლობელობის მოპავების კანონიერ საფუძველს. მით უფრო, რომ გ. ჩ-ესა და დ. ე-ეს შორის ხელშეკრულება არ დაიდო მოპასუხე მიზეზით და გამყიდველმა მხარემ მის მიმართ კეთილი ნება გამოიჩინა, როცა არ გამოიყენა კანონით მინიჭებული ბეს სახით მიღებული თანხის დაბრუნების უფლება და მოპასუხე სავარაუდებით, გარიგების მხარე დარეც გარიგების მიღებაზე და გამოიყენა კანონიც იგი მოსარჩელით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად მიუთითებს,

რომ სამეურნეო სათავსზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესა-კუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრება ხმათა 2/3-ით აფიქსირებს მის მფლობელობას ამ კანონის ძალაში შესვლის – 2007 წლის 1 აგვისტოს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით. ამ დროისათვის კი, ბინის მესა-კუთრე და სადაც სათავსის მფლობელი იყო მოსარჩელის წინამორბედი წევრი – დ. ე-ე, ხოლო 2010 წლის 6 დეკემბრიდან მისი უფლებამონაცვლე გახდა მოსარჩელე კ. ს-ე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაც ქონებაზე მესაკუთრის მართლზომიერი მფლობელობა არ შენ-კუეტილა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დ. ე-ე არც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი და არც სადა-ვო სათავსის მფლობელი არ ყოფილა, ხოლო სადაც ქონება წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგო-ბის საკუთრებას, რაც არასწორია.

სააპელაციო სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით უხეშად დაირღვა „ადამი-ანის უფლებათა დეკლარაციის“ მე-17 მუხლი, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-ვის ეკროპული კონვენციის“ 1-ლი მუხლი, მე-13 მუხლი და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფ-ლებათა დაცვის ეკროპული კონვენციის“ პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინე-ბით გ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესაბამისად და დასაშვებობის შესაბამისად.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწ-კუეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ს-ის საკასაციო საჩივარი წარმობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასა-მართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ საცხოვრებელი ბინა 2010 წლის 9 დეკემბრიდან წარმოადგენს მოსარჩე-ლე კ. ს-ის საკუთრებას, რომელიც იყიდა დ. ე-ისგან (ს/კ.). საჯარო რეესტრის ამონაწერით (ს/კ.) დად-გენილია, რომ კ. ს-ეს სარდაფი საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს. იგი არ არის სადაც ნივთის მე-საკუთრე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, სადაც ქონება წარმოადგენს ცალკე უფლების ობიექტს.

ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/10-ში მდებარე (75.87 კვ.მ) საცხოვრებელი ბინა 2010 წლის 9 დეკემბრიდან რე-გისტრირებულია მოპასუხე გ. ჩ-ის სახელზე (ს/კ ...).

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის (ს/კ ...) თანახმად, გ. ჩ-ეს სარდაფი საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს. 2010 წლის 9 დეკემბერს ნასყიდობის ხელშეკრუ-ლება დარეგისტრირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს ტყიბულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. საქმეზე დართულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2011 წლის 15 ივნისის კრების ოქმში მითითებულია ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9-ში მდებარე სარდაფის მფლო-ბელ დ. ე-ის მოთხოვნის შესახებ, რომლითაც წება დაერთო დ. ე-ეს, პირად საკუთრებაში დაერეგისტრირე-ბინა 18 კვ.მ სარდაფი. დადგენილია, რომ ამ დროისათვის დ. ე-ე ამხანაგობის წევრი არ ყოფილა და სარ-დაფს არასოდეს ფლობდა. არ არსებობს არც განცხადება, რომლითაც დ. ე-ემ მიმართა ამხანაგობას აღნიშ-ნული მოთხოვნით. ამხანაგობის თავმჯდომარის ახსნა-განმარტების თანახმად, კრება არ ჩატარებულა, შესაბამისად, ამხანაგობის წევრებს წება არ გამოუვლენათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც უძრავი ქონება მოცემული პერიოდისათვის წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნე-ლოვანი გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

ისმის კითხვა: რა უფლება შეიძინა კ. ს-ემ დ. ე-ისგან და, შესაბამისად, რა უფლება გააჩნდა ამ უკანას-კენელს სადაც სარდაფზე.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ დ. ე-ეს სადაც სარდაფზე შეეძლო, გადაეცა კ. ს-ესათვის მხოლოდ ის უფლებები, რაც მას (დ. ე-ეს) გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კ. ს-ეს სარდაფი საკუთრებაში რეგისტრირებული არ აქვს, იგი არ არის სადაც ნივთის მესაკუთრე. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, სადაც ქონება წარმოადგენს ცალკე უფლების ობიექტს. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დ. ე-ე სარდაფს არასოდეს ფლობდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საკასაციო პარტენზია, კერძოდ, კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა დ. ე-ისა და ბინათმესაკუთრეთა წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დ. ე-ის მიერ სადაც სარდაფის ფლობის ფაქტს. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული წერილობითი განმარტებები ენინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემომითოებულ ფაქტობრივ გარემოებასთან. ამასთან ერ-თად, სააპელაციო სასამართლო არა მარტო არ იკვლევს ამ მტკიცებულებებს, არამედ არ განმარტავს თუ რომელი მტკიცებულების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად ფაქტი იმის შესახებ, რომ დ. ე-ე არასოდეს არ ფლობდა სადაც სარდაფს.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქ-ტების მიხედვით დ. ე-ემ კ. ს-ეს საკუთრების უფლება გადასცა 74.98 კვ.მ. საცხოვრებელ ბინაზე მდებარე ქ.

ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დ. ე-ე წარმოადგენდა ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრს და მასზე ვრცელდებოდა ყველა ის უფლება და ვალდებულება, რაც განსაზღვრულია „ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, მითითებული კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობა არის მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება.

ის ფაქტი, რომ დ. ე-ე წარმოადგენდა ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ. საცხოვრებელი ბინის მესაკუთრებს, მიუთითებს მის მრავალბინიანი ამახანაგობის წევრობაზე, შესაბამისად, ზემომითითებული კანონის მიზანია ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა (კანონის მე-2 მუხლი).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კ. ს-ის მოთხოვნის საჯურებლიანობის შემონბებისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ უფლებების განსაზღვრას, რაც გააჩნიდა დ. ე-ე ამახანაგობის წევრობის დროს. თუ დ. ე-ე „ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე წარმოადგენდა სადავო ფართის მართლზომიერ მფლობელს, რომელსაც კანონის მიზნებიდან გამომდინარე შეეძლო, მოეთხოვა საკუთრების უფლება, ამ შემთხვევაში მის მიერ საცხოვრებელი ფართის გასხვისებისა შემძებნება გადავა ყველა ის უფლება, რაც გააჩნიდა ნინამორბედს.

ახალ შემძებნება გადადის არა მარტო უფლებები, არამედ ვალდებულებებიც. კერძოდ, „ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-14 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების გასხვისების შემთხვევაში ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრის ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრობასთან დაკავშირებულ შეუსრულებელ ვალდებულებებზე პასუხს აგებს ახალი მესაკუთრე პერსონალურად და როგორც სოლიდარული მოვალე.

აქედან გამომდინარე, დასადგენია, თუ რა უფლება ვალდება სადავო ფართზე, ანუ რა უფლება გააჩნდა დ. ე-ე და, შესაბამისად რა უფლება გააჩნია კ. ს-ეს.

გასათვალისწინებელია, რომ „ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლების შეძენა ამ მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულ სარდაფებზე, სხვენებზე და ა. შ. შესაძლებელია ორი პირობის არსებობისას. პირველი, თუ ადგილი აქვს ამ კანონის ძალაში შესვლის დროს მფლობელობის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და კანონის დაცვით მიღებულ ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრების გადაწყვეტილებას. მეორე, საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრის მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმისა და სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენის ნახაზის წარდგენას, შესაბამისად, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, თუ როგორც სარდაფებზე, სხვენებზე შეიძლება გავრცელდეს ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმი და როგორი წესის დაცვით.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კ. ს-ის სარჩელი, რომლითაც ითხოვს სადავო ნივთის მფლობელობაში დაბრუნებასა და მესაკუთრედ ცნობას.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ნივთზე საკუთრების მოსაპოვებლად აუცილებელია ზემოაღნიშნული დანაწესების შესრულება, რაც კუმულაციურად არის მოცემული. ამდენად, ამ გარემოებების არარსებობა გამორიცხავს მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რასაც სჭირდება ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი წინაპირობების არსებობა (მაგალითად, მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით მიღებული გადაწყვეტილება, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი და ა. შ.).

რაც შეეხება სადავო ნივთის ფაქტობრივ მფლობელობაში დაბრუნებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, გააჩნდა თუ არა დ. ე-ეს ამ კანონის ძალაში შესვლის დროს მფლობელობა სადავო ფართზე.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია კასატორის მითითებული მტკიცებულებები, რომლის თანახმად ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ საცხოვრებელი ბინა 2010 წლის 9 დეკემბრიდან წარმოადგენს მოსარჩელებს, კ. ს-ის საკუთრებას, რომელიც იყიდა დ. ე-ისგან (ს/კ. ...). აღნიშნული მტკიცებულების შესაბამისად, ამ ფაქტს ასევე ადგენს სააპელაციო სასამართლო, მაგრამ კასატორი, ასევე უთითებს მტკიცებულებაზე, რომლის თანახმად ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/10-ში მდებარე (75.87 კვ.მ) საცხოვრებელი ბინა მოპასუხება გ. ჩ.-ის სახელზე (ს/კ ...) რეგისტრირებულია არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი და ა. შ.).

ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ კ. ს-ე 2010 წლის 9 დეკემბერს ქ. ტყიბულში, რ-ის ქ. №9/2-ში მდებარე 74.98 კვ.მ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე გახდა, ე.ი. ამ მომენტიდან იგი ბინაომესაკუთრეთა ამახანაგობის წევრიცაა. ზემოაღნიშნული ნორმათა განმარტებიდან გამომდინარე თუ სანინააღმდეგო არ დგინდება, ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ დ. ე-ემ საცხოვრებელი ბინის გასხვისებასთან ერთად გაასხვისა

ლებები, რაც მას ჰქონდა, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის დროს ახორციელებდა მფლობელობას სადაც ფართზე, აღნიშნული მდგომარეობა გადავა საცხოვრებელი ბინის ახალ შემძებელი 2010 წლის 9 დეკემბერიდან.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეფასოს საქმეში არსებული დ. ე-ის განმარტება, ბინათმესაკუთრეთა განმარტებები საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივი და გამოიკვლიოს, ფლობდა თუ არა სადაც სარდაფს დ. ე-ე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის დროს. ამ შემთხვევაში დ. ე-ის მიერ საცხოვრებელი ბინის გასხვისებულადით გასხვისებულადით გამოიყენება, რაც მას გააჩნდა სადაც სარდაფზე თუ საწინააღმდეგო არ დგინდება მაგალითად, ხელშეკრულებით ან ამხანაგობის კრების ოქმით, ან თუ მფლობელმა სამუდამოდ დათმო ნივთი, ან სხვა გზით დაკარგ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატიკის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზია იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესში, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა ან დაუდგენლობა, ამ ფაქტების შეფასება და მატერიალურ-სასამართლებრივი ხორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატიონი უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადაც ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამორიცხავენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ხორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- კ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საერთო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

განჩინება

№ას-1397-1413-2011

15 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როზიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: შენობა-ნაგებობის დემონტაჟი

აღნერილობითი ნაწილი:

თ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ნ-ის მიმართ და მოითხოვა, დაევალოს მოპასუხეს ქ.თბილისში, ი-ის ქ. №20-ში არსებული 4/18 წილის დემონტაჟი ქალაქ თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის 2001 წლის 26 თებერვლის არქიტექტურული გეგმარებითი დავალების შესაბამისად შემდეგი საფუძვლებით:

ქ. თბილისში, ი-ის ქ. №20-ში მდებარე სახლთმფლობელობის 6/18 წილის თანამესაკუთრეა თ. მ-ი. სახლფლობელობა განლაგებული იყო 580 კვ.მ მინის ფართზე. თ. მ-ის გარდა თანამესაკუთრები არიან მ. თ-ი - 4/18 წილზე, ე. ნ-ი - 6/18 წილზე და ან გარდაცვლილი ე. გ-ა - 2/18 წილზე.

1997 წლის 17 სექტემბერს საბურთალოს რაიონის გამგეობამ №160 გადაწყვეტილებით მ. თ-ს ნება დართო, დაეშალა ქ. თბილისში, ი-ის ქ. №20-ში მდებარე ძველი ამორტიზებული სახლის 4/18 ნაწილი, რაც 1998 წელს უკვე დამთავრდა.

2001 წელს ქ. თბილისში, ი-ის ქუჩა №20-ში მდებარე ნაგებობის საერთო ფართიდან ე. ნ-ის საკუთრებას შეადგენდა 4/18 ნაწილი და ის ნარმოადგენდა ერთსართულიან ნაგებობას, ამიტომ ე. ნ-ის სახელზე 2001 წლის 26 თებერვალს თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურმა გასცა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება მის კუთვნილ 4/18 ნილზე ძველი სახლის დემონტაჟისა და ახალი საცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე, რაზეც თ. მ-მა თანხმობა წერილობით განაცხადა, ხოლო ე. ნ-ისაგან კი, თავად მიიღო ახალი სახლის მშენებლობის ნებართვა. ძველი სახლის დაშლის სანაცვლოდ, ე. ნ-მა ეზოში სხვა ადგილას დაინყო სამსართულიანი სახლის მშენებლობა და განმარტა, რომ ძველ სახლს ახალი სახლის აშენების შემდეგ დაანგრევდა, რის შედეგადაც გამოთავისუფლდებოდა თ. მ-ის კუთვნილი წილი მინის ნაკვეთი.

2003 წლის 22 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის №10.4.255 დადგენილებით მიღებულ იქნა თბილისის „არქმშენკონტროლის ინსპექციის“ 2003 წლის 16 ოქტომბრის №251 აქტი ქ. თბილისში, ი-ის ქ. №20-ში მდებარე მოქალაქე ე. ნ-ის ერთბინიანი 270,60 კვ.მ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. შესაბამისად, ძველი შენობის 4/18 ნილი არ დაანგრეულა და ე. ნ-ის სახელზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია ორივე უძრავი ნივთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა, ხოლო ეზოში შემცირდა თავისუფალი მიწის ნაკვეთი, ყველაზე მეტად კი შეიღავა მოსარჩევის, როგორც 6/18 წილის მესაკუთრის უფლებები.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

მოსარჩელეს თანხმობა გააჩნდა არა ამჟამად არსებული ძველი სახლის დანგრევის შემდეგ სახლის მშენებლობაზე, არამედ მოპასუხის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ძველი სახლის იმ ნაგებობის ადგილზე, სადაც ახლა ახალი სახლია განთავსებული. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მსჯელობის შესაბამისად, არქიტექტურულ-გეგმარებით სამსახურს თ. მ-ის სახლის დანგრევაც დაუდგენია, რაც აბსურდია. ამდენად, ახალი სახლის ადგილზე არსებობდა ძველი შენობები, რაც უკვე დაინგრა.

საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაება მ. თ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ი-ის ქ. №20-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ე. ნ-ის მიერ საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ. აღნიშნულზე 2001 წლის 17 თებერვალს წერილობით განაცხადა თანხმობა ბ. ვ-ემაც, რომელიც ამ დროისთვის ნარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეს.

2001 წლის 13 თებერვალს, მოსარჩელემ წერილობით განაცხადა თანხმობა ი-ის ქ. №20-ში მდებარე საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე ე. ნ-ის მიერ საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ. აღნიშნულზე 2001 წლის 17 თებერვალს წერილობით განაცხადა თანხმობა ბ. ვ-ემაც, რომელიც ამ დროისთვის ნარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეს.

2001 წლის 26 თებერვალს არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ დამტკიცდა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომლითაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქ. თბილისში, ი-ის ქ. №20-ში ე. ნ-ის, თ. მ-ის, ბ. ვ-ისა და ე. გ-ას საერთო საკუთრებაში არსებული 580 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ე. ნ-ის კუთვნილი შენობის დანგრევა და მის წილ ნაკვეთზე ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემის მომენტისთვის, ი-ის ქ. №60-ში მდებარე ლიტ „ა“ ნაგებობის ოთახები №6 და №5 მის წინ არსებული ფართი (6/18) მოსარჩელის საკუთრებაში იყო, ე. ნ-ს ეკუთვნოდა №4 და №3 ოთახები, ასევე №3 ოთახის წინ არსებული ფართი (4/18), მ. თ-ს აშენებული ჰქონდა ახალი საცხოვრებელი სახლი, ან გარდაცვლილი ე. გ-ას კუთვნილი 2/18 ნაწილის მდებარეობა კი დაუდგენელია.

ე. ნ-ის წილის 4/18-დან 6/18-დაც გაზრდა გამოიწვია სახლომფლობელობის 2/18 წილის ბუკიასაგან შეძენაშ. ე. ნ-ის ძველი სახლი ნარმოადგენს 70,5 კვ.მ ერთსართულიან ნაგებობას.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მიღებულ იქნა ქ. თბილისის „არქმშენკონტროლის“ ინსპექციის 2003 წლის 16 ოქტომბრის №251 აქტი ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი-ის ქ. №20-ში მოქალაქე ე. ნ-ის მიერ ერთბინიანი 270,60 კვ.მ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. აღნიშნულ ფართზე (ნაგებობა №2) საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. ნ-ის საკუთრების უფლება ისე, რომ უცვლელად დარჩა მანამდე არსებული ჩანაწერი ე. ნ-ის საკუთრების უფლების თაობაზე №1 101 კვ.მ ნაგებობის 6/18 წილზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, როგორც არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაშია მითითებული, ე. ნ-ს ი-ის ქ. №20-ში ეკუთვნოდა ეზოში განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართიდან 4/18

ნაწილი, რაც წარმოადგენდა ერთსართულიან უსახურ ნაგებობას. დავალების მიხედვით, ეზოში არსებული ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლის გვერდით ფასადზე მიღმით უნდა დაპროექტებულიყო ე. წ-ის სახლი სარდაფის, ორი საცხოვრებელი სართულის და მანსარდის გათვალისწინებით. ფასადი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ი-ის ქუჩის მხარეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ე. წ-ის მიერ წარმოებული მშენებლობის არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან შეუსაბამობა ვერ დაეფება საფუძვლად სასარჩელო მოთხოვნას უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მიზნით ნაგებობის დემონტაჟის შესახებ. მართალია, მოსარჩელის და მესამე პირის მიერ თანხმობა იყო გაცხადებული ე. წ-ის ძველი სახლის (რომლის დემონტაჟიც დავის საგანს წარმოადგენს) ადგილას ახალი სახლის მშენებლობაზე და ეს გარემოება არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში ამგვარად აისახა, მაგრამ, როგორც ძველი (№1 101 კვ.მ ნაგებობის 4/18 ნაწილი), ასევე ახალი სახლი (ნაგებობა 270 კვ.მ №2) დღევანდელი მდგომარეობით ე. წ-ის ნიდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ იხელდღვანება სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1513-ე მუხლით და ჩათვალა, რომ მოპასუხის ძველი სახლი, რომლის დემონტაჟაც ითხოვს მოსარჩელე (№1 101 კვ.მ ნაგებობის 4/18 ნაწილი), ახალი კოდექსის ამოქმედების დროიდან დღემდე წარმოადგენს ე. წ-ის საკუთრებას, შესაბამისად, მისი ნიდივიდუალური საკუთრების უფლება ვრცელდება ამ შენობის ქვეშ განთავსებულ მინის ნაკვეთზეც. ამგვარი სახით არის რეგისტრირებული ე. წ-ის საკუთრების უფლება სა-დავი სახლზე და იგი სადაციდ არავის გაუხდია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე უკანონო ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე, რომლის მიხედვითაც უკანონო ხელშეშლა გამოხატულია მინის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული სახლის არსებობა-ში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. მ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა და შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა, ე.წ-ს სახლი აეშენებინა თავის კუთვნილ, საერთო ფართის 4/18 წილ ნაკვეთზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2001 წლის 26 თებერვლისათვის მოპასუხე ე. წ-ი იყო სადაცი ფართის 4/18-ის მესაკუთრე, შესაბამისად, ახალი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მისი სა-კუთრება 4/18 წილი, 270 კვ.მ №1 ნაგებობა და დამატებით ნაყიდი 2/18 წილი. ასეთ შემთხვევაში კი, ე. წ-ის საკუთრებაში უნდა იყოს 270 კვ.მ ახალი სახლი, რომელიც ძველი სახლის 4/18-ის ნაცვლად უნდა აეშენებინა, რაც არ შესრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ თ. მ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილებს, ხოლო სააპელაციო სასამარტლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ი-ის ქ. №20-ში მდებარე მინის ნაკვეთი 580 კვ.მ და შენობა-ნაგებობები ამჟამად წარმოადგენს ე. გ-ას, თ. მ-ის, მ. თ-ისა და ე. წ-ის საერთო საკუთრებას. აქე-დან 101 კვ.მ №1 შენობა-ნაგებობის 6/18 ნაწილი ეკუთვნის თ. მ-ს, 2/18 – ე. გ-ას, 6/18 – ე. წ-ს, ხოლო 4/18 – მ. თ-ს. ე. წ-ის საკუთრება ასევე 270,60 კვ.მ №2 ნაგებობა, მშენებარე ნაგებობა და ნაგებობები №3 და №4 უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.

2001 წლის 13 თებერვალს, მოსარჩელემ წერილობით განაცხადა თანხმობა ი-ის ქ. №20-ში მდებარე სა-ერთო საკუთრების მინის ნაკვეთზე ე. წ-ის მიერ საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ. აღნიშნულზე 2001 წლის 17 თებერვალს წერილობით განაცხადა თანხმობა ბ. ვ-ემაც, რომელიც ამ დროისთვის წარმოად-გენდა საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეს.

2001 წლის 26 თებერვალს არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მიერ დამ-ტკიცდა არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, რომლითაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული ქ.თბილისში, ი-ის ქ. №20-ში ე. წ-ის, თ. მ-ის, ბ. ვ-ისა და ე. გ-ას საერთო საკუთრებაში არსებული 580 კვ.მ მინის ნაკვეთზე ე. წ-ის კუთვნილი შენობის დანგრევა და მის წილ ნაკვეთზე ახალი საცხოვრებელი სახლის აშენება.

არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემის მომენტისთვის, ი-ის ქ. №60-ში მდებარე ლიტ „ა“ ნაგებობის ოთახები №6, №5 და მის წინ არსებული ფართი (6/18) მოსარჩელის საკუთრებაში იყო, ე. წ-ს ეკუთვნოდა №4 და №3 ოთახები, ასევე №3 ოთახის წინ არსებული ფართი (4/18), მ. თ-ს აშენებული ჰქონდა ახალი საცხოვრებელი სახლი, ან გარდაცვლილი ე. გ-ას კუთვნილი 2/18 ნაწილის მდებარეობა კი დაუდგენელია.

ე. წ-ის წილის 4/18-დან 6/18-მდე გაზრდა გამოიწვია სახლმფლობელობის 2/18 წილის ბ-საგან შეძე-ნამ. ე. წ-ის ძველი სახლი წარმოადგენს 70,5 კვ.მ ერთსართულიან ნაგებობას.

ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2003 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით მიღებულ იქნა ქ. თბილისის „არქმშენკონტროლის“ ინსპექციის 2003 წლის 16 ოქტომბრის №251 აქტი ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი-ის ქ. №20-ში მოქალაქე ე. წ-ის მიერ ერთბინიანი 270,60 კვ.მ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. აღნიშნულ ფართზე (ნაგებობა №2) საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ე. წ-ის საკუთრების უფლება ისე, რომ უცვლელად დარჩა მანამდე არსებული ჩანაწერი ე. წ-ის საკუთრების უფლების თაობაზე №1 101 კვ.მ ნაგებობის 6/18 წილზე.

არქიტექტურულ-გეგმარებით დავალების მიხედვით, ე. წ-ს ი-ის ქ. №20-ში ეკუთვნოდა ეზოში განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართიდან 4/18 ნაწილი, რაც წარმოადგენდა ერთსართულიან უსახურნაგებობას. დავალების მიხედვით, ეზოში არსებული ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლის გვერდით ფასადზე მიდგმით უნდა დაპროექტებულიყო ე. წ-ის სახლი სარდაფის, ორი საცხოვრებელი სართულის და მანსარდის გათვალისწინებით. ფასადი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ი-ის ქუჩის მხარეს.

პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წ-ის მიერ საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობით შემცირდა მ-ის ნილი საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელის და მესამე პირის მიერ 2001 წელს გაცემული თანხმობა შეფასებულია, როგორც ე. წ-ის ძველი სახლის (რომლის დემონტაჟიც დავის საგანს წარმოადგენს) აღგილას ახალი სახლის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება. დადგენილია ისიც, რომ ე. წ-ის მიერ წარმოებულ მშენებლობა შეუსაბამიბაში არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან. აღნიშნული იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ე. წ-მა განხორციელებული მშენებლობით მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ნილი მიწის ნაკვეთის ფართი, რის გამოც შემცირდა დანარჩენ თანამესაკუთრეთა ნილი. ბუნებრივია, შელახულია მოსარჩელის საკუთრების უფლებაც მიწის ნაკვეთზე. მას შეეძლება სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებული მის თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის და ფლობის უფლება. არც ამავე კოდექსის 173-ე ე მუხლის მოთხოვნაა დაცული. მითითებული წორმის თანამად, საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი თანამესაკუთრეებთან შეთანხმებით შეიძლება დაგირავდეს ან უფლებრივად სხვაგააგვარად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის. მითითებული წორმა ერთ-ერთი თანამესაკუთრის ინტერესების სასარგებლოდ ქონების უფლებრივ დატვირთვისათვის უპირობო ითხოვს ყველ თანამესაკუთრესთან შეთანხმებას. მოცემულ შემთხვევაში კი თანამესაკუთრეებთან შეთანხმების გარეშე მოხდა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აღმართვა ნაგებობისა ისე, რომ არ დანგრეულა ძველი სახლი.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

განრიცხვა

№ას-142-136-2012

5 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სს „თ-3-ის“ სარჩელი მოპასუხების: ი. ბ-ის, ნ. ნ-ის, ლ. ბ-ის, მ., ნ. და ე. გ-ების, ლ. ლ-ის, ნ. კ-ის, ა. ი-ის, ლ. გ-ის და ლ. გ-ოს მიმართ დაკმაყოფილდა: დასახელებული პირების მფლობელობიდან გამოთხვილი იქნა სს „თ-3-ის“ საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ქ-ის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ნივთი და იგი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელეს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა. მათ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ი. ბ-ის, ნ. ნ-ის, ლ. ბ-ის, მ. გ-ის, ე. გ-ის, ლ. ლ-ის, ნ. გ-ის, ლ. გ-ის, ლ. გ-ის, ა. ი-ის კანონიერი წარმომადგენლის – ნ. გ-ის, ნ. კ-ის წარმომადგენლის – ლ. გ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ამონანერით საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №10-ში მდებარე 3105 კვ.მ ფართზე რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „თ-3-ის“ საკუთრების უფლება;

მოპასუხებები (პპლანტები): ი. ბ-ე, ნ. ნ-ე, ლ. ბ-ე, მ. გ-ი, ე. გ-ი, ლ. ლ-ი, ნ. კ-ი, ა. ი-ე, ლ. გ-ი და ლ. გ-ო წარმომადგენენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირებს და რეგისტრირებულნი არიან დროებით საცხოვრებელ ადგილზე, ქ-ის ქუჩის №10-ში, როგორც კერძო სექტორში;

სადაც უძრავი ნივთი არ წარმომადგენს დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ი“ პუნქტზე, რომლის მიხედვით, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს წარმომადგენს დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი დევნილები. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დროებით საცხოვრებელ ადგილებზე დევნილის უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად. ამდენად, დევნილისათვის დროებითი ფართის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით. დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, როგორც უფლება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის 1-ლი ნინადადების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს მართლზომიერად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ჯერ კიდევ „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მიღების დროისათვის (1996 წლისათვის) მოქმედი რედაქციით, კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის (ამოღებულია 06.04.2005 №1235) თანახმად, აუცილებლობას წარმომადგენდა დევნილის დროებით საცხოვრებელ ადგილზე განთავსების თაობაზე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მიმართვის არსებობა. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ დევნილის განსახლების თაობაზე უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც გამოვლენილი იქნება სახელმწიფოს ნება დევნილთა კომპაქტურად, თუ ინდივიდუალურად განსახლების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, ასეთი ნების გამომხატველი დოკუმენტი საქმეში არ ყოფილა წარდგენილი. აღნიშნული კი, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იძლეოდა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ არ არსებობდა მოპასუხეთა კომპაქტურად განსახლების შესახებ მიღებული დოკუმენტი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების მტკიცება იმის თაობაზე, რომ ისინი მართლზომიერად ფლობდნენ სადაც უძრავ ქონებას. მხოლოდ იძულებით გადაადგილებული პირების რეგისტრაცია სადაც უძრავ ქონებაში არ წარმომადგენდა საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ აღნიშნულ მისამართზე დევნილების განსახლება კანონიერად მიჩნეულიყო.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილს ფართობი დაკავებული აქტის თვითნებურად, კანონის დარღვევით. მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა, სადაც ნივთი არ წარმომადგენდა დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის 170.1 და 172.1 მუხლებზე და განმარტა, რომ ხსენებული წორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ საკუთრება თავისი არ წარმომადგენს აპსოლუტურ, შეუზღუდავ უფლებას და მესაკუთრის უფლებებამოსილებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან ხელშეკრულებით. სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ ვინდივაციური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უნდა არსებობდეს შემდეგი ნინაპირობები: მოსარჩევე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე უნდა ფლობდეს სადაც ნივთს და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სამივე გარემოების არსებობა, სარჩელი საფუძვლიანია.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგინდა, რომ საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, თბილისში, ქ-ის ქ. №10-ში მდებარე უძრავ ქონება რეგისტრირებული იყო სპს „თ-3-ის“ საკუთრებად, ამ ქონებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდნენ აპელანტები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელი საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კასატორებმა: ი. ბ-ემ, ლ. ბ-ემ, მ. გ-მა, ნ. გ-მა, ე. გ-მა, ლ. ლ-მა, ლ. გ-მა, ნ. კ-მა, ა. ი-ემ და ლ. გ-ომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის მოტივები:

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 ოქტომბრის №643 ბრძანებულების მიხედვით, ქალაქის მერებსა და რაიონების გამგებლებს დაევალათ აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოოდ მოწესრიგებამდე კერძო სექტორში განთავსებული დევნილები განესახლებინათ დროებით თავისუფალ, უმოქმედო შენობებში. დევნილთა შესახლების მომენტისათვის სადაც შენობა წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულება საცხოვრებელი ფართებით უზრუნველეყო დევნილები. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ეს ვალდებულება შეასრულა სადაც შენობებში დევნილთა შესახლებით და შემდეგ მათი დარეგისტრირებით. შესაბამისად, დევნილები აღნიშნულ შენობას ფლობდნენ მართლზომიერად, ხოლო „თ.-3-ის“ მიერ შენობის მესაკუთრედ გახდომის მომენტისათვის, მან შეიძინა უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ დევნილებს უფლება ჰქონდათ ესარგებლათ აღნიშნული ფართით. ამასთან, დევნილები სადაც შენობაში ცხოვრობენ 1994 წლიდან, რასაც თავად მოსარჩელეც არ უარყოფს ანუ მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო დევნილთა იჯახების იქ ცხოვრების ფაქტი. მოქმედი კანონმდებლობა მოსარჩელეს ავალმდებულებს გამოსახლების შემთხვევაში უზრუნველყოს დევნილები ალტერნატიული ფართით ან შესაბამისი კომპენსაციით. მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრეს ნივთის უკან გამოთხვის უფლება აქვს მას შემდეგ, როდესაც მისი მხრიდან შეთავაზებული იქნება ალტერნატიული ფართი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია შენობაში მცხოვრები დევნილებისათვის;

სასამართლო არასწორად განმარტა, რომ დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) არ წარმოადგენს დევნილის მიმართ ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გაძლიერების საფუძველს. დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი შეიძლება იყოს, როგორც შესაბამისი ორგანოს მიერ დევნილის განსახლების, ასევე მის მიერ არჩეული საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, ის გარემოება, რომ დევნილის მოწმობაში რეგისტრაციის ადგილად მითითებული სადაც მისამართი არ წარმოადგენს დევნილების კომპაქტური განსახლების ობიექტს, არ ნიშნავს იმას, რომ დევნილები იქ უკანონოდ იმყოფებიან. კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო განახორციელა ქმედება, რაც გამოიხატა დევნილთა რეგისტრაციასა და დევნილის მოწმობის გაცემაში რეგისტრაციის ადგილის მითითებით, რის საფუძველზეც დევნილები ფლობდნენ სადაც ქმნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლო შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №10-ში მდებარე 3105 კვ.მ ფართზე რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „თ-3-ის“ საკუთრების უფლება;

მოპასუხები (აპელანტები): ი. ბ-ე, ნ. ნ-ე, ლ. ბ-ე, მ. გ-ი, ნ. გ-ი, ე. გ-ი, ლ. ლ-ი, ნ. კ-ი, ა. ი-ე, ლ. გ-ი და ლ. გ-ო წარმოადგენნ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს და რეგისტრირებულნი არიან დროებით საცხოვრებელ ადგილზე, ქ.თბილისში, ქ-ის ქ. №10-ში, კერძო სექტორში;

სადაც უძრავი ნივთი არ წარმოადგენს დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მათი არამართლზომიერ მფლობელებად მიჩნევის თაობაზე და თვლიან, რომ სადაც უძრავ ნივთზე მათი მფლობელება გამომდინარებს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონიდან და, შესაბამისად, მართლზომიერია, კერძოდ, კასატორები განმარტავენ, რომ ისინი, როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, სახელმწიფო შესახლა და დაარეგისტრირა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობაში 1994 წლიდან, ამიტომ ამ ფართიდან მათი გამოსახლება დაუშვებელია ალტერნატიული ფართის ან შესაბამისი კომპენსაციის გაცემის გარეშე.

საკასაციო პრეტენზის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია დევნილის დაცვის მექანიზმები დროებით საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: ა. დევნილებთან იდება წერილობით შეთანხმება მათ მიერ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დაკავებული ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების თაობაზე; ბ. დევნილს გამოყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; გ. ხდება სტიქიური ან ტექნოგენური მოვლენები, რომლებიც რეგუ-

ლირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დ. დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

მითიობებული ნორმის მიხედვით, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტიდან დევნილის გამოსახლების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დევნილის მიერ ფართობის თვითნებურად, კანონის დარღვევით დაკავება. ამდენად, დევნილის გამოსახლების საკითხის განხილვისას, სასამართლომ უნდა გამოარყიოს, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით თუ კანონიერად.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოპასუხების სადავო ფართში რეგისტრაცია არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მათი მფლობელობის მართლზომინდა მიჩნევისათვის, ვინაიდნ, პალატის მოსაზრებით, დევნილთა განსახლების თაობაზე უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც გამოვლინდება სახელმწიფოს ნება დევნილების კომპაქტურად თუ ინდივიდუალურად განსახლების შესახებ. პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ასეთი აქტი არ არსებობს, როთაც მტკიცება ასევე, რომ არ არსებობს მოპასუხეთა კომპაქტურად განსახლების შესახებ მიღებული დოკუმენტი, შესაბამისად, მოპასუხები არ არიან მართლზომიერი მფლობელები, რაც სადავო ფართიდან მათი გამოსახლების საფუძველს წარმოადგეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ საკითხის გამორკვევას, თუ რამდენად წარმოადგენს სადავო უძრავი ქონება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტს. პალატა მიუთიობს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი განმარტებულია, როგორც დევნილთა ღროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ისინი ორგანიზებულად იქნენ განსახლებული, ამ აბიექტში საცხოვრებელი ფართობების დევნილი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაცემის ლონისძიებების დაწყებამდე/შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ დევნილთა კომპაქტურად განსახლების აბიექტის სტატუსისათვის კანონმდებელმა რამდენიმე მახასიათებელი დააწესა, კერძოდ, ასეთ აბიექტში დევნილები განსახლებული უნდა იქნენ დროებით, ორგანიზებულად, სახელმწიფოს კომპეტენციური ორგანოების მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2010 წლის 3 დეკემბრის №05/01-14/10632 ნერილი, რომლის თანახმად, ქ.თბილისში, ქ-ის ქუჩაზე მდებარე მე-10 კორპუსში დევნილები ცხოვრობენ კომპაქტურად და რეგისტრირებულნი არიან როგორც კერძო სექტორი. ნერილს თან ერთვის დევნილების (მოპასუხების) სახელმწიფითი სია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სადავო უძრავი ქონების სტატუსთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, ვინაიდან იგი არ შეიცავს ზემოხსენებული მტკიცებულების შეფასებას და მსჯელობას მისი უარყოფის თაობაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილის განსახლების თაობაზე სახელმწიფოს ნება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებიდან, ამასთან, არცერთი ნორმა არ აღენს, რომ სახელმწიფოს ნება აუცილებლად ნერილობით უნდა არსებობდეს. პალატის მოსაზრებით, ასეთი ნება შეიძლება სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების ამა თუ იმ მოქმედებიდანაც იკვეთებოდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სწორად დაადგინა მტკიცების საგანი და სწორად განსაზღვრა ის მხარე, ვინც უნდა ამტკიცოს სახელმწიფოს ნების არსებობა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა შესახლების თაობაზე, თუმცა, მხარეს დაუწესა მტკიცების ისეთი სტანდარტი, რომლის დაძლევაც ფაქტობრივად შეუძლებელია და არ გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სახელმწიფოს ნების არსებობა დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა შესახლების თაობაზე, თუმცა, მხარეს დაუწესა მტკიცების პრეზუმაცია, რომ დევნილთა განსახლება მოხდა სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე და, შესაბამისად, დევნილს ფართი დაკავებული აქვს კანონიერად. პრეზუმაციულად მიჩნეული ფაქტის სანინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი მას ეკისრება, ვინც დევნილის მიერ ფართის თვითნებურად, კანონის დარღვევით დაკავებაზე მიუთიოთ. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო აბიექტში სახელმწიფოს ნებართვის საფუძველზე მათ შესახლებასთან დაკავშირებით კასატორებმა წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. სადავო საკითხის გამოსარკვევად, სააპელაციო სასამართლო შეფასება უნდა მისცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2010 წლის 3 დეკემბრის №05/01-14/10632

წერილს, ასევე, ამავე სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებას, რომ სადაც ფართში მოპასუხეების შესახლების დროს, ეს ფართი წარმომადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, იგი არ იყო გაყიდული, ამასთან, იმ პერიოდში დენისილებს მიცემული პქნდათ ნებართვა, რომ დაეკავებინათ მათ მიერ მოძიებული თავი-სუფალი ფართი, სადაც შემდეგში სამინისტროს მიერ ხდებოდა მათი რეგისტრაცია. ყურადღება უნდა მი-ექცეს ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხეები სადაც ობიექტში ცხოვრობენ 1994 წლიდან მოსარჩელის თანხმობით. გასათვალისწი-ნებელია ასევე, რომ საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, მოსარჩელებ სადაც ობიექტზე საკუთრე-ბის უფლება მოიპოვა 24.12.2002წ., ხოლო, მანამდე ამ ობიექტის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის ფაქტზე მას შედავება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე, რომლის შესა-ბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამარ-თლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რჩებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველ-მხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც სა-ფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რჩების, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვე-ტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტუ-რი გამოკვლევა ნიშნავს მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძ-ველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებუ-ლებები ერთობლიობაში არაა შესწავლილი და შეფასებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სა-სამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულე-ბათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათ-ვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სა-კასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახ-ლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა გან-ხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმე-ში არსებული მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რის შემდეგაც უნდა შეამოწმოს სარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლინობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ბ-ის, 6. ნ-ის, მ. გ-ის, 6. გ-ის, ე. გ-ის, ლ. ლ-ის, ლ. გ.-ის, 6. კ.-ის, ა. ი.-ისა და ლ. გ.-ოს საკასაციო სა-ჩივარი ნაწილობრივ დაკავშირდება;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქ-ტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვა

განჩინება

№ას-1083-1014-2012

28 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,
გ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღნერილობითი ნაწილი:

ვ. ვ-მა, მ. ს-ამ, მ. ბ-მა და ჯ. ბ-ემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს ლ. ნ-ას, თ. ნ-ისა და შ. ზ.-ის მი-
მართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ. თბილისში, ვა-
კის რაიონში ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე №8/61 მინის ნაკვეთი ეკუთვნის მ. ს-ას, №8/62
- ვ. ვ-ს, №8/63 - ჯ. ბ-ეს და №8/64 - ბ. ბ-ს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. მოსარჩელე-
ები ვერ სარგებლობენ საკუთრებით, ვინაიდან მოპასუხეებს უკანონოდ შემოღობილი აქვთ აღნიშნული
ნაკვეთები. მ. ს-ას №8/61 ნაკვეთი დაკავებული აქვს შ. ზ-ეს, მ. ბ-ის №8/64 ნაკვეთი თ. ნ-ს, ხოლო ვ. ვ-ის
№8/62 ნაკვეთი და ჯ. ბ-ის №8/63 ნაკვეთი დაკავებული აქვს ლ. ნ-ას და აწარმოებს მშენებლობას, მაშინ,
როდესაც ისინი მოსარჩელებს კანონის სრული დაცვით აქვთ აღრიცხული საჯარო რეესტრში.

მოპასუხე ლ. ნ-ამ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: სადაც მინის ნაკვეთი ეკუთვნის მოპასუ-
ხეს. ჯ. ბ-ის სახელზე 2005 წლის და ვ. ვ-ის სახელზე 1999 წელს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი, რომელიც სასარჩელო
განცხადებას თან ერთვის, და ვითომდა დაასტურებულია 2007 წლის 11 იანვარს, ეჭვს ბალებს მის ნამ-
დვილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ვ-ის მიერ მითითებული მინის ნაკვეთი 1999 წელს და ჯ. ბ-ის ნაკ-
ვეთი 2005 წელს მიეცუთვნებოდა გარდაბნის რაიონს და 2007 წლამდე არ შედიოდა თბილისის ადმინისტრა-
ციულ-ტერიტორიულ საზღვრებში. ამდენად, ეჭვის ქვეშ დგება ნარმოდგენილი ამონაწერის სისწორე და
ნამდვილობა. ამასთანავე, მოსარჩელებს სარჩელი წარმოდგენილი აქვთ არასათანადო მოპასუხის მი-
მართ. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ ლ. ნ-ას სრული უფლება აქვს იმ ნაკვეთზე, სა-
დაც მიმდინარეობს მშენებლობა, ასევე მისი კუთვნილი ნაკვეთი, განსხვავებით მოსარჩელების კუთვნი-
ლი ნაკვეთებისაგან ნარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მინას. მისი მისამართიც განსხვავებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით
მოსარჩელეთა შუამდგომლობა დაკამაყოფილდა, საქმეში სათანადო მოპასუხედ შ. ზ-ის ნაცვლად ჩაერთო
კ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტი-
ლებით ვ. ვ-ის, მ. ს-ას, ჯ. ბ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; დადგინდა თ. ნ-ის უკა-
ნონო მფლობელობიდან მ. ბ-ის კუთვნილი ქ. თბილისში, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე
315,5 კვ.მ მინის ნაკვეთის გამოთხოვა, ლ. ნ-ასა და ვ. მ-ის უკანონო მფლობელობიდან ვ. ვ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-
ასა და ჯ. ბ-ის კუთვნილი ქ. თბილისში, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მინის ნაკვეთების
გამოთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტი-
ლება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ასა და კ. მ-ის საა-
პელაციო საჩივრარი დაკამაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკამაყო-
ფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის გან-
ჩინებით ვ. ვ-ის, მ. ს-ასა და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები დაკამაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახ-
ლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმის პირველი ინსტაციის სასამართლოში განხილვისას დად-
გინდა მოსარჩელეებისა და მოპასუხეების სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული მინის ნაკვეთების თან-
ხევდრის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვე-
ტილება, რომ არ შეუმონებია დასახელებული ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხი, გარდა ამისა, სა-
აპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ნ-ასა და კ. მ-ის საა-
პელაციო საჩივრარი დაკამაყოფილდა, მათ ნაწილში გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწ-
ყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა იური-
დიული მნიშვნელობის ფაქტი იმის თაობაზე, რომ 1993 წელს დაპა ნ.-ში ხანძრის შედეგად განადგურდა
ზონარგაყრილი წიგნი, სადაც შ. ნ-ი, დ. ა-ი, ი. ღ-ი რეგისტრირებული იყვნენ, როგორც მინის ნაკვეთის მე-
საკუთრენი. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით შ. ნ-ს, დ. ა-სა და ი. ღ-ს საკუთრების უფლებით
გადაცალი თოთოეულს ცალკე-ცალკე 1800-1800 კვ.მ მინის ნაკვეთები;

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარე-
გისტრაციო სამსახურის 2006 წლის 23 მარტის ცნობის თანახმად, შ. ნ-ის სახელზე გარდაბნის რაიონული
სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ნ-ის სატყეო უბანში რეგისტრი-
რებული იყო 0,18 ჰა მინის ნაკვეთი, აღნიშნული ნაკვეთიდან 0,12 ჰა გაიყიდა ნ. დ-ზე. 2003 წლის 16 დეკემ-
ბერს, 0,12 ჰა მინის ნაკვეთი შეიძინა ლ. ნ-ამ. 2005 წელს ლ. ნ-ამ მის საკუთრებაში არსებული მინის ნაკვე-
თიდან 0,06 ჰა გაასხვისა თ. ნ-ზე.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრით სამსახურის მიერ 2006 წლის 23 მარტს გაცემული ცნობიდან ასევე დღინდება, რომ გარდაბნის სატყეო სამსახურს არ გააჩინია წ-ის სატყეო უპნის კარტოგრაფიული მონაცემები; შესაბამისად, არ დგინდება სადაც ნაკვეთის ადგილმდებარეობა. ამასთან, გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთები შედის გარდაბნის რაიონის სატყეო მეურნეობის საზღვრებში, რომელიც ექვემდებარება გარდაბნის რაიონის გამგეობას, ხოლო ი-ის ქუჩა მიეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიას;

4. 1999 წლის 16 სექტემბერს გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. ვ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/62 მიწის ნაკვეთი;

5. 2005 წლის 21 ოქტომბერს გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/63 მიწის ნაკვეთი;

6. 1999 წლის 1 სექტემბერს გაცემული მიწის (უძრავი ქონების) საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/61 მიწის ნაკვეთი;

7. 2008 წლის 22 თებერვალს გაცემული საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ქალაქ თბილისში, გ-ში, ნ-ის სატყეო უბანში მდებარე 598.00 კვ.მ №07/037 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის თ. ნ-ს;

8. 2007 წლის 12 ნოემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ქალაქი თბილისი, დაბა ნ-ის სატყეო უბანში მდებარე 1000 კვ.მ №07/018 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ლ. ნ-ას;

9. 2008 წლის 7 ოქტომბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონანერის თანახმად, ქალაქი თბილისში, ბ-ის სატყეო უბანში მდებარე 1800 კვ.მ №07/055 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის კ. მ-ს;

10. შ. ზ-ესა და კ. მ-ს შორის 2004 წლის 4 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დღინდება, რომ კ. მ-მა შ. ზ-ესგან შეიძინა 0,18 ჰა. მიწის ნაკვეთი, მდებარე გარდაბნის რაიონის ბ-ის სატყეო მეურნეობის უბანში;

11. შპს „ჯეოლენდის“ 2011 წლის 12 აპრილის დაკვალვის ჩატარების დამადასტურებელი აქტით დგინდება, რომ ლ. ნ-ა და კ. მ-ი ფლობენ საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს, ამასთან, თბილისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2012 წლის 29 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე მონინაალმდეგ მხარეების (მოსარჩელეების) წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ლ. ნ-ა და კ. მ-ი ფლობენ საკადასტრო რუკის მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს. მხარე სადაც ხდის იმ გარემოებას, რომ ამონანერში საჯარო რეესტრიდან მოპასუხების მისამართად მითითებული – ქალაქი თბილისი, ბ-ის სატყეო უბანი, არ ემთხვევა მათ ამონანერებზე თანდართული საკადასტრო რუკის მონაცემებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკადასტრო გეგმა და საკადასტრო რუკა გაიცემა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის მიწის ნაკვეთისა და ნაგებობის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკოორდინაციო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (მათ შორის მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკოორდინაციო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (მათ შორის მშენებარე) და მათი სართულიანობის, ასევე ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა). ამავე ნორმის მე-5 პუნქტის თანახმად, საკადასტრო რუკა არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტული ტერიტორიის საკადასტრო მონაცემებს, ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე უფლებარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების, ნაგებობების, მათი საკოორდინაციო ბადისა და საკადასტრო კოდის შესახებ, ასევე ამ მიწის ნაკვეთსა და ნაგებობებზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში საჯარო რეესტრის ინსტრუქციის 25-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო მონაცემებიც თანახმად შეიცავს ინსტრუქციის ნესით ასახული, მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის საზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიცუტის სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. ამ ნორმებიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები შეიცავს ინფორმაციას ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართობის, საზღვრების, გეოდეზიურ კოორდინაციასთა სისტემაში მისი ადგილმდებარეობის, მასზე შენობა-ნაგებობის არსებობის, ამ შენობის ფართობის და კონფიგურაციის შესაბამისად, რეგისტრირებული მონაცემების სისხლის პრეზუმეციის ვრცელდება, როგორც რეგისტრირებულ უფლებაზე და უფლების მფლობელის ვიზაობაზე, ისე რეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებზე, უძრავი ნივთის ადგილმდება-

რეობაზე, ფართობზე, საზღვრებზე, ვიდრე კანონით განსაზღვრული წესით არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული მტკიცებულებით არ არის დადასტურებული აპელანტთა მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების უსწორობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ არასწორადა რეგისტრირებული ამ მიწის ნაკვეთის მდებარეობა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საჯარო რეგისტრის ჩანაწერები სადაც არ გამხდარა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის და სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით. მხოლოდ მოსარჩელეთა წარმომადგენლის სიტყვიერი განმარტებანი საკადასტრო მონაცემების უსწორობასთან დაკავშირებით, სათანა-დო მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ს-ამ, ვ. ვ-მა, გ. ჯ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: წ-ის რამდენიმე მოსახლისათვის გარდაპის რავითარი შეხება არ აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ბ-ის სატყეოს მინებიდან თბილისის მოსახლეობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებთან, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს მიწის ფართობებს გადაეცა დაბა წ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა ბ-ის ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, შ. წ-ს ა-ის ქუჩის მიმდებარე ტყე-პარკში გადაეცათ 1800 კვ.მ მიწის ნაკვეთები. დ. ა-ს წ-ის ტყე-პარკში, ი. ღ-ს წ-ის ტყე-პარკში და ა.შ. 2002 წლის 13 აგვისტოს აქტში, რომელსაც ხელს აწერენ დაბა წ-ის საზოგადოებრივი გაერთიანება სათემოს თავმჯდომარე წ. წ-ი და ამავე სათემოს წევრი გ. მ-ი, დაბა წ-ის გამგეობის მიწასარგებლობის კომისიის თავმჯდომარე ო. დ-ი, რომლებიც ადასტურებენ, რომ „მოქალაქე დ. ა-ი და ი. ღ-ი მრავალი წელი ფლობენ და სარგებლობდნენ დაბა წ-ში ე.წ. პარკში 2000-20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთებს“. ეს კიდევ ერთ დასტურია მიმისა, რომ საქმე ეხება დაბა წ-ის ფართობების გადაცემას და არა ბ-ის მიწის ფართობებს. სააპელაციო სასამართლომ სრულად უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითება მიმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მ. ს-ას, ვ. ვ-ისა და გ. ჯ-ის საკუთრების უფლებაზე, ასევე, უნდა დაედგინა საკუთრების უფლების წარმოშობის რიგითობა. სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ მოსარჩელები სადაც ხდიან არა ღ. წ-ასა და კ. მ-ის საკუთრების უფლების არსებობა-არარსებობას, არამედ, იმ გარემოებას, რომ ისინი ფლობენ მიწის ნაკვეთს, რომელზეც საკუთრების უფლება არ გააჩინათ. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია ღ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დაკვირვებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულო სააპელაციო სასამართლოსათვის.

განმარტებას აღარ საჭიროებს საკასაციო სასამართლოს როლი და ფუნქცია საერთო სასამართლოების სისტემაში. მართალია, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის გადაწყვეტილებები უშუალოდ არ ზღუდავს ქვემდგომი ინსტანციის მოსამართლეს და ასახავს პრაქტიკის განვითარებას, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და ის გარემოებები, რაც საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას დაუდო საფუძვლად, სააპელაციო სასამართლოსათვის საკალდებულოა. საკასაციო სასამართლო არ მიუთითებს, როგორ უნდა გადაწყდეს კონკრეტული კერძოსამართლებრივი დავა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოსათვის უპირობოდ სავალდებულოა საკასაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, თუ რომელი მტკიცებულებები საჭიროებს გამოკვლევასა და შეფასებას ან რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

განსახილველ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინებით გაუქმდა თბილისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა. საქმის ხელახლა განსახილვისას კი, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო სასამართლოს არც ერთი მითითება, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა და ამ დარღვევას შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

მოცემულ საქმეზე გამოსწორებული არ არის ის ფაქტობრივ-სამართლებრივი უსწორობა, რაც სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას დაუდო საფუძვლად, ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მთლიანად იზიარებს ამავე საქმეზე მის მიერ მიღებულ 2012 წლის 17 თებერვლის განჩინების დასაბუთებას.

საკასაციონ სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაედგინა სადაც ნაკვეთზე მხარეების უფლებრივი მდგომარეობა.

საკასაციონ სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დადგინდა მოსარჩეულებისა და მოპასუხების სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული მიწის ნაკვეთების თანხვედრის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ არ შეუმოწმებია დასახელებული ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხი, რითაც შეფასების გარეშე დატოვა 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული აუცილებელი პირობა - მოსარჩეულების უფლება სადაც ნივთთან მიმართებით. განსახილველ დავაში მოსარჩეულებმა სადაც ვო მიწის ნაკვეთზე უფლების დაცვა მესაკუთრის სტატუსით მოითხოვს და მოპასუხების მიერ ნივთის ფლობა არამართლზომიერად მიიჩნიეთ. აღნიშნულით სასამართლომ შეამოწმა მხოლოდ მოპასუხეთა მიერ ნივთის ფლობის უფლება და ისინი მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია, ვინაიდან ფაქტობრივად ლ. წ-ა და კ. მ-ი ფლობენ საქმის მასალებში ნარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს.

საკასაციონ სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით, ლ. წ-ასა და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო რუკებზე დატანილი კოორდინაციების გათვალისწინებით მდებარეობს ი. უ-ის ქუჩის მიმდებარედ (ყოფილი ი-ის ქუჩა), ხოლო ა-ის ქუჩა მდებარეობს აღნიშნული ი. უ-ის ქუჩიდან დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით. გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მისამართი, „ა-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ტყე-პარკი“, ხოლო ლ. წ-ას სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, დაბა წ-ი, სატყეო უბანი, ნაკვეთი 7/18 და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, ბ-ის სატყეო უბანი, ნაკვეთი №7/55. აღნიშნული მიწის ნაკვეთების მისამართები არ შეესაბამება გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართს. თანამოსარჩეულების ვ. ვ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ასა და ჯ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების და თანამოპასუხების, ლ. წ-ას და კ. მ-ის სახელებზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებს შორის აღინიშნება როგორც ნაწილობრივი, ასევე, სრული გადაფარვაც.

ამდენად, მითითებული მტკიცებულების შინაარსიდან სადაც მიწის ნაკვეთზე როგორც მოსარჩეულეთა, ასევე მოპასუხეთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების თანხვედრა იკვეთება. ამავდროულად, გამოკვეთილია მოსარჩეულების საკუთრების უფლება სადაც მიწის ნაკვეთზე, რაც ვინდიკაციური სარჩელის აღმდერის ერთ-ერთი წინაპირობაა. სააპელაციო პალატას დასკვნის ამ ნაწილში მითითებული გარემოების არსებობა საერთოდ არ გამოუკვლევია და შეუფასებია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მტკიცებულება არც საქმის ხელახლა განხილვისას შეუფასებია.

2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მიიღო. საგულისხმოა, რომ მტკიცებულებით, რომელსაც დაეფუძნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება - შპს „ჯ-ის“ 2011 წლის 12 აპრილის დაკვალვის ჩატარების დამადასტურებელი აქტით გამოკვლევა ჩატარდა საჯარო რეესტრში ლ. წ-ას და კ. მ-ის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებზე მიწის საკადასტრო კოდი: №.... და №.... ამასთან, სასამართლოს მიერ უარყოფილი 2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნითაც სწორედ იგივე საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთები იქნა გამოკვლეული და შედარებული მოსარჩეულების სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებთან.

საყურადღებოა, რომ აპელანტებმა აღნიშნული მტკიცებულება პირველად სააპელაციო სასამართლოში ნაწილობრივი სააპელაციო სასამართლომ კი, მიიღო და დაურთო საქმეს ისე, რომ, რეალურად, არ დაუსაბუთებია, მოპასუხება რა საპატიო მიზეზით არ ნარმოდგენია დასკვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას.

ვინაიდან საქმეზე დაშვებული ფაქტობრივ-სამართლებრივი უსწორობები არ გამოსწორებულა არც საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ, ხოლო საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად და-ადგინოს დავის გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ს-ას, ვ. ვ-ის, გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრანი ნაწილობრივ დაკამაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივნის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კეთილსიცილისიერი შემჩენი

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელი

№ას-524-498-2013

26 იულისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სამკიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ხ. ა-ამ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა რ. ა-სა და ა. პ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა 2012 წლის 22 თებერვლის №120158627 სამკიდრო მოწმობის, ასევე, 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. პ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სადაც კონების გადაცემა კომლის საკუთრებაში.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს შემდეგ გარემოებებზე: ხ. ა-ა დაბადებიდან, ანუ 1963 წლის 7 ივნისიდან, დღემდე მარნეულის რაიონში, სოფელ ს-ი ცხოვრობს. მოსარჩელის დედა პ. ა-ა, რომლის სახელზეც ირიცხებოდა საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი, 2011 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა. ქონება წარმოადგენდა კომლის საკუთრებას. დედის გარდაცვალების შემდეგ, კომლის უფროსად აღირიცხა მოსარჩელე ხ. ა-ა. ვინაიდან უძრავი ქონება წარმოადგენდა კომლის საკუთრებას, მასზე არ შეიძლებოდა სამკიდროს გახსნა კომლის ბოლო წევრის გარდაცვალებამდე. მოპასუხე რ. ა-მა, მოსარჩელის ძმამ, 2012 წლის 22 თებერვალს მიიღო სამკიდრო მოწმობა გარდაცვლილი დედის – პ. ა-ას სამკიდრო ქონებაზე, მარნეულის რაიონში, სოფელ ს-ი მდებარე 1 830 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე. რ. ა-მა დედის სამკიდრო ქონების მის სახელზე გადაფირმებისთანავე, 2012 წლის 1 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით, საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა ა. პ-ს, რომლისთვისაც ცნობილი იყო, რომ ქონება იყო სადაც და მასზე საკუთრების უფლება გააჩნდა მოსარჩელე ხ. ა-ას. 2012 წლის 22 თებერვლის №120158627 სამკიდრო მოწმობა, აგრეთვე, 2012 წლის 1 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება მართლსანინააღმდეგონ გარიგებებია, ვინაიდან სადაც ქონება ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა კომლის საკუთრებას, რომლის წევრიც იყო ხ. ა-ა და იგი იყო კომლის ქონების თანამესაკუთრე, ხოლო 2011 წლის აგვისტოდან კომლის ქონება მთლიანად აღირიცხა მოსარჩელის სახელზე. რ. ა-ს არ ჰქონდა უფლება, კომლის ქონება მიეღო მეგვიდრეობით და ასევე კომლის წევრთა (თანამესაკუთრეთა) თანხმობის გარეშე განეკარგა.

მოპასუხე რ. ა-მა განმარტა, რომ ხ. ა-ა ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბელორუსში. მხოლოდ მოპასუხე რ. ა-ი და მისი ოჯახი ცხოვრობდა პა. ა-ან, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მობასუხემ გასწიო და კრძალვის ხარჯები. დედის გარდაცვალების შემდეგ რ. ა-მა, როგორც კანონისმიერმა პირველი რიგის მეგვიდრემ, ექვსი თვის ვადაში ნოტარიუსთან მიმართვის გზით მიიღო სამკიდრო მოწმობა დედის დანაშთ ქონებაზე. სადაც ქონება არ წარმოადგენდა კომლის ქონებას, მისი მესაკუთრე პ. ა-ა იყო. ვინაიდან მოსარჩელე ხ. ა-ა მრავალი წელია ცხოვრობს ბელორუსში და საკონსულოში აღრიცხვაზე, იგი არც ფაქტობრივი ფლობით დაუფლებია დედის სამკიდროს. მოსარჩელე საქართველოში ჩამოვიდა მხოლოდ დედის დასაფლავებაზე. რ. ა-ის განმარტებით, ხ. ა-ის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ სამკიდრო ქონების მისაღებად მან მიმართა ნოტარიუსს, რათა დედის სამკიდრო ქონება მის სახელზე აღრიცხული იყო. მოსარჩელეს თუ რამე პრეტენზია გააჩნდა დედის ქონებაზე, იგი აუცილებლად მიმართავდა ნოტარიუსს სამკიდროს მიღების მიზნით, რაც მას არ განუხორციელება. რაც შეეხება საარქივო ცნობაში არსებულ ჩანაწერს, მოპასუხე რ. ა-ს ეს ჩანაწერი მიაჩნია აბსურდულად, ვინაიდან ხ. ა-ას წლების მანძილზე საქართველოში არ უცხოვრია.

მოპასუხე ა. პ-მა განმარტა, რომ მას სურდა საცხოვრებელი სახლის შეძენა მარნეულის რაიონის სოფელ ს-ი. მან უძრავი ქონების გამყიდველს მოსთხოვა საკუთრების უფლების დამადასტურებელი ლოკუმენტი, რომელმაც წარუდგინა ამონანერი საჯარო რეესტრიდან. ამონანერით დასტურდებოდა, რომ რ. ა-ი წარმოადგენდა უძრავი ქონების ერთადერთ მესაკუთრეს. ა. პ-ის განმარტებით, მისთვის ცნობილი არ ყოილა, ეს უძრავი ქონება იყო თუ არა სადაც.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ხ. ა-ას სარჩელი არ დაკამაყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ხ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილა, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ხ. ა-ას სარჩელი არ დაკამაყოფილა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოცემული სამართლებრივი დასაბუთება წინააღმდეგობრივია, რაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური საფუძველია, შესაბამისად, პროცესუალური საფუძვლით გააუქმა გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის აღმოსავლეთის რეგიონული არქივის მიერ 11.05.2012 წლის მომზადებული საარქივო ცნობის თანახმად, აღმოსავლეთის რეგიონული არქივში დაცული მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს სოფელ ს-ოს 1986-1990 წლების საკომლო წიგნებში კომლის უფრო-სად ჩაწერილია პარი ი. კ. ა-ა. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: გ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი, ხ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი (გადახაზულია, გათხოვდა), ჯ. ა- ს. ო-ი – ვაჟიშვილი, მ. ა- ს. ო-ი, ვაჟიშვილი (გადახაზულია), ხ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი, რ. ა- ს. ო-ი, ვაჟიშვილი (გადახაზულია), შ. ა-ა გ. (ასე იკითხება) კ-ი – რძალი (გა-დახაზულია), ი.(ასე იკითხება) ა-ა მ. კ-ი (გადახაზულია) ხ. ა-ა ვ. ასული – რძალი (გადახაზულია), ლ.(ასე იკითხება) მ. მ. კ-ი, ტ. ა-ა ყ. კ-ი. კომლის სახელზე ირიცხება 48 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 0.13 ჰა მინა;

2. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის აღმოსავლეთის რეგიონული არქივში მიერ 13.03.2012 წლის მომზადებული საარქივო ცნობის თანახმად, აღმოსავლეთის რეგიონული არქივში დაცული მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს სოფელ ს-ოს 1996-2001 წლების საკომლო წიგნებში კომლის უფრო-სად ჩაწერილია პარი ი. კ-ი ა-ა (გადახაზულია, გარდაიცვალა). კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: გ. ა- ა ს. კ-ი – ქალიშვილი (გადახაზულია), ჯ. ა- ს. ო-ი – ვაჟიშვილი (გადახაზულია, გარდაიცვალა), ხ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი, ლ. მ. მ. კ-ი – რძალი (გადახაზულია), ტ. ა-ა ყ. კ-ი – შვილიშვილი (გადახაზულია), ე. ა- ჯ-ს ძე (გადახაზულია), ა. (ასე იკითხება) ს. ა. კ-ი, ა. ს. ა. კ-ი. კ. ი. კ-ი ა-ას გარდაცვალების შემდეგ კომლის უფრო-სად ჩაწერილია ხ. ს. კ. ა-ა;

3. კ. ა-ა გარდაიცვალა 20.08.2011წლს;

4. მოსარჩელე ხ. ა-ა და მოპასუხე რ. ა-ი არიან კ. ა-ას პირველი რიგის მემკვიდრები, შვილები;

5. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, პ. ა-ას სახელზე მარნეულის რაიონში, სოფელი ს-ი მდება-რე უძრავი ქონება (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამი), დაუზუსტებელი ფართობი 1830 კვ.მ საკადასტრო კოდი №...). საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა 20.02.2012 წლს;

6. პ. ა-ას გარდაცვალების შემდეგ, 6 თვის ვადაში, მისმა შვილმა, მოპასუხე რ. ა-მა, 2012 წლის 22 თე-ბერვალს, ნოტარიუს ხ. ბ-ან მიმართვის გზით, მიიღო სამკვიდრო მონშობა, გარდაცვლილი დედის, პ. ა-ას, სამკვიდრო ქონებაზე, მარნეულის რაიონში, სოფელ ს-ი მდებარე 1 830.00 კვ.მ მინაზე (უძრავი ქონების სა-კადასტრო კოდი №...);

7. 22.02.2012 წლის სამკვიდრო მონშობის საფუძველზე, მარნეულის რაიონში, სოფელი ს-ი მდებარე უძ-რავი ქონება (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (საკარ-მიდამი), დაზუსტებული ფართობი: 1 583.00 კვ.მ, ნაკვეთის ნინა ნომერი 83.16.06.320, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 განაშენიანების ფართი 122 კვ.მ, №2 განაშენიანების ფართი 24 კვ.მ მინის (უძრავი ქონე-ბის) საკადასტრო კოდი №...), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა რ. ა-ის სახელზე საკუთ-რების უფლებით;

8. 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. პ-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც რ. ა-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება შეიძინა ა. პ-მა;

9. რ. ა-მა იმ პერიოდში, როდესაც უძრავი ქონება მის სახელზე ირიცხებოდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, გაასხვისა იგი ა. პ-ის სახელზე. ნასყიდობის საგანი ა. პ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა 07.03.2012 წლს;

10. უძრავი ქონება თანაბარნილად წარმოადგენდა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებას და, შე-საბამისად, პ. ა-ას გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო საერთო საკუთრებაში არსებულ მის წილზე;

11. ხ. ა-ამ ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის, პ. ა-ას, სამკვიდრო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით უნდა გამოხატოს სამკვიდროს მიღების ნება. განსახილვები, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის აღმოსავლეთის რეგიონული არქივის მიერ 13.03.2012წ. მომ-ზადებული საარქივო ცნობით დგინდება, რომ პ. ი.კ-ი ა-ას გარდაცვალების შემდეგ კომლის უფროსად ჩა-წერილია ხ. ს. კ. ა-ა, შესაბამისად, დგინდება, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში აქტიური ქმედებით გა-მოხატა ნება, დაუფლებოდა დედის სამკვიდროს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საარჩელის საგანს წარმოადგენს 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. პ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესაბამი-სად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისათვის უნდა დადგინდეს ა. პ-ი წარმოადგენს თუ არა სადაცვო უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის არაკეთილსინდისიერების საფუძ-ვლად უთოთებს იმ გარემოებას, რომ 16.02.2012 წლის ა. პ-ის კუთვნილ ტელეფონის ნომერზე შედგა სატე-ლეფონი საუბარი მოსარჩელე ხ. ა-ან. მოსარჩელის მიერ წარმოადგენილია ასევე ამონაწერი განხორციე-ლებული ზარების შესახებ. რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მითითებული წო-მერით ესაუბრა უშუალოდ ა. პ-ს და ეს საუბარი შეეხებოდა ა. პ-ის მიერ შესაძინ უძრავ ქონებასა და სადა-ცო საკითხებს, საქმეში არ მოიპოვება. რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას მარნეულის რაიონულის სამმართვე-ლოს გასაუბრების ოქმით დგინდება, რომ ა. პ-ი სამმართველოში დაიკითხა 03.04.2012 წლის, ანუ ნასყიდო-ბის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ; ამასთან, ა. პ-მა დაკითხვისას განმარტა, რომ მას მხოლოდ სადაცვო სახლის შეძენის შემდეგ დაუკავშირდა ტელეფონზე რ. ა-ის და ხ. ა-ი და გამოხატა პრეტენზია მის მიერ საცხოვრებელი სახლის ყიდვასთან დაკავშირებით, იგივე განმარტა ა. პ-მა სასამართლოში მოცემუ-ლი დავის განხილვის დროს და განაცხადა, რომ სადაცვო სახლთან დაკავშირებით ხ. ა-ას პრეტენზიის შესა-ხებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულებებით ვერ დასტურდება სადაც უძრავი ქონების შეძენისას მოპასუხის არაკეთილისინდისიერების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მტკიცებულებების შეძენისას მოპასუხის არაკეთილისინდისიერების ფაქტი“. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მტკიცებულებების შეძენისას მოპასუხის არაკეთილისინდისიერების ფაქტი“ 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მტკიცებულების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, წარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესების ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრის, მათ შორის, არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის; ამდენად, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საკოლმეურნეო კომლი და მას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა, ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ არის საკოლმეურნეო კომლის ქონებას და კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებაზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით და ამ დროს არ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ პ. ა-ას ოჯახი წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლს. საკომლო წიგნში არსებული ჩანაწერების მიხედვით აღმოსავლეთის რეგიონული არქივში დაცული მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს სოფელ სადახლოს 1986-1990 წლების საკომლო წიგნებში კომლის უფლოსად ჩანერილი იყო პ. ი. კ. ა-ა და კომლს პირად საკუთრებაში ერიცხება 48 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 0.13 ჰა მინა. სწორედ მითითებული ქონება წარმოადგენს მხარეთა შორის დავის საგანს. ეს ქონება საკოლმეურნეო კომლის ქონება იყო, რომელიც 1993 წლიდან, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და იგი არის პარი ა-ას საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება. აქედან გამომდინარე, პ. ა-ას კუთვნილ წილზე მემკვიდრეობა უნდა გაიხსნას სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკომლო მტკიცების დეფინიცია მოცემულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმად, საკომლო მტკიცებულებად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საკომლო მტკიცებულება რეგისტრირებულ უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მტკიცებულება მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მტკიცებულის თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული.

ამრიგად, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ საკომლო მტკიცებულება საჯარო რეესტრში იყოს რეგისტრირებული. ასეთი რეგისტრაციის გარეშე საკომლო მტკიცებულება არ არსებობს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკომლო მტკიცებულება პ. ა-ას თავის სიცოცხლეში არ დაურევისტრირებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გარდაცვალების მომენტში საკომლო მტკიცებულება არ არსებობდა. ვინაიდან სადაც ქონება წარმოადგენს პ. ა-ას საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებას, ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში, ამ უკანასკნელის კუთვნილ წილზე მემკვიდრეობა გაიხსნა სამკვიდროს გახსნის ზოგადი წესების მიხედვით. შესაბამისად, პ. ა-ას გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო საერთო საკუთრებაში არსებულ მის წილზე.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, პ. ა-ას პირველი რიგის მემკვიდრემ, ხ. ა-ამ მიიღო სამკვიდრო ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად მასზე ფაქტობრივი დაუფლებით. პ. ა-ას სამკვიდრო მიიღო ასევე პირველი რიგის მემკვიდრე რ. ა-ა, მან დედის გარდაცვალების შემდეგ, 6 თვეს ვადაში მიმართა წოტარიუსს სამკვიდრო მოწყობის გაცემის მოთხოვნით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს რ. ა-ა და ა. პ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადაც უძრავი ქონების კომლის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ა. პ-ი კეთილსინდისიერი შემძენია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხ. ა-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმის ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1. ხ. ა-ა სარჩელით მოითხოვდა სამკვიდრო მოწყობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, სასამართლომ კი, მხოლოდ მეორე მოთხოვნაზე იმსჯელა;

2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. ა-მა ქონება გაასხვისა იმ დროს, როდესაც საჯარო რესტრში მის სახელზე იყო აღრიცხული. ეს გარემოება სადავოდ არ გამხდარა. მოსარჩელემ სადავოდ საკუთრების ნარმოშობის საფუძველი – უკანონო სამკიფრო მოწმობა გახდა;

3. ა. პ-ი არ იყო კეთილსინდისერი შემძენი, იგი მოსარჩელის ნათესავია და თავიდანვე იცოდა მისი საკუთრების უფლების შესახებ, გარდა ამისა, ხ. ა-ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე ტელეფონით გააფრთხილა, რომ ქონება სადავო იყო და არ შეეძინა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ხ. ა-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ხ. ა-ას სასარჩელო მოთხოვნაზე არასრულად იმსჯელა.

საქმის მასალები ადასტურებს, რომ ხ. ა-ა მოითხოვდა 2012 წლის 22 თებერვლის №120158627 სამკვიდრო მოწმობის, ასევე, 2012 წლის 1 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. სააპელაციო სასამართლომ კი, მიუთითა, რომ სასარჩელის საგანს ნარმოადგენს 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. პ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოცემულ საქმეზე მხოლოდ ამ მოთხოვნის ფარგლებში იმსჯელა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სასარჩელი. იმავე კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთხოვთ თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, ხოლო 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სასარჩელის დაკმაყოფილების ან სასარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს ვალდებულებაა, სრულად იმსჯელოს მოსარჩელის ყველა მოთხოვნაზე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა ნარმოადგენდეს ზუსტ პასუხს მოსარჩელის მოთხოვნაზე, ხოლო სამოტივაციო ნაწილში უნდა აისახოს შესაბამისი დასაბუთება, რა მოსაზრებებიდან გამომდინარე კმაყოფილდება ან არ კმაყოფილდება სასარჩელი. სასამართლო შეზღუდულია მხარის მოთხოვნებითა და სასარჩელის საფუძვლებით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალები ადასტურებს, რომ ხ. ა-ას თავისი სასარჩელო მოთხოვნებიდან რომელმეზე უარი არ უთქვამს, ამდენად, სასამართლოს ვალდებულება იყო, სრულად ემსჯელა სასარჩელზე, შეფასებინა შესაბამისი მტკიცებულებები, დაედგინა ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასების გზით მიეღო გადაწყვეტილება სასარჩელის დაკმაყოფილების ან უარის თქმის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ხ. ა-ას მხოლოდ ერთ სასარჩელო მოთხოვნაზე იმსჯელა, რაც საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევაა, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებაა გამოტანილი, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ნარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ოვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ასევე ფაქტობრივი გარემოებები დადგენას არ საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის აღმოსავლეთის რეგიონული არქივის მიერ 13.03.2012 წელს მომზადებული საარქივო ცნობის თანახმად, აღმოსავლეთის რეგიონული არქივში დაცული მარნეულის რაიონის სადახლოს სასოფლო საბჭოს სოფელ ს-ოს 1996-2001 წლების საკომლო წიგნებში კომლის უფროსად ჩანერილია ვ. ი. კ-ი ა-ა (გადახაზულია, გარდაიცვალა). კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: ვ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი (გადახაზულია), ვ. ა- ს. ო-ი – ვაჟიშვილი (გადახაზულია, გარდაიცვალა), ხ. ა-ა ს. კ-ი – ქალიშვილი, ლ. მ. კ-ი – რძალი (გადახაზულია), ტ. ა-ა ჭ. კ-ი – შვილიშვილი (გადახაზულია), ე. ა- ჭ. ძე (გადახაზულია), ა. (ასე იკითხება) ს. ა. კ-ი, ა. ს. ა. კ-ი. ვ. ი. კ-ი ა-ას გარდაიცვალების შემდეგ კომლის უფროსად ჩანერილია ხ. ს. კ. ა-ა;

2. 3. ა-ა გარდაიცვალა 20.08.2011 წელს;

3. მოსარჩელე ხ. ა-ა და მოპასუხე რ. ა-ი არიან ჰ. ა-ას პირველი რიგის მემკვიდრეები, შვილები;

4. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ჰ. ა-ას სახელზე მარნეულის რაიონში, სოფელი ს-ი მდებარე უძრავი ქონება (ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (საკარმილამ), დაუზუსტებელი ფართობი 1830 კვ.მ საკადასტრო კოდი №...)) საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა 20.02.2012 წელს;

5. ჰ. ა-ას გარდაცვალების შემდეგ, 6 თვის ვადაში, მისმა შვილა, მოპასუხე რ. ა-მა, 2012 წლის 22 თებერვალს, ნოტარიუს ხ. ბ-ან მიმართვის გზით, მიიღო სამკვიდრო მონმობა, გარდაცვლილი დედის, ჰ. ა-ას, სამკვიდრო ქონებაზე, მარნეულის რაიონში, სოფელ ს-ი მდებარე 1 830.00 კვ.მ მიწაზე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...);

6. 22.02.2012 წლის სამკვიდრო მონმობის საფუძველზე, მარნეულის რაიონში, სოფელი ს-ი მდებარე უძრავი ქონება (ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო (საკარმილამ), დაზუსტებული ფართობი: 1 583.00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი 83.16.06.320, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 განაშენიანების ფართი 122 კვ.მ, №2 განაშენიანების ფართი 24 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა რ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით;

7. 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. ჰ-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც რ. ა-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება შეიძინა ა. ჰ-მა;

8. რ. ა-მა იმ პერიოდში, როდესაც უძრავი ქონება მის სახელზე ირიცხებოდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, გაასვისა იგი ა. ჰ-ის სახელზე. ნასყიდობის საგანი ა. ჰ-ის სახელზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა 07.03.2012 წელს;

9. უძრავი ქონება თანაბარნილად ნარმოადგენდა კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებას და, შესაბამისად, პარი ა-ას გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო საერთო საკუთრებაში არსებულ მის წილზე;

10. ხ. ა-ამ ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის, ჰ. ა-ას, სამკვიდრო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ სადაც ქონება არ წარმოდგენდა კომლს.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანარმოების რეორგანიზაციის წესის „შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 129-ე მუხლის შესაბამისად, გაყოფა საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი ქონებისა, რომელიც მისი მოსპობის შემდეგ დარჩა, ნარმოებს ამ კოდექსის 125-ე და 128-ე მუხლებში აღნიშნული წესებით, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის წევრის წილი განისაზღვრება იმ ანგარიშით, რომ კომლის ყველა წევრს, მათ შორის, არასრულნლოვანსა და შრომისუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკოლმეურნეო კომლის გაუქმების შემდეგ, კომლის ქონება გარდაიქმნა კომლის ყოფილ წევრთა საკუთრებად, სადაც თითოეულ წევრს თანაბარი წილი ეკუთვნის.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, გამოყენებული კერ იქნება სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლი.

აღნიშნული ნორმის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. სამოქალაქო კოდექსის 1463-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, თუ საადგილმამულ მეურნეობა კომლის მეურნეობაა და კომლის ბოლო წევრს ანდერძი არ დაუტოვებია, მაშინ კომლის საერთო ქონება გადავა კანონით მემკვიდრეებზე იმ პირობით, რომ კომლის მეურნეობა არ დაიშალოს.

საკომლო მეურნეობის დეფინიცია მოცემულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 22 მარტის კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის თანახმად, საკომლო მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფაზიკური პირის საკუთრებას ანდა მეულეობა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტში მიხედვით, საკომლო მეურნეობა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეულეობა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, საკომლო მეურნეობა საჯარო რეესტრში იყოს რეგისტრირებული. ასეთი რეგისტრაციის გარეშე საკომლო მეურნეობა არ არსებობს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკომლო მეურნეობა პარი ა-ას თავის სიცოცხლეში არ დაურეგისტრირებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადაც ქონება წარმოადგენს პ. ა-ას საკოლმეურნეო კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებას, ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში კი, სამკვიდრო იხსნება მხოლოდ ამ უკანასკნელის წილზე.

მოცემულ შემთხვევაში, სადაც ქონება წარმოდგენდა იმ პირების თანასაკუთრებას, რომლებიც საკოლმეურნეო კომლის გაუქმების დროისათვის კომლის წევრებად ირიცხებოდნენ. საიდ საქართველოს ეროვნული არქივის აღმოსავლეთის რეგიონული არქივის 13.03.2012 წლის მომზადებული საარქივო ცნობის თანახმად, 1996-2001 წლების საკომლო წიგნებში კომლის წევრებად ირიცხებოდნენ პ. ი. კ. ა-ა, ხ. ა-ა ს. კ-ი, ა. (ასე იკითხება) ს. ა. კ-ი, ა. ს-ა ა. კ-ი. სადაც ქონება სწორედ მათ თანასაკუთრებას წარმოადგენდა და თითოეულს თანაბარი წილი ეკუთვნოდა, ამდენად, პ. ა-ას გარდაცვალებით სამკვიდრო გაიხსნა მის საკუთრებაზე – სადაც უძრავი ქონების 1/4-ზე, სამკვიდრო მოწმობა კი, რომელიც მთლიან ქონებაზეა გაცემული, უკანონოა. სააპელაციო სასამართლომ კი, ეს უკანასკნელი გარემოება არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სამკვიდრო მიიღო ხ. ა-ა ამ და რ. ა-მა. მოსარჩეულების აღმოსავლინა სამკვიდროს მიღების ნება და ფაქტობრივად დაუუფლა მას. რაც შეეხება რ. ა-ს, მან სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში ნოტარიუსს მიმართა და სამკვიდრო მოწმობა აიღო, მაგრამ საყურადღებო, ამ შემთხვევაში, ის გარემოებაა, რომ ვინაიდან პ. ა-ას გარდაცვალებით სამკვიდრო მთლიანი სახლომფლობელობის 1/4-ზე გაიხსნა, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩეულე და მოპასუხე მიიღებდნენ სამკვიდროს ნახევარს, ანუ მთლიანი უძრავი ქონების 1/8-ს თითოეული, ქონების 1/4-ის მესაკუთრე კი, ისედაც ხ. ა-ა იყო, როგორც ყოფილი საკოლმეურნეო კომლის წევრი, შესაბამისად, რ. ა-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა 7/8 ნაწილში ბათილია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე ხ. ა-ას სასარჩეულო მოთხოვნა ნახილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს.

რაც შეეხება რ. ა-სა და ა. პ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში ხ. ა-ას სარჩელი უსაფუძლოა.

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. ობიექტური ფაქტორები მოიცავს შემდეგი გარემოებების კუმულაციას:

1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვისებელი უნდა იყოს დარეგისტრირებული;

2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, აღნიშნული გულისხმობს შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი, ანუ, გარიგების დადების მომენტისათვის, შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე (იხ. მაგ სუსკ №ას-957-900-2010).

განსახილველ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, სადაც უძრავი ქონება რ. ა-ის სახელზე იყო რეგისტრირებული, რეგისტრაციის საფუძვლად მითითებული იყო სამკვიდრო მოწმობა. იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ ა. პ-ის ცნობილი იყო სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილობისა და ხ. ა-ას საკუთრების უფლების თაობაზე, სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

კასატორი მიუთითებს სატელეფონო ზარების ამონაწერზე და ამტკიცებს, რომ ქონების შეძენამდე დაუკავშირდა ა. პ-ს, გააფრთხილა, რომ ქონება სადაც იყო. რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მითითებულ ნომერზე საუბარი შედგა უშუალოდ ა. პ-ან და ეს საუბარი შეეხებოდა ა. პ-ის შესაძენ უძრავ ქონებას, საქმეში არ მოიპოვება. რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას მარნეულის რაიონულ სამართველოში სადაც საკითხზე ა. პ-ის დაკითხვასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ მარნეულის რაიონული სამართველოს გასაუბრების აქმის თანახმად, ა. პ-ი სამართველოში დაიკითხა 03.04.2012 წლის, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაუკავშირდა. დავის გადაწყვეტილისათვის ასევე უმნიშვნელოა ხ. ა-ას კიდევ ერთი არგუმენტი, რომ ა. პ-ი მათი ნათესავია და დავის შესახებ უნდა სცოდნოდა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. პ-ი უძრავი ქონების შეძენამდე სხვა სოფელში ცხოვრობდა, მხარეებს შორის ახლო ურთიერთობის არსებობა, საქმიდან გამომდინარე, არ ვლინდება, მხოლოდ ნათესაური კავშირი კი, შემძენის არაკეთილი სინდისიერებას არ ადასტურებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. პ-ი კეთილსინდისიერი შემძენია და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ არამართებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკამაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ

მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, ხ. ა-ას ორი სასარჩელო მოთხოვნიდან ერთ-ერთი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. ა-მა მოსარჩელეს უნდა აუნაზღაუროს სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 690 ლარის ნახევარი, 345 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ც ი ტ ა:

1. ხ. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
 3. ხ. ა-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
 4. ბათილად იქნეს ცნობილი 2012 წლის 22 თებერვალს რ. ა-ის სახელზე გაცემული №120158627 სამკვიდრო მოწმობა 7/8 ნაწილში;
 5. რ. ა-ს ხ. ა-ას სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 690 ლარის, ნახევრის – 345 ლარის ანაზღაურება;
 6. 2012 წლის 1 მარტს რ. ა-სა და ა. პ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე ხ. ა-ას სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კეთილსიცდისიერი შემთხვევი

განჩინება

№ას-1179-1108-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდირია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, გამოთავისუფლებულ ფართზე მესაკუთრედ აღიარება

აღნერილობითი ნაწილი:

სს „ს-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. კ-ის, ც. კ-ის, ი. და ს. დ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და გამოთავისუფლებულ ფართზე მესაკუთრედ აღრიცხვა შემდეგი საფუძვლით: მოსარჩელის განმარტებით, აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს კოლეგიის 1996 წლის 27 მაისის №6/16 დადგენილებით დაკმაყოფილდა ქ. ბათუმის №2 ს-ი პოლიკილინიკის შრომითი კოლექტივის მოთხოვნა და 1200 კვ.მ ფართი პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდა შრომითი კოლექტივის ბაზაზე შექმნილ ამხანაგობას. ამხანაგობის ბაზაზე შეიქმნა სს „ს-ი“, რომლის საკუთრებაშიც გადავიდა ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ. №78/88-ში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებული ფართი 1200 კვ.მ. მოცემულ ფართთან რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს აღარ გააჩნდა, მაგრამ 1997 წლის 3 ივნისს მისი უფროსის მიერ გაიცა ცნობა დ. კ-ის საბინაო პირობების შესახებ, რომელშიც მიეთითა, რომ სს „ს-ის“ საკუთრებაში არსებული ფართიდან 24.4 კვ.მ წარმოადგენდა საზღვაო სანაოსნოს საკუთრებას. აღნიშნული ცნობის საფუძველზე, დ. კ-ის საკუთრებად აღირიცხა ზემოთ მითითებული უძრავი ქონება. დ. კ-ის ცნობილი იყო რა ფართთან დაკავშირებული დავის შესახებ, მან 2007 წლის 27 თებერვალს აღნიშნული ფართი საცხოვრებელ ბინასთან ერთად მოჩვენებითად და თვალთმაცეცურად მიჰყიდა ან გარდაცვლილ ი. დ-ეს. 2008 წლის 28 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სს „ს-ის“ სარჩელის გამო, ბათილად იქნა ცნობილი დ. კ-სა და საზღვაო სანაოსნოს შორის დადებული პრივატიზაციის ხელშეკრელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა 24.4 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ნაწილში და აღნიშნული ფართის აღრიცხვა სს „ს-ის“ საკუთრებად.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილი იყო და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიება

(საქმე №107ყ/დ-08; განჩინება №2ბ-564-08, 25.03.09), რომლითაც საჯარო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს აკრძალა ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ. №78/88-ში მდებარე ან გარდაცვლილი ი. დ-ის საკუთრებაში რიცხულ 24.4 კვებ სადაც არასაცხოვრებელ ფართიან დაკვშირებით რაიმე სახის სარეგისტრაციო ჩანაწერის განხორციელება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საჩილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივნისის განჩინებით სს „ს-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

1996 წლის 12 ნოემბერს სახელშეკრულებო ვალდებულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ ქ. ბათუმის №2 ს-ი პოლიკლინიკის შრომით კოლექტივს (ამხანაგობას) პირდაპირი წესით მიეყიდა ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ. №78/88-ში მდებარე უძრავი ქონება (ობიექტის ფასი 105 675 აშშ ლოდინი).

დადგენილია, რომ ფართი შეადგენდა 1200 კვ.მ-ს – რომელიც მანამდე 1980 წლის 29 დეკემბრის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ალმასრულებელი კომიტეტის №811 გადაწყვეტილების თანახმად, გამოყოფილი იყო ბათუმის ს-ი პოლიკლინიკებისათვის მშენებარე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე.

დადგენილია, რომ 1997 წლის 3 ივნისს საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და დ. კ-ს შორის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ზემოთ მითითებულ მისამართზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 24.4 კვ-ის მესაკუთრედ აღირიცხა დ. კ-ი. დ. კ-ის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გასხვისებულ იქნა ან გარდაცვლილ ი. დ-ის სახელზე. ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანს შეადგენდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში ჭ-ის ქ. №78/88-ში (17533.62 კვ.მ სასარგებლო ფართიდან 53.59+24.4 დამხმარე; (სარეგისტრაციო №...)).

დადგენილია, რომ 2007 წლის 19 ივნისს სს „ს-ის“ მიერ სარჩელი აღიძრა საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და დ. კ-ს შორის 1997 წლის 3 ივნისს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რაზეც მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

დადგენილია, რომ 2009 წლის 10 აპრილს სს „ს-ის“ მიერ სარჩელი აღმრულ იქნა ი. დ-ის უფლებამონაცვლე ც. კ-ის მიმართ 2007 წლის 27 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით და 24.4 კვ.მ მესაკუთრედ აღირიცხვის თაობაზე.

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რაც გაუქმებულ იქნა იმავე სასამართლოს 2009 წლის 6 ივნისის განჩინებით. ამავე საქმეზე, 2009 წლის 21 ივნისს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც ზემდგომ სასამართლოებში გასაჩივრების შედეგად განხილვით დარჩა უცვლელი.

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრული განცხადებით ი. და ს. დ-ის მიერ მოთხოვნილ იქნა საქმის ნარმოების განახლება, იმ მოტივით, რომ ისინი, როგორც უფლებამონაცვლები, არ იყვნენ მიწვეულები საქმის განხილვისას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის განჩინებით განმცხადებლების, ი. და ს. დ-ის მოთხოვნა 2009 წლის 21 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა და დადგენილ იქნა საქმის ხელახალი განხილვა, რაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დარჩა უცვლელი.

დადგენილია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას მოსარჩელე მხარემ მოთხოვნა უცვლელი დატოვა და მოითხოვა 2007 წლის 27 თებერვალს ან გარდაცვლილ ი. დ-სა და დ. კ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა 24.4 არასაცხოვრებელი ფართის ნაწილში და აღნიშნულ ფართზე მისი მესაკუთრედ აღირიცხვა.

დადგენილია, რომ მხარებს დ. კ-სა და ან.გარდაცვლილ ი. დ-ეს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ ბათუმში, ჭ-ის ქუჩის №78/88-ში, გაფორმებულ იქნა 2007 წლის 27 თებერვალს, ნასყიდობის საგანს კონკრეტულად შეადგენდა უძრავი ქონება – №29 ბინა 17533.62 მ² სასარგებლო ფართიდან – 53.59+24.4 დამხმარე (საკადასტრო კოდი: ...).

დადგენილია, რომ ი. დ-ემ ქალაქ ბათუმში, ჭ-ის ქ. №78/88-ში ნამდვილად შეიძინა უძრავი ქონება, გადაიხადა საფასური და უძრავი ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ ანგარდაცვლილი ი. დ-ე ნამდვილად თვითონ დაეუფლა შეძენილ უძრავ ქონებას, რომ შესყიდვის შემდეგ მან გაარემონტა ფართი, გაზსნა ს-იური კლინიკა, სადაც საქმიანობა 2007 წლის შემოდგომაზევე დაიწყეს.

დადგენილია, რომ ი. დ-ის გარდაცვალების შემდეგ სადაც ფართის მფლობელობას აგრძელებდა ი. დ-ის მამა – ი. დ-ე, რომელთანაც გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ფართის ქირავნობის შესახებ, ი/მ ნ. გ-ა უხდიდა ფართით სარგებლობისათვის ქირის თანხას.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 56-ე, 185-ე, 312-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სწორად უთხრა უარი სს „ს-ს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან სწორადვე მიიჩნია, რომ დ. კ-სა და ან გარდაცვლილ ი. დ-ეს შორის 2007 წლის 27 თებერვალს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება იყო ნამდვილი და არ არსებობდა მისი ბათილობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ი. დ-ე კეთილსინდისიერი შემძენი იყო, ხოლო დ. კ-ი – კეთილსინდისიერი და მართლზომიერი გამყიდველი, რომ მათ არ იცოდნენ ფართზე არსებული სასამართლო დავების თაობაზე და თითქოს ი. დ-ის გარდაცვალების შემდეგ სადაც ფართის ფლობდა და დღესაც ფლობს მისი მამა – ი. დ-ე.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ გაუქმდა აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 21 ივლისს განცხადებით მიმართეს ს. და ი. დ-მა და მოითხოვეს კანონიერ ძალაში შესული 2009 წლის 21 ივლისს გადაწყვეტილების გაუქმება იმ მოტივით, რომ ისინი, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეები, მიწვეული არ ყოფილან სასამართლო პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ ი. და ს. დ-ს ამ განცხადების სასამართლოში ნარდგენამდე სადაც ქონებასთან არც რაიმე კავშირი და არც აღნიშნული ქონების მიღებაზე მემკვიდრეობის მიღების რაიმე დოკუმენტი არ ჰქონიათ, სასამართლომ მთლიანად ბათილად ცნო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და განახლა საქმის წარმოება, რაც არასწორია, ვინაიდან მისი წარმოება გასცდა კანონის ფარგლებს, კერძოდ, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, საქმე განხილულ უნდა იქნეს თავიდან, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმის გამო რომ საქმე ვერ განიხილებოდა დ. კ-სა და ც. კ-ის მიმართ, სასამართლოს შეეძლო, ემსჯელა მხოლოდ სამკვიდროს იმ ხანილზე, რომელიც ეკუთვნიდა ი. და ს. დ-ს. და, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მხარის მიმართ ან არასწორად იყო ჩართული საქმეში უფლებამონაცვლე, მას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, შეეძლო, შემოეთავაზებინა საქმეში სათანადო მხარის შეცვლის თაობაზე. სასამართლომ კი, სს „ს-ან“ დამოუკიდებლად და მისი თანხმობის გარეშე, საქმეში ჩააბა გაურკვეველი სტატუსით ს. და ი. დ-ი, არ განმარტა, თუ რატომ ცნო ბათილად გადაწყვეტილება მოპასუხების – დ. კ-სა და ც. კ-ის მიმართ, მაშინ, როცა მათ ასეთი მოითხოვნა არ ჰქონიათ.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოედექსის 312-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მაშინ, როდესაც მიიჩნია, რომ დავა უნდა წარმართულიყო უშუალოდ რეესტრის ჩანაწერის მიმართ. ფაქტობრივად კი, დავა, რომელიც მიმდინარეობდა სადაც ფართზე 1997 წლიდან და რისთვისაც დ. კ-ის მიმართ გამოტანილ იქნა არაერთი გადაწყვეტილება (მათ შორის პრივატიზებული ფართობის პრივატიზაციის ბათილად ცნობის შესახებ), ყველა მიმართული იყო ამ ჩანაწერის სანინაალმდეგოდ. სასამართლოებმა კანონში გამოყენებული სიტყვები „ჩანაწერის სანინაალმდეგოდ შეტანილია საჩივარი“ განმარტეს სიტყვა-სიტყვით გაგებით და იგულისხმეს, რომ უშუალოდ ამ ჩანაწერის წინააღმდეგ უნდა იყოს საჩივარი შეტანილი.

ამასთან, კასატორის მითითებით, მიმდინარე საქმის წარმოებისას, ი. და ს. დ-მა წარმომადგენლის მეშვეობით საქმეში ჩადეს ახალი მტკიცებულებები, რომელთა შესახებაც, მათვის არ იყო ცნობილი და არც სასამართლოს გადაუცია ასლები, რის გამოც ისინი განიხილეს ცალმხრივად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ, 1996 წლის 12 ნოემბერს სახელშეკრულებო ვალდებულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ ქ. ბათუმის №... ს-იური პოლიკინიკის შრომით კოლექტივს (მხანაგობას) პირდაპირი წესით მიეყიდა ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ №78/88-ში მდებარე უძრავი ქონება (ობიექტის ფასი 105 675 აშშ ლოდინი).

დადგენილია, რომ ფართი შეადგენდა 1200 კვ.მ-ს, რომელიც მანამდე 1980 წლის 29 დეკემბრის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის №811 გადაწყვეტილების თანახმად გამოყოფილი იყო ბათუმის ს-იურ პოლიკინიკისათვის მშენებარე ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულში.

დადგენილია, რომ 1997 წლის 3 ივლისს საქალაქო საზღვაო სანაოსნოსა და დ. კ-ს შორის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ზემოთ მითითებულ მისამართზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართის 24.4 კვმ მესაკუთრე გახდა დ. კ-ი და აღირიცხა მესაკუთრედ. დ. კ-ის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გასხვისებულ იქნა ან გარდაცვლილი ი. დ-ის სახელზე. ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანს შეადგენდა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, ჭ-ის ქ №78/88-ში 17533.62 კვ.მ სასარგებლო ფართიდან 53.59+24.4 დამხმარე; სარეცისტრაციო №....

დადგენილია, რომ 2007 წლის 19 ივლისს სს „ს-ის“ მიერ სარჩელი აღძრულ იქნა საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და დ. კ-ს შორის 1997 წლის 3 ივლისს დადგებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რაზეც მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოითხოვნა დაკმაყოფილდა.

დადგენილია, რომ 2009 წლის 10 აპრილს სს „ს-ის“ მიერ სარჩელი ალძრული იქნა ი. და ის უფლებამონაც-ვლე ც. კ-ის მიმართ 2007 წლის 27 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით და 24.4 კვ.მ მესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე.

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რაც გაუქმებულ იქნა იმავე სასამართლოს 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით. ამავე საქმეზე, 2009 წლის 21 ივლისს მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც ზემდგომ სასამართლოებში გასაჩივრების შედეგად განხილვით დარჩა უცვლელი.

დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში ალძრული განცხადებით ი. და ს. და ის მიერ მოთხოვნილ იქნა საქმის ნარმოების განახლება, იმ მოტივით, რომ ისინი, როგორც უფლებამონაცვლები არ იყვნენ მიწვეული საქმის განხილვისას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის განჩინებით განმცხადებლების ი. და ს. და ის მოთხოვნა 2009 წლის 21 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა და დადგენილ იქნა საქმის ხელახალი განხილვა, რაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დარჩა უცვლელი.

დადგენილია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას მოსარჩელე მხარემ მოთხოვნა უცვლელი დატოვა და მოითხოვა 2007 წლის 27 თებერვალს ან გარდაცვლილ ი. და სა და დ. კ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა 24.4 არასაცხოვრებელი ფართის ნაწილში და ასევე მოითხოვა აღნიშნულ ფართზე მისი მესაკუთრედ აღრიცხვა.

დადგენილია, რომ მხარეებს დ. კ-სა და აწ გარდაცვლილ ი. დ-ეს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე ქალაქ ბათუმში, ჭ-ის ქუჩის №78/88-ში, გაფორმებულ იქნა 2007 წლის 27 თებერვალს, ნასყიდობის საგანს კონკრეტულად შეადგენდა უძრავი ქონება – ბინა №29 17533.62 მ2 სასარგებლო ფართიდან – 53.59+24.4 დამხმარე (საკადასტრო კოდი: ...).

დადგენილია, რომ ი. დ-ემ ქალაქ ბათუმში, ჭ-ის ქ. №78/88-ში ნამდვილად შეიძინა უძრავი ქონება, გადაიხადა საფასური და უძრავი ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

დადგენილია, რომ ა.ნ.გარდაცვლილი ი. დ-ე ნამდვილად თვითონ დაეუფლა შეძენილ უძრავ ქონებას, რომ შესყიდვის შემდეგ მან გაარემონტა ფართი, მოაწყო მასში ს-იური კლინიკა, რომელშიც საქმიანობა დაიწყეს 2007 წლის შემოდგომაზევე.

დადგენილია, რომ ი. დ-ის გარდაცვალების შემდეგ სადავო ფართის მფლობელობას აგრძელებდა ი. დ-ის მამა – ი. დ-ე, რომელთანაც გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ფართის ქირავნობის შესახებ, ი/მ ნ. გ-ა უცდიდა ფართით სარგებლობისათვის ქირის თანხას.

ზემოაღნიშნულ ფაქტობან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ ნარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითოობა იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სამართლებრივმატერიალური ნორმის არასწორად გამოყენებით ან განმარტებით.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებენ იმაზე, რომ ი. დ-ემ იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენია იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

ამ ინსტიტუტის ამოქმედების მნიშვნელობა განპირობებულია შემძენის სუბიექტური მომენტის არსებობით, კონკრეტულ შემთხვევაში, იცოდა თუ არა ი. დ-ემ, რომ გამსხვისებელი იყო სადავო ბინის მესაკუთრე და ჰქონდა თუ არა მას ამ ქონების განხილვის უფლება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი უთითებს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის დადგენა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ ხდება. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ კასატორი არ უთითებს მტკიცებულებებზე, რომლებიც გამორიცხავდნენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის გამო ისინი სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე და 185-ე მუხლები, კერძოდ, საჯარო რეესტრის დანიშნულებაა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ის წარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვის გარანტის. ზუსტად ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციის ვიზულავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელში“ ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გაასვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამო-

სილი, დადოს ეს გარიგება. ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ნივთს ასხვისებს საამისოდ არა-უფლებამოსილი პირი, მაგრამ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც ამ უფლების მესაკუთრე, საკამაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

განსახილველი ნორმის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა. არ შეიძლება შემძენს მოეთხოვოს შესაძენი უფლების შესახებ იმაზე მეტი ცოდნა, რაც კანონით არის დადგენილი. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებული საჯარო რეესტრში წამდვილად ეკუთვნის განმსხვისებელს, ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას, გაასხვისოს მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმეციით.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ, რომ, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეციია თავისი ბუნებით წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტი სრულად და სწორად არის განხორციელებული. აღნიშნული ფიქცია ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამორიცხავს განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძნეს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. ამგვარი დანაწესი მოცემული სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით.

განსახილველი ნორმების მიხედვით, ყურადღება გამახვილებულია სუბიექტურ ფაქტორებზე, რომლის არსებობა გამორიცხავს მითითებულ პრეზუმეციის არსებობობას, კერძოდ, ამ შემთხვევაში იგულისხმება რეგისტრირებულ უფლების ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრი, კონკრეტულ შემთხვევაში სადაც 24 კვ.მ. წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, რაც შემძენს უნდა მიუთითებდეს, რომ უფლების რეგისტრაცია გაპროტესტებულია, ან შემძენმა იცოდა (და არ უნდა სცოდნოდა. განსახილველი დათქმა მოცემულია, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით მოცემული მოძრავ ნივთებზე კეთილსინდისერი შემძენის ინსტიტუტზე, ხოლო ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ტერმინი „იცოდა“, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით, მათ შორის მონმეთა ჩევნებებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ირაკლი დ-ემ იცოდა სადაც 24 კვ.მ ჩანაწერის უზუსტობის ან სხვა ხარვეზის თაობაზე.

ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ი. დ-ე იყო არაკეთილ-სინდისიერი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა ზემომითითებული ნორმები.

კასატორი ასევე უთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი მტკიცებულებები მას არ გადაეცა ან მისთვის უცნობია მათი საქმეში არსებობის თაობაზე. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ არ დასტურდება მითითებული ფაქტები და არც საქმეში არსებული მასალები არ მიუთითებენ ამ დარღვევებზე, ასევე არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ დაარღვაოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან საქმის წარმოების განახლების შემდეგ ც. კ-ის ნაცვლად შესაგებელს მხარი დაუჭირეს უფლებამოსილ პირებმა ი. და ს. დ-მა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარებოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადაც ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკავარას, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირი

განრიცხვა

№ას-740-696-2012

8 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანა

აღნიშვნილობითი ნაწილი:

თ. ჩ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ე-სა“ და გ. კ-ის წინააღმდეგ და მოითხვა მოპასუხები-სათვის შპს „ე-ს“ მიერ 2010 წლის 16 აპრილს შედგენილ მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანის დავალდებულება.

მოპასუხე გ. კ-ემ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ჩ-ას სარჩელი მოპასუხე შპს „ე-სა“ და გ-ს კ-ის მიმართ დაკმაყოფილდა, შპს „ე-ს“ დაევალა მის მიერ 2010 წლის 16 აპრილს შედგენილი მინის საკადასტრო აზომვითი ნახაზის: ახალციხეში, სოფელ უ-ში მდებარე 1700 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთის მესაკუთრე გ. კ-ის მინის მიღება-ჩაბარების №159 აქტის მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მირებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განჩინებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ჩათვალა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 17 იანვრის მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების №159 აქტით გ. კ-ეს საკუთრებაში გადაეცა სახლთან მდებარე 0,17ჰა მინის ნაკვეთი, რომლის სიგრძე ორივე გვერდზე არის 70-20 მ, ხოლო სიგანეორივე გვერდზე – 60-30გ.

გ. კ-ის სახლთან არსებული 0,17კვ.მ. მინის ნაკვეთის მოსაზღვრე ნაკვეთის მფლობელები არიან ჩრდილოეთით – ჯ. მ-ე, სამხეთით – ნ. კ-ე, დასავლეთით – ბ. ჩ-ა, ხოლო აღმოსავლეთით ესაზღვრება ლელე.

საჯარო რეესტრიდან ამონანერით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამი) დანიშნულების მინის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობით 1700,00 კვ.მ., მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: ობიექტი №1 საცხოვრებელი სახლი (განაშენიანების ფართი 179კვ.მ.); ობიექტი №2 ბოსელი, (განაშენიანების ფართი 29კვ.მ.); ობიექტი №3 ბოსელი (განაშენიანების ფართი 29კვ.მ.); ობიექტი №4 ფარდული (განაშენიანების ფართი 23კვ.მ.) საკუთრების უფლებით ირიცხება გ. კ-ის სახელზე; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: მინის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი №159, დამოწმების თარიღი: 17/01/1997.

გ. კ-ემ საჯარო რეესტრში წარადგინა შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომლის შეფასების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული მინის საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ შეესაბამება გ. კ-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტსა და მასზე თანდართულ ნახაზს.

მხარეთა ახსნა-განმარტებებით პალატამ დაადგინა, რომ ბოსელი, რომელიც მოქცეულია გ. კ-ის საკუთრებაში, თ. ჩ-ამ ააშენა 1976 წელს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მართებულად იხელმძღვანელა საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებით და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების დამტკიცების თაობაზე“

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თანახმად, ინსტრუქცია განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტოს) მიერ საჯარო რეესტრის ნარმოებისა და ინფორმაციის გაცემის წესებსა და პირობებს, ნარმოებაში მონაბილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.ამავე ინსტრუქციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარების, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანების 26-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკადასტრო აზომვით ნახაზი თან უნდა ეროვნული ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთისა და მასზე მდებარე შენობა-ნავებობების აღწერილობის და დაინტერესებული პირის შესახებ. დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსახლეობრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვით ნახაზი არ შეესაბამება მინის მიღება-ჩაბარების №159 აქტს და მასზე არსებულ ნახაზის მონაცემებს, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ აკმაყოფილებდა საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის 25-ე მუხლისა და 26-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასმართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზი არ შეესაბამებოდა გ. კ-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტს, ვინაიდან საქმეში არ არის ნარმოდებილი ბ. (პ.) ჩ-ას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, თუ რაში გამოიხატა მისი საკუთრების ხელყოფა ან ხელშეშლა.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად შეაფასა და არასწორად ცნო დადგენილად ის ფაქტი, რომ ბოსელი, რომლიც გ. კ-ის საკუთრებაშია მოქცეული, თ. ჩ-ამ ააშენა, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება, გარდა თავად მოსარჩელის ახსნა-გნამრთებისა, საქმეში არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გაასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მოსარჩელის მოთხოვნის მართებულობა, მისი სასამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლო ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვით ნახაზი არ შეესაბამება 1997 წლის 17 იანვარის მინის მიღება-ჩაბარების №159 აქტს, რომლითაც გ. კ-ეს საკუთრებაში გადაეცა სახლთან მდებარე 0,17ჰა მინის ნაკვეთი, ასევე, მასზე არსებულ ნახაზის მონაცემებს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ აკმაყოფილებდა საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს.

ამასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი დადგენა, თუ მოსარჩელის რომელი უფლება შეიზღუდა, რაც არ არის შემონმებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას აქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლებს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ ადგენს განსახილველი ნორმებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ სიტუაციას, კერძოდ, ნარმოადგენს თუ არა მოსარჩელი ნივთის საკავეთის შესაკუთრეს, არის თუ არა მოპასუხე გ. კ-ე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ნივთის მფლო-

ბელი და გააჩნია თუ არა მოპასუხეს ამ ნივთის ფლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თ. ჩ-ა არ არის სადაც მიწის მესაკუთრე, გასარკვევია გააჩნია მას თუ არა მფლობელობის უფლება და ჩამოართვა ეს უფლება თუ არა მოპასუხეს გ. კ-ემ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-164-ე მუხლები).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის ხარვეზიანობის დადგენა არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის. აუცილებელია, რომ ამ უსწორობით ილახებოდეს მოსარჩელის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლი). საკადასტრო აზომვითი ნახაზში უსწორო ჩანაწერი უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ნახაზი მოიცავს მოსარჩელის საკუთრებაში არ მისთვის მფლობელობაში გამოყოფილი მიწის ნაკვეთს, ანუ დარღვეულია საკადასტრო მონაცემების ზედდების პრინციპი, კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საკადასტრო მონაცემების ზედდება არის უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემების იდენტურობა უფლებარებული უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა ის, რომ შპს „ე-ს“ მიერ შესრულებული მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ შეესაბამება გ. კ-ის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტსა და მასზე თანდართულ ნახაზს, არამედ ის, რომ ამ შეუსაბამობის შედეგად დაირღვა თუ არა თ. ჩ-ას საკუთრების ან მფლობელობის უფლება (მაგალითად, შპს „ე-ს“ მიერ შესრულებილი მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზში შევანილია თ. ჩ-ას ფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის განხორციელების სამართლებრივი ნორმები წარმოადგენეს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლების ერთ-ერთ მარეგულირებელ მექანიზმს, რითაც განისაზღვრება საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებები. ამდენად, საჯარო რეესტრი ინსტიტუტია, რომელშიც ხდება უფლებათა რეგისტრაცია, რომელიც ხორციელდება კანონით დადგენილი წესების დაცვით, კერძოდ, „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მიწის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნული დანაწესი უზრუნველყოფს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრის დადგენის რეალიზაციას („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 15^ე-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აქედან გამომდინარე, საკადასტრო აზომვითი ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ პირობებს, რომლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღწერილობისა და დაინტერესებული პირის შესახებ. დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

ამრიგად, კონკრეტული სადაც ურთიერთობის განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას თუ მოსარჩელის რომელი უფლება დაირღვა სადაც საკადასტრო აზომვითი ნახაზით და, შესაბამისად მისი მოთხოვნა წარმოადგენს ხელშემლის აღკვეთას თუ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას. აქედან გამომდინარე უნდა სწორად განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულთან მიმართებაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მოთხოვნაზე, რომლითაც ის ითხოვს მოპასუხებისათვის შპს „ე-ს“ მიერ 2010 წლის 16 აპრილს შედგენილ მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილების შეტანის დავალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია როგორც შპს „ე“, ასევე გ. კ-ე, მოსარჩელე იძულებით აღსრულებას ითხოვს შპს „ე“-საგან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის შესაკუთრებს.

აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხების შეცვლის საკითხზე, რადგან შპს „ე-ს“ მიერ შედგენილ საკადასტრო აზომვითი ნახაზში დაშვებულ უსწორობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მესაკუთრებს, კონკრეტულ შემთხვევაში, გ. კ-ეს.

ზემოაღნიშნულ მითითებების გათვალისწინებით საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მოსარჩელის აღნიშნულ მოთხოვნაზე უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და მართებულად შეაფასოს.

სარეზოლუციის ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

1. გ. კ-ის საკასაციონ საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მულტიმედია გირავნობის შეცვალის საფუძველი

გადაცვალი
საქართველოს სახელი

№ას-483-457-2012 20 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, გირავნობის საგნის რეალიზაცია

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ო. მ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ჯ-ს, კ. კ-სა და ვ. ხ-ს წინააღმდეგ ავტომანქანა „BMW 5251-ზე“ (სახელმწიფო ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი ...) პირველი რიგის გირავნობის უფლების აღიარებისა და მისი მოსარჩელის მფლობელობაში დაბრუნების, მოპასუხებებს – კ. ჯ-ს და კ. კ-ს შორის ავტომანქანაზე „BMW 5251“ (სახელმწიფო ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი ...) დადებული განვარგვის შესახებ 2009 წლის 27 ივნისისა და 24 დეკემბრის გარიგებების ბათილად ცნობის, ასევე 54 090, 24 ლარის დაფარვის მიზნით ავტომანქანის აუქციონზე რეალიზების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის დეკემბერში კ. ჯ-მ ავტოავარიის შედეგად დაზიანებული, მის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ავტომანქანა „BMW 5251“, სახელმწიფო ნომრით, შესაკეთებლად შეიყვანა შპს „ო. მ-ში“. განეული მომსახურებისა და გამოყენებული ნანილების ლირბულებამ შეადგინა 64 243,92 ლარი, საიდანაც მოპასუხებ დაფარა 16 300 ლარი და გადასახდელი დარჩა 47 943,92 ლარი.

ზემოაღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, მოსარჩელემ გამოიყენა ავტომანქანის დაკავების, გირავნობის უფლება და 2008 წლის 7 ოქტომბერს კ. ჯ-ს დავალიანების დაფარვამდე უარი უთხრა ავტომანქანის გადაცემაზე.

პარალელურად, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ჯ-ს წინააღმდეგ ზემოაღნიშნული დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 4 მარტის №2/5145-09 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. ამასთან, კ. ჯ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა საპროცესო ხარჯების – 6 146, 32 ლარის ანაზღაურება. გადაწყვეტილება მიქცეულია აღსასრულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ კ. ჯ-ს კუთვნილ ავტომანქანაზე გამოიყენა გირავნობის უფლება, აღნიშნული ავტომანქანა ამოღებულ იქნა მოსარჩელის ფაქტობრივი მფლობელობიდან. კერძოდ, 2008 წლის 10 ოქტომბერს, პირველი მოპასუხების განცხადების საფუძველზე, თბილისის ვაკე-საბურთალოს შესამართველოში დაიწყო წინასანარი გამოძიება კ. ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანის თაღლითური დაუფლების ფაქტზე. აღნიშნული საქმის ფარგლებში, 2008 წლის 16 ოქტომბერს ხსენებული ავტომანქანა ამოღებულ იქნა გამოძიების მიერ, დაილუქა და ხელნერილით შესანახად ჩაბარდა ე. ლ-ს. ამასთან, ავტომანქანა სენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილ იქნა ნივთიერ მტკიცებულებად.

2009 წლის 23 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასანარი გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო ავტომანქანა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით გადაეცა კ. ჯ-ს.

მოსარჩელე შეეცადა, დაეცვა თავისი გირავნობის უფლება. ზემოაღნიშნული სასამართლო დადგენილება გაასაჩივრა და მოითხოვა ავტომანქანის, როგორც გირავნობის საგნის მისთვის დაბრუნება, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 8 აპრილის დადგენილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესის მხარეს და პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების უფლება არ გააჩნდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოლეგის 124-ე მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების საკითხი უნდა გადაწყვდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

2009 წლის 27 ივლისს, ჯერ კიდევ დალუქული ავტომანქანა გადაფორმდა მარტვილის რაიონის სოფელ გ-ში მცხოვრებ კ. კ-ს სახელზე და მიენიჭა სანომრე ნიშანი „...-...“. 2009 წლის 24 დეკემბერს კი, იგივე ავტომანქანა გადაფორმდა მესამე მოპასუხის, პირველი მოპასუხის დეიდის, 1949 წელს დაბადებულ კ. ხ-ს სახელზე.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ავტომანქანის განკარგვის გარიგებები მოჩვენებითია და მიზნად არსებული ვალდებულებებისგან თავის არიდებას ისახავს, რაც სხვა გარემოებათა შორის დასტურდება იმითაც, რომ პირველი მოპასუხე დღემდე ფლობს და სარგებლობს სადაც ავტომანქანით.

იმის გამო, რომ ავტომანქანა ფორმალურად აღრიცხული აღარ არის კ. ჯ-ზე, ხოლო სხვა ქონებაზე მისი საკუთრება რეგისტრირებული არ არის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2010 წლის 4 მარტის №2/5145-09 გადაწყვეტილება დღემდე აღუსრულებელია.

აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელესა და კ. ჯ-ს შორის არსებობს ნარდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელეს გააჩნია იურიდიულად ნამდვილი მოთხოვნის უფლება - 47 943,92 ლარის ოდენობით. საპროცესო ხარჯების ჩათვლით, მენარდის მოთხოვნა და შესაბამისად, დამკვეთ კ. ჯ-ს დავალიანება შეადგენს 54 090 ლარსა და 24 თეთრს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები, სამოქალაქო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 266-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა მხარეებისა და სასამართლოსათვის.

2008 წლის 7 ოქტომბერს მოსარჩელემ კ. ჯ-ს უარი უთხრა დავალიანების დაფარვამდე ავტომანქანის გადაცემაზე. სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად, მას სადაც ავტომანქანაზე წარმოეშვა კანონისმიერი გირავნობის უფლება. ამასთან, აღნიშნული უფლება კანონით გათვალისწინებული არ ყოფილა. სადაც ავტომანქანა მოსარჩელის კანონისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტისათვის სხვა პირის სასარგებლოდ გირავნობის უფლებით დატვირთული არ ყოფილა, რის გამოც, მოსარჩელემ მოიპოვა პირველი რიგის კანონისმიერი გირავნობის უფლება სადაც ავტომანქანაზე და ეს უფლება დღესაც ძალაშია. 634-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მენარდის კანონისმიერი გირავნობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია გირავნობის საგნის მფლობელობის უფლება. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, მოსარჩელე უფლებამოსილია, გირავნობის საგანი გამოითხოვოს მოპასუხის მფლობელობიდან.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მოსარჩელემ დაასკვნა, რომ სადაც გარიგებები მიზნად არ ისახავდა კ. კ-სა და ვ. ხ-ს საკუთრების უფლების რეალურ გადაცემას. ავტომანქანას კვლავაც ფლობს და განკარგავს კ. ჯ-ა.

2009 წლის 27 ივნისს სადაც ავტომანქანა მეორე მოპასუხის სახელზე გაფურმდა ისე, რომ იგი დალუქული იყო საგამოძიებო ორგანოს მიერ. შესაბამისად, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ავტომანქანა შეუძლებელია გამოყენებულიყო, როგორც გადაადგილების საშუალება. ასეთ ვითარებაში მყიდველს არ შეიძლება, ობიექტურად ჰქონდა ისეთი ავტომანქანის შეძენის ინტერესი, რომელსაც დანიშნულებისამებრ ვერ გამოიყენებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, ავტომანქანის განკარგვის გარიგებები ბათილია.

მოპასუხებმა კ. ჯ-მ და ვ. ხ-მ სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით:

გირავნობის უფლება წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან, ხოლო თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. მოცემულ შემთხვევაში ხარჯი წინასწარ იყო შეთანხმებული და გამოთვლილი, ანუ მხარეები შეთანხმდნენ რომ აღნიშნული თანხის რდენობა არ გაიზრდებოდა. ამდენად, მხარე ვერ გამოიყენებს იმ მოსაზრებას, თითქოს შპს „ო. მ-მა“ გამოიყენა გირავნობის უფლებას.

მოპასუხები არ დაეთანხმნენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით ავტომანქანა დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელ კ. ჯ-ს და მას უფლება ჰქონდა, ნებისმიერ პიროვნებაზე გაესხვისებინა თავის კუთხითი ავტომანქანა, მათ შორის, დეიდაზე.

მოპასუხებმა აღნიშნეს, რომ კ. კ-ა იყო კ. ჯ-ს სიძე და სწორედ ამის გამო აჩქანა მას ავტომანქანა, ხოლო მას შემდეგ რაც მისი და და სიძე განქორწინდნენ, მას უკან ჩამოართვა ავტომანქანა. ავტომანქანის გასხვისება არ მომხდარა მოჩვენებით.

სასარჩელო მოთხოვნის უარსაყოფად მხარემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 630-ე და 634-ე მუხლებზე, კ. ჯ-სა და მის დეიდა კ. ხ-ს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობასა და სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლზე, რომლითაც მოთხოვნის უზრუნველყოფა გამოიყენება, როცა მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. განსახილველ შემთხვევაში კი, კ. ჯ-ს შერულებული ჰქონდა ნაკისირი ვალდებულება.

კ. კ-მ ასევე არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არსებული დავის გადასაწყვეტად არ გამოდგებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი არ დავაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ივლისის განჩინებით გამოიყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო სადაც ავტომანქანას BMW 525i, სახელმიწოდებული ნომრით, საიდენტიფიკაციო ნომერი ... და დადგინდა დავის დასრულებამდე ავტომანქანის შპს „ო. მ-ის“ კუთვნილ ავტომანქანზე განთავსება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ო. მ-მა“ გაასაჩინორა საპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლილებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, აღიარებულ იქნა შპს „ო. მ-ის“ პირველი რიგის გირავნობის

უფლება ავტომანქაზე მარკა, მოდელი – BMW 5251, ფერი – რუხი 4/8, გამოშვების წელი – 2005, სანომრე ნიშანი –, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა – ... გაცემული 24/12/2009 წელს, აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა ავტომანქანა BMW 5251, ფერი – რუხი 4/8, გამოშვების წელი – 2005, სანომრე ნიშანი –, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა – ... გაცემული 24/12/2009 წელს, შპს „ო. მ-ის“ ამავე ავტომანქანის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის 54 090, 24 ლარის დაფარვის მიზნით შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ გაიზარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან გადაწყვეტილება ფაქტობრივი თვალსაზრისით გასაჩივრებული არ იყო, კერძოდ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე კ. ჯ-ს დაეკისრა ავტომანქანის BMW 5251, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., შეკეთების ხარჯის – 47 943, 92 ლარის შპს „ო. მ-ის“ სასარგებლოდ გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ვინაიდან მოპასუხე კ. ჯ-ს არ ჰქონდა გადახდილი ავტომანქანის შეკეთების საფასური, ავტომანქანა იმყოფებოდა მოსარჩელის მფლობელობაში 2008 წლის 16 ოქტომბრამდე.

თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ოქტომბრის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე მოსარჩელე შპს „ო. მ-ისაგან“ ამოღებულ იქნა ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით, საიდენტიფიკაციო ნომერი – ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 7 ივლისის ცნობის თანახმად, ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით, საიდენტიფიკაციო ნომერი – ... 2008 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის 27 ივლისამდე რეგისტრირებული იყო კ. ჯ-ს, 2009 წლის 27 ივლისიდან 2009 წლის 24 დეკემბრამდე – კ. კ-ს, ხოლო 2009 წლის 24 დეკემბრიდან დღემდე – ვ. ხ-ს სახელზე. ავტომანქანაზე რეგისტრირებულია 2010 წლის 7 აპრილს შედგენილი გირავნობა, სადაც დამგირავებელია ვ. ხ-ა, მოგირავნე კი შპს „ბ-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გამო ავტომანქანა დაუბრუნდა მის მფლობელ კ. ჯ-ს, აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა შპს „ო. მ-ბა“, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა.

პალატამ ჩათვალა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, იურიდიულად შეფასდეს, თუ რა სამართლებრივ რეჟიმში იყო სადაც ავტომანქანა მოსარჩელის კუთვნილი ცენტრის ტერიტორიაზე ყოფნისას და რა სამართლებრივ რეჟიმში გადავიდა აღნიშნულ ავტომანქანასთან დაკავშირებული გირავნობის უფლება საგამოძიებო მოქმედების შედეგად, ავტომანქანის ამოღების შემდგომ.

სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კ. ჯ-ს მოსარჩელესთან ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხა ჰქონდა გადასახდელი, მოსარჩელეს შეკეთებულ ავტომანქანაზე წარმოეშვა გირავნობის უფლება ნივთის დაკავებით.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ კრედიტის უზრუნველყოფის ნორმები აკონკრეტებენ სანივთო უფლების, გირავნობის ორგვარ სახეს – მფლობელობით-სა და რეგისტრირებულს. ამავე დროს სამოქალაქო კოდექსის რიგი მუხლები განსაზღვრავენ კანონის საფუძველზე გირავნობის წარმოშობის შესაძლებლობას, რაც განთავსებულია როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით სამართალში. სწორედ ვალდებულებითი სამართლის ზოგიერთი ზოგადი თუ კერძო რეგულირება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პრაქტიკულად უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებს და აქვთ კიდევაც ასეთი დატვირთვა. ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევას მიეკუთვნება სამოქალაქო კოდექსის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე კ. ჯ-ს დაეკისრა ავტომანქანის BMW 5251, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., შეკეთების ხარჯის – 47 943, 92 ლარის შპს „ო. მ-ის“ სასარგებლოდ გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ვინაიდან მოპასუხე კ. ჯ-ს არ ჰქონდა გადახდილი ავტომანქანის შეკეთების საფასური, ავტომანქანა იმყოფებოდა მოსარჩელის მფლობელობაში 2008 წლის 16 ოქტომბრამდე.

თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ოქტომბრის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე მოსარჩელე შპს „ო. მ-ისაგან“ ამოღებულ იქნა ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით, საიდენტიფიკაციო ნომერი – ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 7 ივლისის ცნობის თანახმად, ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით, საიდენტიფიკაციო ნომერი – ... 2008 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის 27 ივლისამდე რეგისტრირებული იყო კ. ჯ-ს, 2009 წლის 27 ივლისიდან 2009 წლის 24 დეკემბრამდე – კ. კ-ს, ხოლო 2009 წლის 24 დეკემბრიდან დღემდე – ვ. ხ-ს სახელზე. ავტომანქანაზე რეგისტრირებულია 2010 წლის 7 აპრილს შედგენილი გირავნობა, სადაც დამგირავებელია ვ. ხ-ა, მოგირავნე კი შპს „ბ-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გამო ავტომანქანა დაუბრუნდა მის მფლობელ კ. ჯ-ს, აღნიშნული დადგენილება გაასა-

ჩივრა შპს „ო. მ-მა“, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა.

პალატამ ჩათვალა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, იურიდიულად შეფასდეს, თუ რა სამართლებრივ რეჟიმში იყო სადაც ავტომანქანა მოსარჩევის კუთვნილი ცენტრის ტერიტორიაზე ყოფნისას და რა სამართლებრივ რეჟიმში გადავიდა აღნიშნულ ავტომანქანასთან დაკავშირებული გირავნობის უფლება საგამოძიებო მოქმედების შედეგად, ავტომანქანის ამოღების შემდგომ.

634-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებით სამართლის – ნარდობის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში ნივთის დაკავშირების უფლება – გირავნობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის სახეები, სამოქალაქო კოდექსის 257-ე და 258-ე მუხლების შესაბამისად, კერძო ავტონომიის საფუძველზე წარმოშობა. როგორც მფლობელობითი, ისე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშნისათვის აუცილებელია, ერთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება და ნივთის გადაცემა მფლობელობაში, და, მეორე შემთხვევაში, გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად, სანივთო სამართალში ერთგვარად შემოღის ვალდებულებით-სამართლებრივი ელემენტები და სანივთო-სამართლებრივი უფლების წარმოშობა მხარეთა ნების შედეგად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნულისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლი ამკიდრებს სანივთო უფლების წარმოშობის შესაძლებლობას მხარეთა ნების ავტონომიის გაუთვალისწინებლად, გარკვეული ნიხაპირობების არსებობისას, კერძოდ, ამ უფლების წარმოშობისათვის სავალდებულოა, არსებობდეს შეკვეთის მიერ შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე მენარდის მოთხოვნის უფლება და ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფებოდეს.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლი წარმოადგენს კანონისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობის ნორმატიულ საფუძველს.

სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით გათვალისწინებული, ზემოთ დასახელებული ორივე გარემოება არსებობდა – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნა და ის ფაქტი, რომ ავტომანქანა საგამოძიებო ორგანოს დადგენილების საფუძველზე ამოღებულ იქნა მოსარჩევის მფლობელობიდან, ანუ იმყოფებოდა მოსარჩელესთან. შესაბამისად, მოსარჩელეს გააჩნდა სადაც ავტომანქანაზე კანონისმიერი გირავნობის უფლება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩევის მფლობელობიდან სადაც ავტომანქანის ამოღება არ გულისხმობს მოსარჩევის გირავნობის უფლების ავტომატურ შეწყვეტას. გირავნობის შეწყვეტის ამგვარ რეგლამენტაციას არ შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 269-ე-273-ე მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მფლობელობით-რეგისტრირებულ, ისე კანონისმიერი გირავნობის შეწყვეტის წინაპირობებს. განსახილველ შემთხვევაში გირავნობის საგანი მოგირავნის მფლობელობიდან გავიდა მისი ნებისგან დამოუკიდებლად, საგამოძიებო ორგანოს დადგენილების საფუძველზე, რაც არ წარმოადგენს კანონისმიერი გირავნობის შეწყვეტის საფუძველს. საკითხის ამგვარი განმარტების შემთხვევაში, გირავნობის საგნის მოგირავნის მფლობელობიდან არამართლზომიერად გასვლის შემთხვევაც კი, გამოიწვევდა მფლობელობიდან გასული ნივთის სანივთო უფლებრივი ტვირთისგან გათავისუფლებასა და მოგირავნის უფლების არამართლზომიერ შეზღუდვას აღნიშნული თავისთავად ენინააღმდეგება გირავნობის, როგორც სანივთო უზრუნველყოფის ლეგიტიმურ დანიშნულებას, დაკმაყოფილდეს მოთხოვნა დაგირავებული ქონების რეალიზაციით.

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელეს თბილისის მთავარი სამართველოს ვაკე-საბურთალოს სამართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ოქტომბრის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე ავტომანქანის ამოღების შემდეგ სადაც სატრანსპორტ საშუალებაზე გირავნობის უფლება არ შეუწყვეტია.

სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის მე-4 წარმოშობის თანახმად, ამ კოდექსის 568-ე, 586-ე, 596-ე, 634-ე, 685-ე და 796-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოგირავნეს აქვს გირავნობის საგნიდან თავისი მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება ყველა სხვა მოგირავნესთან შედარებით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, სადაც ავტომანქანაზე რეგისტრირებულია შპს „ბის“ გირავნობის უფლება, მაგრამ იგი ვერ გახდება მოსარჩევის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან კანონისმიერი გირავნობის უფლება იძლევა ნივთის მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესობას ნებისმიერი სხვა სახის გირავნობის უფლებასთან მიმართებით, კანონმდებლის მიერ ცალსახად განისაზღვრა გირავნობათა ამგვარი გრადაცია, რომლის მიხედვითაც კანონის საფუძველზე წარმოშობილი უფლება ნინ უსწრებს მხარეთა შეთანხმებით აღმოცენებულ უფლებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩევის მოთხოვნა სადაც ნივთზე პირველი რიგის გირავნობის უფლების აღიარების თაობაზე დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მოვალე კ. ჯ-ს ვალდებულება შესრულებული არ აქვს და სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელეს გირავნობით დატვირთული ავტომანქანის რეალიზაციის მოთხოვნის უფლება და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო გარიგებათა ბათილად ცნობის მოთხოვნათა ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე და მე-2 მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ალიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს მიკუთვნებითი მოთხოვნის მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტს სადავო ნივთზე წარმოეშვა კანონისმიერი გირავნობა, რაც მას სხვა მოგირავნებთან მიმართებით წარმოუშობს ნივთის რეალიზაციის გზით მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატეს უფლებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ბათილად ცნობის, გირავნობის საგნის რეალიზაციის ნაწილში მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით ვ. ხ-მ და კ. ჯ-მ გაასაჩივრეს საკასაციო წესით შემდეგ საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტს გირავნობის უფლება წარმოეშვა სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ, როდესაც პირველი ინსტაციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც გირავნობა მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ შეეძლო სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლების გამოყენება, ვინაიდან, კ. ჯ-ს ავტომანქანა არ იმყოფებდა მის მფლობელობაში. მით უმეტეს, რომ 2008 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით საგამოძიებო ორგანომ ავტომანქანა კანონიერად ამოიღო მოპასუხის მფლობელობიდან, ამოღება საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ ცნობილ იქნა კანონიერად. არც ამოღება და არც ამოღების კანონიერად ცნობის გადაწყვეტილება შპს „ო. მ-ს“ არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შპს „ო. მ-მა“ სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვის დროს ვერ წარადგინა იურიდიული დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ავტომანქანის მის კანონისმიერ მფლობელობაში არსებობის ფაქტს. შპს „ო. მ-ის“ წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით წროცესზე განმარტა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, საუბარი მოწინააღმდეგ მხარის მხრიდან გირავნობის უფლების წარმოშობაზე არ ჯდებოდა კანონის ფარგლებში და უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. მითითებული პრინციპისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება. არასწორია სააპელაციო პალატის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გირავნობის უფლების წარმოშობა სადავო არ იყო და სწორედ ეს მსჯელობა სადავო, რადგან 2008 წლის 16 ოქტომბრისა და 2009 წლის 27 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილებები შპს „ო. მ-ს“ სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის შემთხვევა, თუ შპს „ო. მ-ს“ მიაჩნდა, რომ კ. ჯ-ს ავტომანქანაზე გამოიძიების მიერ მისი ამოღების დროს მას წარმოშობილი პქონდა გირავნობის უფლება და ავტომანქანა იმყოფებოდა მის კანონიერ მფლობელობაში, მას უნდა გაესაჩივრებინა, როგორც ავტომანქანის ამოღება, ისე ამოღების კანონიერად ცნობის დადგენილებაც, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია. მოწინააღმდეგ მხარე არ ფიქრობდა გირავნობაზე და ასეთი არც არსებობდა. კ. ჯ-ს მისთვის გადახდილი პქონდა ავტომანქანის სარემონტო სამუშაოებისთვის შეთანხმებული 18 300 ლარი. შეთანხმებულზე მეტი თანხის გადახდაზე კასატორი თანახმა არ იყო და არც სხვა შეთანხმება არსებობდა მხარეებს შორის, გარდა გადახდილი 18 300 ლარისა. დავა მხარეებს შორის წარმოშვა შეთანხმებულზე მეტი თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით და მის გადაწყვეტამდე შეუძლებელი იყო კ. ჯ-ს მხრიდან რაიმე ვალდებულების არსებობის დადგენა, აქედან გამომდინარე, კასატორების მოსაზრებით, თუ არ არსებობს ვალდებულება, არ არსებობს არც გირავნობის უფლებაც.

მხარეებს შორის დავა გადაწყდა 2010 წლის 9 მარტს, როდესაც კ. ჯ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 47 943 ლარის გადახდა. ამ დროიდან მოსარჩელეს წარმოეშვა გირავნობის უფლება, მაგრამ იმ დროისათვის კ. ჯ-ს ავტომობილი მოსარჩელის მფლობელობაში არ იყო. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლებაც ვერ წარმოშობოდა. დასახელებული წორმა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მესამე პირის საკუთრებაში არსებული ნივთი გადაეცეს მენარდეს და მასზე განხორციელდეს გირავნობის უფლება, კანონის ეს დანაწეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს მენარდის მეტერი ნივთზე გირავნობის უფლების განხორციელებას, თუ ეს ნივთი მის საკუთრებაში იმყოფება. თუ სადავო ნივთი მის საკუთრებაში იმყოფება, მოქმედებს 257-ე მუხლით დადგენილი წესი, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. მოსარჩელის მიერ მითითებული გირავნობის საგანი არ იმყოფება შპს „ო. მ-ის“ მფლობელობაში, ის დღეისათვის ვ. ხ-ს საკუთრებას წარმოადგენს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ის გარემოება, რომ კ. ჯ-ს გადახდილი არ პქონდა ავტომანქანის შეკეთების საფასური, რის გამოც ის მოსარჩელის მფლობელობაში იყო 2008 წლის 16 ოქტომბრიმდე. აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ კ. ჯ-ს ავტომანქანა შპს „ო. მ-ის“ მფლობელობაში იმის გამო იყო, რომ კასატორს გადასახდელი პქონდა მოსარჩელისათვის მანქანის შეკეთებისათვის განკუთვნილი თანხა. საქმის მასალებით მტკიცდებოდა საპირისპირი – 2007 წლის ნოემბრში კ. ჯ-ს ავტომანქანა შესაკეთებლად მიიყვანა შპს „ო. მ-ის“ სერვის ცენტრში. ავტომანქანის შეკეთების დროსა და ვადაზე კ. ჯ-ა სიტყვიერად შეუთანხმდა სერვის ცენტრის ფინანსურ მენეჯერ ა.

ხ-ს. ამ შეთანხმების მიხედვით ავტომანქანა შპს „ო. მ-ს“ უნდა შეეკეთებინა ერთი თვის მანძილზე 8 000 ლარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს შორის არსებობდა წარდობის ხელშეკრულება, ვინაიდან მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ ვადასა და თანხაზე. მოგვიანებით ფინანსური მენეჯერი დაუკავშირდა კასატორს და დამატებითი სამუშაოების ჩასატარებლად მოითხოვა დამატებითი თანხა, კ. ჯ-ა პირადი გარემოების გამო დათანხმდა დამატებითი თანხის გადახდას.

საერთო ჯამში კასატორმა ავტომანქანის შეეკეთებისათვის გადაიხადა 18 300 ლარი. მიუხედავად ამისა, აღდგენითი სამუშაოები გაჭიანურდა და ამ შემთხვევაში თავად შპს „ო. მ-ს“ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. მოსარჩელის ფინანსურმა მენეჯერმა ა. ხ-მა კასატორს 2008 წლის 1 აგვისტოს მისწერა წერილი და აღნიშნა, რომ რაიმე სახის ფინანსური პრობლემა არ შექმნილა.

2008 წლის 16 ოქტომბერს მოხდა ავტომანქანის ამოღება, თუმცა ავტომანქანის მოსარჩელის მფლობელობაში ყოფნის ფაქტი არ ნიშნავდა, რომ შპს „ო. მ-ს“ გააჩნდა სადარ ავტომანქანაზე კანონისმიერი გირავნობის უფლება, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების მიერ მისი ამოღებისას, ავტომანქანა შეკეთების ეტაპზე გახსნდათ და სწორედ ამ მიზნით იყო მოსარჩელესთან. ამდენად, შპს „ო. მ-ს“ არ გააჩნდა კანონისმიერი გირავნობის უფლება,

ასევე არასწორა სასამართლოს მსჯელობა პერლანტის მფლობელობიდან ამოღებული ავტომანქანის გირავნობის უფლების ავტომატურ შეწყვეტაზეც. სააპელაციო პალატის განმარტებით, ავტომანქანა აპელანტის ნების ნინაალმდევ გავიდა მისი მფლობელობიდან. სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შპს „ო. მ-ს“ სასამართლოდან ავტომანქანა არ დაბრუნებია.

სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით ავტომანქანის დაპრუნება შპს „ო. მ-მა“ ვერ დაადასტურა, ეს კი გათვალისწინებული არ იქნა სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს.

სასამართლომ არ გაიზიარა ვ. ხ-სა და კ. ჯ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შორის, გარიგება შედგა არსებული ვალის გამო, რაც აპელანტი სადავიდ არ გაუხდიათ, ანუ ის დაეთანხმა კასატორებს შორის სესხის ხელშეკრულების არსებობას. სასამართლომ ვ. ხ-სა და ა. კ-ს შორის არსებული გარიგება ბათილად არ ცნო და ამავდროულად სარეალიზაციოდ მიაქცია ვ. ხ-ს კუთვნილი ავტომანქანა.

განსახილველ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც გირავნობის საგნის მოგირავნისათვის მფლობელობაში დაუყოვნებლივ გადაცემას ითვალისწინებს, ვინაიდან ეს მუხლი გამოიყენება უფლების მქონე მოგირავნის მიმართ. აპელანტი კი არ წარმოადგენს აღნიშნული მოთხოვნის მქონე მოგირავნეს არც რეგისტრირებული და არც მფლობელობითი გირავნობის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ო. მ-ის“ სარჩელი დაკამაყოფილდა, მოპასუხე კ. ჯ-ს დაეკისრა ავტომანქანის BMW 5251, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., შეეკეთების ხარჯის – 47 943, 92 ლარის შპს „ო. მ-ის“ სასარგებლოდ გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. ვინაიდან, მოპასუხე კ. ჯ-ს არ ჰქონდა გადახდილი ავტომანქანის შეკეთების საფასური, ავტომანქანა იმყოფებოდა მოსარჩელის მფლობელობაში 2008 წლის 16 ოქტომბრად.

თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ოქტომბრის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების შესახებ დადგენილების საფუძველზე მოსარჩელე შპს „ო. მ-ისაგან“ ამოღებულ იქნა ავტომანქანა BMW 5251 სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაცია ნომერი – ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2011 წლის 7 ივლისის ცნობის თანახმად, ავტომანქანა BMW - 5251 სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომერი – ... 2008 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის 27 ივლისამდე რეგისტრირებული იყო კ. ჯ-ს, 2009 წლის 27 ივლისიდან 2009 წლის 24 დეკემბრამდე – კ. კ-ს, ხოლო 2009 წლის 24 დეკემბრიდან დღემდე – ვ. ხ-ს სახელზე. ავტომანქანაზე რეგისტრირებულია 2010 წლის 7 აპრილს შედგენილი გირავნობა, სადაც დამგირავებელია ვ. ხ-ა, მოგირავნე კი შპს „ბ-ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გამო ავტომანქანა დაუბრუნდა მის მფლობელ კ. ჯ-ს, აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა შპს „ო. მ-მა“, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის დადგენილებით არ დაკამაყოფილდა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ო. მ-ის“, მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შინაარსიდან. აღნიშნული ნორმის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთე-

ბის მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მენარდისათვის კანონით მინიჭებული გირავნობის უფლება ვრცელდება მხოლოდ მის მფლობელობაში არსებულ ნივთზე ე.ი მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს მფლობელობითი გირავნობის მარეგულირებელი ნორმები. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნივთი შეს „ო. მ-ს“ ჩამოერთვა.

პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩევე უფლებამოსილი იყო ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მფლობელობით გირავნობაში პქრონდა მის მიერ ნივთის შეკეთების შემდეგა შემკვეთის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო. შპს „ო. მ-ი“ ასეთ დროს წარმოადგენდა მართლზომიერ მფლობელს და სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად დაუშვებელი იყო მისოვთის მოეთხოვათ ნივთის უკან დაბრუნება. მიუხედავად აღნიშნულისა, მოხდა ისე რომ შპს „ო. მ-ს“ ჩამოერთვა ეს ნივთი, რის შემდეგაც მოგირავნე ველარ ფლობდა მას. ამასთან, მოხდა ნივთის გასხვისებაც. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით სადაც ვი ნივთი დაუბრუნდა კ. ჯ-ს. აღნიშნული შედეგი უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომაც. ყურადსალებია ის გარემოებაც, რომ ეს უკანასკნელი ნივთის დაბრუნების მომენტისათვის აღარ წარმოადგენდა მესაკუთრეს. ნივთი გასხვისებული იყო სხვა პირზე და და შესაბამისი გარიგებები ძალაშია დღეის მდგომარეობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კ. ჯ-ა სასამართლომ (სისხლის სამართლის საქმეთა განხხილველმა) ჩათვალა უფლებამოსილ პირად მიეღო მანქანა მფლობელობაში. აღნიშნულის გამო მითითებული მომენტისათვის იგი არ შეიძლება არამართლზომიერ მფლობელად განვიხილოთ. სამართლებრივად მითითებული გარემოება ნიშნავს დამგირავებლისათვის ნივთის დაბრუნებას. (ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაში კანონის საფუძველზე წარმოშობილი გირავნობა არ გამორიცხავს ამ ურთიერთობის სუბიექტთა – მოგირავნისა და დამგირავებლის – არსებობის ფაქტს).

პალატა მიიჩნევს, რომ ავტომობილის კ. ჯ-ს მფლობელობაში გადაცემით შეწყდა გირავნობის უფლება. ალნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი-დან. მითითებული ნორმის თანახმად, მფლობელობითი გირავნობის უფლება იმ შემთხვევაში, რო-ცა მფლობელობა დამგირავებელს უზრუნდება. გირავნობის უფლების ნარმოშობის მომენტისათვის და-გირავებელს სწორედ კ. ჯ-ა ნარმალურებით მისვლის ნივთის გადაცემით კი დადგა ზემო მითითებული ნორმით გათვალისწინებული შედეგი. ნივთის გასხვისების შედეგად გირავნობის უფლების გადასვლის შემთხვევაშიც კი ეს უფლება შესაბამისად გადავიდოდა შემძებზე. ალნიშნული გარემოება თავისთავად გა-მორიცხავს დღეისათვის საღავო ნივთზე გირავნობის უფლების არსებობას, რაც შეუძლებელს ხდის მისი რეალიზაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად არ გამოიყენა ნორმები, რომლებიც უნდა გამოიყენებინა, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადწყვეტილების მიღება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად თვლის ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდება შპს „ო. მ-ის“ სარჩიალი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში დაავა გადაწყდა მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, შესაბამისად, შპს „ო. მ-ს“ მოპასუხეთა – კ. ჯ-სა და კ. ხ-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კასატორთა მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი 2745 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკადაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ପ୍ରକାଶକ ନାମ:

3. Ե-ՏԱ ԸՆ. Հ. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՍԱհԻՂՎԱՐՈ ԸՆԿՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.

შპს „ო. მ-ის“ სარჩევლი არ დაკმაყოფილ

შპს „ო. მ-ს“ კ. ჯ-სა და ვ. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისროს სას

საკასაციონ პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩინოდება.

საკეთო სამართლებრივი განცხადებები

ଓজ্বলিবজ্ব

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება, წილთა რეალურად გაყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

გ. კ-მა სარჩელი აღმრა სასამართლოში მ. ზ-ის მიმართ და მოითხოვა ქ.ქუთაისში, ნ. დ-ისა და მ-ის ქ. №43/1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმება და წილთა რეალურად გაყოფა.
მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი დაკამაყოფილდა; გაუქმდა საზიარო უფლება ქ. ქუთაისში, ნ. დ-ისა და მ-ის ქ. №43/1-ში (ყოფილი ნ-ის და მ-ის ქუჩა №117/1) მდებარე საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ორ თანამესაკუთრეს – გ. კ-სა და მ. ზ-ს შორის; მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამყოფი ზოლი მოეწყო შემდეგი წესით: მიწის ნაკვეთის დასავლეთით, ნ. დ-ის ქუჩის მხარეზე, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის 6,9 მ. სიგრძის კედლის ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარეს გადაიზომა 3,45 მეტრი და მისი ბოლო წერტილი დადგინდა ნ. დ-ის ქუჩის მხრიდან მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილად; მიწის ნაკვეთის სამხრეთით, მ-ის ქუჩის მხარეზე, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის 14,4 მეტრ სიგრძის კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს გადაიზომა 3,3 მეტრი და მისი ბოლო წერტილი დადგინდა მ-ის ქუჩის მხრიდან მხარეთა გამიჯვნის №5 წერტილად; ნ. დ-ის ქუჩის მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთის მხარის კედლის გასწვრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს, გადაიზომა 13,5 მეტრი, რომლის პერპენდიკულარულად, საზიარო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთის საზღვრის ხაზიდან, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მხარეს გადმოიზომა 3,45 მეტრი და მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან გადმოზომილ 13,5 მეტრის სიგრძეზე მისი გადაკვეთა დადგინდა №2 გამიჯვნავ წერტილად (საექსპერტო დასკვნის №2 დანართით გათვალისწინებული №2 და №3 გამიჯვნის წერტილები თანხვდება ერთმანეთი და №3 გამიჯვნის წერტილი უქმდება); მ-ის ქუჩის, მხარეთა გამიჯვნის №5 წერტილიდან, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთის მხარის კედლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარეს, გადაიზომა 7,8 მეტრი და დადგინდა იგი №4 გამიჯვნავ წერტილად; №1, №2, №4 და №5 გამიჯვნის წერტილებზე გატარდა გამმიჯვნავი ხაზი, რაც ჩაითვალა გ. კ-სა და მ. ზ-ს შორის საზიარო უფლების მიწის ნაკვეთის გამიჯვნის საზღვრად; ამ წესით ქ. ქუთაისში ნ. დ-ის და მ-ის ქ. №43/1-ში (ყოფილი ნ-ის და მ-ის ქ. №117/1) მდებარე 438.8 კვ.მ მიწის შემოსაზღვრულ ფართობზე მოსარჩელე გ. კ-სა და მოპასუხე მ. ზ-ის საზიარო უფლება გაუქმდა და თავიანთი წილი გამიჯვნული მიწის ფართი აღირიცხა მოსარჩელე გ. კ-ისა და მოპასუხე მ. ზ-ის პირად საკუთრებაში; გამიჯვნის ზემოაღნიშნული წესით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და წილობრივი მონაწილეობით, მოეწყო გამმიჯვნავი ღობე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ზ-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საზიარო უფლება ქ. ქუთაისში, ნ. დ-ისა და მ-ის ქ. №43/1-ში (ყოფილი ნ-ისა და მ-ის ქ. №117/1) მდებარე საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ორ თანამესაკუთრეს – გ. კ-სა და მ. ზ-ს შორის; მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გაიყოს სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად შემდეგი სახით:

მიწის ნაკვეთის დასავლეთით ნ. დ-ის (ნ-ის) ქუჩის მხარეზე, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის 6,9 მ სიგრძის კედლის ჩრდილო- დასავლეთის კუთხიდან სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარეს გადაიზომა 1,87 მეტრი და მისი ბოლო წერტილი დადგინდა ნ. დ-ის ქუჩის მხრიდან მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილად; მიწის ნაკვეთის სამხრეთით მ-ის ქუჩის მხარეზე, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის 14,4 მეტრ სიგრძის კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს, გადაიზომოს 1,5, მეტრი და მისი ბოლო წერტილი დადგინდეს მ-ის ქუჩის მხრიდან მხარეთა გამიჯვნის №3 წერტილად; ნ. დ-ის ქუჩიდან, მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთის მხარის კედლის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს გადაიზომა 15,4 მეტრი; გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარეს გადაიზომოს 1,23 მეტრი და მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან გადმოზომილ 15,4 მეტრ სიგრძეზე მისი გადაკვეთა დადგინდა №2 გამმიჯვნავ წერტილად;

გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს გადაიზომა 1,27 მეტრი; მ-ის ქუჩის, მხარეთა გამიჯვნის №3 წერტილიდან, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთის მხარეს კედლის გასწვრივ მთელ სიგრძეზე სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარეს გადაიზომა 7,8 მეტრი და მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან გადმოზომილ 15,4 მეტრის სიგრძეზე გადაკვეთასთან დადგენილ №2 წერტილს შეუერთდა ნ. დ-ის ქუჩის, მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან, გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩრდილოეთის მხარის კედლის გასწვრივ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მხარეს გადმოიზომა 6,3 მეტრი და დადგინდა იგი №4 გამმიჯვნავ წერტილად; აღნიშნულ წერტილად გ. კ-ის საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთიდან მხარეთა გამიჯვნის №1 წერტილიდან გამმიჯვნავი ხაზი, რაც ჩაითვალა გ. კ-სა და მოპასუხე მ. ზ-ის შაზიარო უფლება გაუქმდა და თავიანთი წილი გამიჯვნის ზემოაღნიშნული წესით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და წილობრივი მონაწილეობით, მოეწყო გამმიჯვნავი ღობე.

მინის ნაკვეთის გამიჯვნის საზღვრად; ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მ. ზ-ის მიერ აღდგენილ იქნეს გამ-მიჯნავი ლობები; სპეციალისტის მიერ 2012 წლის 12 მარტის ნარმოდგენილი ნახაზი ნარმოადგენს ამ გადან-უკეტილების განუყოფელ ნაწილს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტიელბა ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს:

გ. კ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას ნარმოადგენს ქ.ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე 71.25 კვ.მ საცხოვრებელი სახლი.

მ. ზ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას ნარმოადგენს ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე 221.35 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი.

ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე მინის ნაკვეთის დაზუსტებული ფართი – 436.00 კვ.მ ნარმოადგენს მ. ზ-ისა და გ. კ-ის თანასაკუთრებას.

მხარეთა შორის წილები საზიარო საგანზე განსაზღვრული არ არის.

გ. კ-მა ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლი შეიძინა 2007 წლის 9 მარტს მ. გ-ისაგან.

მ. ზ-მ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლი შეიძინა 1987 წლის 20 იანვარს ზ. ჭ-ისაგან.

სადაო საცხოვრებელი სახლი აშენდა მე-19 საუკუნის ბოლოს. 2007 წელს იგი შეიძინა მოსარჩელემ, რა დროსაც იქ უკვე არსებობდა 1987 წლის მდგომარეობით განსაზღვრული სარგებლობის წესი, გავლებული იყო ლობები, ხოლო დავის განხილვის დროს ლობები აღებულ იქნა (ე.ი. 1997 წლის 25 ნოემბრისათვის, სადაო მინის ნაკვეთი ფაქტობრივად გაყოფილი იყო ორ ნაწილად).

ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის შემდეგ მ. ზ-მ საერთო სარგებლობის ეზო გადაღობა და გავლელ მყარი მიჯნა.

გ. კ-ის მხარეს არსებობდა საერთო სარგებლობის სველი წერტილი, რომლითაც სარგებლობდნენ მ. ზ-ის მდგმურები.

2007 წელს გ. კ-ის მიერ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის დროს საერთო სარგებლობის ეზოში გავლებული იყო მყარი მიჯნა. აღნიშნული ლობები მიმდინარეობის დროს მ. ზ-მ მოშალა.

სასამართლომ მოცემულ საქმეზე ჩაატარა ადგილზე დათვალიერება სპეციალისტის მონაწილეობით.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სპეციალისტის სახით მოწვეულმა ექსპერტმა პ. გ-მ ნარმოადგინა ნახაზი და განმარტა მისი შედგენის წესი: „დათვალიერების დროს გაზიმილ იქნა ადრე არსებული ლითონის კონსტრუქციის ლობის მდებარეობა კ-ის სახლის მიმართ. დათვალიერების დროს ლითონის ლობეს გაკეთებული ჰქონდა დემონტაჟი, მაგრამ ადგილზე შეიმჩნეოდა მისი საყრდენი ბოძების ნარჩენები, და ნარჩენებით იქნა დადგენილი დაშორება კ-ის სახლის კედლებიდან. ნ-ის ქუჩის მხარეს ლობები დაშორებული იყო 1,87 მეტრით, შემდეგ ლობის გადახეტის წერტილში დაშორებამ შეადგინა 1,84 მეტრი, კ-ის სახლის კუთხეში ნ-ის ქუჩის მართობული მიმართულებით დაშორება იყო 1,23 მეტრი, ხოლო მ-ის ქუჩის მხარეს იგივე კუთხეში დაშორებამ შეადგინა 1,27 მეტრი. თვითონ მ-ის ქუჩის მოსაზღვრე კუთხესთან ლობის დაშორებამ 1,5 მეტრი შეადგინა. აღნიშნული დატანილია მოცემულ ნახაზზე, ნახაზს თან ერთვის რეალურად არსებული სიტუაცია, სადაც მოცემულია როგორც ლობები, ასევე განაშენიანება თავისი განზომილებებით მეტრებში“.

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ ფიზიკურ პირთა საკუთრებად ჩაითვალი ის მინის ნაკვეთები, რომლებსაც ისინი ინდივიდუალურად ფლობდნენ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დროისათვის, 1997 წლის 25 ნოემბრისათვის.

სასამართლომ უდაოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალა, რომ 1997 წლის 25 ნოემბრისათვის სადაო მინის ნაკვეთი ფაქტობრივად გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ამათგან ერთ ნაწილს ფლობდა აპელანტი, ხოლო მეორეს – მონინაალმდეგები მხარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ უდავოდ დაადგინა, რომ მხარეთა შორის უძრავი ქონებით (მინის ნაკვეთით) სარგებლობის წესი დაახლოებით 40 წლის წინ ჯერ კიდევ ამ საცხოვრებელი სახლის ადრინდელ მესაკუთრეთა შორის განისაზღვრა, რაც მომდინარეობს დღემდე, ვიდრე 2007 წელს ამ სახლს იყიდიდა გ. კ-ი.

დადგენილია, რომ მ. ზ-მ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის შემდეგ საერთო სარგებლობის ეზო გადაღობა და გავლელ მყარი მიჯნა. თუმცა გ. კ-ის მხარეს არსებობდა საერთო სარგებლობის სველი წერტილი, რომლითაც სარგებლობდნენ მ. ზ-ის მდგმურები. 2007 წელს გ. კ-ის მიერ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის დროს საერთო სარგებლობის ეზოში გავლებული იყო მყარი მიჯნა. აღნიშნული ლობე საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს მ. ზ-ის მიერ აღებული იქნა.

მნიშვნელოვანი და ყურადსალებია, რომ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას სადავოდ არ ხდის არც მოსარჩელე მხარე და დაადასტურეს მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხულმა მოწმეებმა. ამდენად, პალატამ მიუთითა, რომ არც სარჩელით, არც სააპელაციო საჩივარზე ნარდგენილი შესაგებლით, არც სასამართლო სხდომებზე ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოება მოსარჩელეს სადავო არ გაუსდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე საქმეში არსებული მტკაცებულებების, უპირველესად კი, თავად მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებით, ადგილზე დათვალიერებით პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის 1997 წლის 25 ნოემბრამდე იყო დადგენილი მინით სარგებლობის წესი და თითოეული მხარე სრულიად დამოუკიდებლად სარგებლობდა გამოყოფილი მინის ნაკვე-

თით. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საზიარო საგნისა და ქონების ნატურით გამოყოფის თაობაზე ნანილობრივ საფუძვლიანია, ნანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს იმგვარად, როგორც ეს სპეციალისტის მიერ წარმოდგენილ ნახაზზეა მოცემული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. კ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის და ვის მიერ დამკიცდრდა საზიარო საკუთრებით სარგებლობის წესი – მ. ზ-ის მიერ, მოსარჩელე გ. კ-ის მიერ სახლის შეძენამდე თუ მის შემდეგ, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივად სწორი დასკვნების გასაკეთებლად და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის მიწათსარგებლობის წესი დაახლოებით 40 წლის წინ, ე.ი. 1970 წლის დასაწყისში, როგორც მოპასუხე მ. ზ-ის, ისე მოსარჩელე გ. კ-ის მიერ სახლის შეძენამდე დაკვირდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმეების ჩვენებებით კი, უტყუარად დგინდება, რომ მ. ზ-ის მიერ სახლის შეძენის დროისთვის მიწა იყო გაყიდვული, საერთო სარგებლობის ეზოში ერთად ფენიცენ სარეცხს და მიწის ნაკვეთი არ თუ მხარეებს შორის, არამედ ნ. დ-ის ქუჩის მხარის ქალაქის ღია ფართიდანაც კი არ გამიჯნულა. აღნიშნული ფაქტი არც მოპასუხე მხარეს გაუხდია სადაცოდ.

მოსარჩელე მხარის მიმართ უხეშად დაირღვა „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ (1948 წ.) პირველი მუხლი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-13, მე-17 მუხლები, ამ კონვენციის I კარში განსაზღვრული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრი შეიტანა მ. ზ-მაც და მოითხოვა მისი გაუქმება და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მ-ის ქუჩის მხრიდან ეზოს გაყოფის ნაწილში. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნანილის მე-9 აბზაცის მიხედვით, რომელიც მოხსენიებულია „ბ“ პუნქტით, მ-ის ქუჩის მხრიდან გაყიდვა მოხდა არასწორად, რადგან ამ გაყიდვით კასატორს ერთმევა სველი წერტილით სარგებლობის უფლება. ამიტომ მ-ის ქუჩიდან უნდა დატოვებულიყო ადგილი სველ წერტილთან მისასვლელად. ასევე მ-ის ქუჩიდან მდებარე მყარი ღობე ე.ნ. ყორე საჯარო რეესტრის მონაცემებით არის კასატორის საკუთრება, რომელიც ამ გაყიდვით კ-ის მხარეს დარჩა. სასამართლომ არ გაითვალისწინა კასატორის მიერ სააპელაციო სასამართლოში ადვოკატების მომსახურების თანხა. პალატას დავა უნდა გადაწყვიტა საქმეში წარმოდგენილი 2011 წლის 12 ივლისის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწვალა საკასაციო საჩივრების საფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება და მიაჩნია, რომ მ. ზ-ისა და გ. კ-ის საკასაციო საჩივრები ნანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილებად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნანილის „ა“ ქეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილებად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი, არასწორად გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებანი და შემდეგ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი:

გ. კ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ქ.ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე 71.25 კვ.მ საცხოვრებელი სახლი.

მ. ზ-ის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ქ. ქუთაისში, ნ.დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე 221.35 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი.

ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართი – 436.00 კვ.მ წარმოადგენს მ. ზ-ისა და გ. კ-ის თანასაკუთრებას.

მხარეთა შორის წილები საზიარო საგანზე განსაზღვრული არ არის.

გ. კ-მა ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლი შეიძინა 2007 წლის 9 მარტს მ. გ-ისაგან.

მ. ზ-მ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლი შეიძინა 1987 წლის 20 იანვარს ზ. ჭ-ისაგან.

სადაცო საცხოვრებელი სახლი აშენდა მე-19 საუკუნის ბოლოს. 2007 წელს იგი შეიძინა მოსარჩელემ, რა დროსაც იქ უკვე არსებობდა 1987 წლის მდგომარეობით განსაზღვრული სარგებლობის წესი, გავლებული იყო ღობე, ხოლო დავის განხილვის დროს ღობე აღებულ იქნა (ე.ი. 1997 წლის 25 ნოემბრისათვის, სადაო მიწის ნაკვეთი ფაქტობრივად გაყიდვილი იყო ორ ნაწილად).

მხარეთა შორის უძრავი ქონებით (მიწის ნაკვეთით) სარგებლობის წესი დაახლოებით 40 წლის წინ ჯერ კიდევ ამ საცხოვრებელი სახლის ადრინდელ მესაკუთრეთა შორის განისაზღვრა, რაც მომდინარეობს დღემდე, ვიდრე 2007 წელს ამ სახლს იყიდიდა გ. კ-ის.

მ. ზ-მ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის შემდეგ საერთო სარგებლობის ეზო გადაღობა და გაავლო მყარი მიჯნა, თუმცა გ. კ-ის მხარეს არსებობდა საერთო სარგებლობის სკელი წერტილი, რომლითაც სარგებლობდნენ მ. ზ-ის მდგმურები. 2007 წელს გ. კ-ის მიერ ქ. ქუთაისში, ნ. დ-ის ქუჩისა და მ-ის ქუჩის №43/1-ში მდებარე სახლის შეძენის დროს საერთო სარგებლობის ეზოში გავლებული იყო მყარი მიჯნა. აღნიშნული ღობე საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს მ. ზ-მ აიღო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებანი წინა აღნიშნული და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად შეფასების შედეგად არ დადგენილა.

ცალსახაა და დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სადაც ეზოში გავლებული ღობე 2007 წელს, გ. კ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენისას, უკვე არსებობდა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ერთმნიშვნელოვნად არ ირკვევა, თუ ვინ და როდის ააგო აღნიშნული ღობე.

ერთი მხრივ, სასამართლო ადგენს, რომ ღობე არსებობდა ჯერ კიდევ 1987 წელს, როცა სადაც ადგილზე დასახლდა მ. ზ-ე (გადაწყვეტილების 4.10 პუნქტი), მეორე მხრივ კი, ამავე გადაწყვეტილების 4.11 პუნქტში მითითებულია, რომ ეზო გალობა მ. ზ-ე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას სათანდოდ არ შეუფასებია მხარეთა და მოწმეთა მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული განმარტებები. მოპასუხე მ. ზ-ის განმარტებით, სადაც ღობე მან აღმართა 1994 წელს სხვა მეზობლებთან შეთანხმებისა და წილთა გაყოფის გარეშე, რათა აღვეთილიყო სამეზობლო კონფლიქტი. აღნიშნული კონფლიქტის არსებობას ადასტურებს მოწმე ი. ტ-ც. მოწმის სახით დაკითხეული ს. წ-მ კი განმარტა, რომ დიდი ხანის ცხოვრობს სადაც სახლმშენებლობაში, სადაც თავდაპირველად სადაც ღობე არ არსებობდა და იგი მოეწყო დაახლოებით 20 წლის წინ.

ამდენად, ცხადია, რომ სხენებული მტკიცებულებანი საჭიროებს ხელახლა შესწავლასა და შეფასებას.

მნიშვნელოვანია და უთუოდ გამოკვლეულ უნდა იქნეს ამავე მოწმეთა განმარტებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებასთან დაკავშირებითაც, რომ სადაც ეზოს გადაღობის შემდეგ გ. კ-ის მხარეს დარჩა საერთო სარგებლობის სკელი წერტილი, რომლითაც სარგებლობდნენ მ. ზ-ის მდგმურები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დასახელებულ ფაქტს მიეცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ:

მართალია, სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით მინის ნაკვეთების იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც მხარეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში იმყოფებოდა, თუმცა, მხარეები განმარტავნ და თავად სასამართლოც უთითებს, რომ გ. კ-ის სარგებლობაში არსებული ნაკვეთის ნაწილში მდებარეობდა საერთო სარგებლობის ფართიც.

დასახელებული წორმის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მინის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლების განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე კოდელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

როგორც კანონის მითითებული დანაწესიდან ირკვევა, ხსენებული წორმა ეხება ფიზიკურ პირთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებულ მინის ნაკვეთებს, რის შესაბამისადაც სააპელაციო სასამართლო უდაცვოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ 1997 წლის 25 ნოემბრისათვის სადაც მინის ნაკვეთი ფაქტობრივად გაყოფილი იყო ორ ინდივიდუალურ ნაწილად, ერთ ნაწილს ფლობდა გ. კ-ი, ხოლო მეორეს – მ. ზ-ე.

ამდენად, გაურკვეველია, რა საფუძვლით ჩათვალა სააპელაციო სასამართლომ, რომ სადაც მინის ნაკვეთები მთლიანად იმყოფებოდა მხარეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მაშინ, როცა მ. ზ-ის სახლში მცხოვრები პირები (მოცემულ შემთხვევაში – მდგმურები) მუდმივად სარგებლობდნენ გ. კ-ის სარგებლობაში არსებული სკელი წერტილით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად უტყუარად უნდა დაადგინოს, როდის აღმართა სადაც საერთო სარგებლობის ფართში ღობე და 1997 წლის 25 ნოემბრისათვის იმყოფებოდა თუ არა სადაც ნაკვეთები მხარეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში. მხოლოდ აღნიშნული ფაქტების გამორკვევის შემდეგა შესაძლებელი საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ზ-ისა და გ. კ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლებები

საავტორო უფლებების დაცვა

განჩინება

№ას-344-328-2011

26 ივნისი, 2012 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოების გამოყენების აკრძალვა, კომპენსაციის და-კისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ე. ბ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „თ. მ-სა“ (უფლებამონაცვლე შპს „თ. ს. კ-ა“) და მესამე პირის – ქ.თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოპასუხი-სათვის კომპენსაციის – 3000000 (სამი მილიონი) ლარის გადახდის დაკისრება, მოსარჩელის მიერ შექმნი-ლი მხატვრული ნაწარმოების „თბილისის ემბლემის“ გამოყენების აკრძალვა და რეპროდუცირება მოსარ-ჩელის თანხმობის გარეშე შემდეგი გარემოებების გამო: 1997 წლის 1 თებერვლიდან მეტროპოლიტენის უე-ტონებზე მოპასუხე იყენებს მოსარჩელე ე. ბ-ის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს – „თბილისის ემ-ბლემას“. მოპასუხე ორგანიზაციის 100%-ით დამფუძნებელ ქ.თბილისის მერიასა და ავტორს შორის არ გა-ფორმებულა საავტორო ხელშეკრულება და, შესაბამისად, არ მომხდარა მისთვის საავტორო პონორარის გადახდა, უფრო მეტიც, მოსარჩელეს არ მიუცია ქ. თბილისის მერიისთვის თანხმობა საკუთარი ნაწარმოე-ბის სხვისთვის გადაცემაზე, ამასთან, მოსარჩელის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს არ გადაუხდია საავტორო პონორარი და არ გაუფორმებია საავტორო ხელშეკრულება.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი გარემოებების გამო: არსებული ჟეტონების გამოყენება 1997 წლის პირველი თებერვლიდან განიხილებოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილების საფუძველზე, როდესაც თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო შედიოდა ქ. თბილისის მუნიციპალი-ტეტის დაქვემდებარებაში. ქ.თბილისის მერიის მიერ ქ. თბილისის სიმბოლიკის (დროშა, გერბი) სახით ე. ბ-ის ნაწარმოების გამოყენება დადგენილია 1989 წლიდან ავტორის თანხმობით. სასამართლოს კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის მერიას, ავტორთან ხელშეკრულების გაუფორმებლობისა და საავტორო პონორარის აუნაზღაურებლობის გამო, დაეკისრა 45000 ლარის გადახდა ავტორის სასარ-გებლოდ. მერიის მიერ მოსარჩელის ნაწარმოების გერბად გამოყენება მოიცავს განსახილველ შემთხვევა-საც. ამჟამად, მოპასუხის დამფუძნებელი ქ.თბილისის მერია, რომლის მიმართაც უკვე არსებობს სასა-მართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, მოპასუხე ნაწარდგენილ მოთხოვნაზე პასუხს არ აგებს. დავა გან-ხილულ უნდა იქნეს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 512-ე მუხლი ითვალისწინებს არა კომპენსაციას, არამედ ზარალის ანაზღაურებას, მოსარჩელე კი ვერ ასაბუთებს ზარალის მიყენებას. გარდა ამისა, კომპენსაციის დაკისრების ნაწილში სარჩელი ხანდაზულია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყო-ფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწ-ყვეტილებით ე. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

მოსარჩელე ე. ბ-ე არის ავტორი ნაწარმოებისა – „თბილისის ემბლემა“ (მხატვრული ნაწარმოები, გრა-ფიკა). 2001 წლის 28 ივნისს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ, მოსარჩელე რეგისტრირებულ იქნა ნაწარმოების – „თბილისის ემბლემის“ ავტორად, რაზეც გაიცა სერთი-ფიკატი.

ე. ბ-ის ნაწარმოები ქ. თბილისის სიმბოლიკის, სახელდობრ, გერბის სახით გამოიყენება 1989 წლიდან (ამჟა წლიდან თბილისის სიმბოლიკის სახით გამოიყენება ე. ბ-ის შექმნილი დროშა, სიმბოლური გასაღ-ბი, ბუნი, ასევე გამოიყენება თბილისობის სიმბოლო).

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2002 წლის 24 აპრილის №3-4 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის სიმბოლიკა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის საკრებულომ დაადგინა ქალაქ თბილისის სიმბოლიკის გამოყენების სავალდებულოობა „ქ. თბილისის საკრებულოსა და მისი ორგანების, ქ. თბილისის მერიისა და მის სისტემაში შემავალი სამსახურებისათვის (ქ. თბილისის მთავრობა, გამგეობები, სა-ქალაქო სამსახურები), ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი და/ან დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმოები-სათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 18 მარ-ტის №4-2 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის დროშისა და გერბის შესახებ დებულება. ამდე-ნად ე. ბ-ის ნაწარმოები – „თბილისის ემბლემა“ ქალაქ თბილისის სიმბოლიკად, სახელდობრ გერბად ოფი-ციალურად გამოიყენება 2002 წლიდან.

ე. ბ-სა და თბილისის საკრებულოს (მერიას) შორის ე. ბ-ის ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით, საავტორო ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს (მერიას) ე. ბ-ისათვის, ამ უკანასკნელის ნაწარმოების გამოყენებისათვის საავტორო პონორარი არ გადაუხდია. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/559-07) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ე. ბ-ის საარჩევლი და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას დააკისრა ე. ბ-ის სასარგებლოდ, დროშის, თბილისის ემბლემის (გერბის), თბილისის სიმბოლური გასაღების, თბილისობის სიმბოლოს, ბუნის გამოყენებისათვის, ზიანის ანაზღაურების სახით 45000 ლარის გადახდა. ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

მოპასუხის სანესდებო კაპიტალში 100% წილის მფლობელია ქ. თბილისის მერია (მთავრობა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 იანვრის №02.02.96 დადგენილებით („ქ. თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის ტარიფის დამტკიცების შესახებ“), თბილისის მეტროპოლიტენში მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად შესრულების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის მეტროპოლიტენით ერთჯერად მგზავრობის ტარიფი 1997 წლის 1-ლი თებერვლიდან განისაზღვრა 20 თეორის ოდენბით; ამავე დროს ცნობად იქნა მიღებული, რომ მ/წლის 1-ლი თებერვლიდან მეტროპოლიტენით მგზავრობისათვის შემოლებულ იქნებოდა ახალი ტიპის უეტონები, ხოლო ძველი უეტონები ჩაღიანებოდა ძალადაკარგულად. ამდენად მოპასუხე საზოგადოებაში მოქმედი პლასტმასის უეტონები ბრუნვაშია 1997 წლის 1 თებერვლიდან (დამზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, უკრაინაში). სასამართლოს დასკვნით, 1997 წლის 1 თებერვლიდან შემოლებული მეტროპოლიტენით მგზავრობის უეტონის ახალი ტიპი (მასალა, ფორმა, ზომა, ფერი, გარეგნული იერსახე) განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და არა მის დაქვემდებარებაში შემავალი მეტროპოლიტენის სამმართველოს მიერ.

მეტროპოლიტენით მგზავრობის ახალი ტიპის უეტონის ერთ-ერთ მხარეს აღნიშნული გამოსახულება ვიზუალურად იდენტურია იმ ღროვისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის და შემდგომ (რამდენიმე წლის განმავლობაში) ქ. თბილისის საკრებულოს მიერ ქ. თბილისის სიმბოლიკად – გერბად გამოყენებული გამოსახულებისა და არა მოსარჩელე ე. ბ-ის ნაწარმოებისა. ბოლო წლებში გამოყენებული თბილისის გერბის გამოსახულება, განსხვავებით სადაცვო გამოსახულებისაგან, სრულად მოიცავს ქ. თბილისის გერბის შესახებ დებულებით განსაზღვრულ ქ. თბილისის გერბის ყველა შემადგენელ ელემენტს, შესაბამისად იმეორებს ქ. თბილისის გერბად დამტკიცებული მოსარჩელე ე. ბ-ის ნაწარმოების ყველა დეტალს, რასაც ვერ ვიტყვით ადრე გერბად გამოყენებულ გამოსახულებაზე, რომელიც ასევე ალიბეჭდა ახალი უეტონის ერთ-ერთ მხარეს. სასამართლომ გაიზიარა საქმეში ნარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვით ნიმუშად ნარმოდგენილ ნაწარმოებსა და გამოსაკვლევად ნარმოდგენილ ორ უეტონს შორის აღინიშნება როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება, ამასთან ზოგიერთი დეტალი უეტონზე არ აღინიშნება.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სასამართლომ იხელ-მძღვანელა შემდევი ნორმატიული მასალით: საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 512-ე მუხლი; საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ² საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-12 მუხლები; ქალაქ თბილისის საკრებულოს 2002 წლის 24 აპრილის №3-4 გადაწყვეტილება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ე. ბ-ის სააპელაციო საჩივრი, უცვლელად იქნა დატოვებული გაასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად იხელმძღვანელა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული ნორმატიული აქტების შესაბამისი ნორმებით და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო აღნიშნულ ნორმათა სწორი განმარტება, შესაბამისად არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-ის ნაწარმომადგენელმა ლ. კ-მა, მოითხოვა გასაჩივრებულ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორ შეფასება მისცა მტკიცებულებებს, არასწორად არ გამოითხოვა მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები, დადგენილად მიიჩინა რიგი გარემოებები, რომელთა დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არ არის საქმეში.

სასამართლო დადგენილ სადაცვო გარემოებად მიიჩინა, რომ 1997 წლის პირველი თებერვლიდან შემოღებული მეტროპოლიტების მგზავრობის უეტონის ახალი ტიპი, განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, ხოლო მოსარჩელე მხარეს საპირისპირ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ ნაწილობრივ დაგენერირდა.

ტექ.კრიმინალისტიკური ექსპერტის დასკვნა ენინასღამდეგება სასამართლოს დასკვნას, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ 1997 წლის პირველი თებერვლიდან შემოღებული მეტროპოლიტენით მგზავრობის ახალი ტიპის უეტონის ერთ მხარეს აღნიშნული ჩიტის სტილიზირებული გამოსახულება გაშლილი ფრთებით იდენტურია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის, შემდგომ კი ქ. თბილისის საკრებულოს

მიერ თბილისის სიმბოლოდ – გერბად გამოყენებული გამოსახულების და არა ე. ბ-ის ნაწარმოებისა, ხოლო, ექსპერტის განმარტების თანახმად, ნიმუშად წარმოდგენილ ნაწარმოებზე „თბილისის ემბლემა“ და გამოსაკვლევად წარმოდგენილ „თბილისის მეტროს“ უცტონზე აღინიშნება ერთნაირი შინაარსის ურთიერთგანლაგების ტექსტი გარკვეული თანმიმდევრობით, ერთნაირი კონფიგურაციის ნახატი ჩიტის სახით, ასევე აღინიშნება განსხვავება გარკვეულ წვრილ დეტალებში და ზოგიერთი უცტონზე საერთოდ არ აღინიშნება.

სასამართლომ არასწორად გაანაბილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

სასამართლომ არ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, რომლის თანახმადაც ავტორს აქვს განსაკუთრებული უფლება ნაწარმოების გამოყენებაზე, აღნიშნული ასევე მოიაზრებს ავტორის უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუციება.

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და მიიჩნია, რომ საავტორო უფლება არ ვრცელდება ისეთ ნაწარმოებზე, როგორიცაა სახელმწიფო სიმბოლოები.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმის გამოყენების უსწორობა დასტურდება იმით, რომ სახელმწიფო სიმბოლოების და ამ სიმბოლოებიდან წარმოშობილი ურთიერთობა წესრიგდება ორგანული კანონით, „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“. ე. ბ-ის მიერ შექმნილი „თბილისის ემბლემა“ შინაარსით არ წარმოადგენს ამ კანონით დაცულ ნაწარმოებს და არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო გერბად, რადგან ე. ბ-ის ნაწარმოები ასახავს თბილისის დაარსების ლეგენდას და არაფერი საერთო არ აქვს ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლით მოწესრიგებულ სახელმწიფო გერბთან.

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს, რომ თბილისის აქვს გერბი, დროშა, ჰიმნი და მიუთითებს, რომ დედაქალაქის სიმბოლოები არ არის სახელმწიფო სიმბოლოები და მათი გამოყენება უნდა მოხდეს, „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის თანახმად.

შემაჯამებელ დასკვნაში სასამართლო ეყრდნობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, 1997 წლის პირველი თებერვლიდან მეტროპოლიტენით მგზავრობისათვის შემოღებულ იქნა ახალი ტიპის უცტონები, თუმცა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული ახალი ტიპის უცტონის მასალა, ფორმა, ზომა, მისი გარევნული იერსახე და არც საქმეში მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომლითაც უცტონის ზემოაღნიშნული ნიშნები იქნება განსაზღვრული.

არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოცემულ სარჩელზე პასუხი უნდა აგოს თბილისის მერიამ და არა შპს „თ. ს. კ-მ“, რადგანაც მოპასუხე შპს „თ. ს. კ-ა“ კერძო სამართლის სუბიექტია, რომლის 100%-ით დამფუძნებელი ქ.თბილისის მერიაა, აღნიშნული კომპანია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი და ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საზოგადოების პარტნიორები კრედიტორის წინაშე არ აგებუნ პასუხს.

კასატორის განმარტებით, 1997 წლის 21 იანვრის №02.02.896 დადგენილება, მართალია, მიღებულია შპს „თ. მ-ს“ დამფუძნებელ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რადგანაც მუნიციპალიტეტის ზემოასენებულ გადაწყვეტილებაში მეტროს უცტონის ფორმაზე, მასალასა და მის იერსახეზე არა მითითებული, რომ უცტონზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო ე. ბ-ის ნაწარმოები, უფრო მეტიც, დასახელებული აქტით განსაზღვრულია მხოლოდ მგზავრობის ახალი ტარიფები.

მოცემულ საქმეზე სარჩელი ე. ბ-მ შეიტანა 2007 წლის 6 თებერვალს, მაშინ, როდესაც სარჩელი ასევე იყო შეტანილი ქ.თბილისის მერიის მიმართაც. ამ უკანასკნელ საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2008 წლის 7 ნოემბერს, ანუ როდესაც მოსარჩელე მოპასუხესთან სამართლებრივი გზით ცდილობდა ურთიერთობის მოხესრიგებას, სადაც საკითხი არც ქ.თბილისის მერიასთან იყო გადაწყვეტილი, სასამართლო საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი საქმის განხილვის ვადების დარღვევით, ამასთან, მოსარჩელე ე. ბ-სა და ქ. თბილისის მერიას შორის დღემდე არ არსებობს ხელშეკრულება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ნაწარმოების რეპროდუციებასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით განსაზღვრულია საკასაციო საჩივარის საფუძვლები, კერძოდ პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ანალიზიდან გამომდინარე, კანონის დარღვევაში მოიაზრება როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მიუთითებს სააპელაციო სა-

სამართლოს მხრიდან მატერიალური და საპროცესო კანონის დარღვევაზე. კასატორის განმარტებით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან მტკიცებულებათა არასწორი შეფასება, ფაქტობრივი გარემოებების დაგენა არარსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ასევე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილება. საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩევე ე. ბ-ე არის ავტორი ნაწარმოებისა – „თბილისის ემბლემა“ (მხატვრული ნაწარმოები, გრაფიკა) და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქმის მასზე გაცემულის სერთიფიკატი“. ე. ბ-ის ნაწარმოები ქ. თბილისის სიმბოლიკის, სახელდობრ, გერბის სახით გამოიყენება 1989 წლიდან (ამავე წლიდან თბილისის სიმბოლიკის სახით გამოიყენება ე. ბ-ის შექმნილი დროშა, სიმბოლური გასაღები, ბუნი, ასევე გამოიყენება თბილისობის სიმბოლოც). ე. ბ-სა და ქ. თბილისის საკურებულოს (მერიას) შორის ე. ბ-ის ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით, საავტორო ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ასევე ქ.თბილისის საკურებულოს (მერიას) ე. ბ-ის თვის, ამ უკანასკნელის ნაწარმოების გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარი არ გადაუხდია.

კასატორის განცხადებით, საკუთარი ნაწარმოების – „თბილისის ემბლემა“ გამოყენებასთან დაკავშირებით იგი პარალელურად დავას აწარმოებდა ქ.თბილისის მერიასთან. საქმეში ნაწარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა ავტორის თანხმობის გარეშე გამოყენებული წაწარმოების გამოყენების აკრძალვა, მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანისა და კომპენსაციის დაკისრება. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოსარჩელის მოთხოვნა საბოლოოდ განისაზღვრა შემდეგი სახით – დაეკისროს ქ.თბილისის მერიას 6 000 000 ლარის გადახდა კომპენსაციის სახით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სარჩელი წაწილობრივ დაკამაყოფილდა და მოპასუხე ქ. თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 45 000 ლარის გადახდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1997 წლის 17 ივნისამდე, მოპასუხე საზოგადოება არსებობდა „თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს“ სახით, რომელიც შედიოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დაკვემდებარებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 17 ივნისის №12.17.675 დადგენილებით თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს ბაზაზე დაფუძნდა მუნიციპალური საწარმო – „თ. მ. შპს“, რომელიც წარმოადგენდა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სამართლემკვიდრეს და მას მუნიციპალური ქონება, დადგენილი წესით გადაეცა სამეურვეო გამგებლობაში. მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 19 დეკემბრის №114 ბრძანებით, სამენარმეო რეესტრში გატარებული ცვლილებით შპს „ქ. თბილისის მერიის საწარმო „თ. მ. შპს“-ს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – „თ. მ.“. სწორედ ამ სახელწოდით არსებობდა მოპასუხე ე. ბ-ის მიერ სარჩელის შემოტანის დროისათვის, რომელსაც შემდგომში ეწოდა შპს „თ. ს. კ-ა“. ამდენად მოპასუხის საწესდებო კაპიტალში 100% წილის მფლობელია ქ. თბილისის მერია (მთავრობა).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 იანვრის №02.02.96 დადგენილებით არ განსაზღვრულა ახალი ტიპის უეტონის მასალა, ფორმა, ზომა და მისი გარეგნული იერსახე, თუმცა, პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მოპასუხის მიერ საკუთარი ინიციატივით სადაც უეტონების გამოსაყენებლად შემოღების ფაქტი. ამდენად კასატორის პრეტენზი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ვერ ცვლის საქმის შედეგს. მით უმეტეს, სასამართლოს მიერ დადგენილა, რომ მეტროპოლიტენით მგზავრობის ახალი ტიპის უეტონის ერთ-ერთ მხარეს აღნიშნული გამოსახულება ვიზუალურად იდენტურია იმ დროისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის და შემდგომ (რამდენიმე წლის განმავლობაში) ქ. თბილისის საკრებულოს მიერ ქ. თბილისის სიმბოლიკად – გერბად გამოყენებული გამოსახულებისა, რაზეც კასატორს დასაბუთებული პრეტენზიას არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი ტექ.კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის არასწორ შეფასებასთან დაკავშირებით. როგორც დასკვნის შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ექსპერტის გადასაწყვეტიად დაესვა შემდეგი კითხვა: „არის თუ არა მხატვარ ე. ბ-ის მიერ შესრულებული წაწარმოები თბილისის ემბლემა იდენტური ზპს „თ. მ-ს“ უეტონზე გამოსახული ემბლემის“. დასკვნის შინაარსიდან ირკვევა, რომ არსებობს როგორც თანხვედრილი ნიშნები, ასევე განსხვავებული ნიშნები. რაც შეეხება ექსპერტის დასკვნის დასკვნით ნაწილს, მითითებულია, რომ მსგავსებასთან და განსხვავებასთან ერთად დეტალები უეტონებზე საერთოდ არ აღინიშნება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განწინებაში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ 1997 წლის პირველი თებერვლიდან შემოღებული მეტროპოლიტენით მგზავრობის ახალი ტიპის უეტონის ერთ მხარეს აღნიშნული გამოსახულება აქ არის იდენტური. ე. ბ-ის ნაწარმოებისა, არ ეწინააღმდეგებაში არ გადაუხდია.

დასმულ კითხვაზე არ გაუცია კატეგორიული პასუხი, ამასთან, სასამართლო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გამოსაკვლევ ნიმუშებს შორის დაფიქსირდა თანხვედრაც.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2002 წლის 24 აპრილის 3-4 გადაწყვეტილებაზე, რომელთაც დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის სიმბოლიკის გამოყენება სავალდებულოა ქ.თბილისის საკრებულოსა და მისი ორგანოებისათვის, ქ.თბილისის მერიისა და მის სისტემაში შემავალი სამსახურების (ქ.თბილისის მთავრობა, გამგეობები, საქალაქო სამსახურები), ქ.თბილისის საკრებულოსა და მერიის ნილობრივი მონაწილეობით შექმნილ და/ან დაქვემდებარებაში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის სიმბოლიკის გამოყენება სავალდებულო იყო მოპასუხისათვის, როგორც ქ.თბილისის მერიის ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვისაც.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-12 მუხლები, რომლებითაც დადგენილია საკრებულოს კომპეტენცია ქ.თბილისის სიმბოლოების დამტკიცების და მათი გამოყენების წესების განსაზღვრის ნაწილში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქ.თბილისის მეტობის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებაზე მეტობის მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით და არა მოპასუხის მიერ. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ ქ.თბილისის მერიას ევალებოდა ხელშეკრულების გაფორმება და სათანადო ჰომინირის გადახდა მოსარჩევისათვის, რომლის მიერ შექმნილი ნაწარმოები შემდგომში ქ.თბილისის მერიისა და მის სისტემაში შემავალი სამსახურების მიერ გამოიყენებოდა როგორც ქ.თბილისის სიმბოლო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით. დასახელებული მუხლი განამტკიცებს ნაწარმოების აკტორის ისეთ ქონებრივ უფლებებს, როგორიცაა უფლება, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს; ნაწარმოების რეპროდუცირება (18.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი); ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება (18.2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება). საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩევემ ქ.თბილისის მერიის ნინაალმდეგ ალძრულ სარჩელში, უარი თქვა მოთხოვნაზე, რომელიც შეხებოდა ავტორის თანხმობის გარეშე გამოყენებული ნაწარმოებების გადახდის დაკისრებით. ამდენად იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ ქ.თბილისის მერიისათვან მიმართებაში უარი თქვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ პირად ქონებრივ უფლებაზე, ქ.თბილისის მერიის ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის ნაწარმოების გამოყენების აკრძალვას, რომელიც მოსარჩელის ნაწარმოებს, როგორც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ურთიერთობათა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს ის კომპენსაცია, რომელიც უნდა მიეღო ნაწარმოების შექმნისა და ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემის სანაცვლოდ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შდავება). ამავე კოდექსის 410-ე მუხლით დადგენილია საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძვლები, კერძოდ, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციი ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, მართალია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას, მაგრამ გადაწყვეტილებით არსებითად სწორი სასამართლებრივი შედეგი დადგა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საავტორო უფლებების დაცვა

განრიცხვა

№ას-1036-971-2012

3 იანვარი, 2013 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: საავტორო უფლების დაცვა

აღნიშვნილი:

ე. ქ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ი. მ-ის, შ. ო-ის, ი. ზ-ისა და ინდ. მეწარმე გ. ღ-ის მიმართ და მოითხოვა საავტორო უფლების დაცვა შემდეგი დასაბუთებით: ე. ქ-ე და მ. გ-ე არიან ავტორები ნაწარმოების „საგამოცდო ტესტები აბც კატეგორიის მართვის მოწმობის მისალებად“. აღნიშვნული ნაწარმოები არსებობს ობიექტური ფორმით, როგორც „კრებული“ და მოიცავს მეთოდური წესით განლაგებულ მასალას. აღნიშვნული კრებული, როგორც ინტელექტუალური შრომის ნაყოფი, დაცულია საავტორო სამართლით. ნაწარმოები შეიქმნა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და გამოქვეყნდა 2008 წლის მარტში, თუმცა კრებული უფრო ადრეა შექმნილი და დეპონირებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში. აღნიშვნული კრებულით უკანონოდ ისარგებლეს მოპასუხება. სახელმძღვანელობში („საგამოცდო ტესტების სრული კრებული“, „ახალი ტესტები ა.ბ.ც.დ.ე მართვის მოწმობის მისალებად“) მოსარჩელის ავტორობით გამოცემულ კრებულში არსებული ტესტებია გამოყენებული, თუმცა არეულია მათი თანმიმდევრობა. მოპასუხება განახორციელეს ე. ქ-ის ნაწარმოების რეპროდუცირება და რეალიზაცია შეცვლილი სათაურით ავტორის თანხმობისა და მისი სახელის მითითების გარეშე, რითაც დაირღვა მოსარჩელის განსაკუთრებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

მოპასუხება ნაწარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნოს შემდეგი დასაბუთებით: საგამოცდო ბილეთი, რომელიც განთავსებულია სააგენტოს საიტზე, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. სიტუაციური ფორმი; 2. კითხვა; 3. პასუხების ვარიანტები; 4. სწორი პასუხი და 5. კომენტარი ბილეთისადმი. როგორც ხელშეკრულების №1.2 მუხლი ცხადყოფს, მოსარჩელეს უნდა შედგინა 594 ბილეთისათვის მხოლოდ კითხვები და სავარაუდო პასუხები, ანუ მან მიიღო სლაიდები, დასვა კითხვები და შეადგინა სავარაუდო პასუხები, ხოლო კომენტარები მას არ ეკუთვნის. ამასთან, შსს სსიპ მომსახურების საიტზე ამჟამად 1025 ბილეთია განთავსებული, ამდენად, მისი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საიტზე განთავსებული ბილეთები შედგენილია მხოლოდ მის მიერ, არის მცდარი და არ შეესაბამება სინამდვილეს. ხელშეკრულების №3.5 მუხლის მიხედვით, დამკვეთი უფლებამოსილი, შედგენილი კითხვები გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ. აქედან გამომდინარე, სააგენტომ, როგორც მესაკუთრემ საგამოცდო ბილეთები კომენტარების დამატებისა და შეცდომების შესწორების შემდეგ თავის საიტზე განათვასა. მოწმობა არ ნაწარმოშობს საავტორო უფლებებს და ადასტურებს მხოლოდ დეპონირების ფაქტს შესაბამისი თარიღის მითითებით. როგორც „სამართლებრივი დახმარების ცენტრის“ მისამართით გაგზავნილი მომსახურების სააგენტოს პასუხიდან ირკვევა, სააგენტო მართვის მოწმობის თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად ნებართვის გაცემას არ ახორციელებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სააგენტოს არა აქვს ლიცენზიების ან ნებართვების გაცემის უფლება. საგამოცდო ბილეთების მებატორნე არის მომსახურების სააგენტო, ხოლო მოსარჩელე მისი განკარგვის ან სხვაგვარი გამოყენების ექსკლუზიური უფლება არ გააჩნია, რადგან საგამოცდო ბილეთები არ ნაწარმოადგენენ მოსარჩელის დამოუკიდებელი ინტელექტუალური შრომის ნაყოფს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივა მოსარჩელებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრის საქპატენტის მოწმობით დასტურდება, რომ მ. გ-ის სახელზე, ნაწარმოები: საგზაო მოძრაობის ტესტები A:B:C კატეგორიების მართვის მოწმობის მისალებად დეპონირებულია 28.02.2008 წელს. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 24 ივლისის წერილის თანახმად, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობების თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად ნებართვის გაცემას არ ახორციელებს. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების საქპატენტის მოძრაობით დასტურდება, რომ ი. მ-ისა და შ. ო-ის სახელებზე ნაწარმოები, საგზაო მოძრაობისა და მოძრაობის უსაფრთხოების „საგამოცდო ტესტი“, რეგისტრირებულია 27.02.2007 წელს. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მოწმობით დასტურდება, რომ ი. მ-ის სახელზე ნაწარმოები – საგზაო მოძრაობისა და მოძრაობის უსაფრთხოების საგამოცდო ტესტები დეპონირებულია 2008 წლის 6 და 25 მარტს. ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (დამკვეთს) და, მეორე მხრივ, ე. ქ-ეს (შემსრულებელს) შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების 1.2. მუხლის თანახმად, შემსრულებელმა აიღო ვალდებულება, შეედგინა 594 კითხვა – შესაბამისი სავარაუდო პასუხებით მართვის მისალები საგა-

მოცდო ბილეთებისათვის. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 800 ლარით (2.1.-2.2. პუნქტები). ხელშეკრულების 3.5. მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამკავეთი უფლებამოსილია, შედგენილი კითხვები გამოიყენოს საკუთარი შეხელულებისამებრ, უდავოა, რომ 25.03.2008 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებები შესრულებულია ორივე მხარის მიერ, დამკავეთმა მიიღო 594 კითხვა შესაბამისი სავარაუდო პასუხებით, ხოლო შემსრულებელმა – შეთანხმებული ანაზღაურება. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში 25.11.2011 წელს გამართულ სასამართლო სხდომაზე მესამე პირის – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენებლმა განმარტა, მოსარჩეულე ე. ქ-ე არ არის დამამზადებელი საგამოცდო ბილეთების, მან მხოლოდ შეადგინა 594 ბილეთისთვის კითხვები და სავარაუდო პასუხები, ხოლო აღნიშნულ საგამოცდო ბილეთებზე, რომელიც განთავსებულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს საიტზე, საავტორულფეხება უფლება ეკუთვნის შსს მომსახურების სააგენტოს. სააგენტომ, როგორც შესაკუთრებულ, განათავსა საგამოცდო ბილეთები თავის საიტზე. მესამე პირის წარმომადგენებლმა ასევე განმარტა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობების თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად წებართვის გაცემას არ ახორციელებს და ამასთან, სააგენტოს ამ ეტაპზე არ გააჩნია ინტერესი, გააკონტროლოს საიტზე გამოვეყენებული საგამოცდო ბილეთების წერილობითი სახით გამოცდასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსარჩეულე ე. ქ-ე სარჩელით ითხოვს, მოპასუხებს აეკრძალოთ „საგამოცდო ტესტების სრული კრებულის“ (თბილისი, 2008 წელი) და „ახალი ტესტები ა, ბ, ც, მართვის მოწმობის მისაღებად“ (თბილისი, 2008 წელი) წაწარმოების დამზადება, გამოცემა, გავრცელება, გაყიდვა, გაქირავება და სხვა ყოველგვარ გამოიყენება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნულ გამოცემებში გამოიყენებულია ე. ქ-ის მიერ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ტესტები. მოპასუხების მიერ გამოცდებულ კრებულებში, „საგამოცდო ტესტების სრული კრებული“ (თბილისი, 2008 წელი) და „ახალი ტესტები ა, ბ, ც, მართვის მოწმობის მისაღებად“ (თბილისი 2008 წელი), მითითებულია, რომ აღნიშნული ტესტები (ან მათი ნანილი) შედგენილია შსს-ს ვებ-გვერდზე (www.police.ge) გამოქვეყნებული მასალის მეშვეობით. კრებულების გამომცემლები მადლობას უზდიან შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობას განეული მეთოდური დახმარებისთვის. აღნიშნული ფაქტი მოპასუხებმა დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში გაკეთებულ ახსნა-განმარტებებსა და შესაგებლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით მართებულად მიიჩნია, რომ არ იკვეთებოდა ე. ქ-ის მიერ ქონებრივი საავტორო უფლებების რეალიზაციის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. საავტორო ქონებრივი და პირადი არაურნებრივი უფლების დაცვის საკითხები რეგლამენტულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად წაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, უანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ამავე კანონის მე-6 მუხლი განამტკიცებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების ჩამონათვალს. კანონმდებლობა არ იძლევა ნაწარმოების ზუსტ ცნებას, რაღაც ნაწარმოები წარმოადგენს რთული, მრავალმხრივი შინაარსის აბიექტს და ამა თუ იმ განსაზღვრებამ შეიძლება, წინ ნამონიოს მხოლოდ მისი რამდენიმე ნიშანი. საავტორო სამართლის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა აღნიშნული კანონმდებლობით დაცული აბიექტების მიახლოებით და არა ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავს. ზოგჯერ ასეთი საჩვენებელი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ასე საქართველოს კანონმდებლობაშიც (მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი), აღნიშნულის გამო თვით ნაწარმოებია ერთადერთი უნივერსალური მაჩვენებელი, რომელიც, ნებისმიერ სადაც შემთხვევაში უნდა შეფასდეს. ამასთან, ასეთი შეფასების ტვირთი მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული. საავტორო დავის განხილვისას სასამართლომ უნდა გადაწყვეტოს, წარმოადგენს თუ არა დაცვის აბიექტი ნაწარმოებს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს. ასეთი აბიექტი დაცვას ექვემდებარება მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა მისი კონკრეტულად როგორი სფეროსათვის მიყუთვნება.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლით, ამავე კანონის 43-ე მუხლის 1-ლი და მე-8 პუნქტების შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ე. ქ-ის მიერ ქონებრივი საავტორო უფლებების რეალიზაციის მიუხედობით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ემ შემდეგი დასაბუთებით: გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებანი, კერძოდ: 2008 წლის 25 მარტის №176 ხელშეკრულება და საქართველოს №29992 მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ მოსარჩელის მიერ შედგენილი ტესტები გამოხატული აბი-

ექტური ფორმით – „საგამოცდო ტესტები აბც კატეგორიის მართვის მოწმობის მისალებად“ შექმნილია გაცილებით ადრე და დეპონირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი თვით ადრე, კერძოდ, 2008 წლის 28 თებერვალს. აღნიშნული გამორიცხავს მის მიჩნევას შსს მომსახურების სააგენტოს მოთხოვნით შექმნილ და მით უფრო სამსახურებრივ ნაწარმოებად. სასამართლომ ყოვლად უკანონოდ მოაქცია სადაც ტესტები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის განხილვის არეალში.

პალატამ ასევე შეფასების გარეშე დატოვა სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული №49/8-7005 ნერილი, რომლითაც დგინდება, რომ შსს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობის თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად ნებართვას არ გასცემს, რაც უტყუარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სააგენტოს სადაც ტესტებზე საავტორო და ქონებრივი უფლება არ გააჩინა.

სასამართლომ მიიღო რა ე. ქ-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებან, რომლითაც დგინდება მისი საავტორო უფლება არსებულ ტესტებზე, არ შეუფასებია იგი, უფრო მეტიც, თავისი გადაწყვეტილებით, მხარეს, კერძოდ კი, მესამე პირად ჩართულ სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს მიაკუთვნის, რაც მას არ მოუთხოვია. პალატამ უკანონოდ აღიარა მესამე პირის, საავტორო უფლება აღნიშნულ ტესტებზე. დარღვეულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-7 მუხლების დატექმა, რომელიც ადგენს საავტორო უფლების დამოუკიდებლობას საკუთრების უფლებისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20 ნოემბრის განჩინებით დამტკიცდა მორიგება, ერთი მხრივ, ე. ქ-ესა და, მეორეს მხრივ, ი. ზ-სა და გ. ღ-ს შორის შემდეგი პირობებით: მოპასუხები ი. ზ-ი და გ. ღ-ი შათ მიერ სამომავლოდ გამოცემულ საგამოცდო ტესტების კრებულთა (რომელიც განკუთვნი. მართვის მოწმობის მისაღებად) ყველა ეგზემპლარზე მიუთითებენ, რომ „594 (ხუთასოთხმოცდათოხმეტი) ტესტი (კითხვა-პასუხი) შეადგინა ე. ქ-ემ“. მოპასუხები ასევე დათანხმდნენ, რომ ე. ქ-ის სასარგებლოდ ერთჯერადად გადაიხდიდნენ 150 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ი. მ-ისა და შ. ო-ის მიმართ ე. ქ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მოწმობით დასტურდება, რომ მ. გ-ის სახელზე, ნაწარმოები: საგზაო მოძრაობის ტესტები A,B,C კატეგორიების მართვის მოწმობის მისაღებად დეპონირებულია 28.02.2008 წელს;

2. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2009 წლის 24 ივლისის ნერილის თანახმად, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობების თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად ნებართვას არ გასცემს;

3. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მოწმობით დასტურდება, რომ ი. მ-ის, შ. ო-ის სახელზე, ნაწარმოები: „საგზაო მოძრაობისა და მოძრაობის უსაფრთხოების საგამოცდო ტესტი“ რეგისტრირებულია 27.02.2007წ.;

4. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მოწმობით დასტურდება, რომ ი. მ-ის სახელზე, ნაწარმოები: „საგზაო მოძრაობისა და მოძრაობის უსაფრთხოების საგამოცდო ტესტები“ დეპონირებულია 06.03.2008წ.;

5. 25.03.2008 წელს ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (დამკვეთს), და მეორეს მხრივ, ე. ქ-ეს (შემსრულებელს) შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების 1.2. მუხლის თანახმად, შემსრულებელმა აიღო ვალდებულება შეედგინა 594 კითხვა – შესაბამისი სავარაუდო პასუხებით მართვის მოწმობის მისაღები საგამოცდო ბილეთებისათვის. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრა 800 ლარით (2.1.-2.2. პუნქტები). ხელშეკრულების 3.5. მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამკვეთი უფლებამოსი. შედგენილი კითხვები გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამბრ. 25.03.2008წ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებები ირივე მხარემ შეარებ შესახულა: დამკვეთმა მიიღო 594 კითხვა შესაბამისი სავარაუდო პასუხებით, ხოლო შემსრულებელმა – შეთანხმებული ანაზღაურება;

6. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში 25.11.2011წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე მესამე პირის – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, მოსარჩელე ე. ქ-ე არ არის დამამზადებელი საგამოცდო ბილეთების, მან მხოლოდ შეადგინა 594 ბილეთისთვის კითხვები და სავარაუდო პასუხები, ხოლო აღნიშნული საგამოცდო ბილეთებზე, რომელიც განთავსებულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს საიტზე საავტორო უფლება ეკუთვნის შსს მომსახურების სააგენტოს. სააგენტომ, როგორც მესაკუთრები, განათავსა საგამოცდო ბილეთი თავის საიტზე. მესამე პირის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობების თეორიული გამოცდების ტესტების გამოსაცემად ნებართვის გაცემას არ ახორციელებს და ამასთან, სააგენტოს ამ ეტაპზე არ გააჩინა ინტე-

რესი, გააკონტროლოს საიტზე გამოქვეყნებული საგამოცდო ბილეთების წერილობითი სახით გამოცემას-თან დაკავშირებული საკითხები;

7. ე. ქ-ე სარჩელით ითხოვს მოპასუხეებს აეკრძალოთ „საგამოცდო ტესტების სრული კრებულის“ (თბილისი 2008 წელი) და „ახალი ტესტები ა,ბ,ც, მართვის მოწმობის მისაღებად“ (თბილისი 2008 წელი) დამზადება, გამოცემა, გავრცელება, გაყიდვა, გაქირავება და სხვა ყოველგვარი გამოყენება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნულ გამოცემებში გამოყენებულია ე. ქ-ის მიერ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ტესტები.

8. მოპასუხეების მიერ გამოცემულ კრებულებში „საგამოცდო ტესტების სრული კრებული“ (თბილისი 2008 წელი) და „ახალი ტესტები ა,ბ,ც, მართვის მოწმობის მისაღებად“ (თბილისი 2008 წელი), მითითებულია, რომ აღნიშნული ტესტები (ან მათი ნაწილი) შედგენი. შსს ვებ-გვერდზე – www.police.ge გამოქვეყნებული მასალის მეშვეობით. კრებულების გამომცემლები მადლობას უძინა შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობას განეული მეთოდური დახმარებისთვის. აღნიშნული ფაქტი მოპასუხეებმა დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოში გაკეთებულ ახსნა-განმარტებებში და შესაგებლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასაატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, რის გამოც ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კანონის დაცვის ობიექტია მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთან დაკავშირებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

იმავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავგარიანობისა, უანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

აღნიშნული ნორმის თანახმად, ნაწარმოები შეფასებითი კატეგორია და გულისხმობს კრეატიული პროცესის შედეგად შექმნილ ობიექტს. ამ განსაზღვრების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგამოცდო ტესტი, კითხვები და სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს მითითებული კანონის დაცვის საგანი, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სადაც ტესტები წარმოადგენს სამსახურებრივი ნაწარმოებს და მათზე საავტორო უფლებები გააჩნია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის შესაბამისად დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემულ შემთხვევაში, სადაც არაა, რომ ე. ქ-ე მ 25.03.2008 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ მომსახურების სააგენტოს დაკვეთით, შეადგინა 594 კითხვა შესაბამისი სავარაუდო პასუხებით, მართვის მოწმობის მისაღები საგამოცდო ბილეთებისათვის, შესაბამისად, ცალსახაა, რომ სადაც ტესტები სამსახურებრივ ნაწარმოებად უნდა იქნეს განხილული.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი მე-6 პუნქტის თანახმად კი, დამსაქმებელს უფლება აქვს, სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მითითება. სწორედ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ნათელია, რომ დამსაქმებელს ან დამკვეთს გადაეცემა არა მხოლოდ შეკვეთის ფარგებში შესრულებულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ქონებრივი უფლებები, არამედ სახელის მითითების უფლებაც. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ე. ქ-ის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილ ტესტებზე, როგორც ქონებრივი, ისე დასახელების მითითების უფლება გადაეცა მომსახურების სააგენტოს და სწორედ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი მესამე პირებისაგან აღნიშნული უფლების დაცვა მოითხოვოს, რაც სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა და ე. ქ-ის სააპელაციო საჩივარი მართებულად არ დააკმაყიფილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყიფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერი, დასაბუთებულია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციონ ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყიფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინება ი. მ-ისა და შ. ო-ის მიმართ სასამართლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
საავტორო უფლების მიღების მიზანი საავტორო უფლების ხელყოფის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში;

განხილვა

№ას-733-689-2012

23 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: საავტორო უფლების აღიარება, ზიანის ანაზღაურება, საავტორო უფლებების ხელყოფის აკრძალვა

აღნერილობითი ნაწილი:

6. ს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ და მოითხოვა საავტორო უფლების აღიარება, ზიანის ანაზღაურება და საავტორო უფლებების ხელყოფის აკრძალვა შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელე არის ავტორი სატელევიზიო პროექტის, პირობითი სათაურით „ტ-ი“, ხოლო მოპასუხე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელის ახალი სატელევიზიო პროექტი „პ-ი“ მის მიერ შექმნილი სატელევიზიო პროექტის ანალოგია. მოსარჩელემ სატელევიზიო პროექტი, პირობითი სათაურით „ტ-ი“, 2004 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის შექმნა და მიუძლვნა თავის პედაგოგ კ. მ-ის ხსოვნას. 2004-2007 წლებში „ტ-ი“ რამდენჯერმე მიიტანა მოპასუხესთან, იგი გააცნო საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორ ზ. შ-ს. ამასთან, 2007 წელს ზემოაღნიშნული პროექტი გააგზავნა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ თითქმის ყველა ელექტრონულ მისამართზე, რის შემდეგაც 2007 წელს იგი განიხილეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდიუსერის მოვალეობის შემსრულებელ ბ. ა-სთან. ამ უკანასკნელმა მოიწონა პროექტი და დაინტერესობის შეთანხმება, თუმცა, მისთვის უცნობი მიზანების გამო, ვერ მოხერხდა პროექტის განხორციელება. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-9, მე-10, მე-17, მე-18, 58-ე, 59-ე მუხლებზე.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: „საავტორო და მოიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სატელევიზიო გადაცემა „პ-ი“, შექმნილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ, იდეის ავტორია ნ. ც-ე, ხოლო გადაცემის პროდიუსერი თ. ც-ი. აღნიშნულ გადაცემაზე განსაკუთრებული უფლებები გააჩინა მხოლოდ მოპასუხეს. საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ აღნიშნული პროექტი, იდეა „ტ-ი“ მოსარჩელე ნ. ს-ის დანერილია. წარმოდგენილ ტექსტი (იდეა, პროექტი), რომლისთვისაც ხელი მოსარჩელია, არ მოუწერია, არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას აღნიშნული გარემოების დასადასტურდება. ასევე არ დასტურდება ის გარემოება, რომ პროექტთან რაიმე კავშირი ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც მითითებული არიან გადაცემა „პ-ის“ ტიტრებში, როგორც პროდიუსერი, იდეისა და ფორმატის ავტორები. როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებით, ასევე მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია, საავტორო სამართალი არ ვრცელდება და დაცვას არ ექვემდებარება იდეები, კონცეფციები, ამა თუ იმ ნაწარმოებში ჩადებული, პროცედურები, ექსპლუატაციის მეოთხები და სხვ. შესაბამისად, იდეა-პროექტი არ შეიძლება, მიეკუთვნოს ნაწარმოებს და საავტორო სამართალი მას ვერ დაიცავს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით 6. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 14 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა. პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, აღიარებულ იქნეს 6. ს-ის საავტორო უფლება გადაცემა „პ-ი“, რომლის სატელევიზიო ეთერში გადაცემას 2011 წლის 24 პრილიდან ახორციელებდა მოპასუხე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. პალატამ მიიჩნია, რომ 6. ს-ის მიერ 2004 წელს დაწერილი პროექტი, პირობითი სათაურით „ტ-ი“, წარმოადგენდა იდეას, რომელზეც ვერ გავრცელდებოდა საავტორო უფლება. ამ პროექტის ნაწარმოებად მიჩნევისათვის, საჭირო იყო მისთვის შესაბამისი ობიექტური ფორმის მიცემა, რაც მის აღქმასა და რეპროდუცირებას შესაძლებელს გახდიდა. 6. ს-ის პროექტი, იდეა, პირობითი სათაურით – „ტ-ი“, ნაწარმოებად რომ ჩაითვალოს და მასზე გავრცელდეს საავტორო უფლებები, საჭიროა მისი არსებობა ობიექტური ფორმით, რაც უნდა გამოვლინდეს „აუდიოვიზუალური ნაწარმოების“ (როგორიცაა, – მაგალითად: ტელე, ვიდეო, დიაფილმები და სხვა) სახით. ამასთან, მოსარჩელე თავის ინტელექტუალური შრომის შედეგს პირობითი სათაურით – „ტ-ი“, მოიხსენიებს როგორც პროექტს და არა დასრულებულ ნაწარმოებს, ასევე მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ წარმოადგენდა იდეასთან, პროექტთან რაიმე კავშირი ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც მითითებული არიან გადაცემა „პ-ის“ ტიტრებში, როგორც პროდიუსერი, იდეისა და ფორმატის ავტორები.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები). ამავე კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, უანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მისუხედავად იმისა, გავრცელდა თუ არა საჯაროდ. ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღნერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცესხმულია ნაწარმოებში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებია აუდიოვიზუალური ნაწარმოები. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიოვიზუალური ნაწარმოებია, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ანდა უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობით ან სქენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე, ვიდეო, დიაფილმები და სხვა); ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელია (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამზადებისათვის; თუ არ არსებობს სანინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე.

მოცემულ შემთხვევაში, სატელევიზიო გადაცემა „პ-ი“ წარმოადგენდა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, რომელიც შექმნილი იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიკებლის“ მიერ – იდეის ავტორი არის ნ. ც-ე, გადაცემის დამამზადებელი, პროდიუსერი – თ. ც-ი, ფორმატის ავტორები კი არიან: გ. გ-ე, თ. ც-ი, თ. გ-ი. შესაბამისად, აღნიშნულ გადაცემაზე საავტორო უფლებები გააჩნია მხოლოდ სსიპ „საზოგადოებრივ მაუნიკებელს“. სასამართლომ მიუთითა, რომ „ტ-ი“ არ იყო მსგავსი სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიკებლის“ სატელევიზიო გადაცემა „პ-ისა“, ვინაიდან არსებითად სხვა შინაარსს ატარებდა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად მიიჩნევა, როდესაც იგი გამოხატულია რამეტებული ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. „საავტორო უფლებების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა. ნ.ს-ის მიერ 2004 წელს დაწერილი პროექტი პირობითი სათაურით – „ტ-ი“ წარმოადგენდა იდეას, რომელზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება. სააპელაციო პალატამ დასასკვნა, რომ, ვინაიდან დაუსაბუთებელია მოსარჩევის მოთხოვნა საავტორო უფლების აღიარების შესახებ, ასევე მოთხოვნები გადაცემა „პ-ის“ გამოყენების აკრძალვისა და კომპენსაციის დაკისრების თაობაზე, როგორც თანმდევი შედეგი, არ უნდა დაკავშიროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ს-მ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლო აცნობიერებს, რომ არსებობდა პროექტი, მაგრამ პროექტს იდეასთან აიგივებს ყოველგარი მტკიცების გარეშე. ეს გასაგებიცაა, თუ შექმნილია პროექტი, ის იდეად ვეღარ განიხილება. ის, რომ პროექტი ნაწარმოებია და მას ავტორი ჰყავს, პირდაპირ არის ასახული კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულებაშიც, კერძოდ, მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტში აღნიშნულია: „საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილი პროექტების დოკუმენტაციას, შემდეგ მონაწილეობენ გასაბურებაში პროექტის ავტორებთან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტი პროექტს მხატვრულ ნაწარმოებთანაც კი ათანაბრებს, „საექსპერტო კომისიის წევრები შეფასებისას ითვალისწინებენ მხატვრულ და კომერციულ ლირებულებას. ამავე დებულების მე-5 მუხლის კი, პროექტს რეალიზებად ნაწარმოებად მიიჩნევს. უდავოა, რომ რეალიზაცია, კინოფილმის გადაღება, ანუ პროექტის კვლავწარმოების (რეპროდუცირებას) ნიშნავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების სახით. აქედან გამომდინარე, არასხორია სასამართლოს მოსაზრება, რომ ტელეპროექტი არ შეიძლება, მიეკუთვნოს დასრულებულ ნაწარმოებთა რიცხვს. ამდენად, პროექტის, ანუ გეგმის, გაიგივება იდეასთან ყოველგვარი მტკიცების გარეშე სრულიად უსაფუძვლოა. საყოველთაოდ აღიარებული საავტოროსამართლებრივი ნორმის გამოხატულებაა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით უფლებათ მფლობელისათვის მინიჭებული ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით მინიჭებული უნებართვო გამოყენების აკრძალვის უფლება. დაუშვებელია საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე უნებართვო რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, გადამუშავება, მოპასუხებ ეს ქმედებები განახორციელა უნებართვოდ. სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, მოსარჩევეს საზოგადოებ-

რივ მაუნტებელში უნდა მიეტანა უკვე გამზადებული გადაცემა და საზოგადოებრივ მაუნტებელს მხოლოდ საეთერო დრო უნდა დაეთმო მისთვის.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხის გადაცემა „პ-ი“ წარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, რომელიც შექმნილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუნტებლის“ მიერ. მითითებულია ამ ნაწარმოების ავტორებიც და, რაც მთავარია, გამოტანილია დასკვნა, რომ საავტორო უფლებები მასზე ეკუთვნის მხოლოდ „საზოგადოებრივ მაუნტებელს“. სასამართლო არ უთითებს, რომ გადაცემა „პ-ი“ წარმოადგენს 6. ს-ის ნაწარმოებისაგან წარმოებულ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს (ასევებით გამოხატული ნაწარმოების გამოსახულებით გამოხატულ ნაწარმოებს). ამდენად, რადგან „საზოგადოებრივი მაუნტებელი“ იცნობდა კასატორის მიერ მისთვის შეთავაზებულ ნაწარმოებს სრულად, მან ერთი სახიდან, ლიტერატურულიდან გადამუშავებით მიიღოს სხვა, კერძოდ, აუდიოვიზუალური ნაწარმოების სახე. რეპროდუცირება ასლების დამზადება ნებისმიერ ფორმით მიღწეული, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანანერის ფორმით, ლიტერატურული ნაწარმოების ტელეეკრანიზაციაც რეპროდუქცია. სხვაგვარად რომ იყოს ლიტერატურული ნაწარმოების უნებართვო გადატანა ეკრანზე, ვერასოდეს იქნებოდა მიჩნეული უფლებათა დარღვევად. იგივენაირად იქნებოდა ნოტებით გამოხატულ ნაწარმოებთან მიმართებით, რომელთა შესრულება უფლებათა დარღვევად არ მიიჩნეოდა და აზრს დაკარგავდა საჯარო შესრულების უფლების არსებობა საავტორო სამართლში. ტელეპროეჭტის ეკრანიზაციას მისა რეპროდუცირება, მით უფრო, რომ ამგვარი ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, არის ეკრანიზაციისათვის განკუთვნილი და სულაც არ არის საჭირო, რომ ტელეპროეჭტის ავტორმა თავად გადაიღოს, მოითხოვოს ტელეგადაცემად მისი კვლავნარმოების ნების დართვის ან აკრძალვის უფლება. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სატელევიზიო პროექტ „პ-ის“ შემქმნელებმა არ იცოდნენ მოსაჩირელის მიერ ჯერ კიდევ 2004 წელს დაწერილი სატელევიზიო პროექტის, სცენარის, პირობითი სათაურით – „ტ-ის“ შესახებ. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ 2007 წელს, მაშინ, როდესაც ავტორმა ნაწარმოები წარუდგინა საზოგადოებრივ მაუნტებელს, ბ. აისა და ვ. ტ-თან ერთად საუბარს ესწრებოდა „პ-ის“ ფორმატის ავტორი გ. გ-ე. მცდარია სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს კასატორის ნაწარმოები და „პ-ი“ სხვადასხვა შინაარსის გადაცემებია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. ს-ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე¹ პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი არსებობს, თუკი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არასწორად განმარტა ნორმა, შესაბამისად, არ დაადგინა ნორმის სწორად გამოყენებისთვის აუცილებელი ფაქტები, რასაც შედეგად მოჰყვა გადაწყვეტილების არასრული ფაქტობრივი დასაბუთება, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად მიიჩნია, რომ 6. ს-ის მიერ 2004 წელს დაწერილი პროექტი, პირობითი სათაურით – „ტ-ი“, წარმოადგენდა იდეას, რომელზეც ვერ გავრცელდებოდა საავტორო უფლება. ამ პროექტის ნაწარმოებად მიჩნევისათვის, საჭირო იყო მისთვის შესაბამისი იბიექტური ფორმის მიცემა, რაც მის აღქმასა და რეპროდუცირებას შესაძლებელს გახდიდა. 6. ს-ის პროექტი, იღეა, პირობითი სათაურით – „ტ-ი“, რომ ჩაითვალოს ნაწარმოებად და მასზე გავრცელდეს საავტორო უფლებები, საჭიროა მისი არსებობა ობიექტური ფორმით, რაც უნდა გამოვლინდეს „აუდიოვიზუალური ნაწარმოების“ (მაგალითად: ტელე, ვიდეო, დიაფილმები და სხვა) სახით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილა ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, რეპროდუცირება – წარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანანერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩანერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით.

მითითებული ნორმა ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან ერთობლიობაში არაორაზროვნად, ყოველგვარი განმარტების აუცილებლობის გარეშე ადგენენ, რომ ნაწარმოები დაცვადია, თუკი იგი რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს, ანუ ნაწარმოების შინაარსი გარეგნულად გამოხატულია (შედარებისთვის ის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 3 იანვრის №3კ/35-02 გადაწყვეტი-

ლება). კანონმდებლობა ნაწარმოების ფორმის რაიმე სტანდარტს არ ადგენს, მთავარია, იგი ალქმადი და რეპროდუცირებადი იყოს. საგულისხმოა, რომ თვით სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ განჩინებაში უთითებს, რომ ნ. ს-ის მიერ „პროექტი დაწერილი“. ცხადია, რომ დავის ობიექტი – ნ. ს-ის „ტ-ი“ საქმეში წერილობითი ფორმით ნარმოდებილია, შესაბამისად, იგი, საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტებისადმი წაყენებულ ამ მოთხოვნას ცალსახად აკმაყოფილებს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯაროდ გაცნობა, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, საავტორო უფლება არ ვრცელდება იღებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღნერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორციელებულია ნაწარმოებში.

საკასაციო სასამართლო მიზანების განმარტოს, რომ იდეა და პროექტი არც ზოგადად და არც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიზნებისათვის იდენტური ცნებები არ არის.

იდეა (ბერძ.) პრინციპი, დებულება, რითაც ხელმძღვანელობენ თეორიულ მსჯელობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქმიანობაში, შესედულება, თვალსაზრისი. 2. მნიშვნელოვანი აზრი, განზრახვა, ჩანაფიქრი. 3. ნაწარმოების მთავარი აზრი. პროექტი(ლათ.-დან) 1. რისამე ასაგებად დამუშავებული გეგმა. 2. რაიმე დოკუმენტის წინაარი, სავარაუდო ტექსტი. ზემოაღნიშნულ ტერმინებს ასეთივე დატვირთვა აქვს ინტელეტუალურ სამართალშიც, კერძოდ: პროექტი - 1. დოკუმენტის წინაარი, სავარაუდო ტექსტი, რომელშიც შეიძლება დამატებებისა და შესწორების შეტანა. 2. არქიტექტურული გრაფიკის ასაგებად, დასამზადებლად ან რეკონსტრუქციისათვის დამუშავებული გეგმა. იდეა – ობიექტური რეალობის საგანთა და მოვლენათა აზრობრივი წვდომის ფორმა. აზრი, ჩანაფიქრი. იდეის დაცვა არ ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების სამართლით.

ტერმინთა მოცემული განმარტებები ნათლად მეტყველებს მათ აშკარა შინაარსობრივ განსხვავებაზე. შესაბამისად, ყოველგვარ არგუმენტაციასა მოკლებული გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემული მსჯელობა, რომ ნ. ს-ის მიერ 2004 წელს დაწერილი პროექტი, პირობითი სათაურით „ტ-ი“, ნარმოადგენდა იდეას, რომელზეც ვერ გავრცელდებოდა საავტორო უფლება. სააპელაციო სასამართლოს უპირველესად უნდა გამოერკვია და უტყუარად დაედგინა, ნ. ს-ის „ტ-ი“ იდეა თუ პროექტი. სასამართლოს მიერ მათი ორივე მნიშვნელობით (იდეა და პროექტი) შეფასება, ყოველგვარი შინაარსობრივი გამოკვლევის გარეშე, გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობას და წინააღმდეგობრიობას ადასტურებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შინაარსობრივი გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულება – ნ. ს-ის „ტ-ი“, რადგან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ამგვარ შეფასებას არ შეიცავს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა განმარტებებისა და თვით ნარმოდგენილი მტკიცებულების შინაარსის შეფასების საფუძველზე უნდა გამორიცხოს და უტყუარად დაასაბუთოს, ნ. ს-ის „ტ-ი“ იდეაა თუ პროექტი. ამ ფაქტის დადგენას დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებოთი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ შეუძლია სასამართლოს იმსჯელოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების საჭიროებაზე. საკასაციო სასამართლო აქვთ მიზანშენონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ იდეისგან განსხვავებით, პროექტი საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის გადაცემა „ტ-ი“ ნარმოადგენს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, შექმნილია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ და საავტორო უფლებები ეკუთვნის მხოლოდ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან ამ ფაქტებზე მოდავე მოსარჩევე მხარის მიერ ნარმოდგენილი მტკიცებულებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შეფასებული არ არის.

ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ, ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების გამოყენების შემთხვევაში, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავად ავტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნაწარმოები მას ეკუთვნის და იგი უფლების დარღვევის ფაქტამდე შეიქმნა. ნაწარმოების შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე ასევე უნდა დადგინდეს, მოხდა თუ არა მისი გადამუშავება ან რეპროდუცირება; თუკი ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა, უფლების დამრღვევისათვის ნაწარმოები ხელმისაწვდომი იყო თუ არა. მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენის შემდეგ შეიძლება დავის საგნის სწორი სამართლებრივი შეფასება და სასაჩივრო მოთხოვნის კანონიერებაზე მსჯელობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

6. ს-ის საკასაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მონაცემთა პაზის ავტორის უფლებები

განჩინება

№ას-1210-1139-2012

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: მონაცემთა პაზის უკანონო გამოყენების აკრძალვა და მოპასუხის მართლზომიერი ფლობიდან მისი გამოთხოვა

აღნერილობითი ნაწილი:

სს „ი. 21-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჯ. ც-ის“ ნინააღმდეგ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-18 და 59-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვა მოპასუხისათვის მოსარჩელის კუთვნილი მონაცემთა პაზის უკანონო გამოყენების აკრძალვა და ამ პაზის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობისა და სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სს „ი. XXI-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე შპს „ჯ. ც-ს“ აეკრძალა მოსარჩელის კუთვნილი მონაცემთა პაზის უკანონო გამოყენება და დაევალა ამ პაზის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციით წესით გაასაჩივრა შპს „ჯ. ც-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინებით შპს „ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2001 წლიდან დღემდე სს „ი. XXI“ ენევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და პაზარზე წარმოდგენილია „საინფორმაციო ცენტრ 09-ის“ სახელით.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების განვითარების მოსარჩელე იყენებს ნუმერაციის რესურს 09-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2007 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების განვევა ეფუძნება სისტემური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შექმნილ ინფორმაციის საძიებელ ბაზას ე.წ მონაცემთა პაზის, რომელიც დამუშავებულია ელექტრონულ ფორმატში კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფით. ამ მონაცემთა პაზის მეშვეობით მოსარჩელის მიერ წარმოებს კონკრეტული სატელეფონო აბონენტისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება და მისთვის მიცემა.

მოსარჩელის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ყველა შესაძლო მოთხოვნადი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება და სათანადო მონაცემთა პაზაში მოქცევა, რისთვისაც მოსარჩელემ ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით განახორციელა არსებითი ინვესტიცია, შექმნა უნიკალური მონაცემთა პაზა და მოახდინა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში – საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. სს „ი. XXI“ ენევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და დამუშავებულ ინფორმაციას. სანინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს წარმოუდგენია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მითითებული გარემოებები მოპასუხეს შესაგებელში სადაციდ არ გაუხდია, მან მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საპატიო მიზეზის გარეშე, ეჭვევეშ დააყენა მოსარჩელის საკუთრების უფლება მის ხელი არსებულ მონაცემთა პაზაზე.

2007 წელს მოპასუხე გ. ქ-ე გათავისუფლდა სს „ი. XXI-ს“ ენერალური დირექტორის თანმდებობიდან.

2006 წლიდან დღემდე შპს „ჯ. ც“ ენევა სატელეფონო საინფორმაციო მომსახურებას და პაზარზე წარმოდგენილია „საინფორმაციო ცენტრ 08-ის“ სახელით.

სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურების განვითარების მოპასუხე იყენებს ნუმერაციის რესურს 08-ს, რომლის გამოყენების უფლებას მას ამ საქმიანობისათვის 2006 წლიდან დღემდე ანიჭებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

მოპასუხე შპს „ჯ. ც“ ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი გ. ქ-ე.

ნუმერაციის რესურს 08-ის გამოყენებას სატელეფონო-საინფორმაციო მომსახურებისათვის 2008-2009 წლებში ეწეოდა მოპასუხე შპს „ცნობარი 08“, 2010-2011 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვემდე (ჩათვლით) – შპს „საინფორმაციო სამსახური 08“ და 2011 წლის 29 ნოემბრის შემდგომ კი მონაცემთა პაზით სატელეფო-

ნო-საინფორმაციო მომსახურებისათვის ნუმერაციის რესურსი 118-08-ის გამოყენების უფლება მიენიჭა მხოლოდ და მხოლოდ შპს „ჯ. ც-ს“.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „ჯ. ც-დან“ ამოღებული მონაცემთა ბაზა წარმოებულია სს „ი. XXI-ის“ მონაცემთა ბაზიდან, შესაბამისად, მოპასუხე შპს „ჯ. ც-ს“ მონაცემთა ბაზის წყაროს წარმოადგენს მოსარჩევე სს „ი. XXI-ის“ მონაცემთა ბაზა. პალატამ, აღნიშნული დასკვნა დააფუძნა საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნაზე იმის შესახებ, რომ „იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები (იხ. დანართი №11-50), გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ ისინი აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან)“. აღნიშნული გარემოება ექსპერტებმა დაადასტურეს სასამართლო სხდომაზეც და იგი არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ. ამასთან, სადავო მონაცემთა ბაზა შექმნილია სს „ი. XXI-ის“ მიერ, რომელმაც 2008 წელს განახორციელა მისი დეპონირება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ცენტრში – საქართველოში. მითითებული გარემოები, საპელაციო პალატის მოსაზრებით, წარმოადგენდა სარჩელის საფუძვლინობის დამადასტურებელ უტყუარ არგუმენტებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე და 105-ე მუხლებზე დაყრდნობით, პალატამ სრულად გაიზიარა ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მოპასუხე შპს „ჯ. ც-ს“ არ წარმოუდგენია მათი გამაპათილებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად დასკვნა, რომ შპს „ჯ. ც-ი“ არსებულ მონაცემთა ბაზის საწყისად აღებული იყო სს „ი. XXI-ში“ დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია, რომელიც არსებობდა საინფორმაციო ცენტრ „09-ში“ გ. ქ-ის დირექტორად მუშაობის მომენტისათვის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-4, მე-18, 54-ე და 59-ე მუხლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ჯ. ც-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკავილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სასამათლომ არასწორად განმარტა გამოყენებული კანონები, გადაწყვეტილება არ არის სამართლებრივად დასაბუთებული, კერძოდ – სამართლებრივ შეფასებაში სასამართლო ეყრდნობა საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 1-ლი, მე-4, მე-18, 54-ე და 59-ე მუხლებს, აღნიშნულ მუხლებში ძირითადად მოცემულია ტერმინთა განმარტებები და ავტორის, უფლებათმფლობელების უფლებების დაცვის ფარგლები. თუმცა მოსამართლე საერთოდ არ იმსჯელა, ჩვენს მიერ დასმულ, დავის სამართლიანი გადაწყვეტილისათვის საჭირო, უმნიშვნელოვანეს შემდეგ საკითხებზე – თუ კონკრეტულ დავაში რა არის მონაცემთა ბაზა, რით დასტურდება მოსარჩელის („ი. 21“) კუთვნილება, განსაკუთრებული უფლებები მონაცემთა ბაზაზე და რითი დასტურდება (მტკიცდება) აპელაციის მიერ მოპასუხე მხარისაგან საინფორმაციო ბაზის მითვისების ფაქტი.

პირველ რიგში მოსამართლეს უნდა შეფასებინა და განეხილა თუ რა არის კონკრეტულ შემთხვევაში საავტორო სამართლის ობიექტი „მონაცემთა ბაზა“, რაზეც სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა. თუმცა ეს საკითხიც მნიშვნელოვანი დავის სამართლიანი გადაწყვეტილისათვის. კერძოდ „ავტორი“ არის – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები (ამავე კანონის მე-4 მუხლი, ტერმინთა განმარტება, ა) პუნქტი) შესაბამისად, თუკი ვსაუბრობთ საავტორო უფლებაზე და კანონის მე-18 მუხლით (ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები) განსაზღვრულ განსაკუთრებულ ქონებრივ უფლებებზე (რითაც იხელმძღვანელ მოსამართლემ), მაშინ აღნიშნული უფლებები მოპასუხე მხარეს უნდა ქონდეს მოპოვებული თავად ავტორისაგან. როგორც მოგეხსენებათ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის“ 35-ე მუხლის 1. პუნქტის შესაბამისად „საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერაით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით“. ასევე ამავე კანონის მე-16 მუხლის 1. პუნქტის შესაბამისად ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან, ეკუთვნის შესაბამისად დამსაქმებელს ან შეკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ჩვენს შემთხვევაში მონინააღმდეგ მხარეს მონაცემთა ბაზაზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები უნდა მიელო შრომითი, განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულების ან ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შრომითი ურთიერთობების შედეგად ბაზაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობის ფაქტს, ხოლო თუ ეს უფლებები მას მოპოვებული ჰქონდა „სამსახურებრივი ნაწარმოების“ ფარგლებში მაშინ მას უნდა წარმოედგინა შრომითი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან რაიმე სხვა დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა შრომითი ურთიერთობების შედეგად ბაზაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობის ფაქტს, ხოლო თუ ეს უფლებები მას მოპოვებული ჰქონდა „სამსახურებრივი ნაწარმოების“ ფარგლებში მაშინ მას უნდა წარმოედგინა შრომითი ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან რაიმე სხვა დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა შრომითი ურთიერთობების შედეგად ბაზაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე განსაკუთრებული უფლებების მასზე განსაკუთრებული უფლებების მიღება, მაშინ მოპასუხე მხარეს უნდა წარმოედგინა ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე იმისათვის, რომ მოპასუხე მხარემ, როგორც განსაკუთრებულ საავტორო უფლებების ფაქტს (კანონის 18-ე მუხლი), მაშინ მას უნდა ჰქონდეს თავად, ლეგიტიმურად მოპოვებული ეს

უფლებები რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. ხოლო თუკი განვიხილავთ საკითხს კანონის 54-ე მუხლის დეფინიციიდან დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი ოვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ, სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემცველობის ან ხარისხობრივივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება), აქაც ანალოგიურ საკითხთან მივდივართ, კერძოდ როგორც ეს მუხლი განმარტავს ბაზის დამამზადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი ოვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ. მოსამართლემ ამის დადასტურებად მიიჩნია, მხოლოდ „ი. 21-ის“ წარმომადგენლის ზეპირი განცხადებები (იხ. სარჩელი, 30.04.12 წ. სხდომის ოქმი, ჩანაწერი 035 მოსარჩელის ახსნა-განმარტება), არადა, ყველა პოზიციის დადასტურების დადგენას ესაჭიროება შესაბამისი მტკიცებულებები, რაც საქმის განხილვის არცერთ სტადიაზე არ იქნა წარმოდგენილი მოწინააღმდეგებ მსარის მიერ, თუმცა, მიუვდედავად ამისა მხოლოდ ზეპირი განცხადების საფუძველზე მიიჩნია მოსამართლემ აღნიშნული დადასტურებულად. მოსამართლემ საკმარისად მიიჩნია „ი. 21-ის“ განცხადებები და წარმოდგენილი 2 მტკიცებულება, კერძოდ მტკიცებულება წუმერაციის რესურსს 09-სა და დეპონირების მოწმობის ფლობა იმისათვის რათა დაესკვნა, რომ სადაც მონაცემთა ბაზა ნამდვილად ეკუთვნის „ი. 21-ს“ და თიქოს სწორედ ამ ბაზის უკანონო მითვისება მოხდა შპს „ჯ-ის“ მიერ. რასაც ასევე ვერ დავეთანებებით. რაც შეეხება დეპონირების საკითხს, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად 1) საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა“. 2) „საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა“. ასევე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რის საფუძველზე დაასკვნა მოსამართლემ „ჯ-ის“ მხრიდან ი. 21-ის მონაცემთა ბაზის მითვისების ფაქტი, კერძოდ იგი მითვისების ფაქტს დადასტურებულად მიიჩნევს მოპასუხე მსარის მხოლოდ ზეპირ განცხადების საფუძველზე და იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ „ჯ.ც-ის“ მომქმედი დირექტორი გ. ქ-ე 2006-2007 წლებში მუშაობდა „ი. 21-ის“ დირექტორად და მას თანამდებობიდან გამომდინარე ხელი მიუწვდებოდა „09-ს“ მონაცემთა ბაზასთან. თუმცა არანაირი მტკიცებულება არ არსებობს რაც დაადასტურებდა აღნიშნულს და მხოლოდ ის ფაქტი რომ გ. ქ-ეს ეკავა დირექტორის თანამდებობა „09-ში“ არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ მან ნამდვილად მოახდინა მონაცემთა ბაზის მითვისება და მისი შემდგომი „08-ში დანერგვა. მოგეხსენებათ ბიზნეს სექტორში ხშირია სხვადასხვა თანამდებობის პირთა გადაადგილება ერთი კომპანიიდან მეორეში და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, შესაბამისად ეს გარემოება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დადასტურებულად.

ამასთანავე გადაწყვეტილებაში ბაზის მითვისებისა და იდენტურობის საფუძვლად მითითებულია საექსპერტო დასკვნა (სსიპ ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №010200-2012/09/1) და იმის საფუძველზე, რომ დასკვნაში ნათევამია – „იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები, გვაძლევს იმის საშუალებს დავასკვნათ, რომ ისინი აღებულია საერთო წყაროდან, თუმცა დასკვნის, როგორც ეს ნაწილი ასევე დასკვნაზე მომუშავე ექსპერტიზების განცხადები ცხადყოფს მხოლოდ საერთო წყაროს არსებობას თანაც მხოლოდ იმ ნაწილში რაშიც საერთო ბაზის მცირე ნაწილის მონაცემები დაემთხვა ერთმანეთს და არც დასკვნით და არც ექსპერტიზების განცხადებით არ დასტურდება, რომ „ჯ.ც-ის“ ბაზის წყარო არის „ი. 21-ის“ ბაზა (იხ. დანართი საექსპერტო დასკვნა, ფურცელი 11-27, სასამართლო სხდომის ოქმი 17.04.2012 დანომრილი 031 ფაილად).

გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლომ არ შეაფასა და არ განმარტა, თუ რა არის მონაცემთა ბაზა, შესაბამისად გადაწყვეტილებიდან არ ჩანს თუ რა იქნა მიჩნეული მონაცემთა ბაზად და რისი გამოყენების აკრძალვა და უკან დაბრუნება დააკისრა „ჯ. ც-ს?“ თუ საუბარია „08“ მიერ, მისი მთლიანი მონაცემთა ბაზები მათი ტექნიკური, სტრუქტურული წყობით, ბიზნეს ლოგიკით, 19 ცხრილის გარდა ყველა სხვა ცხრილებით და ა.შ. სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან (იხ. დანართი საექსპერტო დასკვნა) და მოწინააღმდეგებების მხარეს არც მოუთხოვის მთლიანი ბაზის გამოყენების აკრძალვა და დაბრუნება, მეტიც მოპასუხე მხარე ბაზად მიიჩნევს და შესაბამისად მოითხოვდა მხოლოდ ბაზის ცხრილების იმ ნაწილის გამოყენების აკრძალვას და დაბრუნებას, სადაც მოხდა ინფორმაციისა და სერვისების (მომსახურეობების) დამთხვევა და თუნდა დადასტურდეს (ხაზს ვუსმევთ „თუნდაც“) ერთმანეთს იდენტურად დამხოველული მონაცემებისა და ცხრილების „09-ზე“ კუთვნილების ფაქტი, მაშინ რატომ უნდა აეკრძალოს „ჯ. ც-ს“ მთლიანი ბაზის გამოყენება, ხოლო თუ საუბარია ბაზის ცხრილების იმ ნაწილზე, რომელიც იდენტურად დაემთხვა ერთმანეთს და წარმოადგენს ბაზის მინიმალური ნაწილს, მაშინ რატომ არ მოხდა მოსამართლის მიერ ამის დაკონკრეტება, მითუმეტეს, რომ საქმის მასალიდან გამომდინარე ცალსლახად არ დასტურდება, რომ დამთხვეული მონაცემების ნებარი არის „ი. 09-ს“ ბაზა და იგი მითვისებულია „08-ს“ მიერ. თავად ცხრილი და მასში შეტანილ მონაცემები, რაც შეიძლება იყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის იბირები, შესაბამისად, შეუძლებელია ვინმეს აკრძალვის ნიფორმაციის გამოყენების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კასატორი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება არასრულია და იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, მეტიც მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს.

შესაბამისად გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, უარი ეთქვას მოწინააღმდეგე მხარეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ჯ. ც-ის“ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

ამდენად, საკასაციო საჩივრის ფარგლებისა და ზემომითითებული ნორმის დანაწესის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „ჯ. ც-დან“ ამოღებული მონაცემთა ბაზა წარმოებულია სს „ი. XXI-ის“ მონაცემთა ბაზიდან, შესაბამისად, მოპასუხე შპს „ჯ. ც-ის“ მონაცემთა ბაზის წყაროს წარმოადგენს მოსარჩელე შპს „ი. XXI“-ის მონაცემთა ბაზა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული დასკვნა ეფუძნება საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნას იმის შესახებ, რომ „იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელთა შედარებაც მოხერხდა და იქნა გამოვლენილი მსგავსებები (იხ. დანართი №11-50), გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ ისინი აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან)“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული საკითხებით არ დგინდება საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელია სწორი სამართლებრივი დასკვნებისათვის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საკასაციო სასამართლოში განსახილველი საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მხარეთა მონაცემთა ბაზების (რომლებიც არ წარმოადგენს ნაწილებს) შედარებით მათი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის დამთხვევის გარევა. ასევე მის დამზადებაში არსებითი ინვისტიციის განხორცილების ფაქტის დადგენა.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გასარკვევად პასუხი უნდა გაიცეს შემდეგ კითხვებზე: არის თუ არა სს „ი. XXI“ მის მიერ წარმოადგენილი მონაცემთა ბაზის დამზადებელი? რა სახის მონაცემთა ბაზა წარმოადგენს განსილვის საგანს? იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის მიერ შედარებულ მონაცემებს შორის დადგენილ მსგავსების შედეგად ვასკვნით, რომ ეს მონაცემები აღებულია საერთო წყაროდან (მონაცემთა ბაზიდან, ცხრილებიდან ან სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან) მიუთითებს თუ არა მონაცემთა ბაზის დამზადებლის უფლებების დარღვევაზე?

პირველ კითხვასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს მის მიერ წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის დამზადებელს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილ პროცესუალურ ფაქტზე, რომ კასატორმა მხოლოდ საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, საპატიო მიზეზის გარეშე, დააყენა ეჭვის ქვეშ სს „ი. XXI-ის“ საკუთრების უფლება მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზაზე. კასატორმა ამის საწინააღმდეგოს არ უთითებს საკასაციო საჩივრი, ამდენად, ამ ფაქტების მიმართ კასატორმა არ გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაც მიუთითებს ამ ფაქტების სავალდებულო ძალაზე საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სააპელაციო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით რეგულირდება მონაცემთა ბაზის ავტორის განსაკუთრებული უფლებები (სააპელაციო უფლება მონაცემთა ბაზაზე, რომელიც წარმოადგენს ნაწარმოებს), თუმცა ამავე კანონის 54-ე მუხლი გვაძლევს მონაცემთა ბაზის დამზადებლის დეფინიციას (მონაცემთა ბაზის დამზადებლის მომიჯნავე უფლება, რომელიც არ არის ნაწარმოები) და აზუსტებს მონაცემთა ბაზის ავტორის, დამზადებლის განსაკუთრებულ უფლებებს.

განსახილველი წორმები მიგვითითებენ იმაზე, რომ მონაცემთა ბაზები შეიძლება დაიყოს ნაწარმოებ და ისეთ მონაცემთა ბაზებად, რომლებიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს.

იმისათვის, რომ მონაცემთა ბაზა მივიჩნიოთ სააპელაციო უფლების ობიექტად, იგი უნდა იყოს მასალის შერჩევისა და განლაგების ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობის შედეგი („სააპელაციო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო მონაცემთა ბაზის დამზა-

დებლის მომიჯნავე უფლება (ამავე კანონის 54-ე მუხლი) ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ნაწარმოებს (არაშემოქმედებითია), მაგრამ სამართლებრივ დაცვას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ მის შედგენასთან დაკავშირებით განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია, ამიტომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელობას იძენს, მონაცემთა ბაზის შინაარსი, მაგრამ არა ცალ-ცალკე აღებული, არამედ ამ ინფორმაციის მთელი მოცულობა ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ქმნის ერთიან სისტემას.

იმ შემთხვევაშიც, თუ დაკუშვებთ, რომ მოცემული მონაცემთა ბაზები ეხება ნაწარმოებს, რომლებიც წარმოადგენენ განსახილველი კანონით საავტორო უფლების დაცვის ობიექტს, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ასეთი სახის მონაცემთა ბაზის სამართლებრივი დაცვის თავისებურება, როგორც შედგენილი ნაწარმოების, მდგომარეობს იმაში, რომ დაცვის საგანს წარმოადგენს არა მასში შემავალი ინფორმაცია (რაც შეიძლება დაცვის ბოიქტი იყოს დამოუკიდებლად მონაცემთა ბაზისაგან), არამედ მონაცემთა ბაზაში მასალის ორიგინალური შერჩევა და განლაგება, ხოლო, თუ მივიჩნევთ, რომ მითითებული ბაზები არ წარმოადგენენ ნაწარმოებს, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება მის შინაარს, როგორც ერთიან საინფორმაციო მასივს და მისი დამზადებისათვის მნიშვნელოვანი რესურსის გადებას.

აქედან გამომდინარე, სწორი სამართლებრივი დასაბუთების ორგანიზებისათვის აუცილებელია, განისაზღვროს რა სახის ინფორმაციისაგან შედგება მონაცემთა ბაზა და როგორ ხდება მისი მოქცევა მონაცემთა ბაზაში.

მითითებული პირობების განსაზღვრა განაპირობებს მონაცემთა ბაზის სახეობის დადგენას. მხოლოდ ამ სახეობის განსაზღვრის შემთხვევაში შესაძლებელი მისი სწორი სამართლებრივი შეფასება.

აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვავოთ ის არსებითი პირობები, რომლებიც ახასიათებს მონაცემთა ბაზას, რომელიც წარმოადგენს ნაწარმოებს (მოითხოვს შემოქმედებით საქმიანობას), იმ მონაცემთა ბაზისაგან, რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს (არ მოითხოვს შემოქმედებით საქმიანობას).

მონაცემთა ბაზის საერთო დეფინიცია მოცემულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად მონაცემთა ბაზა არის სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების ანდა სხვა მონაცემებისა და მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ტერმინი არ გულისხმობს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს.

„საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განხორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ; მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, გავრცელება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება; ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

განსახილველი ნორმა (რომელიც ეხება საავტორო და არა მომიჯნავე უფლებებს) იცავს მონაცემთა ბაზის საავტორო უფლებას, რომელიც წარმოადგენს ნაწარმოებს (განსხვავებით ამავე კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ბაზისაგან), კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განმარტებულია მონაცემთა ბაზა, როგორც შედებილი ნაწარმოები. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მონაცემთა ბაზას, როგორც შედგენილ ნაწარმოებს, ახასიათებს ზოგადად ნაწარმოების ყველა ნიშან-თვისება იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება ახასიათებდეს შედგენილ ნაწარმოებს, კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოადგენს შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად, ანუ უნდა იყოს ინდივიდუალური.

აღნიშვნულის გათვალისწინებით, როდესაც საუბარია მითითებული სახის (ნაწარმოების) მონაცემთა ბაზაზე, აუცილებელია, რომ ის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს უკავშირდებოდეს, სადაც გამოკვეთილია ავტორის პიროვნება, რომელმაც შესძინა ნაწარმოებს სიახლე და ორიგინალობა, მაგრამ, ასევე ყურადსალებია, რომ ამ სახის მონაცემთა ბაზისათვის მნიშვნელობა ენიჭება არა მონაცემთა ბაზაში განთავსებულ ინფორმაციას, არამედ, მასალის შერჩევასა და განლაგებას. აქედან გამომდინარე, ამ სახის მონაცემთა ბაზის, როგორც საავტორო უფლების დაცვის ობიექტის განსაზღვრისათვის აუცილებელია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა, რაც უკავშირდება მასალის შერჩევასა და განლაგებას.

საკასაციო პალატა, ასევე განმარტავს, რომ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ავტორის აზრები და ნაწარმოდგენები ხორციელდება ობიექტური ფორმაში, რაც უნდა წარმოადგენდეს ახალ, ორიგინალურ, განსხვავებულ ობიექტს.

აქედან გამომდინარე ამ სახის მონაცემთა ბაზაზე შეიძლება გავრცელდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი. კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს უნდა ნარმოადგენდეს. ამ ნორმის თანახმად შემდგენელი არ ნარმოადგენს ორიგინალური ნაწარმოების ავტორს, მას ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, თუ იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგს ნარმოადგენს.

მონაცემთა ბაზის მეორე სახეობას ნარმოადგენს იმ მონაცემთა ბაზა, რომელიც არ ნარმოადგენს ნაწარმოებს. მხედველობაშია, მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგება ფაქტებისაგან, ინფორმაციებისაგან, სხვადასხვა ხასიათის ცნობებისაგან და ა.შ., რომლებიც არ მოითხოვენ ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ კანონი ითვალისწინებს ასეთი სახის მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დაცვას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ის რესურსები, რომლებიც დაიხსარჯა მონაცემთა ბაზის დამზადებაში.

„საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მონაცემთა ბაზის (რომელიც არ ნარმოადგენს ნაწარმოებს) დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან ნარმოდგენის მხრივ, სარგებლობის განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემცველობის ან ხარისხობრივად ანდა რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ანდა ხელახალი გამოყენება.

ამდენად, მეორე კითხვასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტვას, რომ საქმეში არსებული სადაც მონაცემთა ბაზები ის მონაცემთა ბაზებია, რომლებიც არ ნარმოადგენს ნაწარმოებს და, ამდენად, მოითხოვენ შეფასებას ზემომითობებული მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, ექსპერტისადმი დასმული კითხვების შინაარსი განცილებული უნდა იქნეს შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით, რომლითაც რეგულირდება ამ სახის მონცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ყურადღება გავამარტივოთ ექსპერტიზის დასკვნაზე. საკასაციო პალატა განმარტვას, რომ, ექსპერტისადმი სასამართლოს მიერ დასმული კითხვებიდან გამომდინარე, შედარებულ იქნა მხარეთა მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაცია, კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ჯ. ც-დან“ ამოღებული მონაცემთა ბაზის სექემები, პროცედურები, მომხმარებლები და ტრიგერები არ ემთხვევა შპს „ი. XXI-ის“ მიერ ნარმოდგენილ მონაცემთა ბაზის შესაბამის ელემენტებს.

ამასთან ერთად, სს „ი. XXI-ის“ მონაცემთა ბაზის 242 ცხრილიდან 205 ცხრილ ვერ მოიძებნა შპს „ჯ. ც-ი-ს მონაცემთა ბაზაში ან შედარება ვერ მოხერხდა ცხრილების სტრუქტურებიდან გამომდინარე. შპს „ჯ. ც-ი-ს“ მონაცემთა ბაზის 176 ცხრილიდან 139 ცხრილი ვერ მოიძებნა სს „ი. XXI“-ის მონაცემთა ბაზაში ან შედარება ვერ მოხერხდა ცხრილების სტრუქტურებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რაც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გამოკვლეული და შედარებულია, კერძოდ, ცხრილების სახელები, საერთო დასახელების მქონე ცხრილები, სერვერის მიწოდებისათვის საჭირო ცხრილების მონაცემები და მათი შეყვანის თანმიმდევრობა.

ორივე მონაცემთა ბაზაში მონაცემების შესადარებლად ექსპერტიზამ აირჩია ორი მეთოდი: მსგავსი შეცდომების მოძიება და შედარება; ცხრილის მონაცემების დალაგება იდენტიფიკაციორის მიხედვით და მონაცემების შეყვანის თანმიმდევრობის დადგენა ამ მეთოდის საშუალებით, კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დამთხვევა დაფიქსირდა ცხრილების სახელების შედარებისას მაგალითად, სამარშრუტო ავტობუსების, ქალაქების, ქუჩების და ა.შ. შესახებ ინფორმაცია, (ექსპერტიზის დასკვნის №5 დანართი), ასევე საერთო დასახელების მქონე ცხრილების შესაბამისი ველების დასახელებებს შორის (ექსპერტიზის დასკვნის №6 დაართო).

ნარმოდგენილ ბაზებს შორის დამთხვევა დადგინდა სერვერის მიწოდებისათვის საჭირო ცხრილებს შორის (ექსპერტიზის დასკვნის №11 დანართი). კერძოდ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შედარებულ შემდეგ ცხრილებზე: აბონენტისა და ორგანიზაციის შესახებ; საეკლესიო კალენდრის შესახებ; ქალაქების შესახებ; ქალაქებს შორის მანძილების შესახებ; ქალაქების რეგიონების შესახებ; ქალაქების ტიპების შესახებ; ქვეყნებისა და რეგიონების შესახებ; ღონისძიებათა დადგილმდებარეობის შესახებ; ღონისძიებების ტიპების შესახებ; სოფლებისა, ქალაქების და რაიონების ინდექსების შესახებ; აბონენტების გვარების ცხრილების შესახებ; ორგანიზაციების იურიდიული სახეობების შესახებ; ორგანიზაციების შესახებ; ტელეფონის ნომრის შესახებ; ვალუტის შესახებ; სერვისების შესახებ; სატრანსპორტო საშუალებების, კომპანიების და სადგურების და ა.შ. ინფორმაციის არსებობაზე.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ მონაცემთა ბაზებში შეყვანილი ინფორმაცია აბონენტების, ორგანიზაციების, სატრანსპორტო საშუალებების, ქალაქების და ა.შ. შესახებ არ ნარმოადგენს მითითებული კანონის დაცვის ობიექტს და ნარმოადგენს იმ სახის ინფორმაციას, რაც არ მოითხოვს ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას და არ გამოირჩევა ორიგინალობით ანდა არ მოითხოვს არსებით რესურსების გაღებას (საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ მონაცემებზე, რომლებიც დაემთხვევა, რაც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას), მაგალითად, ტელეფონების ცნობარი, რომელიც შედგენილია ანბანის მიხედვით, ამ ქსელით მოსარგებლე აბონენტების ავტომატურად შეყვანის გზით და ა.შ.

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება დღის ახალ ამბებზე ან სხვა-დასხვა ფაქტებზე, რომლებსაც უბრალო პრესინფორმაციის ხასიათი აქვს.

მაგრამ დაცვის ობიექტს შეიძლება, ნარმოადგენდეს მთელი საინფორმაციო მასივი, სისტემა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან ნარმოდგენის მხრივ განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია (კანონის 54-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, მონაცემთა ბაზაში განთავსებული ცალკეული მონაცემების დაცვაუნარიანობას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა, ასევე, არა აქვს ცალკეული მონაცემების (ინფორმაცია, ფაქტები და ა. შ.) დამთხვევას. დაცვას ექვემდებარება მხოლოდ საინფორმაციო მასივი, ანუ მთლიანი შემცველობა ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩინებს, რომ განსახილველი დავა ეხება მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებას, რაც განსაზღვრულია „საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით.

განსახილველი მუხლის თანახმად, დამამზადებლის მომიჯნავე უფლების დაცვისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი სამართლებრივი ელემენტები: მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან ნარმოდგენის მხრივ დამამზადებლის მიერ ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიციის განხორციელება. ამ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მტკიცების ტვირთი აკისრია მონაცემთა ბაზის დამამზადებელს.

ამ შემთხვევაში იგი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ანდა ხელახალი გამოყენება.

ამდენად, თუ მონაცემთა ბაზა ატარებს ისეთ ინფორმაციულ ხასიათს, რომელიც არ ნარმოადგენს ნანარმოებს, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება განხორციელებული ინვესტიციის შემდეგ კრიტიკულებას: ხარისხობრივი, რაოდენობრივი და არსებითი ხასიათის ინვესტიციას.

ამ შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ დიფერენცირება, ერთ შემთხვევაში, მონაცემთა ბაზის შედგენასთან დაკავშირებულ ხარჯებისა იმ ხარჯებისაგან, რომლებიც გალებულ იქნა შესაბამისი მასალის მოსაპოვებლად და ნარმოადგენდა კომპანიის ძირითადი კომერციული საქმიანობის გვერდით შედეგს. ამდენად, ის ხარჯები, რომლებიც გალებულ იქნა სატელეფონო ქსელისა და მომსახურების განევის შედგენაზე, რის შედეგადაც მოპოვებულია ეს მონაცემები (გვერდით შედეგი) არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის შექმნაში ინვესტიციის ოდენობის განსაზღვრაში, მაგალითად, სატელეფონო-ინფორმაციულ კომპანიას შეიძლება, გააჩნდეს სხვადასხვა ინფორმაცია აბონენტებზე (სახელი, გვარი, მისამართი და ა.შ.) მხოლოდ თავისი ძირითადი კომერციული საქმიანობის შედეგად, რაც მათთან ხელშეკრულებების დადებით შეიძლება.

ამდენად, არსებითი, რაოდენობრივი და ხირისხობრივი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს უშუალოდ ამ მასალის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან ნარმოდგენაზე (განსახილველი კანონის 54-ე მუხლით 1-ლი ნაწილი) და არა ისეთ ინფორმაციაზე, რაც ნარმოადგენდა ამ იურიდიული პირის ძირითადი კომერციული საქმიანობის თანმდევ (გვერდით) შედეგს.

ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მონაცემთა ბაზის შინაარსის მიღებაში ინვისტიციის განხორციელება ნიშნავს ამ მონაცემების მოძიებასა და შევროვებაში ინვისტიციის განხორციელებას და არა ამ მონაცემთა ბაზაში მასალების შესაქმნელად (რომლებიც ქმნიან მონაცემთა ბაზის შემადგენლობას). (მაგალითის სახით იხ. „მონაცემთა ბაზების სამართლებრივი დაცვის შესახებ“ ევროკავშირის 96/9/ დირექტივის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი და ამ ნორმის განმარტება ევროკავშირის სასამართლო გადაწყვეტილებით C-46/02 (Fixtures Marketing Ltd v. Oy Veikkaus Ab); C-203/02 (The British Horseracing Board Ltd and Others v. William Hill Organisation Ltd); C-338/02 (Fixtures Marketing Limited v. ABSvenska Spel).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით დაემთხვეა არა მონაცემთა ბაზის მთლიანი მოცულობა, არამედ ნაწილი. ამდენად, შემდეგი საკითხი, რაც მოითხოვს კვლევას, მდგომარეობს იმაში, თუ რამდენადა ეს ნაწილი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზის ნაწილის მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლებით. რაოდენობრივი მაჩვენებელის განსაზღვრაში ყურადსალებია გამოყენებული მასალის ნილი მონაცემთა ბაზის საერთო მოცულობასთან მიმართებით. ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრაში ყურადსალებია მონაცემთა ბაზაში გამოყენებული მასალების მნიშვნელობა, როდესაც, მაგალითად, კოპირებული მონაცემები, მიუხედავად მათი სიმცირისა, საკმაოდ მნიშვნელოვან ხასიათის ატარებენ. ორივე შემთხვევაში დამამზადებელს გალებული უნდა ჰქონდეს არსებითი ხასიათის ინვესტიცია.

ამდენად, მესამე კითხვასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ექსპერტიზის მიერ შედარებულ მონაცემებს შორის დადგენილი მსგავსების დადგენა არ შეიძლება, მიუთითებდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დაღვევაზე, რადგან სააპელაციო სასამართლო არ აფასებს (არ იკვლევს), რამდენად არსებითი, მნიშვნელოვანი ნაწილი დაემთხვეა. ამასთან ერთად არ იქნა გათვალისწინებული დამთხვეული მონაცემების მიღების წყარო, კერძოდ, მონაცემთა ბაზებში მოცემული მასალები (ინფორმაცია, ფაქტები) ხელმისაწვდომია წებისმიერი პირისათვის პირველადი წყაროდან და ამ ინფორმაციის მიღების აკრძალვა კონსტიტუციური უფლების დარღვევა (გარდა, კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციისა). საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველ აღმიანს აქვს უფლება თავისუფლად მიღონს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, ნერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

აქედან გამომდინარე მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სახის ინფორმაციის (მონაცემთა ბაზის შემცველობის) შეძენას, მოპოვებას, დაზუსტებას ან წარმოდგენას, რომელიც მოითხოვს არსებითი ინვისტიის განხორციელებას, რა დროსაც ღირებულს წარმოადგენს ამ მასალის თავმოყრა ერთიან ბაზაში. მნიშვნელობა ზუსტად, რომ ერთიანობას გააჩნია. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა ბაზის ერთიანობას მისი სტრუქტურა ანიჭებს, რაც მისი შინაარსის ადეკვატური უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს: სს „ი. XXI-ზ“ განახორციელა თუ არ ხარისხსრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შეძენის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ; კონკრეტულად რაში გამოიხატა არსებითი ინვესტიციის განხორციელება;

თუ სს „ი. XXI-ს“ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო სხვა წყაროდან უნდა დადგინდეს მაღალი ალბათობით ამ მასალის, როგორც ერთიანი მასივის ან/და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადაღება, კოპირება სს „ი. XXI-ს“ მონაცემთა ბაზიდან შპს „ჯ. ც-ის“ მიერ, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის მხრიდან სახსრების დაზოგვა.

ზემომითითებული გარემოებების დადგენის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს კოპირებული, გადმოტანილი და სხვაგვარი მასალები, რამდენად წარმოადგენენ ხარისხსრივად მნიშვნელოვან ნაწილს.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლება დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მიგვითოთებს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი აკისრია სს „ი. XXI-ს“ (მონაცემთა ბაზის (რომელიც არ წარმოადგენს ნაწილობრივს) დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- შპს „ჯ. ც-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება საპათენტო უფლებების დარღვევის გამო

განჩინება

№ას-152-146-2011

1 აგვისტო, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
თ. თოლდრია

დავის საგანი: აგრეგატებზე სასარგებლო მოდელების დანერგვით მიღებული მოგებიდან პატენტმფლობელისათვის 50000 ლარის გადახდა ან აგრეგატის საპროექტო გადაწყვეტით მუშაობაზე გადაყვანა, სასარგებლო მოდელზე „საქპატენტის“ მიერ გაცემული პატენტების პიდროელექტროსადგურ „ვარციხხესის“ მითითების ნაწილში გაუქმდება

ალწერილობითი ნაწილი:
გ. კ-ამ სარჩელი ალძრა სასამართლოში შპს „....-ის“ მიმართ და მოითხოვა აგრეგატებზე სასარგებლო მოდელების დანერგვით მიღებული მოგებიდან პატენტმფლობელისათვის 50000 ლარის გადახდა ან აგრეგატის საპროექტო გადაწყვეტით მუშაობაზე გადაყვანა შემდეგი საფუძვლებით: 1976 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის 1 მარტამდე მოსარჩელე მუშაობდა ვარციხეჭებების კასკადში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 1985 წლიდან – დირექტორად. მისი უშუალო მონაწილეობით გაეშვა ოთხივე სადგური, მისივე ხელმძღვანელობით 1993 წლიდან 2004 წლის იანვრამდე კოლექტივი მუშაობდა საგანგებო რეჟიმში, უმძიმეს პირობებში. მოსარჩელის მიერ აგრეგატებზე სასარგებლო მოდელების დანერგვის და 2004 წლის ბოლოს სათვის მისი სრულყოფის შედეგად შესაძლებელი გახდა აგრეგატების მუშაობა.

გ. კ-ამ სახელზე საქპატენტის მიერ 2007 წელს გაიცა პატენტები შემდეგ სასარგებლო მოდელებზე: 1) ტურბინის საკისრის გაგრილების სისტემა-პატენტი P №4179 ძალაშია 2005 წლის აპრილიდან; 2) ტურბინის

მიმმართველი საკისრის შემჭიდროება U№1386, ძალაშია 2006 წლის 24 მარტიდან; 3) ჰიდროაგრეგატის გენერატორის, სტატორისა და საკისრების გაგრილების ხერხი U№1366, ძალაშია 2006 წლის 28 ნოემბრიდან. მოსარჩევების პატენტების ირგვლივ მოლაპარაკება ანარმოვა 2005 წლის 21 მარტს სს „...“ ბაზაზე შექმნილ შპს „....-ის“ ხელმძღვანელობასთან, სადაც დირექტორის მრჩევლად მუშაობა ვერ მოასწორ, რადგან 2006 წლის 1 მარტიდან ყოვლად უსაფუძვლოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან.

პატენტების მიღების შემდეგ გ. კ-ამ წერილობით მიმართა ჯერ შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორებს, რომელთაც წერილობით პასუხში პრალი დასდევს საქპატენტს სადაც პატენტების არასწორად გაცემაში. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი სასარგებლო მოდელების ბიულეტინებში გამოქვეყნების შემდეგ რამე პრეტენზის არსებობისას დაინტერესებულ პირს სამი თვის ვადაში უნდა მიემართა საქპატენტისათვის. საქპატენტს არავინ არ მიმართა, რის გამოც მის სახელზე პატენტები გაიცა საქართველოს საპატენტო კანონის მოთხოვნების სრული დაცვით.

შპს „....-მა“ ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით გ. და შ. კ-ვების მიმართ ჰიდროელექტროსადგურ „ვარციხესის“ მითითების ნაწილში სასარგებლო მოდელზე „საქპატენტის“ მიერ გაცემული U 1386 და U 1366 პატენტების გაუქმების მოთხოვნით შემდეგი მოტივებით: გ. და შ. კ-ვებმა „საქპატენტიდან“ მიიღეს პატენტები და ავტორობა სასარგებლო მოდელებზე ისე, რომ სასარგებლო მოდელების არსებობა არ შეუმომზებია. აღნიშნული პატენტების არსებობა, შპს „....-ის“ უფლებებს არლვევს და მუდმივად შეუქმნის ამის საშიშროებას მომავალში. გ. კ-ამ „ვ. კასკადში“ დირექტორად მუშაობის პერიოდში განახორციელა საწარმოს ბალანსზე რიცხულ ჰიდროაგრეგატებსა და ტურბინებზე ცვლილებები ისე, რომ არ შეატყობინა ამის შესახებ არც ზემდგომ ორგანოებს და არც სპეციალურ საზედამხედველო სამსახურებს. რაც მთავარია, ეს მოქმედება ეწინააღმდეგება აღნიშნული დანადგარების ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილ წესებს და განხორციელდა მათ დაუკითხავად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებების შესრულებაში თეორიულად და პრატიკულად მონაწილეობდა საწარმოს სხვადასხვა თანამშრომელი, მითითებული შესრულდა უშუალოდ გ. კ-ვას მითითებით და პასუხისმგებლობაც ამის შესახებ მას ეკისრება.

ჰიდროაგრეგატსა და ტურბინებზე აღნიშნული ცვლილებების შესახებ წლების განმავლობაში გ. კ-ას არც ერთ დოკუმენტში ან რამე საბუთში არ მიუთითებია. საწარმოს ამჟამინდელმა მესაკუთრემ საწარმო შეიძინა რამე ვალდებულებების გარეშე, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა „საქპატენტმა“ მაიც გასცა გ. კ-ას სახელზე პატენტები.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 აპრილის განჩინებით აღნიშნული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა ერთი ნომერი. ამავე სასამართლოს 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით გ. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს „....-ის“ სარჩელი და გამაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გ. და შ. კ-ების სახელზე U1386 და U1366 პატენტები ჰიდროელექტროსადგურ „ვ-ში“ (ამჟამად „....“) მათი დანერგვის მითითების ნაწილში.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გ. კ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის განჩინებით გ. კ-ას სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1976 წლის ოქტომბრიდან გ. კ-ა მუშაობდა სს „....“ სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის, 1986 წლიდან დირექტორად და გათავისუფლდა თანამდებობიდან 2005 წლის 1 მარტს. 2007 წელს „საქპატენტმა“ გ. და შ. კ-ების სახელზე გაცა პატენტები შემდეგ სასარგებლო მოდელებზე: 1) ტურბინის საკისრის გაგრილების სისტემა-პატენტი 4179 ძალაშია 2005 წლის აპრილიდან; 2) ტურბინის სიმიმართველი საკისრის შემჭიდროება 1386, ძალაშია 2006 წლის 24 მარტიდან; 3) ჰიდროაგრეგატის გენერატორის, სტატორისა და საკისრების გაგრილების ხერხი 1366, ძალაშია 2006 წლის 28 ნოემბრიდან.

„საქპატენტმა“ მიერ სასარგებლო მოდელებზე გაცემულ 1386 და 1366 პატენტებში მიეთითებულია ჰიდროელექტრო სადგურ „ვ-ში“ (ამჟამად „....“) მათი დანერგვის შესახებ.

სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ სასამართლო განჩინების საფუძველზე ჩატარებული 2009 წლის 4 ოქტომბრის ექსპერტის დასკვნით, შპს „....-ის“ №1 კასკადის №1 აგრეგატზე ამჟამად არსებულ დანადგარებზე დანერგილია მოსარჩელის სახელზე გაცემული P4179, U1366 და U1386 პატენტებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის წესები, თუმცა საქმეში არ არსებობს ეკონომიკური გაანგარიშება ამ მეთოდის დანერგვით მიღებული მოგების ოდენობის შესახებ, ამდენად, შეუძლებელია, დადგინდეს აღნიშნული მეთოდის ეფექტურობა და გამართულობა. შესაბამისად, პალატის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლო არასწორად დაადგინა, რომ „საქპატენტმა“ მიერ სასარგებლო მოდელებზე გაცემულ U1386 (ტურბინის სიმიმართველი საკისრის შემჭიდროება) და U1366 (ჰიდროაგრეგატის გენერატორის, სტატორისა და საკისრების გაგრილების ხერხი) პატენტებში მითითებული ექსპლუატაციის წესები შპს „....-ში“ დანერგილი არ არის.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული პირების: ს. გ-ს, ა. ყ-ს, გ. რ-ს, ა. გ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ 1990-იან წლებში, გ. კ-ას დირექტორად მუშაობის პერიოდში, საწარმოს თანამშრომელთა მონაწილეობით, აგრეგატზე განხორციელდა ცვლილებები, რაც გამოწვეული იყო იმ დროისათვის ობიექტური აუცილებლობით, თუმცა ასეთი გადაკეთება იმ დროს მოქმედი წესების შესაბამისად ქარხანადამამზადებელთან, მესაკუთრესთან და სათანადო ორგანოებთან შეთანხმებული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სარჩელის წარდგენის დროისათვის მოქმედი „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, 53-ე მუხლით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-4 და 103-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ, მართალია, შპს „...“ №1 კასკადის №1 აგრეგატზე, ამჟამად არსებულ დანადგარებზე დანერგილია მოსარჩელის სახელზე გაცემული U1366 და U1386 პატენტებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის წესები, მაგრამ აღნიშნული წესები დაინერგა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, „საქართველოს საპატენტო კანონის“ 53-ე მუხლის შესაბამისად, ამდენად, შპს „...ს“ უფლება აქვს, ინდივიდუალურად გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად (წინათსარგებლობის უფლება).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნა, რომ შპს „...-მა“ აგრეგატზე სასარგებლო მოდელების დანერგვით მიღებული მოგებიდან პატენტმფლობელს გადაუხადოს თანხა ან გადაიყვანის აგრეგატზე საპროექტო გადაწყვეტილ მუშაობაზე, არ გამომდინარების „საქართველოს საპატენტო კანონის“ 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებიდან, რაც უსაფუძვლოს ხდის სასარჩელო მოთხოვნას.

სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა, რომ 2009 წლის 4 ოქტომბრის ექსპერტის დასკვნით, საქმეში არ არსებობს ეკონომიკური გაანგარიშება სასარგებლო მოდელის დანერგვით მიღებული მოგების ოდენობის შესახებ, რის გამოც შეუძლებელია აღნიშნული მეთოდის ეფექტურობის დადგენა და გ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნა 50 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე საფუძველს მოკლებულია.

პალატამ არ გაიზიარა გ. კ-ას მოსაზრება, რომ მოგებასთან დაკავშირებით მის მიერ შედგენილი გაანგარიშება წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამის სათანადო მტკიცებულებას და საკმარისისა სასარგებლო მოდელის დანერგვით მიღებული მოგების დასადგენად.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, დაიცვას მისი სახელი, თუ სხვა უნებართვოდ სარგებლობს მისით და ამით ფიზიკური პირის ინტერესები ილაშება. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელის სახელზე გაცემულ U 1366 და U1386 პატენტები სასარგებლო მოდელზე პატენტის აღწერილობაში მითითებულია, რომ ტურბინისმიმართველი საკისრის შემჭიდროების, ასევე პიდროაგრეგატის გენერატორის, სტატორისა და საკისრების გარილების ხერხი დანერგილია პიდროაგრეგატორსადგურ „ვარციხეპესში“ (შპს „...“). აღნიშნული ჩანაწერი გახდა შპს „...თვის“ თანხის დაკისრებისა და აგრეგატების საპროექტო გადაწყვეტილ მუშაობაზე გადაყვანის მოთხოვნით გ. კ-ას სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამდენად, დასაბუთებულია შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა, მისი სახელი გამოიყენებულ არ იქნას მოსარჩელის სახელზე გაცემულ U 1366 და U 1386 პატენტები სასარგებლო მოდელზე პატენტის აღწერილობაში. პალატამ გამართლებულად ჩათვალა მისი იურიდიული ინტერესი, ამოირიცხოს მითითებული პატენტებიდან შპს „... სახელი.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტიზის დასკვნა, სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „...“ №1 კასკადის №1 აგრეგატზე ამჟამად არსებულ დანადგარებზე არ იყო დანერგილი მოსარჩელის სახელზე გაცემული U 1366 და U 1386 პატენტებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის წესები, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რა გ. კ-ას სარჩელი და დაკმყოფილდა შპს „...“ სარჩელი, პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განებება გ. კ-ამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით მოწინააღმდეგე მხარისათვის გ. კ-ას კუთვნილი ინტერესების საკუთრის შპს „...“ მიერ გამოიყენების გამ 50000 ლარის დაკისრება ან აგრეგატების საპროექტო გადაწყვეტილ მუშაობაზე გადაყვანა შემდეგი საფუძვლებით: სააპელატამ არასწორად გამოიყენა „პატენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-13, 48-ე და 53-ე მუხლები. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დაკითხული „საქპატენტის“ თანამშრომლების განმარტება, რომელთაც დაადასტურეს, რომ სადაც პატენტები გაიცა კანონიერად. საქმეზე დანიშნულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ პატენტები დანერგილი იყო ვარციხეპესში აგრეგატებზე. არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია პ4179 პატენტზე, რომელიც გაიცა მოწინააღმდეგე მხარის სარგებლობაში არსებულ გამოგონებაზე. შპს „ვარციხე 2005-მა“ გ. კ-ასთან შეთანხმების გარეშე შეცვალა სასარჩელო მოთხოვნა და დამატა U1386 და U1366 პატენტების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ გ. კ-ა (კასატორი) 1976 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის 1-ლ მარტამდე მუშაობდა სს „ვარციხეპესში“ სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის, საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე. 2007 წელს „საქპატენტმა“ გ. და შ. კ-ებზე გასცა პატენტები შემდეგ სასარგებლო მოდელებზე – 1. ტურბინის საკისრის გაგრილების სისტემა (პატენტი 4179), 2. ტურბინის მიმმართველი საკისრის შემჭიდროება (პატენტი 1386) და 3. პიდროაგრეგატის გენერატორის, სტატორისა და საკისრების გაგრილების ხერხი (1366). საქპატენტის მიერ U1386 და U1366 სასარგებლო მოდელებზე გაცემულ პატენ-

ტექში მითითებულია ჰიდროელექტრო სადგურ „ვარციხშეში“ მისი დანერგვის თაობაზე. მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში გასაზიარებელია საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ პატენტი 4179 გაცემულია გამოგონებაზე და არა სასარგებლო მოდელზე.

სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ამ პატენტებში მითითებული ექსპლუატაციის წესი არ არის გამოყენებული „ვარციხში 2005-ში“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პატენტები მითითებული ექსპლუატაციის წესებს შპს „...“ იყენებს 1990-იანი წლებიდან, რის გამოც „საქართველოს საპატენტო კანონის“ 53-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს გამოიყენოს იგი პატენტის მოქმედების მიუხედავად.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებული ეს მსჯელობა ენინაალმძეგვება ამ საქმეზე დამდგარ შედეგს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათოლადა ნაცნობი სადაც პატენტებში მითითება სადგურ „ვ-ში“ ამ პატენტების დანერგვის თაობაზე, მაშინ როდესაც ეს ფაქტი დადგენილია საქმის მასალებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პატენტები მითითებული ჩანაწერი – ელექტროსაფგურ „ვ-ში“ ამ სასარგებლო მოდელების დანერგვის თაობაზე, არღვევს „...“ სახელის უფლებას.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი უფლებებიც ილახება მისი სახელის უნებართვოდ სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვს მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა. ნორმა დარღვეული უფლების რეალიზაციას უკავშირებს ორ შემთხვევას: 1. როდესაც პირს ეცილებიან მისი სახელის ტარების უფლებაში და 2. როდესაც პირს უფლება ილახება მისი სახელის უნებართვო გამოყენებით. „...“ სახელის ტარებაში ბუნებრივია, არავინ ეცილება. სააპელაციო პალატამ „ვარციხ-2005-ის“ უფლება შელახულად მიიჩნია იმის გამო, რომ პატენტში გაკეთებული ჩანაწერი საფუძველი გახდა შპს „...-ისათვის“ თანხის დაკისრების, ასევე აგრძელების საპროექტო გადაწყვეტილ მუშაობაზე გადაყვანის მოთხოვნით სარჩელის ნარდგენისა.

საკასაციო პალატა ალნიშნავს, რომ სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლება კონსტიტუციით აღიარებული უფლება (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42) და ამ უფლების გამოყენება არ შეიძლება მივიჩნიოთ იმ პირის უფლების შელახვად, ვის წინააღმდეგაც შეტანილია სარჩელი. სააპელაციო სასამართლო სხვა არგუმენტს ალნიშნული ჩანაწერის გასაბათილებლად ვერ უთითებს. ამ საფუძვლით კი შეუძლებელია, სახელის უფლების დარღვეულად მიჩნევა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის დადგენა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო პალატის ალნიშნული გადაწყვეტილებით გაბათილებულია ჩანაწერი ადმინისტრაციული ორგანოს – „საქაპატენტის“ მიერ გამოცემულ აქტში, რაც ამ ორგანოს საქმეში მონაცილეობისა და შესაბამისი პალატის მიერ საქმის განხილვის გარეშე დაუშვებელია. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული თვალსაზრისით შეუძლებელია სარჩელის დაკმაყოფილება.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმის მასალებით დადგენილია პატენტით გათვალისწინებული ექსპლუატაციის წესების საწარმოში დანერგვის ფაქტი. ალნიშნული კი თავისთავად, „საქართველოს საპატენტო კანონის“ თანახმად, მოთხოვნის დაყენების საფუძველია. მითითებული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, პატენტმფლობებს აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრენველო ნიმუში, დაამზადოს პატენტით დაცული პროდუქტი, ჩართოს ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში, მისი გამოყენებით მიიღოს შემოსავალი ან აკრძალოს ალნიშნული ქმედებები. ალნიშნული წორმის საფუძველზე თუ პატენტი კანონშესაბამისადაც ცნობილი, და მას იყენებს სხვა პირი, ამ წორმაში მითითებული ყველა უფლება ნარმოებობა პატენტმფლობელს, მიუხედავად იმისა მითითებულია თუ მისი დანერგვის ადგილსამყოფელი პატენტის ტექსტში.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ექსპერტის დასკვნით არ ირკვევა სასარგებლო მოდელის დანერგვით მიღებული მოგების ოდენობა, რადგან საქმეში არ არსებობს ამის თაობაზე ეკონომიკური გაანგარიშება. ალნიშნულის თაობაზე გასაზიარებელია კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო საერთოდ არ მსჯელობს კასატორის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების თაობაზე. ამასთან, შეუძლებელი სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობის გაზიარებაც, რომ მოგების ოდენობის დაუდგენლობა შეუძლებელს ხდის ალნიშნული მეთოდის ეფექტურობისა და მისი გამართულობის შეფასებას.

სასარგებლო მოდელის ან გამოგონების ეფექტურობა დასტურდება პატენტის მეშვეობით და არა სასამართლოს მიერ. შეუძლებელია არაეფექტურ და უსარგებლო მოდელზე ან გამოგონებაზე გაიცეს პატენტი. საპატენტო კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, გამოგონებისა და სამრენველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. ამავე კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ის სასარგებლო მოდელი, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც აკმაყოფილებს საიხლისა და სამრენველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. დღეისათვის კასატორის სახელზე გაცემული პატენტები ძალაშია და შეუძლებელია ვისაუბროთ მის არაეფექტურობაზე. პატენტის არსებობა თავისთავად პრეზუმულიცია იმისა, რომ მისით დაცული სიკეთი აკმაყოფილებს სიახლისა და სამრენველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს. პალატა ამ თვალსაზრისითაც არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ალნიშნული სასარგებლო მოდელები თუ გამოგონება შექმნილია ავტორის მიერ მოპასუხის საწარმოში მუშაობის დროს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა შეემოქმედინა, ხომ არ არის პატენტები გაცემული სამსახურებრივ ნაწარმოებებზე საპატენ-

ტო კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად და რა უფლება გააჩნია მასზე როგორც მოპასუხეს ისე მოსარჩევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნულის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იგივე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ. კ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცენგაზე

განჩინება

№ას-791-740-10

2 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: კ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოწმობის ბათილად ცნობა, პროდუქციის გამოშვების აკრძალვა და სამომხმარებლო ქსელიდან ამოღება

აღნერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასაჩივალო განცხადებით მიმართა შპს „ე-ს“ წარმომადგენელმა კ. ბ-ძემ მოპასუხე შპს „ჯ. და კ-ნიას“ მიმართ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის №მ 2009 19081 მოწმობის ბათილად ცნობის, პროდუქციის გამოშვების აკრძალვისა და სამომხმარებლო ქსელიდან ამოღების მოთხოვნით.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს „ჯ. და კ-ნიას“ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში 2009 წლის ოქტომბერიდან რეგისტრირებული აქვს სასაქონლო ნიშნი (№19081), რომელიც წარმოადგენს მაიონეზის პროდუქტს. 2007 წლის აპრილის თვიდან სს „ე-ს“ თავისი მაიონეზის პროდუქტი „ს-ოდა“ დაპატენტებული აქვს „საქპატენტში“. მოცემული პროდუქტები თავიანთი ეტიკეტის გამოსახულებითი თვისების მიხედვით წარმოადგენენ ერთმანეთის მსგავსებს. მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოპასუხებ სადაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით დაარღვია დაცული საავტორო უფლებები და არაკეთილსინდისიერი განზრავით მოახდინა სასაქონლო ნიშნად მაიონეზ „ს-ოდას“ სამომხმარებლო ბაზარზე დამკვიდრებული და საყიდველთაოდ ცნობილი ეტიკეტის მსგავსი შეფუთვის მქონე მაიონეზის რეგისტრაციისათვის განაცხადის წარდგენა მისი შემდგომი კომერციული მიზნით გამოსაყენებლად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 ოქტომბერის გადაწყვეტილებით სს „ე-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ე-ს“ წარმომადგენელმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ე-ს“ წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 26 ოქტომბერის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი აკეთებს ჩამონათვალს იმ საფუძვლებისას თუ როდისაა შესაძლებელი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა. აპელანტი მხარის მითითებით, მოპასუხებ თვისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრავით მოახდინა და ამ რეგისტრაციით დაარღვია მესამე პირის საავტორო უფლებები.

არაკეთილსინდისიერ განზრავაში აპელანტი მხარე გულისხმობს იმდენად დიდი მსგავსების მქონე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას მოპასუხებს მიერ, რომელმაც მის მიერ რეგისტრირებულ სამრეწველო ნიმუშთან მსგავსების გამო აღრევა გამოიწვია.

პალატამ არ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ არაკეთილსინდისიერი განზრახვა, რომელიც საბოლოოდ აღრევას იწვევს სრულიად შეფასებითი კატეგორია. აპელანტი არ მიუთითებს, რომ სადაო სასაქონლო და სამრეწველო ნიმუშები ერთმანეთის იდენტურია, არამედ მიუთითებს, რომ ისინი ერთმანეთს იმდენად ემსგავსება, რომ აღრევას იწვევს.

„სასაქონლო ნიშნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია ის გარემოება, თუ იგი საქართველოში დაცული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშის იდენტურია.

ქრესტომატიულად იდენტურობა ზუსტ იგივეობას ნიშნავს, მსგავსება კი მხოლოდ გარკვეული ნიშან-თვისებების იგივეობას.

პალატა განმარტავს, რომ კანონმდებელი რეგისტრაციის ბათილობის საფუძვლად მხოლოდ შესადარებელი სასაქონლო და სამრეწველო ნიმუშების იდენტურობას მიიჩნევს და არა მსგავსებას.

ტერმინს „მსგავსებას“ კანონმდებელი მხოლოდ სასაქონლო და სამრეწველო ნიშნის მატარებელი საქონლის შესაფასებლად მოხმობს და არა თავად სასაქონლო ან სამრეწველო ნიშნისა. აქედან გამომდინარე კი აყალიბებს თავის ნებას რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უსწორო, ანუ ბათილად საცნობი, თუ იგი უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშის იდენტურია (მუხლი 5 პუნქტი 3).

პალატა შენიშნავს, რომ ამ კუთხით საკითხი სადაოდ აპელანტ მხარეს არც გაუხდია, ანუ აპელანტს არ-სად მიუთითებია, რომ სასაქონლო და სამრეწველო ნიმუშები ერთმანეთის იდენტურია. აპელანტის არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ მოპასუხის სასაქონლო ნიშანსა და მოსარჩელის სამრეწველო ნიმუშს შორის მსგავსება იმდენად დიდია, რომ მომხმარებლის ცნობიერებაში მათ აღრევას იწვევს.

სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილებაში უკვე იყო საუბარი იმის თაობაზე რომ კანონის მე-5 მუხლში გაკეთებული დათქმა სასაქონლო და სამრეწველო ნიმუშთა იდენტურობის თაობაზე – განსახილველ შემთხვევაში არ არის დადასტურებული. აღნიშნული გარემოება კი „ჯი თი სი და კ-ნის“ მიერ რეგისტრირებული სადაო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს.

რაც შეეხება საავტორო უფლებების დარღვევებას, პალატის მოსაზრებით მსგავსია თუ არა ორი შესადარებელი ეტიკეტი ერთმანეთისა – სრულიად შესაფასებელი კატეგორია და იგი ერთგვარად გამორიცხავს კიდეც ამ შეფასების შედეგად გაკეთებული დასკვნის კატეგორიულობას.

საავტორო უფლების დარღვევად მხოლოდ ისეთი მსგავსება მივიყიოთ, როდესაც მთლიანად მითვისებულია საავტორო უფლების ობიექტი, კონკრეტულ შემთხვევაში თუ მთლიანად ერთმანეთის მსგავსი იქნებოდა ფერთა კომბინაცია, რკალების მოხაზულობა, ასოთა განლაგება, ზეთისხილის ტოტების ოდენობა და ა.შ. რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

გამომდინარე აღნიშნულიდან სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სს „ე-ს“ საავტორო უფლება არ არის ხელყოფილი, რაც მისი სარჩელის და კამაყოფილების გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ე-ს“ წარმომადგენელმა კ. ბ-ძემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილების მოთხოვნით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომელიც რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებით საფუძველზე მიუთითებს და არა რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველზე. ამავე დროს, პალატამ არ გამოიყენა ამავე კანონის მე-3 მუხლი და პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-10 და მე-17-ე მუხლები, საპატენტო კანონის 18-ე და 20-ე მუხლები, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნებების დაცვის ბერნის კონვენცია.

კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სს „ე-ს“ პროდუქტი არის რუსული წარმოების და მასზე დატანილია რუსულენოვანი წარწერები. ასეთივე რუსულენოვანი წარწერები დატანილია მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოშვებულ პროდუქტზეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართული წარმოებისაა. კასატორმა განმარტა, რომ პროდუქტის მსგავსების დამადასტურებელ ნიშნებს წარმოადგენს, პროდუქტის ერთიდაიგივე გარეგანი ფერი, მიმსგავსებული მხატვრული შესრულება სიტყვათა წყობითა და მოხაზულობითი განლაგებით. შეფუთვაზე გადატანილი გამოსახულებითი და აღნერილობითი ნიშნები მსგავსი ელემენტებით, როგორიცაა მოხაზულობითი რკალი, სახელწოდება „ოლივოვი“, მსგავსი ფერების კომბინაცია, ზომები მოცულობა, რუსულენოვანი წარწერები და საერთო ჯამში ვიზუალური გამოსახულება. ანუ მოწინააღმდეგე მხარის სასაქონლო ნიშანი ადგილი აქვს იმ მხატვრული წარწმოების გამოყენებას, რომელზეც დაც მოსარჩელეს გააჩნია საავტორო უფლებები. აღნიშნული მსგავსება დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნითაც, რომელზეც სასამართლოს არ უშესველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განჩინების სს „ე-ს“ უფლებამონაცვლედ საქმეში შპს „ქართული ს-მ. კ-ნია“ ჩაება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციონ სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განიხილა შპს „ქართული ს-მ. კ-ნიის“ საკასაციონ საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ საკასაციონ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩინა:

„სახელმწიფო 2007 წლის 17 აპრილიდან რეგისტრირებულია №341 პატენტი;

შპს „ჯ. და კ-ნიის“ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქპატენტში და გაცემულია მოწმობა №19081;

როგორც სს „ე-ს“ სამრეწველი ნიმუში, ისე მოპასუხის სასაქონლო ნიშანი მაიონეზის პროდუქტს წარმოადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობებს. კასატიონს ამგვარი პრეტენზია არ წარმოადგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა ეთანხმება მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშთან მიმსგავსებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით კი, სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ იგი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიშნის ზუსტად იდენტურია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია არა მარტო სა-საქონლო ნიშანსა და სამრეწველო ნიმუშთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების მოყვანა, არა-მედ იმის გათვალისწინებაც, თუ რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი ბაზარზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან.

ამრიგად, ალნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშანი არის ალნიშნულებაა ერთი მწარმოებლის საქონელი განასხვავოს მეორე მწარმოებლის საქონლისაგან.

რაც შეეხება სამრეწველო ნიმუშს, მისი ძრითადი ფუნქცია ესორტიკური ზეგავლენის მოხდენის გზით, მყიდველის მოზიდვაა. იგი ერთი მნარმოებლის მეორესაგან განმასხვავებელი აღნიშვნა არ არის. სწორედ ამ მიზეზით, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონმდებლობით ნაკლები დაცვით სარგებლობს, კიდრე სასაქონლო ნიშანი.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

იმავე კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არ დარეგისტრირდება, თუ საქართველოში დაცული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სამრეწველო ნიმუშის იღენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგიტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი.

ამგვარად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათლად იქნას ცნობილი, რეგისტრაციის შესახებ განაცხადი შეტანილი უნდა იყოს საქართველოში და-ცულ სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მფლობელისაგან განსხვავებული პირის მიერ, სამრეწველო ნიშანზე უფრო გვიან, ამასთან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო ნიმუშის იდენტური უნდა იყოს. იდენტურობა გულისხმობს ზუსტ იგივეობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ის, რომ შპს „ჯ. და კ-ნის“ სასაქონლო ნიშანი სს „ე-ს“ სამრეწველო ნიმუშის იდენტური არაა, არც მოსარჩევეს გაუხდია სადაც. მხარე საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად ყველა ეტაპზე მხოლოდ მსგავსებაზე მიუთითობთა.

სამოქადაკეო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აწეს ადგილი.

საკასაციო პალტა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გა-
უმტების სამართლებრივი საფუძვლით არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკავალიო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და
დანართით:

1. სს „ე-ს“ უფლებამოაცვლე შპს „ქართული ს-მ. კ-ნიის“ საკავალიო საჩივარი არ დაგემაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისს განჩინება;

საკუთრივ 2010 ცლის და ექიმის განხილვება,
საკუთრივ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩინობებელი.

სასაქონლო ნიშნის მსგავსება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-1329-1349-2011

3 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პროდუქცია „ვ-ს“ იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვა, საქართველოს ბაზარზე უკვე
გავრცელებული პროდუქცია „ვ-ს“ ამოღება, განადგურება, მისი გამოსახულების ეტიკეტების, ანაბეჭდე-
ბის, შესაფუთი მასალებისა და სარეკლამო განცხადებების განადგურება

აღნერილობითი ნაწილი:

2010 წლის 22 იანვარს კომპანია „ს. ს.ა.-მ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სს „ლ-ისა“ და შპს „უ. თ.ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელები მოითხოვა პროდუქცია „ვ-ს“ იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვა, საქართველოს ბაზარზე უკვე გავრცელებული პროდუქცია „ვ-ს“ ამოღება, განადგურება, მისი გამოსახულების ეტიკეტების, ანაბეჭდების, შესაფუთი მასალებისა და სარეკლამო განცხადებების განადგურება.

მოსარჩელის განმარტებით, ბელგიური კომპანია „ს. ს.ა.“ არის „ფ-ს“ ჯგუფის კომპანია. მისი ერთ-ერთი სასაქონლო ნიშანია „რ-ს“ სამგანზომილებიანი გამოსახულება. შპს „უ. თ.ი“ ახორციელებს რუსული ტებილებულის მწარმოებელი კომპანია „ლ-ის“ მიერ წარმოებული პროდუქცია „ვ-ს“ რეალიზაციასა და დისტრიბუციას. ეს პროდუქცია სამართალწარმოების მიზეზი გახდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, სადაც კომპანია „ლ-ს“ აეკრძალა მრგვალი ფორმის ქოქოსით დაფარული კრემისა და ნუშის შიგთავსის ვაჭლის წარმოება და რეალიზაცია ისეთი ფორმით, რომელიც არღვევს „ფ-ს“ უფლებებს სასაქონლო ნიშანზე. აღნიშნულის მიუხედავად, კომპანია კვლავ აგრძელებს „ვ-ს“ რეალიზაციას საქართველოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით კომპანია „ს. ს.ა.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „უ. თ.ს“ აეკრძალა პროდუქცია „ვ-ს“ იმპორტი და რეალიზაცია, აგრეთვე, ამოღებულ და განადგურებულ იქნა საქართველოს ბაზარზე უკვე გავრცელებული პროდუქცია „ვ-ო“, მისი გამოსახულების ეტიკეტები, ანაბეჭდების შესაფუთი მასალები და სარეკლამო განცხადები.

სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. საქართველოში რეგისტრირებულია და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მაღრიდის ოქმით გავრცელებულია და დაცულია დასახელებები „R“, „F. R.“;

2. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2010 წლის 15 აპრილის №01-03/281 ნერილის თანახმად, სასაქონლო ნიშანი (საერთაშორისო რეგისტრაციის №... და №...), დაცულია საქართველოში;

3. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2010 წლის 24 აგვისტოს №104/03 ნერილის თანახმად, „L“ (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) და „WA...“ (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მაღრიდის ოქმის მიხედვით, საქართველოში დაცულია ნიშანია „WA...“, მისი მოქმედების ვადა 2019 წლის 25 მაისამდე, ხოლო მეორე ნიშანი „L“ გავრცელებულია საქართველოზე დაცვის მოთხოვნით, მასზე საქმის წარმოება დასრულებული არ არის;

4. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2010 წლის 29 ივნისის №01-03/533 ნერილის თანახმად, სასაქონლო ნიშანი (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) დაცულია საქართველოში, როგორც ორგანზომილებიანი გამოსახულება; საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2010 წლის 7 ივლისის №01-03/559 ნერილის თანახმად, საერთაშორისო რეგისტრაციის ნომრები 715752 და ... საქართველოში დაცულია, როგორც სამგანზომილებიანი ნიშანი;

5. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის 2010 წლის 7 ივნისის №01-03/559 ნერილის თანახმად, საერთაშორისო რეგისტრაციის ნომრები 715752 და ... საქართველოში დაცულია, როგორც სამგანზომილებიანი ნიშანი;

6. 2008 წლის 27 თებერვლის №GR/2008-2 ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში „W ...-ს“ რეალიზაციის ახდენს შპს „უ. თ.ი“;

7. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 30 ივლის დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევად წარმოდგენილ კანფეტებს ეტიკეტებზე წარწერით „L ...“ და „R...“ აქვთ მსგავსი ორგანოლეპტიკური (გემო, სუნი) მაჩვენებლები;

8. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 29 ივლის დასკვნის თანახმად, „R-ს“ და „ვ.-ლ-ის“ კოლოფები ერთმანეთისაგან განსახვავდებიან ფორმით, გამოსახულებებით, წარწერებით, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა ტიპის შრიფტით. თანადამთხვევა გამოვლინდა კოლოფებისა და ზოგიერთი გამოსახულების (წითელი, თეთრი, ოქროსფერი) ფერებში. „R-სა“ და „ვ.-ლ-ის“ კანფეტების შეფუთვებს გააჩნიათ ერთი და იმავე ფორმის შეფუთვა, ორივე მათგანის ბოლოები დაკბილულია და გამოყენებულია ერთნაირი ფერის საღებავი ნივთიერებები, დაახლოებით ერთნაირი ზომისა და შეფუთულია ერთიდაიგივე წესით. განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ შეფუთვაზე არსებული წარწერების შინაარსა და გამოსახულებებში. „R-სა“ და „ვ.-ლ-ის“ კანფეტებს გააჩნიათ ერთი და იგივე ფერი და ზომები, ხოლო ფორმა ნაწილობრივ ემთხვევა;

9. „L-მა“ შეცვალა კოლოფის დიზაინი და გადაუხადა კომპენსაცია „ს-ს“. კოლოფები ძველი დიზაინით, რომლებზეც დატანილი იყო სადაც აღნიშვნა, განადგურდა;

10. შპს „უ. თ-ის“ ახორციელებს რუსული კომპანია „ლ-ის“ წარმოებული „ვ-ს“ რეალიზაციასა და დისტრიბუციას საქართველოს ტერიტორიაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინებით შპს „უ. თ-ის“ სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტიბრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ მოცემულ დავაში კომპანია „ს-ი“ სადაც ხდიდა მხოლოდ „R-ს“ კანფეტის პირველადი შეფუთვის – სამგანზომილებიანი გამოსახულების (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) და თავად კანფეტის ორგანზომილებიანი გამოსახულების (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) უკანონო გამოყენებას. აღნიშნული მოთხოვნის საპირისპიროდ კი, აპელანტი მუდმივად მიუთითებდა „ვ.-ლ-ის“ კოლოფზე (და არა კანფეტზე და მის პირველად შეფუთვაზე), სასაქონლო ნიშნის კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის ფაქტზე და იმ გარემოებაზე, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 29 ივლის დასკვნის თანახმად, „R-ს“ და „ვ.-ლ-ის“ კოლოფები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმით, გამოსახულებებით, წარწერებით, წარწერები შესრულებულია სხვადასხვა ტიპის შრიფტით. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამ დასაბუთებით აპელანტი ვერ გააქარწყლებდა სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლოს მიერ აღნერილია არა სასაქონლო ნიშნის, არამედ უშუალოდ პროდუქციის აღნერილობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, აპელანტის მტკიცებით, თავდაპირველად საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სარჩელზე თანდარული სასაქონლო ნიშნის დაცვის დამადასტურებელი საქმებრივი 2009 წლის 20 ნოემბრის №01-03/706 წერილი, რომელშიც სადაც №... სასაქონლო ნიშანი საერთოდ არ ფიგურირებდა. მოგვიანებით კი, მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა უფრო ახალი 2010 წლის 15 აპრილის საქმატებრივი №01-03/281 წერილი, რომელშიც „ს-ის“ სახელზე რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშანი №.... აღნიშნულის საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განხილვის დროს მხარეებს შეუძლიათ, კანონით დადგენილ ფარგლებში სარჩელის თავდაპირველ საგანს დაამატონ ახალი მოთხოვნა და განახორციელონ სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაცია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის დისპოზიცია ამ უფლების რეალიზაციისათვის მოსარჩელეს განუსაზღვრავს დროს საქმის განხილვის გარკვეულ ეტაპამდე და ადგენს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება შეიძლება საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამზადებული სხდომა არ დანიშნულა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 აპრილის მთავარ სადომაზე, შუამდგრამლობის განხილვის ეტაპზე, კომპანია „ს-ის“ წარმომადგენელმაზე ზ. ბ-მა წარმოადგინა ახალი მტკიცებულება – 2010 წლის 15 აპრილს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქმატებრივის წერილი.

აღნიშნული განჩინება შპს „უ. თ-ის“ წარმომადგენელმა ა. მ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სს „ლ-ის“ სახელზე რეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ნიშანი, რომლებიც ასევე დაცული საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი და არ გაითვალისწინა საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც შეფუთვის კოლოფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, გამოსახულებით, წარწერებით. გარდა ამისა, იმავე დასკვნის მიხედვით, კანფეტ „ვ. ლ-ს“ აქვს ქოქოსისა და ვანილის სუსტად გამოხატული არომატი, „R-ს“ კი – კარგად გამოხატული ბალანსირებული არომატი, ასევე, კანფეტ „ვ-ს“ შიგთავსი ყვითელი სქელი მასაა, „R-სი“ კი – კრემისფერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ორი პროდუქციია არაფრით ჰგავს ერთმანეთს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ორივე პროდუქციის შეფუთვაზე გამოყენებულია წითელი და ოქროსფერი საღებავები და არ გაითვალისწინა ექსპერტიზის დას-

კვნის ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ ეს შეფუთვები ერთმანეთისაგან განსხვადება ნახატებითა და წარწერებით. სააპელაციო სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ კანფეტ „ვ-ს“ შეფუთვა არა მხოლოდ თეთრი და ოქროსფერია, არამედ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, ფორთოხლისფერი და ყავისფერიცაა. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ მოპასუხეს მთლიანად აუკრძალა „ვ-ს-ის“ დისტრიბუცია, რაც მას გამოუსწორებელ ფინანსურ ზიანს აყენებს. სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ მოსარჩელეს, თუ რაიმე პრეტენზია გააჩინდა სს „ლ-ის“ სასაქონლო ნიშნებთან, უნდა გაესაჩივრებინა საქპატენტის გადაწყვეტილება მათი რეგისტრაციის თაობაზე. „ს-ს“ კი, რეგისტრაციის გაუქმება არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მითინია, რომ შპს „უ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა აეკრძალა მთლიანად პროდუქცია „ვ-ს“ იმპორტი და რეალიზაცია.

სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად და ყურადღება არ გაუმახვილება იმ გარემოებაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადაცო იყო მხოლოდ კანფეტ „ვ-ს“ მსგავსება „რ-ს“ კანფეტის ორგანზომილებიან გამოსახულებასთან, ასევე „რ-ს“ პირველადი შეფუთვის სამგანზომილებიანი გამოსახულების უკანონო გამოყენება, სასამართლომ კი, მოპასუხეს მთლიანად პროდუქცია „ვ-ს“ იმპორტი და რეალიზაცია აუკრძალა, მაშინ, როდესაც, მხარის მითითებით, კომპანია „ლ-ი“ ამ დასახელებით არა მარტო ტკბილულს, არამედ სხვადასხვა პროდუქციას აწარმოებს, რომელთა მიმართაც „ს. ს-ს“-ს საკუთარი უფლებების დარღვევა სადაცო არ გაუხდია. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კი, ზოგადად პროდუქცია „ვ-ს“ მითითება სცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოპასუხის ინტერესებს უსაფუძვლოდ ზღუდავს. უფრო მეტიც, რეალურად, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის პრეტენზია მიმართული იყო კანფეტ „ვ-ს“ მხოლოდ ერთი სახეობის – „ვ. ვ-ს“ ნინაალმდეგ, რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა და გამოვლინდა როგორც პირველად შეფუთვის, ისე თავად კანფეტის მსგავსება „ს. ს-ა“-ს დაცულ სასაქონლო ნიშნებთან. საქმეში კი, წარმოდგენილია კანფეტ „ვ. ვ-ის“ ფოტო, რომლის მსგავსებაც „რ-სთან“ არ იკვეთება.

აღნიშნულ საკითხებზე შპს „უ. თ-ი“ თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ „რ-ს“ სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებულია სიტყვიერი აღნიშვნის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმსგავსებულიდ უნდა ჩაითვალოს სასაქონლო ნიშანი, რომელიც ვიზუალურად ჰქონდა რეგისტრირებულ გამოსახულებას. ვიზუალურ მსგავსებას იწვევს კანფეტების შეფუთვის ნესი, ფერი, ფორმა, ნარჩენების ფერი, განლაგება და შრიფტი, ასევე თავად კანფეტის ფორმა, ფერი და შემადგენლობა. სხვაგვარი ინტერპრეტაციის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისმიერი კანფეტი, რომელიც დაკბილულბოლობებინა შეფუთვითა გამოშვებული და დაფენილი ქოქოსითა დაფარული შეიძლება არღვევდეს კომპანია „ს-ის“ სამრეწველო საკუთრებას, რაც არარეალურია. სასაქონლო ნიშნის უპირველესი დანიშნულება პროდუქციისა და მწარმოებლის განსხვავებაა სხვა ანალოგიური პროდუქციისაგან. ამდენად, არსებითი ამ შემთხვევაში ის გარემოებაა, რამდენად შეიძლება „ლ-ის“ პროდუქციის აღრევა „რ-სთან.“ ამ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომლის ნორმების შესაბამისადაც, დაუშვებელია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების იდენტური ან აღრევამდე მიმსგავსებული სასაქონლო ნიშნების გამოყენება (მუხლი 5, 6). იმ პირობებში, როდესაც პირველადი შეფუთვის ფერი, ასევე კანფეტის ფერი და შიგთავსი განსხვავებულია, აღრევამდე მსგავსებაზე საუბარი შეუძლებელია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არასორი გადაწყვეტილებაა მიღებული.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო „რ-სა“ და „ვ-ს“ კოლოფების განსხვავება, ამ ნაწილში საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას და აღნიშნავს, რომ კოლოფების მსგავსებაზე მოსარჩელეს არასოდეს მიუთითებია, მოცემულ შემთხვევაში სადაც იყო მხოლოდ „რ-ს“ კანფეტის პირველადი შეფუთვის – სამგანზომილებიანი გამოსახულების (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) და თავად კანფეტის ორგანზომილებიანი გამოსახულების (საერთაშორისო რეგისტრაციის №...) უკანონო გამოყენება, აღნიშნულის საპირისპიროდ კი, მოპასუხეს, რეალურად, არგუმენტი არ გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში მტკიცებულებების გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საჭიროება არ არსებობს, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „უ. თ-ს“ უნდა აეკრძალოს თეთრი ფერის ქოქოსის ფანტელებით დაფარული კანფეტ „ვ-ს“, რომელიც წარმოდგენილია თეთრ-წითელ დაკბილულბოლოებიანი პირ-

ველადი შეფუთვით, იმპორტი და რეალიზაცია. ასევე უნდა დადგინდეს საქართველოს ბაზარზე უკვე გავრცელებული პროდუქცია „ვ. კ-ის“ ამოდება, განადგურება, მისი გამოსახულების ეტიკეტების, ანაბეჭდების, შესაფუთი მასალებისა და სარეკლამო განცხადებების განადგურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

შპს „ვ. თ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სასამართლო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:

1. კომპანია „ს. ს.ა.“-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ვ. თ-ის“ აეკრძალოს თეორი ფერის ქოქოსის ფანტელებით დაფარული კანფეტ „ვ-ს“, რომელიც წარმოდგენილია თეორ-წითელ დაკბილულბოლოებიანი პირველადი შეფუთვით, იმპორტი და რეალიზაცია;

3. განხორციელდეს საქართველოს ბაზარზე უკვე გავრცელებული პროდუქცია „ვ. კ-ის“ ამოდება, განადგურება, მისი გამოსახულების ეტიკეტების, ანაბეჭდების, შესაფუთი მასალებისა და სარეკლამო განცხადებების განადგურება;

4. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის მსგავსება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-471-445-2011

26 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: კომპინირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა, მისი გამოყენებით შექმნილი გამოსახულებების განადგურება, სასაქონლო ნიშნის რეგიტრაციის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

რეგისტრირებულმა კავშირმა „ქ. ნ.“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ბ. პ-სა“ და ინტელექტუალური საკუთრების ერვნულ ცენტრ „ს-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სიტყვა „ბ-ის“ გამოყენების აკრძალვა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ნებისმიერ ბრუნვაში, ნებისმიერი ფერისა და სტილის შრიფტით, გარდა წრილი შრიფტისა, რომელიც მწარმოებლისა და მისი მისამართის აღსანიშნავადაა განკუთხილი, კერძოდ:

1. მოპასუხისათვის დაცული ნიშნის საქონელზე ან მის შეფუთვაზე დატანების აკრძალვა;
2. ასეთი საქონლის შეთავაზების, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის ან საწყობში ამ მიზნით შენახვის, იმპორტის ან ექსპორტის, აკრძალვა;
3. დაცული ნიშნით მომსახურების შეთავაზების ან განვის აკრძალვა;
4. დაცული ნიშნის რეკლამისათვის ან საქმიან ქაღალდზე გამოყენების აკრძალვა;
5. დაცული ნიშნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებების, ეტიკეტების, შესაფუთი მასალის, სარეკლამო განცხადებების და ნიშანდებული საქონლის, აგრეთვე დაცული ნიშნის დამზადებისათვის საჭირო კლიენტებისა და მატრიცების განადგურება;
6. მოპასუხის სახელზე 2002 წლის ნოემბერში „საქპატენტში“ №14810 ნომრით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა;

7. მოპასუხისათვის დაცული ნიშნის უკანონ გამოყენებისათვის 500 000 ლარის დაკისრება;
8. მოპასუხისათვის დაცული ნიშნის გამოყენებით მოსარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 50 000 ლარის გადახდის დაკისრება (საქმიანი რეპუტაციის შეღახვისათვის).

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის კომპინირებულ სასაქონლო ნიშანზე არასტანდარტული შრიფტით შესრულებული წარწერა – „ზ-ის“ ქვემოთ განთავსებულია წარწერა – „ხ-დან“, აღნიშნული წარწერის ქვემოთ კი განთავსებულია რუსული დიდი ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნა – „ბ-ი“. მოპასუხის კომპინირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსებას მოსარჩელის მიერ რეგისტრირებულ

სასაქონლო ნიშანთან განაპირობებს სიტყვიერი აღნიშვნა – „ბ-ი“, ასევე ეტიკეტის წითელ და ცისფერ ფერებში გადაწყვეტის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ა. კ-ის“ და რეგისტრირებული კავშირი „ქ. წ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ბ. პ-ს“ აეკრძალა კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად რუსული დიდი ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნის „ნ...“ გამოყენება, მისი დატანა საქონელზე ან შეფუთვაზე, აგრეთვე ამ ნიშნით ნიშანდებული საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან საწყიბში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი და ექსპორტი, მომსახურების შეთავაზება ან განევა, რეკლამისათვის ან საქმიან ქალალდებზე გამოყენება, განადგურდეს ამ სიტყვიერი აღნიშვნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებები, ეტიკეტები, შესაფუთი მასალა, სარეკლამო განცხადები, კლიმატური და მატერიალური განცხადები, დაკმაყოფილი გადაწყვეტილება.

აღნიშვნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ასოციაცია „ქ. წ-სა“ და შპს „ა. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ასოციაცია „ქ. წ-სა“ და შპს „ა. კ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ბ. პ-ს“ აეკრძალა კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ნებისმიერი ფერისა და სტილის შრიფტით, გარდა წვრილი შრიფტისა (რომელიც მწარმებლისა და მისი მისამართის აღსანიშნავადაა განკუთვნილი), სიტყვა „ბ-ის“ გამოყენება, მისი დატანა საქონელზე ან შეფუთვაზე, აგრეთვე მისით ნიშანდებული საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი და ექსპორტი, მომსახურების შეთავაზება ან განევა, რეკლამისათვის ან საქმიან ქალალდებზე გამოყენება, განადგურდა ამ სიტყვიერი აღნიშვნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებები, ეტიკეტები, შესაფუთი მასალა, სარეკლამო განცხადებები, კლიმენტები და მატრიცები, შპს „ბ. პ-ს“ დაეკისრა ასოციაცია „ქართული მინა და მინერალური წყლებისა“ და შპს „ა. კ-ის“ სასარგებლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით, ბათოლად იქნა ცნობილი 2002 წლის ნოემბერში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ 14810 ნომრით შპს „ბ. პ-ის“ სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეიცავს დასახელებას „ბ-ი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო მის შემადგენელ ფერებს ნარმოადგენს ნითელი, ლურჯი, მწვანე, ვარდისფერი, ცისფერი, ყავისფერ, ყავისფერ, თეთრი, შავი და ოქროსფერი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 1998 წლის 1 ივლისს ნომრით M1998 9925 და M1998 9924, როგორც კოლექტიური სასაქონლო ნიშანი, რომლის მფლობელებს ნარმოადგენენ: 1) რეგისტრირებული კავშირი „ქ. წ-ი“, 2) სს „ბ-ი“, 3) „ბ-ის“ №1 ჩამომსხმელი ქარხანა, 4) „ბ-ის“ №4 ჩამომსხმელი ქარხანა;

შპს „ჯ. კ-ის“ მიღებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია ბორჯომის მინერალური წყლის საბადოზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7² მუხლის საფუძველზე;

სასაქონლო ნიშანი, რომელზეც გამოსახულია წითელი და ცისფერი ფერების კომბინაცია, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 2002 წლის ნოემბერში ნომრით 14810, როგორც სასაქონლო ნიშანი, რომლის მფლობელს ნარმოადგენს შპს „ბ. პ-ი“;

შპს „ბ. პ-ს“ მიღებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია ზანავის მინერალური წყლის საბადოზე 1999 წლის 17 დეკემბრიდან. ზანავის მინერალური წყლის საბადო მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ ზანავის მიმდებარე ტერიტორიაზე და ცნობილია, როგორც ზანავის საბადო, რომელზეც წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიაზე 2003 წლის 29 იანვარს დამტკიცდა მინერალური წყლის სამრეწველო მარაგები 25 წლის ვადით;

სს „ბ-სა“ და შპს „ბ. პ-ს“ შორის 2002 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის საგანია მინერალური წყლის – „ბ-ის“ მინოდება. ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ბ. პ-მა“ იკისრა ვალდებულება, მინერალური წლის – „ბ-ის“ ჩამოსხმელისა და რეალიზაციისას გამოყენებული სასაქონლო ნიშანი შეეთანხმებინა სს „ბ-თან“. შეთანხმებით განისაზღვრა ამ უკანასკნელის უფლებამოსილება, უარი ეთქვა შპს „ბ. პ-სათვის“ კონკრეტული სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე, თუ მისთვის არ იქნებოდა დამახასიათებელი „ბ-ის“ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტები;

შპს „ბ. პ-ი“ ახორციელებს მინერალური წყალ „ზ-ის“ რეალიზაციას, რომლის კომბინირებული სასაქონლო ნიშნები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: წითელ და ცისფერ ფონზე მართულხედში ჩასმული წყლის შეხფების გამოსახულება, რომელიც გადაწყვეტილია ცისფერ და თეთრ ფერებში (სადაც სასაქონლო ნიშანი უცვლელი დარჩა). აღნიშვნული მართულხედის ქვეშ რუსული მსხვილი ასომთავრული შრიფტით შესრულებულია წარწერა „3...“, ხოლო ამ წარწერის გასწვრივ, ეტიკეტის მეორე წარწერი ასევე მსხვილი ასომთავრული შრიფტით ლათინური ასოებით აღნიშვნულია „Z...“. ამ წარწერების ქვემოთ შესაბამისია ასომთავრული შრიფტით ლათინური, თუმცა დიდი შრიფტით წერია: „И 3 ...“ და „From ...“;

2002 წლის ნოემბერში შპს „ბ. პ-ის“ სახელზე დარეგისტრირებული №14810 სასაქონლო ნიშანი ხასიათდება ფერთა ისეთი შემადგენლობითა და გამოსახულებით, რომელიც მსგავსია მოსარჩელეთა სახელზე 1998 წლის 1 ივლისს ნომრით №1998 9925 დარეგისტრირებული კოლექტიური სასაქონლო ნიშნისა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ დასკვნას აღასტურებს საქმეში არსებული სოციო-ლოგიური კვლევის შედეგები, რასაც სააპელაციო პალატა დაეყრდნო ფაქტის შეფასებისას სუბიექტივიზ-მის გამორიცხვის მიზნით. დასკვნის შესაბამისად 1000 გამოყითსულიდან 52%-მა უპასუხა, რომ შპს „ბ. პ-ის“ მინერალური წყლის – ზანავის ეტიკეტი (რომელზეც წითელი და ცისფერი ფერების ფონზე მსხვილი ასომთავრული შრიფტით შესრულებულია წარწერა „3.“, ხოლო ამ წარწერის გასწროვ, ეტიკეტის მეორე წარწერის ასევე მსხვილი ასომთავრული შრიფტით ლათინური ასოებით აღნიშნულია „Z.“, ამ წარწერების ქვემოთ შესაბამისად რუსულად და ინგლისურად, არასომთავრული, თუმცა დიდი შრიფტით წერია: „И 3 ...“ და „From ...“) ასოცირდება ბ-ის ერთ-ერთ სახეობასთან, ხოლო 31%-ის აზრით ეტიკეტი ქმნის ყალბი „ბ-ს“ შთაბეჭდილებას. კითხვაზე, თუ რამ გამოიჩვია ეტიკეტის ასოცირება „ბ-ის“ მინერალურ წყალთან, გა-მოკითხულთა 31,5%-მა მიუთითა ეტიკეტის ფერებზე, 71,1%-მა კი ასოცირების საფუძვლად დაასახელა ეტიკეტის ზოგადი მახასიათებლები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო სასაქონლო ნიშნის მოსარჩევეთა კოლექტიური სა-საქონლო ნიშანთან მსგავსებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შპს „ბ. პ-ს“ მიერ მიისი გამოყენება ხდებოდა მინერალური წყალი „ბ-ს“ ჩამოსხმა-რეალიზაციისას საამისო უფლების მიღების საფუძველზე წარმოშო-ბილი სპეციალური ვალდებულების გამო – „ბ-ს“ რეალიზაციისას გამოყენებული სასაქონლო ნიშანი ყო-ფილიყო გამოსახული ამ მინერალური წყლის მიმწოდებლის მიერ მისთვის დარეგისტრირებული სასაქონ-ლო ნიშნის დამახასიათებელი ელემენტებით.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ბ. პ-ს“ სახელზე 2002 წლის ნოემბერში დარეგისტრირ-დული სასაქონლო ნიშანი ნომრით 14810, რომელიც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის ფონს წითელი და ცისფერი ფერების კომბინაციით, იწვევს ამ ნიშნით გავრცელებული პროდუქციის – მინერალური წყალი „ბ-ის“ ალრევას იგივე სახეობის პროდუქციასთან – მინერალურ წყალ „ბ-თან“, მიუხედავად ეტიკეტზე არ-სებული დასახელებისა „ზ-ი“.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პროდუქციის დასახელებად უნდა განისაზღვროს ეტიკეტზე თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად შესრულებული სრული ფრაზა – „ბ. ბ-ს ხ-დან“. კანონით გათვალისწი-ნებულია პროდუქციის დასახელებაზე მიისი მფლობელის უფლებების დაცვა ამ დასახელების სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრაციის გზით, თუმცა არა ყოველგვარი დასახელება შეიძლება, განხილულ იქნეს, როგორც კანონით დაცული ობიექტი. პროდუქციის დასახელების ისეთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მიისი სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, გეოგრაფიული წარმოშობისა თუ სხვა მახასიათებლის ამსახველია, ანუ წარმოადგენს ზოგად აღნიშვნას, რომელიც არ შეიძლება, შეფასებულ იქნეს როგორც სა-კუთარი სახელი, არ წარმოადგენს დასახელების შემადგენლობის დაცულ ნაწილს მიისი სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრაციის შემთხვევაშიც. იმ პირობებში, როცა პროდუქციის სპეციფიკის მხედველობაში მი-ღებით მიისი დასახელების აღსანიშნავად არსებითია ისეთი ზოგადი მახასიათებლის აღნიშვნა, როგორიცაა გეოგრაფიულ აღგილზე მითითება, კანონი ითვალისწინებს დასახელებაზე სახელის უფლებასთან დაკავ-შირებული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას მის „კოლექტიურ სასაქონლო ნიშნად“ ან აღვილნარმო-შობის დასახელებად „საქპატენტში“ რეგისტრაციის გზით, რაც უნდა იქნეს შეფასებული, როგორც დაცუ-ლი დასახელების ზოგადი ხასიათის აღნიშვნად გამოყენების დაუშვებლობის ნინაპირობა. კერძოდ, იგუ-ლისხმება ასეთი აღნიშვნის გამოყენება პროდუქციის სახელწოდებისათვის. მოცემულ შემთხვევაში პალა-ტა თვლის, რომ მოპასუხე მხარის მიერ მოსარჩევთა კოლექტიური სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გზით დაცული დასახელება „ბ-ი“ გამოყენებულ იქნა სხვა მსგავსი პროდუქციის – მინერალური წლის და-სახელების შემადგენლობაში აღნიშვნა. ასეთი გამოყენება კი განხორციელდა იმგვარად, რომ საამისოდ უფლე-ბამოსილ ორგანოს – „საქპატენტს“ არ უმსჯელია მიისი დაშვების მართლზომიერებაზე პროდუქციის მახა-სიათებლებისა თუ რეგისტრაციით უკვე დაცული ობიექტების შეფასების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ თავისი პროდუქ-ციის დასახელების შემადგენლობაში აღნიშვნა „ბ-ს“ გამოყენება არ განხორციელებულა კანონის მოთ-ხოვნათა დაცვით, ამდენად, მოპასუხეს არ ჰქონია სადაცო აღნიშვნის გამოყენების მართლზომიერებაზე პროდუქციის მახა-სიათებლებისა თუ რეგისტრაციით უკვე დაცული ობიექტების შეფასების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ადგილი აქვს მოპასუხის მიერ მოსარჩევეთა სამართლებრივი სიკეთის – კანონით დაცული კოლექტიური სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერ გამოყენებას. დაცული ობიექტის ასეთი გამოყენებით მიღებული სარგებელი უნდა იქნეს განხილულ, როგორც უსაფუძვლოდ მი-ღებული სარგებელი, რისი გადახდის ვალდებულებაც დარღვეული უფლების მქონე პირისათვის უფლების ხელმყოფ პირს წარმოშობა ზიანის ანაზღაურების სახით. ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯები არ ამცირებს მიისი გამდიდრების ოდენობას, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 984.2 მუხლისა. იგივე კოდექსის 985-ე მუხლით, თუ ხელმყოფმა განზრას არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებ-რივ დანაკლისა. ხელმყოფმა უნდა წარადგინოს ცნობები იმის თაობაზე, თუ რა მოგება მიიღო მან სხვისი ქონების გამოყენებით. სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერად გამოყენებიდან პირდაპირ გამომდინარე-ობს ამ ქმედების კომერციული მიზნები და შესაბამისად, მიისი განხორციელებით შემოსავლის მიღების ფაქტი. სადაცო არ ყოფილა გამხდარი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სადაცო სასაქონლო ნიშნე-ბით მოპასუხის პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული გარემოება. სააპელაციო სასამართლოს პოზიციით, არ არსებობდა დასახელებული პერიოდისა და უსაფუძვლო შემოსავლის მიღების ფაქტზე, კერ-ძოდ, კონკრეტული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე მსჯელობის საჭიროება, გამომდინარე იქედან, რომ

მოსარჩეულები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში შეამცირა მოთხოვნა სიმბოლურ თანხამდე – 1 ლარამდე.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხის წარმომადგენელმა გიგა კვერცხჩენილაძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის მტკიცებით, მოსარჩევისა და მოპასუხის სახელზე დარეგისტრირებული კოლექტიური სა-საქონლო ნიშნის ვიზუალური ეფექტი იმდენად განსხვავებულია, რომ შეუძლებელია მოხდეს მათი ერთმა-ნეთში აღრევა. ამასთან, „ბ-ი“ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის ე.ნ. დაუცველ ნაწილს, იგი რეგისტრირებულია როგორც „კოლექტიური ნიშანი“. აპელანტის განმარტებით, „ბ-ს ხ.“ სწორედ ის ადგილი, სადაც მოიპოვება ზანავის წყალი. შესაბამისად, ეტკიცეტზე მითითებულია ზანავის გეოგრაფიული წარმოშობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „ბ. პ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეიცავს დასახელებას „ბ-ი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო მის შემადგენელ ფერებს წარმოადგენს წითელი, ლურჯი, მწვანე, ვარდისფერი, ცისფერი, ყავისფერ, თეთრი, შავი და ოქროსფერი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ რეგისტრირებულია 1998 წლის 1 ივლისს ნომრით M1998 9925 და M1998 9924, როგორც კოლექტიური სასაქონლო ნიშანი, რომლის მფლობელებს წარმოადგენენ: 1) რეგისტრირებული კავშირი „ქ. ნ-ი“, 2) სს „ბ-ი“, 3) „ბ-ის“ №1 ჩამომსხმელი ქარხანა, 4) „ბ-ის“ №4 ჩამომსხმელი ქარხანა;

შპს „ჯ. კ-ის“ მიღებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია ბორჯომის მინერალური წყლის საპადოზე საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7² მუხლის საფუძვლზე;

სასაქონლო ნიშანი, რომელზეც გამოსახულია წითელი და ცისფერი ფერების კომბინაცია, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქართველოში“ რეგისტრირებულია 2002 წლის ნოემბერში ნომრით 14810, როგორც სასაქონლო ნიშანი, რომლის მფლობელს წარმოადგენს შპს „პ.პ-ი“;

შპს „ბ. პ-ს“ მიღებული აქვს წიაღით სარგებლობის ლიცენზია ზ-ის მინერალური წყლის საბადოზე 1999 წლის 17 დეკემბრიდან. ზანავის მინერალური წყლის საბადო მდებარეობს ბორჯომის რაიონის სოფელ ზანავის მიმდებარე ტერიტორიაზე და ცნობილია, როგორც ზანავის საბადო, რომელზეც წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიაზე 2003 წლის 29 იანვარს დამტკიცდა მინერალური წყლის სამრეწველო მარაგები 25 წლის ვადით;

სს „ბ-სა“ და შპს „ბ. პ-ს“ შორის 2002 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის საგანია მინერალური წყლის – „ბ-ის“ მიწოდება. ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ბ. პ-მა“ იკისრა ვალდებულება, მინერალური წყლის – „ბ-ის“ ჩამოსხმისას და რეალიზაციისას გამოყენებული სასაქონლო ნიშანი შეეთანხმებინა სს „ბ-თან“. შეთანხმებით განისაზღვრა ამ უკანასკნელის უფლებამოსილება, უარი ეთქვა შპს „ბ. პ-სათვის“ კონკრეტული სასაქონლო ნიშნის გამოყენებაზე, თუ მისთვის არ იქნებოდა დამახასიათებელი „ბ-ის“ თარიღისტრირებული სასაქონლო ნიშნის უღიმუნობა;

შპს „ბ. პ-ი“ ახორციელებს მინერალური წყალი „ზ-ის“ რეალიზაციას, რომლის კომპინირებული სასაქონლო ნიშნები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: წითელ და ცისფერ ფონზე მართკუთხედში ჩასმული წყლის შეფენების გამოსახულება, რომელიც გადაწყვეტილია ცისფერ და თეთრ ფერებში (სადაც სასაქონლო ნიშანი უცვლელი დარჩა). აღნიშნული ძართკუთხედის ქვეშ რუსული მსხვილი ასომთავრული შრიფტით შესრულებულია წარწერა „3...“, ხოლო ამ წარწერის გასწვრივ, ეტიკეტის მეორე ნაწილში ასევე მსხვილი ასომთავრული შრიფტით ლათინური ასოებით აღნიშნულია „Z...“. ამ წარწერების ქვემოთ შესაბამისათ რესოლუციათ და ინვალიძურათ. არაასომთავრული, ოქმაცა ორი შრიფტით წარია... უ 3 ...“ და „From ...“:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემობები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყანაზე არ არის დასშაბაზი და დასპოთაზე პრიტჩნზია (შეარაბა).

განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა აღნიშნული მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით. საკასაციო პალატამ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები და საპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათობების ან სხვა თვისებების მიხედვით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კოლექტიური სასაქონლო ნიშანი ისევეა ინტელექტუალური სა-კუთრების ობიექტი, როგორც ნებისმიერი სხვა სასაქონლო ნიშანი, შესაბამისად, ანალოგიურია მისი დაც-ვის ფარგლებიც.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასა-ქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სა-მოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ლირებულების, დანიშნულების, გე-ოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩეულება მტკიცებით, შპს „ბ. პ-ის“ სასაქონლო ნიშანი მათ კოლექტი-ურ სასაქონლო ნიშანთან იყო მიმსგავსებული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი რა ხარისხითაა მიმსგავსებული კოლექტიურ სასაქონლო ნიშანთან, ამასთან, აქვს თუ არა მოპასუხეს გეოგრაფიული სახელის გამოყენების მართლზომიერი უფლე-ბა და ამგვარი გამოყენება ხომ არ ლაშავს კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებს.

პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ეტკიცეტების მიმსგავსების საკითხზე.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსა-კუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალა-ქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირს დაცული სა-საქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

სასაქონლო ნიშნის ძირითადი დანიშნულება პროდუქციის იდენტიფიცირება და ერთი მნარმეობლის მეორესაგან განსხვავებაა. ამ გარემოების გათვალისწინებით, ერთი მნარმებლის მიერ თავისი სასაქონლო ნიშნის მიმსგავსება უკვე ცნობილ ნიშანთან, მომხმარებლის თვალში საკუთარი პროდუქციის ამ მნარმე-ობელთან დაკავშირების ან იგივე პროდუქციად გასაღების მცდელობაა. იდენტურობისგან განსხვავებით, როდესაც სასაქონლო ნიშნის ყველა მახასიათებელი მეორდება, მიმსგავსების შემთხვევაში უნდა შეფას-დეს ის საერთო ეფექტი რასაც კონკრეტული ნიშანი მთლიანობაში ახდენს მომხმარებელზე. საშუალო მომხმარებელი პროდუქციის შეძენისას საერთო შთაბეჭდილებით ხელმძღვანელობს და უმნიშვნელო, არაგამოკვეთილ განმასხვავებელ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს.

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნების მსგავსება ყოველი დავის გადაწყვეტი-სას სასამართლოს შესაფასებელია და ამ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილ ვერც ერთ მტკიცებულე-ბას გადაწყვეტი მნიშვნელობა ვერ ექნება. მსგავსება არ არის ობიექტური ერთეული, რომლის განსაზ-ღვრაც სპეციალური ცოდნის გამოყენებით (ექსპერტის დასკვნით) იქნებოდა შესაძლებელი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებულ სოციოლიგიუ-რი გამოკითხვის შედეგებს, რომელსაც სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო დავის გადაჭრისას, სასამარ-თლოსათვის მხოლოდ დამატებითი არგუმენტის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არა იმგვარი მტკიცებულების, რომელზე დაყრდნობითაც იურიდიული ფაქტის დადგენა იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება კონკრეტული სასაქონლო ნიშნების მსგავსებას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმე-ში წარმოდგენილი მოპასუხის ეტიკეტებიდან მხოლოდ ს.ფ. 364-ზე არსებული რუსულენოვანი ეტიკეტია მოსარჩევის სასაქონლო ნიშანთან იმგვარად მიმსგავსებული, რომ მათი აღრევის შესაძლებლობას იძლე-ვა. აღნიშნულ ეტიკეტზე გამოყენებული წითელი ფერი, თავისი სიმკვეთრით თითქმის ბორჯომის ეტიკე-ტის ანალოგიურია, თუმცა გადამწყვეტი მაინც ის გარემოებაა, რომ ეტიკეტის წინხედზე მსხვილი, ასომ-თავრული შრიფტით, მაგრამ მკრთალი საღებავით მითითებულია „3...“, ხოლო მის ქვემოთ „1.3 ...“ იმგვა-რად, რომ სიტყვა „ნ...“ ყველაზე მეტადა გამოკვეთილი. შრიფტი და წარწერის სტილი მიმსგავსებულია ბორჯომის ეტიკეტთან, რაც მთლიანობაში, აღნიშნულ ორი პროდუქციის ასოცირების შესაძლებლობას იძლევა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „ბ. პ-ის“ მიერ თავის ეტიკეტზე სიტყვა „ნ...“ -ს ამგვარი მითითე-ბა მოსარჩელეთა კანონიერ ინტერესებს ლახავს, რის გამოც შპს „ბორჯომი-პროდაქტს“ უნდა აეკრძალოს კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად რუსული დიდი ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშნება „ნ...“ გამოყენება.

მოპასუხის დანარჩენ ეტიკეტებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში გან-თავსებული ეტიკეტები იმდენად განსხვავდება ბორჯომის ეტიკეტისაგან (გამოყენებულია განსხვავებუ-ლი ფერები, გამოსახულება, ეტიკეტის წინხედზე არ არის მითითებული სიტყვა „ბ-ი“ არც ერთ ენაზე, მხო-ლოდ „ზ-ა“ მითითებული ქართული, რუსული და ლათინური შრიფტით), რომ მათთან დაკავშირებით მსჯე-ლობა არაგონივრულია.

რაც შეეხება საქმეში არსებულ რუსულ და ინგლისურენოვან ეტიკეტს, საკასაციო პალატა არ იზია-რებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ იგი ბორჯომის ეტიკეტთან მიმსგავსებულია.

აღნიშნულ ეტიკეტთან დაკავშირებით, მოსარჩევები, ძირითადად, იმ გარემოებას ხდიდნენ სადავოდ, რომ მასზე სიტყვა „ბ-ი“ რუსულად და ლათინურად მსხვილი შრიფტითაა გამოსახული. გარდა ამისა, მოპა-სუხეებს საერთოდ არ ჰქონდათ უფლება სიტყვა „ბ-ი“ თავინათი სასაქონლო ნიშნის ნაწილად გამოყენე-ბინათ, გარდა მისამართის სახით აღნიშვნისა.

საკასაციონ სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ბორჯომი არ არის ადგილწარმოშობის დასახელება, ვინაიდან ასეთად არ არის რეგისტრირებული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

აღნიშნულის მიუხედავად, „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, გეოგრაფიული სახელის კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაცია არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს ამ სახელნოდების გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში, თუ ამით არ ირღვევა კეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმები და მესამე პირს აქვს ამ დასახელების გამოყენების მართლზომიერი საფუძველი.

ბორჯომი, თავისთავად, გეოგრაფიულ სახელს წარმოადგენს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს, იწვევს თუ არა მოპასუხეთა მიერ მისი გამოყენება კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების დარღვევას.

„სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ პარაზის კონვენციის მე-10^ბ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წევრი ქეყნები ვალდებული არიან გაატარონ ეფექტური ზომები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად.

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განსაკუთრებით იკრძალება ყველა ქმედება, რომელიც ნებისმიერი გზით კონკურენცი საწარმოსთან, საქონელთან, ინდუსტრიულ ან კომერციულ საქმიანობასთან აღრევას იწვევს.

ამდენად, ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სადაც ეტიკეტი მიმსგავსებული ბორჯომის ეტიკეტთან და მასზე სიტყვა „ბ-ის“ გამოყენება იწვევს თუ არა მწარმოებლის ან პროდუქციის აღრევას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული ეტიკეტი, არ არის ბორჯომის ეტიკეტთან მიმსგავსებული იმგვარად, რომ მათი აღრევა შესაძლებელი იყოს. ეტიკეტზე გამოყენებული დომინანტი ფერები განსხვავდება ბორჯომის ეტიკეტზე არსებულისაგან, კერძოდ, შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტზე გამოყენებულია წითელი და ღია ცისფერი, მოსარჩევეთა ეტიკეტზე – წითელი და მუქი ლურჯი, განსხვავდება თავად ფერთა კომპოზიციაც (ფერების გამოსახვის მიმართულება), ხოლო შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტზე გამოსახულ ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმულ წყლის შეფეხს არაფერი აქვს საერთო ბორჯომის ეტიკეტზე არსებული ბორჯომის წყაროს გამოსახულებასთან.

რაც შეეხება სიტყვა „ბ-ის“ გამოყენებას: შპს „ბ. პ-ის“ ეტიკეტის წინხედზე რუსულად და ლათინურად, მსხვილი ასომთავრული შრიფტით მითითებულია „ზ-ი“, ხოლო მის ქვემოთ, ბევრად მცირე შრიფტით, არაასომთავრულად, მაგრამ გამოკვეთილად მინერილია „И 3 ...“ და, შესაბამისად, „From ...“ წარწერის შრიფტი და სტილი არ არის მიმსგავსებული ბორჯომის ეტიკეტთან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ „ზ. ბ-ის ხ-დან“ მთლიანად უნდა ჩაითვალოს პროდუქციის დასახელებად. მოცემული ეტიკეტიდან წათლად იკვეთება, რომ პროდუქციის დასახელებაა ზანავი, ხოლო „ბ-ის ხ-დან“ – მისი მოპოვების ადგილის დაკონკრეტება, იმ ბუნებრივ გარემოზე აქცენტის გაკეთება, რაც აღნიშნული პროდუქციის თვისებებს შეიძლება განაპირობდებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეტიკეტზე ამ სახით შესრულებული წარწერა ბორჯომთან გაიგივებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მომხმარებლისათვის პროდუქციის წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რაც, ბუნებრივია, მისი პოპულარიზაციის მიზნით ხდება, მაგრამ აღნიშნული, თავისთავად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება ვერ ჩაითვლება. ის, რომ შეთავაზებული პროდუქტი არის ზანავი და არა ბორჯომი, ეტიკეტიდან წათლად ჩანს. ხოლო, ის გარემოება, რომ ზანავი ასევე მოიპოვება ბორჯომის ხეობაში, ზანავის საბადოდან, სადაც არ არის.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განევად უკვე განხორციელებული ქმედება შეიძლება ჩაითვალოს. არსებული სახით კი, მოპასუხის ეტიკეტები, გარდა ერთისა, ბორჯომის ეტიკეტებთან მიმსგავსებული არ არის, შესაბამისად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ. პ-სათვის“ ნებისმიერი ფერისა და სტილის შრიფტით ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე სიტყვა „ბ-ის“ გამოყენების აკრძალვის ნაწილში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის გადაჭრისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, ამასთან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია ან არ შეუფასებია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ბ. პ-ის“ სახელზე რეგისტრირებული №14810 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის ნაწილში ასევე დაუსაბუთებელია. მოცემული სასაქონლო ნიშანი იმავე ელემენტებს შეიცავს, რასაც მოპასუხის რუსულ და ინგლისურ კონვენციის ფერთა კომბინაცია წითელი და ღია ცისფერი, შეფეხის გამოსახულება), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თავის მსჯელობას აღარ გაიმეორებს და მხოლოდ აღნიშნავს, რომ ვინაიდან ეს სასაქონლო ნიშანი მოსარჩევეთა კომბინირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი არაა, მისი რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხეთავის ზიანის ანაზღაურების სახით სიმბოლურად 1 ლარის დაკისრებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს. შპს „ბ. პ-ის“ მართლაც იყენებდა ეტიკეტს, რომელიც მო-

სარჩელეთა სასაქონლო ნიშანთან აღრევამდე მიმსგავსებული იყო, რითაც მოსარჩელებს ზიანი მიადგათ, გარდა ამისა, საკასაციო საჩივარში რაიმე მოსაზრება ამ ნაწილში გადაწყვეტილების უსწორობის შესახებ მოცემული არაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მხორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასოციაციამ „ქ. წ-ი“ და შპს „ა. კ-მ“ შპს „ბ. პ-ს“ უნდა აუნაზღაურონ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ც ვ ი ტ ა:

1. შპს „ბ. პ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება მოპასუხისათვის კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ნებისმიერი ფერისა და სტილის შრიფტით, გარდა წვრილი შრიფტისა (რომელიც მნარმობლისა და მისი მისამართის აღსანიშნავადაა განკუთვნილი), სიტყვა „ბ-ის“ გამოყენება, საქონელზე ან შეფუთვაზე მისი დატანების, აგრეთვე მისით ნიშანდებული საქონლის შეთავაზების, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანის ან საწყობში ამ მიზნით შენახვის, იმპორტის და ექსპორტის, მომსახურების შეთავაზების ან განევის, რეკლამისათვის ან საქმიან ქაღალდებზე გამოყენების აკრძალვის, ამ სიტყვიერი აღნიშვნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებების, ეტიკეტების, შესაფუთი მასალის, სარეკლამო განცხადებების, კლიშეებისა და მატრიცების განადგურების, ასევე „საქპანეტში“ რეგისტრირებული №14810 სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3. ასოციაცია „ქ. წ-ის“, შპს „ა. კ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. შპს „ბ. პ-ს“ აკრძალოს კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ელემენტად რუსული დიდი ასომთავრული შრიფტით შესრულებული სიტყვიერი აღნიშვნის „ნ...“ გამოყენება, მისი დატანა საქონელზე ან შეფუთვაზე, აგრეთვე ამ ნიშნით ნიშანდებული საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი და ექსპორტი, მომსახურების შეთავაზება ან განევა, რეკლამისათვის ან საქმიან ქაღალდებზე გამოყენება, განადგურდეს ამ სიტყვიერი აღნიშვნის გამოყენებით შექმნილი გამოსახულებები, ეტიკეტები, შესაფუთი მასალა, სარეკლამო განცხადები, კლიშეები და მატრიცები;

5. ასოციაცია „ქ. წ-ის“, შპს „ა. კ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა 2002 წლის ნოემბერში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპანეტში“ შპს „ბ. პ-ის“ სახელზე რეგისტრირებული №14810 სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

7. ასოციაციას „ქ. წ-ი“ და შპს „ა. კ-ის“ დაეკისროთ შპს „ბ. პ-სათვის“ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

გ ა ნ ი ნ ე ბ ა

№ას-227-212-2011

19 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. კვანტალიანი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება

ალენერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიუმართა შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-მ“ მოპასუხე ე. ბ-ს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართვე-

ლოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ 2004 წლის 3 ივნისს მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – „R. G.“ (ეტიკეტი), სარეგისტრაციო №2004 15545, რეგისტრაციის გაუქმება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია“ და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი იცავენ სასაქონლო ნიშნების მფლობელებს მათი სასაქონლო ნიშნების უნდარითვო რეგისტრაციისაგან, კერძოდ, დასახელებული სამართლებრივი აქტები კრძალავენ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას იმ პირების მიერ, რომლებიც არიან მათი მფლობელების წარმომადგენებები. ან აგენტები.

მოსარჩელის მითითებით, მოპასუხე ე. ბ-ს მიერ თავის სახელზე სადავო სასაქონლო ნიშნის საქართველოში რეგისტრაციით დარღვეულია „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-6 სეპტემბრის მუხლი, კერძოდ, მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი მოსარჩელის თანხმობის გარეშე დაერეგისტრირებინა საქართველოში მოსარჩელის კუთვნილი ნიშანი, ვინაიდან მოპასუხე წარმომადგენდა მოსარჩელის, ანუ სასაქონლო ნიშნის მესაკუთრის აგენტის/წარმომადგენელს. ე. ბ-ე წლების განმავლობაში იყო იმ კომპანიის (საუბარია შპს „ო-ზე“) დირექტორი, რომელიც ახორციელებდა მოსარჩელის მიერ სომხეთში წარმოებული დაფქსული ყავის საქართველოში იმპორტსა და რეალიზაციას. იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოპასუხე იყო მოსარჩელის მიერ წარმოებული ყავის დისტრიბუტორი საქართველოში, მოსარჩელემ მიუთითა პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულება №2-ზე, რომელიც გაფორმებულია „რ. კ-სა“ და შპს „ო-ს“ შორის, რომლის დირექტორიც იყო მოპასუხე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით დაირღვა მისი საავტორო უფლებები. ეს უფლებები დაცულია „ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენების დაცვის ბერნის კონვენციით“, რომელიც აღიარებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ასევე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ ნახატები, ფერწერული, არქიტექტურული, სკულპტურული, გრაფიკული და ლითოგრაფიული ნახარმოებები წარმომადგენენ დაცვის ობიექტებს. აქედან გამომდინარე, სასაქონლო ნიშანი „R. G.“ (ეტიკეტი) აღიარებული და დაცულია როგორც საავტორო უფლებების ობიექტი, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოპასუხის სახელზე იწვევს მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია ნახარმოების რეპროდუცირების უფლება, რომელიც ეკუთვნის მოსარჩელს, რადგან მოპასუხის მიერ „საქპატენტში“ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სპეციფიკური ფორმის მქონე მწვანე ფონზე განთავსებულ სტილიზებულ წარწერას „R. G.“ (სხვადასხვავარად გამოყენება ყავის მარცვლებით სავაჭრო მრავალები). ეს ელემენტები კი არის იმ ეტიკეტის (ნახატის) ნაწილი, რომელიც სომხეთის საპატენტო უწყებაში კერძო მენარე ვ. ტ-ს მიერ სასაქონლო ნიშნად დასარეგისტრირებლად წარდგენილი იყო ჯერ კიდევ 2001 წლის 4 ოქტომბერს და დარეგისტრირდა 2002 წლის 29 მაისს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის უარსაყოფად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

სომხეთში მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი არ წარმომადგენს საავტორო უფლებების დაცვის ობიექტს. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, თუ მიჩნეული იქნებოდა, რომ ხსენებული სასაქონლო ნიშანი წარმომადგენდა საავტორო უფლებების დაცვის ობიექტს, მოსარჩელე ვერ იქნებოდა ამ უფლებების მატარებელი, ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების დათმობის ხელშეკრულებით“ მოსარჩელემ ინდოენტარმე ვარუებან ტიგრანიანისაგან შეიძინა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება და მას არ გადასცემის საავტორო უფლება. რაც შეეხებოდა „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-6 მუხლის დარღვევას, მოპასუხემ განმარტა, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონია, რადგან მოპასუხე არასდროს ყოფილა მოსარჩელის აგენტი ან წარმომადგენელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე მხარეს წარმომადგენს შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ი“, რომელიც მდებარეობს სომხეთში, ქ.ერევანში, მ-ის ქუჩის №5/3-ში;

2002 წლის 19 ივლისს ქ.ერევანში დადებული სასაქონლო ნიშნის დათმობის ხელშეკრულებით, ინდოენტარმე ვ. ტ-მა, მოსარჩელე შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ უსასყიდლოდ დაუთმო სადავო სასაქონლო ნიშანი, სახელდობრ, სომხეთის რესპუბლიკის საპატენტო სამშართველოს მიერ 2002 წლის 29 მაისს დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი;

დასახელებული ხელშეკრულება „სომხეთპატენტში“ დარეგისტრირდა 2002 წლის 30 აგვისტოს;

სომხეთის რესპუბლიკის საპატენტო სამშართველოს მიერ გაცემული, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის რეგისტრაციის მოწმობის (№6786) მიხედვით, სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეა ინდოენტარმე ვარუებან ტიგრანიანი, საქონელია – კლასი 30, ყავა; ნიშანი შენარჩუნებულია წაბლისფერი, შავი, მწვანე, ყვითელი, თეთრი და წითელი ფერების გამით. ამ მოწმობის თანახმად, მოხდა ნიშნის გამოსახულების ცვლილება – ამოღებულ იქნა ნიშნის მესაკუთრის სახელწოდება, ამასთან, ნიშნის გამოყენების განასაკუთრებული უფლება გადაეცა შპს ერთობლივ სანარმო „რ. კ-ს“;

ქ.ერევანში, 2002 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელე კომპანიას, როგორც გამყიდველსა და შპს „ო-ს“ (მდებარე საქართველოში, ქ. ბათუმში), როგორც მყიდველს შორის დაიდო პროდუქციის (საქონლის) შესყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულება №2. დასახელებული ხელშეკრულების ასლი საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის მიერ;

ხელშეკრულებას შპს „ო-ს“ მხრიდან ხელს აწერს ე. ბ-ე;

მითითებული ხელშეკრულებით, გამყიდველი (მოსარჩევე) იღებს ვალდებულებას, მყიდველს (შპს „ო-ს“) გადასცეს ქონება – პროდუქცია (საქონელი): „რ-ს“ ხარისხის ყავა, შეფუთული. ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მყიდველი (შპს „ო-ს“), გამყიდველის მიერ მისთვის პროდუქციის (საქონლის) უშუალო გადაცემის მომენტიდან, იძენს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს თავისთავზე ამასთან დაკავშირებულ ყველა რიცს. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, საქონელი გადაცემა მყიდველს ერევანში, ხოლო 1.5 პუნქტის თანახმად, ერევნიდან ბათუმამდე ტრანსპორტირების ხარჯებს თავის თავზე იღებს მყიდველი;

მითითებული ხელშეკრულების 2.1.ა. პუნქტის მიხედვით, ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ინვოისი;

მოპასუხე ე. ბ-ის სახელზე, სადაცო სასაქონლო ნიშანი – „R. G.“ (ეტიკეტი) „საქპატენტი“ დაარეგისტრირა 2004 წლის 3 ივნისს, რეგისტრაციის ნომრით 2004 15545 ლ, საქონელზე 39 – ყავა;

მოპასუხე ე. ბ-ის სახელზე დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანში გამოყენებულია ყავისფერი, მწვანე, თეთრი, ყვითელი და წითელი ფერები;

მოსარჩევე კომპანიას 2002 წლიდან 2009 წლის თებერვლის თვემდე (ჩათვლით) საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან (შპს „ო-ს“, შპს „ე. ბ-ი“), რომელთა დამფუძნებელს (და შპს „ო-ის“ შემთხვევაში – დირექტორსაც) წარმოადგენდა მოპასუხე ე. ბ-ე. საქმეზე დართული ინვოისებიდან, ყველაზე გვიანი პერიოდის ინვოისები (რომელიც ასახავს მოსარჩელის მიერ შპს „ე. ბ-სთვის“ რობუსტას ხარისხის ყავის მიწოდებას), დათარილებულია 2009 წლის 5 თებერვლით და 2009 წლის 25 თებერვლით;

2009 წლის იანვრის თვის დასაწყისში, ქართულ მეღიაში გავრცელდა ინფორმაცია ყავა „რ. გ-ს“ მავნებლობისა და უხარისხობის თაობაზე, რასაც საფუძვლად ედო ერთ-ერთ მაღაზიაში აღებული ყავის ასერამიანი ნიმუშის არავარისიანობის შესახებ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა. აღნიშნულმა განაპირობა 2009 წლის 19 იანვარს ქ.თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პრესკონფერენციის გამართვა, საგანგებოდ ჩამოსული მოსარჩევე კომპანიის გენერალური დირექტორის და ექსპერტიზის უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით; პრესკონფერენციაზე სერთიფიკაციისა და ექსპერტიზის ორგანოებმა უარყვეს ყავა „რ. გ-ში“ მავნე ნივთიერებების არსებობა;

შპს-ს სახით დაფუძნებულ ქართულ კომპანიებთან მოსარჩევე კომპანიის საქმიან ურთიერთობებს გარკვეულნილად განსაზღვრავდა მოპასუხე ე. ბ-ის პიროვნება და მისადმი ნდობა;

უშუალოდ მოსარჩევე კომპანიას და მოპასუხე მხარეს, როგორც ფიზიკურ პირს შორის, რაიმე სახის საქმიან ურთიერთობას ადგილი არ ჰქონია. საქმეში წარმოადგენილი მტკიცებულებებით (მოსარჩელის მიერ წარდგენილი პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებით; მოპასუხის მიერ წარმოადგენილი ინვოისებით) დასტურდება მოსარჩელის საქმიანი ურთიერთობები (როგორც გამყიდველსა და მყიდველს შორის) მხოლოდ იურიდიულ პირებთან – შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან, რომელთა დამფუძნებელს და ზოგჯერ დირექტორსაც წარმოადგენდა მოპასუხე ე. ბ-ე;

მოსარჩევე მხარისათვის, ე. ბ-ის მიერ სასაქონლო ნიშანის „R. G.“ (ეტიკეტი) 2004 წლის ივნისის თვეში დარეგისტრირების შესახებ თავიდანვე იყო ცნობილი. მისთვის ასევე ცნობილი იყო სადაცო სასაქონლო ნიშანის (ეტიკეტი) რეგისტრაციაზე „საქპატენტის“ ექსპერტიზის 2003 წლის 23 სექტემბრის №977 გადაწყვეტილების შესახებ: 2004 წლის 12 იანვარს, მოსარჩევე მხარემ „საქპატენტში“ შეიტანა სააპელაციო საჩივარი დასახელებული №977 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, რაზეც „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2004 წლის 7 მაისის №450 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი. „საქპატენტის“ აღნიშნული №450 გადაწყვეტილება მოსარჩევე მხარემ გაასაჩივრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში, რომლის 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი; თბილისის საალქემ სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 30 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი;

მოსარჩევე კომპანიის ხელმძღვანელმა პირმა, ქ.თბილისში, 2009 წლის იანვრის თვეში გამართულ კონფერენციაზე, დაადასტურა, რომ სასაქონლო (სავაჭრო) ნიშანი „რ. გ.“ „დარეგისტრირებულია, როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში“, რა დროსაც მას ამ ნიშანის საქართველოში დარეგისტრირების თაობაზე არ გამოუხატავს უარყოფით დამკიდებულება. ამავე პრესკონფერენციაზე საუბარი შეეხო კომპანიის ქართველ პარტნიორებს, რომელთაც 2004 წლის 6 იანვარს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ზე“ გასული სიუჟეტის (ყავა „რ. გ-ს“ მავნებლობის და უხარისხობის შესახებ) შემდეგ მიმართეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყავის შემონებების თაობაზე. მითითებულ პერიოდში, მოსარჩევე მხარის ერთადერთი პარტნიორ საქართველოში იყო შპს „ე. ბ.“ (დამფუძნებელი ემზარ ბალაქ, დირექტორი გოჩა სტურუა). ამას ადასტურებს საქმეში განთავსებული საგაზეთო პუბლიკაციის მარჯვენა მხარეს აღბეჭდილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის 2009 წლის 11 იანვრის წერილი (დასკვნა) შპს „ე. ბ-ის“ დირექტორისადმი;

2004-2005 წლებში წარმოებული სასამართლო დავა მოსარჩევე მხარეს შემდეგში არ გაუგრძელებია. მეტიც – როგორც ამ დავის მიმდინარეობის პერიოდში, ასევე შემდგომ 2009 წლის თებერვლის თვის ჩათვლით პერიოდში მას არ შეუწყვეტია საქმიანი ურთიერთობა მოპასუხის მიერ დაფუძნებულ შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან;

2009 წლის იანვრის თვეში, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ყავა „რ. გ-ს“ რეპუტაციის აღსადგენად გამართული პრესკონფერენციის ორგანიზაცია ითავა შპს „ე. ბ-მ“, რომელმაც 2009 წლის 18 იანვარს ხელშეკრულება დადო შპს „ს. ... (PR)-თან“, 2009 წლის 19 იანვარს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პრესკონფერენციის ორგანიზების თაობაზე. თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საგაზეო პუბლიკაციებიდან ნათელია, რომ ყავა „რ. გ-სთან“ დაკავშირებული პრესკონფერენცია მოსარჩელე მხარის და ექსპერტთა მონაწილეობით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარდა 2009 წლის 19 იანვარს. (მოპასუხე ე. ბ-მ აღნიშნული ლონისძიების სომხური კომპანიის მესვეურთა მონაწილეობით ჩატარების მიზანად დასახელა მისთვის განკუთვნილი ყავის შეფუთვისას, ამ კომპანიის კეთილსინდისიერებისადმი აღძრული ეჭვი);

ნებისმიერი საშუალო დამკვირვებლისათვის ცხადია, რომ როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი (ეტიკეტი) სხვა ელემენტებთან ერთად შეიცავს ერთნაირ, სპეციფიკური ფორმის მნვანე ფონზე განთავსებულ სტილიზებულ წარწერას – „R. G.“; ამასთან, სხვადასხვაგვარად გამოიყურება ყავის მარცვლებით სავსე ტომრები, განსხვავებულია მათზე გამოსახული ყავის ფიჯანი, მოპასუხის მფლობელობაში არსებულ სასაქონლო ნიშანზე (ეტიკეტი) ასევე გამოსახულია წრენირში განთავსებული ლათინური ასოები – „E.B.“: აღნიშნული ასოები წარმოადგენს მოპასუხის ინიციალებს. მოსარჩელის სასაქონლო ნიშანზე (ეტიკეტი) ჭარბობს მუქი ტონი (მუქი ყავისფერი, შავი), ხოლო მოპასუხის სასაქონლო ნიშანზე (ეტიკეტი) დომინირებს მონითალო ტონი (ღია ყავისფერი, წითელი, ყვითელი); ასევე განსხვავებულია ამ სასაქონლო ნიშნების (ეტიკეტი) ფორმაც. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიხედულებით, დასახელებული ორი სასაქონლო ნიშანი (ეტიკეტი) არის მსგავსი (და არა – იდენტური). ამასთან, მოსარჩელე – სომხური კომპანიის მიერ საქმეში წარმოდგენილი სარეკლამო გამოცემებით (კალენდარი და სხვა) დასტურდება, რომ თავად სომხეთში სარეალიზაციოდ შეფუთული ყავის ქილის (სომხურ ენაზე წარწერით) ეტიკეტზე ჭარბობს მონითალო ტონი, ხოლო სომხეთში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანზე (ეტიკეტი) დომინირებს მუქი ტონი;

ქართული კომპანიებისათვის განკუთვნილი ყავა, სომხური კომპანიის მიერ წლების განმავლობაში, საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტამდე (2009 წლის მარტის თვემდე) იფუთებოდა (იყრებოდა) ქილებში, რომელზეც დატანილი (და კრული) იყო მოპასუხე ე. ბ-ის სახელზე საქართველოში რეგისტრირებული ეტიკეტი, (რომელზეც განთავსებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი წარწერები, მასზე აღბეჭდილი იყო მოპასუხის ინიციალები – ლათინური ასოები – E.B. წრენირში და სხვა). მოსარჩელე მხარეს არასდროს უთქვამს უარი ყავის ქილაზე ამ ეტიკეტის (სასაქონლო ნიშნის) დატანაზე;

მოპასუხე ე. ბ-ე არ წარმოადგენდა მოსარჩელე შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ის“ აგენტს, მეტიც, მოსარჩელე უშუალოდ მოპასუხე ე. ბ-სთან, როგორც ფიზიკურ პირთან არასდროს ყოფილა რაიმე სახის სამართლებრივ ურთიერთობაში, ანუ მოპასუხეს – ფიზიკურ პირს, ამა თუ იმ ხელშეკრულებით, მოსარჩელე მხარის მიმართ არ აუღია თავის თავზე, როგორც მხარეს რაიმე ვალდებულება. ამის საპირისპირო დამატების საბუთი მოსარჩელეს არ წარუდგენია;

მოსარჩელე კომპანიის აგენტს ასევე არ წარმოადგენდა შპს „ო-ი“ (შემდეგ პერიოდში კი – შპს „ე.ბ.“), რომელთანაც მოსარჩელე იმყოფებოდა სახელშეკრულები ურთიერთობაში;

მოსარჩელე მხარეს, მის მფლობელობაში არსებულ სადაცო სასაქონლო ნიშანზე – „R. G.“ არ გააჩინა საავტორო უფლებები: საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ სადაცო სასაქონლო ნიშნის ავტორმა (სავარაუდოდ, ვ. ტ-მა) მოსარჩელე მხარეს გადასცა საავტორო უფლებები სადაცო ნიშანზე. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ინდმენარმე ვ. ტ-ის მიერ მოსარჩელე კომპანიისათვის სადაცო სასაქონლო ნიშნის დათმობის ხელშეკრულება;

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-მ“ ვერ დაადასტურა სარჩელის მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ვერც ერთი არგუმენტი – ვერც სადაცო სასაქონლო ნიშანზე – „R. G.“ (ეტიკეტზე) საავტორო უფლებების დარღვევა და ვერც საქართველოში სადაცო სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირება ემზარ ბალაძის, როგორც მოსარჩელე კომპანიის აგენტის მიერ, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ს“ სარჩელი იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხე ე. ბ-მ 2004 წლის 3 ივნისს „საქმიანებულები“ სასაქონლო ნიშნის – „R. G.“ (ეტიკეტი) დარეგისტრირებისას დაარღვია კანონი, სახელდობრ:

I. პარიზის კონვენციის მე-6^{ხელის} მუხლის (ნიშნები: მფლობელის თანხმობის გარეშე წარმომადგენლის ან აგენტის სახელზე მისი ნიშნის რეგისტრაცია) მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „(1) თუ კავშირის რომელიმე ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელის აგენტი ან წარმომადგენელი კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში ნებართვის გარეშე მოითხოვს თავის სახელზე მფლობელის ნიშნის რეგისტრაციას, მაშინ მფლობელი უფლებამოსილი უნდა იყოს შეენინაღმდებოს მოთხოვნილ უნდებართვო რეგისტრაციას, ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანონი იძლევა საშუალებას, მოითხოვოს რეგისტრირება თავის სახელზე, თუკი სსენებული აგენტი ან წარმომადგენელი ვერ დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას. (2) ნიშნის მფლობელს, რომელზედაც ვრცელდება პუნქტის მოქმედება, უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს შეენინაღმდებოს აგენტის ან წარმომადგენლის მიერ მისი ნიშნის უნდებართვო გამოყენებას...“

II. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა) 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სასაქონლო

ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე“; ასევე მოსარჩელემ, მოპასუხის მიერ დარღვეულად მიიჩნია ამავე 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, ბათილად ცნობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, თუ „ამგვარი რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისათვის დადგენილი პრიორიტეტის თარიღიამდე“;

III. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია, რომლის მე-2 მუხლის (დასაცავი ნაწარმოებები...) (1) პუნქტის მიხედვით, ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები“ მოიცავს „ნახატებს, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, გრაფიკისა და ლითოგრაფიულ ნაწარმოებებს“. მოსარჩელემ განმარტა, რომ დარღვეული ნაწარმოების რეპროდუცირების უფლება, რომელიც ეკუთვნის მოსარჩელეს, რადგან მოპასუხის მიერ „საქპატენტში“ სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სპეციფიკური ფორმის მქონე მწვანე ფონზე განთავსებულ სტილიზებულ ნაწერას „R. G.“. მოსარჩელის განმარტებით, ე. ბ-მ „საქპატენტში“ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ეტიკეტის შექმნით დაარღვია მოსარჩელის რეპროდუცირების უფლება, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მთლიან ნაწარმოებზე, არამედ მის ცალკეულ ნაწილებზეც. მოსარჩელისვე განმარტებით, მისი საავტორო უფლებები ვრცელდება აღნიშნული სიტყვების გამოხატვის ფორმაზე ორიგინალური სტილიზებული შრიფტით, რომელიც განთავსებულია სპეციფიკური ფორმის მწვანე ფერის ფონზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ მოსარჩელის ზემოთ დასახელებული უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენისას, სასამართლო სხვა საკითხებთან ერთად არკვევდა: ეკუთვნოდა თუ არა მოსარჩელე კომპანიას მოპასუხის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი; მოპასუხე ე. ბ-ე წარმოადგენდა თუ არა სადაც ნიშნის დარეგისტრირებისას, მოსარჩელე კომპანიის აგენტს (ვინაიდან მოსარჩელე მიუთითებდა მის აგენტობაზე); ეკუთვნოდა თუ არა მოსარჩელე კომპანიას სადაც სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული საავტორ უფლებები და სხვ.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი არ იყო მოსარჩელე კომპანიის სასაქონლო ნიშნის იდენტური.

სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მიერ რომც ყოფილიყო დარეგისტრირებული მოსარჩელის მფლობელობაში არსებული სასაქონლო ნიშანი, ასეთი ქმედება საამართალდარღვევად იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, თუ სუბიექტი იქნებოდა მოსარჩელე მხარის აგენტი (ან წარმომადგენელი).

სასამართლოს მიხედულებით, ე. ბ-ე არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო მოსარჩელე კომპანიის აგენტად, შემდეგი გარემოებების გამო:

მოსარჩელე კომპანია და მოპასუხე ე. ბ-ე ერთმანეთთან რაიმე სახის სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ. აგენტი არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს სხვა პირის (პრინციპალის) დავალებით და მესამე პირებთან დებს გარიგებებს პრინციპალის სასარგებლოდ, რა დროსაც არ იმყოფება პრინციპალის დავემდებარებაში. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, საწარმოს ურთიერთობები საკარის წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით. სავაჭრო წარმომადგენელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში შუამავლობს ან დებს გარიგებებს, სხვა საწარმოს სახელით და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში. საკარის წარმომადგენლის უფლებამოსილება წარმოიშობა მინდობილობის საფუძველზე. აგენტის საქმიანობა ატარებს მუდმივ სახელშეკრულებო ხასიათს. პრინციპალი, გადასცემს რა აგენტს გარკვეულ უფლებამოსილებას, იმავდროულად აძლევს მას უფლებას, ამ უფლებამოსილების ფარგლებში დადოს გარიგებები. აგენტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობას;

პარიზის კონვენციის მუხლი 6^{ხაზის}-ის კომენტირებისას, პროფ. გ. ბ-ი მიუთითებს, რომ ამ დებულების მიზნის გათვალისწინებით, იმის გარკვევისას, არის თუ არა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შემტანი პირი ნიშნის მფლობელის აგენტი ან წარმომადგენელი, ეს დებულება ვიწრიდიულად არ უნდა იქნას გაგებული. კომენტატორის აზრით, ამ დებულების გამოყენებისას უნდა მიექცეს ყურადღება იმას, თუ ვინ მოქმედებდა, როგორც სასაქონლო ნიშნის ნაკეთობის გამავრცელებელი და ვინ შეიტანა ამ ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო არსებითად არ ჩათვლიდა ე. ბ-სთან, როგორც აგენტთან შესაბამისი ხელშეკრულების (მინდობილობის) არარსებობას, ამ შემთხვევაშიც, უშავალოდ ე. ბ-სთან, როგორც ფიზიკურ პირთან (რომელმაც თავის სახელზე დაარეგისტრირა სადაც სასაქონლო ნიშანი) სამართლებრივი ურთიერთობის დაუდასტურებლობის გამო, სასამართლო მას ვერ ჩათვლიდა მოსარჩელე კომპანიის აგენტად. მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მის დისტრიბუტორს წარმოადგენდა შპს „ო-ი“. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ო-ი“, როგორც იურიდიული პირი, სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია, სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენელი ხელშეკრულებას სასაქონლო ნიშანის რეგისტრაციებისას სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელე კომპანიას – სასა-

ქონლო ნიშნის მფლობელს, სასამართლოში არ წარმოუდგენია მოცემულ სასაქონლო ნიშანთან (ესკიზ-თან) დაკავშირებული საავტორო უფლებების მისთვის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისი პირის მიერ არ მომხდარა მოსარჩელისათვის ამ უფლებების გადაცემა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება იმ პირს განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ უფლება (საავტორო უფლება), რომლის დასაცავადაც მომართა სასამართლოს, მას ეკუთვნოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა მისი სასამართლო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინებით შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უმთავრესად ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ე. ბ-ე წარმოადგენდა შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ აგენტს, რის გამოც მას პარიზის კონვენციის 6^{თავის} მუხლის 1-ლი პარაგრაფის და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „R. G.“ (ეტიკეტი) თავის სახელზე რეგისტრაციის უფლება არ ჰქონდა ამ ნიშნის მფლობელის შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ ნებართვის გარეშე. ამასთან, მოსარჩელე თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელის აგენტს აფუნქნებდა ქ.ერევანში 2002 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელე კომპანიას, როგორც გამყიდველსა და შპს „ო-ს“ (მდებარე საქართველოში, ქ. ბათუმში), როგორც მყიდველს შორის გაფორმებულ პროდუქციის (საქონლის) შესყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულებაზე, რომელსაც შპს „ო-ს“ მხრიდან ხელს აწერდა ე. ბ-ე.

მითითებული ხელშეკრულებით, გამყიდველი (მოსარჩელე) იღებს ვალდებულებას, მყიდველს (შპს „ო-ი“) გადასცეს ქონება – პროდუქცია (საქონლი): „რობუსტას“ ხარისხის ყველა, შეფუთული. ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მყიდველი (შპს „ო-ი“), გამყიდველის მიერ მისთვის პროდუქციის (საქონლის) უშუალო გადაცემის მომენტიდან, იქნებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს თავისთავზე ამასთან დაკავშირებულ ყველა რიცს. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, საქონლი გადაეცემა მყიდველს ერევანში, ხოლო 1.5 პუნქტის თანახმად, ერევნიდან ბათუმამდე ტრანსპორტირების ხარჯებს თავის თავზე იღებს მყიდველი. ხელშეკრულების 2.1.ა პუნქტის მიხედვით, ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ინკოისი.

ზემოთ დასახელებული ხელშეკრულების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების არგუმენტები იმის შესახებ, რომ მოპასუხე ე. ბ-ე არ წარმოადგენდა მოსარჩელე შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ს“ აგენტს, მეტიც, მოსარჩელე უშუალოდ მოპასუხე ე. ბ-სთან, როგორც ფიზიკურ პირთან არასდროს ყოფილა რაიმე სახის სამართლებრივ ურთიერთობაში, ანუ მოპასუხეს – ფიზიკურ პირს ამა თუ იმ ხელშეკრულებით მოსარჩელე მხარის მიმართ არ აუღია თავის თავზე, როგორც მხარეს, რაიმე ვალდებულება. ამის საპირისპირო დამატებულებით საბუთი მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სასამართლოსათვის იმის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომ ე. ბ-ე წარმოადგენდა მის აგენტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები უნდა დარეგულირებულიყო პარიზის კონვენციის 6^{თავის} მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელე კომპანიის აგენტს ასევე არ წარმოადგენდა შპს „ო-ი“ (შემდეგ პერიოდში კი – შპს „ე.ბ.“), რომელთანაც მოსარჩელე იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში. აღნიშნული დასტურდებოდა 2002 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული ზემოთ ნახსენები ხელშეკრულებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სწორი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნაც იმის შესახებ, რომ მოსარჩელე მხარეს, მის მფლობელობაში არსებულ სადაც სასაქონლო ნიშანზე – „R. G.“ არ გააჩნია საავტორო უფლებები. საქმეში არ იყო წარმოდგენილი იმის დამატებულებელი რაიმე მტკიცებულება, რომ სადაც სასაქონლო ნიშნის ავტორმა (სავარაუდოდ, ვ. ტ-მა) მოსარჩელეს გადასცა

საავტორო უფლებები სადაც ნიშანზე. საქმეში მოთავსებული იყო მხოლოდ ინდენტარმე ვ. ტ-ის მიერ მოსარჩეულე კომპანიისათვის სადაც სასაქონლო ნიშნის დათმობის ხელშეკრულება.

უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადაც სასაქონლო ნიშანი „R. G.“ (ეტიკეტი) წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების წარმომების შედეგს, განურჩევლად წარმომადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად წარმომების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, უანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების წარმომების სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნების და სხვა მსგავსს წარმოება. მოსარჩევლის მითითებით, სწორედ ამ ჩამონათვალში მითითებულ ობიექტს განეკუთვნებოდა სადაც სასაქონლო ნიშანი, თუმცა არ დაუზუსტებია კონკრეტულად რომელს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც სასაქონლო ნიშანი (ეტიკეტი) არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და შესაბამისად, საავტორო უფლების ობიექტს. ამ დასკვნის გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება მოსარჩევლეს საქმეზე არ წარუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-მ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩევლის დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივრა შემდეგ არგუმენტებს ეფუძნება:

გასაჩივრებული განჩინებით არასწორად განიმარტა პარიზის კონვენციის 6 აუთის მუხლი, აგრეთვე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი 1-ლი პუნქტის „გ“ და „გ“ ქვეპუნქტები. პარიზის კონვენციის 6 აუთის მუხლის მიხედვით, თუ აგრენტი ან წარმომადგენელი იმ პირისა, რომელიც არის ნიშნის მესაკუთრე კავშირის (იგულისხმება გაერთიანება, რომელსაც ქმნიან კონვენციის წევრი ქვეყნები) ერთ-ერთ ქვეყანაში, განიზრახავს კავშირის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში ნიშნის რეგისტრაციას თავის სახელზე მესაკუთრის თანხმობის გარეშე მესაკუთრე უფლებამოსილი იქნება წინ აღუდგეს ასეთ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან აღნიშნული რეგისტრაციის მისთვის გადაცემა, თუ ამას ითვალისწინებს ქვეყნის კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აგენტი ან წარმომადგენელი დაასაბუთებს მის მოქმედებას;

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის 2002 წლის 18 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით არ დასტურდება ე. ბ-ის მოსარჩევე კომპანიის აგენტობა. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა უსაფუძვლოა. მოპასუხება საქმეზე წარმოადგინა უამრავი ინვოისი, რომლებითაც დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებულ საქმიან ურთიერთობას ჰქონდა განგრძობითი, მრავალჯერადი ხასიათი. ამ ფაქტს არ უარყოფს თავად ე. ბ-ც, გარდა ამისა, მოსარჩევე ადასტურებს, რომ მის საწარმოს „აგენტური“ ურთიერთობა ჰქონდა ე. ბ-ის კუთვნილ კომპანიებთან (შპს „ო-ი“, შპს „ე. ბ.“). ასეთ სიტუაციაში ე. ბ-ის მიერ კასატორის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის თავის თავზე რეგისტრაცია უთანაბრდება მის რეგისტრაციას შპს „ო-სა“ და შპს „ე. ბ-ის“ სახელზე;

კასატორი მიუთითებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოითხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილისინდისიერი განზრახვით. აღნიშნული საქმის გარემოებები, კერძოდ, ე. ბ-ის მოქმედებები ცხადყოფს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვთ კანონის დასახელებული წორმით გათვალისწინებულ შემთხვევას. 2002 წელს, ე. ბ-მ მისივე განცხადებით გაიცნო კასატორი კომპანიის დირექტორი. ამ დროისათვის ყავა „R. G.“ არსებობდა იმ სახით, რასახითაც შემდგომში ხდებოდა მისი იმპორტი საქართველოში, ანუ შექმნილი იყო ეტიკეტის და ქილის დიზაინი, რაც ადასტურებს, რომ ე. ბ-ს მოცემულ პროცესში მონანილეობა არ მიუღია. დღეს მდგომარეობით ე. ბ-მ თავის თავზე არამხოლოდ დაირკებისტრირა კუთვნილი სასაქონლო ნიშანი, არამედ როგორც სამრეწველო ნიმუში თავის თავზე დაიბატებული ჰქონდა კილის დიზაინი. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომა მითითებულ ფაქტს არა არა არა შეფასება არ მისცეს. აქედან გამომდინარე, მოპასუხება გააჩნია ყველანაირი ბერკეტი, რათა კასატორის კუთვნილი სასაქონლო ნიშნითა და ქილის დიზაინით შეფუთული არ დაუშვას საქართველოს ბაზარზე. ამას იგი ახორციელებს კიდეც. გარდა ამისა, ე. ბ-ს მის მიერ „საქპატენტში“ უკანონოდ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი წარდგენილი აქვს შემოსავლების სამსახურში, რის შედეგადაც იგი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე შეტანილია რეგისტრში. აღნიშნილი ითბლუდება სასაქონლო ნიშნით „R. G.“ მარკირებული საექონლის გადაადგილება საბაზო საზღვრაზე. ამდენად, განსხვავებით 2002 წლისაგან, როდესაც კასატორის შეეძლო თავისუფლად აერჩიო პარტნიორი და ევაჭრა საქართველოში, დღეს მას ეს შესაძლებლობა აღარ გააჩნია ემზარ ბალაძის ქმედებების გამო;

მეორე ძირითადი გარემოება, რომელიც უნდა დაედგინა და შეეფასებინა სასამართლოს, მდგომარეობს შემდეგში: ექვემდებარება თუ არა გაუქმებას სადაც სასაქონლო ნიშანი იმ პირის შემდებარების „აგენტებს“ წარმოადგენენ შპს „ო-ი“ და შპს „ე. ბ.“, ხოლო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განზრახვილა ამ კომპანიების მფლობელმა და დირექტორმა ემზარ ბალაძემ. გასაჩივრებულ განჩინებაში არაობიერებულად არის შეფასებული ის გარემოება, რომ მოსარჩევესთან ფორმალურ-სამართლებრივ ურთიერთობებში იყო ჯერ შპს „ო-ი“, ხოლო შემდეგ შპს „ე. ბ.“, ხოლო სასაქონლო ნიშანი „R. G.“ თავის თავზე

დაირეგისტრირა პირადად ე. ბ-მ, რომელიც იყო ხსენებული კომპანიების ერთადერთი დამფუძნებელი და მენეჯერი. უნდა აღინიშნოს, რომ „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის“ მე-6 სეტის მუხლი საფუძველშივე შემოლებული იყო იმისათვის, რომ გამხდარიყო ძლიერი ინსტრუმენტი კეთილსინდისიერი მენარმეების ხელში არაკეთილსინდისიერი „ბიზნეს-პარტნიორების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ხსენებული მუხლი ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს ისეთი სასამართლოს ხელში, რომელიც ცდილობს, რომ კანონი (კონვენცია) განმარტოს სამოქალაქო ურთიერთობებში არაკეთილსინდისიერი ქმედებების აღსაკვეთად.

სამოტივაციო წარმომადგენლობა

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომის ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული გარემოებები შემდეგში მდგომარეობს:

მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ი“, რომელიც მდებარეობს სომხეთში, ქ. ერევანში, მ-ის ქუჩის №5/3-ში;

2002 წლის 19 ივნისს ქ. ერევანში დადებული სასაქონლო ნიშნის დათმობის ხელშეკრულებით, ინდმენარმე ვ. ტ-მა, მოსარჩელე შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ს“ უსასყიდლოდ დაუთმო სადაც სასაქონლო ნიშანი, კერძოდ, სომხეთის რესპუბლიკის საპატენტო სამმართველოს მიერ 2002 წლის 29 მაისს დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი;

დასახელებული ხელშეკრულება „სომხეთპატენტში“ დარეგისტრირდა 2002 წლის 30 აგვისტოს; სომხეთის რესპუბლიკის საპატენტო სამმართველოს მიერ გაცემული, სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის რეგისტრაციის მოწმობის (№6786) მიხედვით, სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეა ინდმენარმე ვ. ტ-ი, საქონელია – კლასი 30, ყავა; ნიშანი შენარჩუნებულია წაბლისფერი, შავი, მწვანე, ყვითელი, თეთრი და წითელი ფერების გამით. ამ მოწმობის თანახმად, მოხდა ნიშნის გამოსახულების ცვლილება – ამოღებულ იქნა ნიშნის მესაკუთრის სახელწოდება, ამასთან, ნიშნის გამოყენების განასაკუთრებული უფლება გადაეცა შპს ერთობლივ საწარმო „რ. კ-ს“;

ქ. ერევანში, 2002 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელე კომპანიას, როგორც გამყიდველსა და შპს „ო-ს“ (მდებარე საქართველოში, ქ. ბათუმში), როგორც მყიდველს შორის დაიდო პროდუქციის (საქონლის) შესყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულება №2, რომლის მიხედვით, გამყიდველი (მოსარჩელე) იღებს ვალდებულებას, მყიდველს (შპს „ო-ი“) გადასცეს ქონება – პროდუქცია (საქონელი): „რ-ს“ ხარისხის ყავა, შეფუთული. ამ ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მყიდველი (შპს „ო-ი“), გამყიდველის მიერ მისთვის პროდუქციის (საქონლის) უშუალო გადაცემის მომენტიდან, იქნებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს თავის-თავზე ამასთან დაკავშირებულ ყველა რისკს. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, საქონელი გადაეცემა მყიდველს ერევანში, ხოლო 1.5 პუნქტის თანახმად, ერევნიდან ბათუმამდე ტრანსპორტირების სარჯებს თავის თავზე იღებს მყიდველი;

მითითებული ხელშეკრულების 2.1.ა. პუნქტის მიხედვით, ამ ხელშეკრულების განუყოფელ წარმოადგენს ინვოის;

მოპასუხე ე. ბ-ის სახელზე, სადაც სასაქონლო ნიშანი – „R. G.“ (ეტიკეტი) „საქპატენტმა“ დაარეგისტრირა 2004 წლის 3 ივნისს, რეგისტრაციის ნომრით 2004 15545 R, საქონელზე 39 – ყავა;

მოსარჩელე კომპანიას 2002 წლიდან 2009 წლის თებერვლის თვემდე (ჩათვლით) საქმიანი ურთიერთობა პქონდა დამყარებული სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლიბის საზოგადოებათან (შპს „ო-ი“, შპს „ე.ბ.“), რომელთა დამფუძნებელს (შპს „ო-ი“) შემთხვევაში – დირექტორს (საც.) წარმოადგენდა მოპასუხე ე. ბ-ე საქმეზე დართული ინვოისებიდან, ყველაზე გვიანი პერიოდის ინვოისები (რომლებიც ასახავს მოსარჩელის მიერ შპს „ე. ბ-სთვის“ რ-ს ხარისხის ყავის მიწოდებას), დათარილებულია 2009 წლის 5 თებერვლით და 2009 წლის 25 თებერვლით;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასასვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ საქმეზე სადაც საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენდა თუ არა მოპასუხე ე. ბ-ე შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ის“ აგენტს, რაც აღნიშნულ საწარმოს, პარიზის კონვენციის 6^{თავის} მუხლის 1-ლი პარაგრაფის და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლებას ანიჭებს მოითხოვოს ე. ბ-ის სახელზე სასაქონლო ნიშნის „R. G.“ (ეტიკეტი) რეგისტრაციის გაუქმება. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრიც სწორედ იმას ეფუძნება, რომ არსებობს მითითებული საფუძვლით სადაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობა.

პარიზის კონვენციის 6^{თავის} მუხლი ადგენს, რომ თუ კავშირის რომელიმე ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელის აგენტი ან წარმომადგენელი კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში ნებართვის გარეშე მოითხოვს თავის სახელზე მფლობელის ნიშნის რეგისტრაციას, მაშინ მფლობელი უფლებამოსილი უნდა იყოს შეენიაღმდეგოს მოთხოვნილ უნებართვის რეგისტრაციას, ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანო-

ნი იძლევა საშუალებას, მოითხოვოს რეგისტრირება თავის სახელზე, თუკი ხსენებული აგენტი ან წარმომადგენელი ვერ დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას. ნიშნის მფლობელს, რომელზედაც ვრცელდება პირველი პუნქტის მოქმედება, უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს შეენინალმდევოს აგენტის ან წარმომადგენლის მიერ მისი ნიშნის უნებართვო გამოყენებას. რაც შეეხება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლს, ამ ნორმის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათოლად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოსარჩელე კომპანია და მოპასუხე ე. ბ-ე არ იმყოფებოდნენ რაიმე სახის სამართლებრივ ურთიერთობაში. მართალია, საქმეში წარმოდგენილია ქ.ერევანში 2002 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელე კომპანიას, როგორც გამყიდველსა და შპს „ო-ს“ (მფებარე საქართველოში, ქ.ბათუმში), როგორც მყიდველს შორის გაფორმებული პროდუქციის (საქონლის) შესყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს ე. ბ-ე, როგორც შპს „ო-ის“ დირექტორი, თუმცა აღნიშნული არ ასაბუთებს შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-სა“ და უშუალოდ ე. ბ-ს, როგორც ფიზიკურ პირს შორის რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას. მითითებულ გარემობას ასევე არ ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი ინვოისები, რამდენადაც ისინი შედგენილია არა ე. ბ-ის, არამედ იმ კომპანიების სახელზე (შპს „ო-ი“, შპს ე. ბ.“), რომელთა დამფუძნებელი და ზოგ შემთხვევაში დირექტორი იყო ე. ბ-ე. შპს, როგორც იურიდიული პირი და შპს-ს დირექტორი (ან დამფუძნებელი), როგორც კერძო პირი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სრულიად სხვადასხვა სუბიექტებია. შესაბამისად, ე. ბ-ის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის თავზე რეგისტრაცია ვერ გაუთანაბრდება ამ ნიშნის შპს „ო-სა“ და შპს „ე. ბ-ის“ სახელზე რეგისტრაციას. ამდენად, დასახელებული მტკიცებულებების საფუძველზე, ე. ბ-ე, როგორც ფიზიკური პირი, არ შეიძლება განვიხილოთ შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ის“ აგენტად. აღნიშნული დასკვნის უარმყოფელი რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, მისი მტკიცების ტვირთში შედიოდა.

გარდა ამისა, საგულისხმოა მოსარჩელე კომპანიასა და შპს „ო-ს“ შორის 2002 წლის 18 ნოემბერს დადებული პროდუქციის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შინაარსი. ამ ხელშეკრულებით, გამყიდველი (მოსარჩელე) იღებს ვალდებულებას, მყიდველს (შპს „ო-ი“) გადასცეს ქონება – პროდუქცია (საქონლი): „რას“ ხარისხის ყავა, შეფუთული. ხელშეკრულების 1.3 პუნქტის შესაბამისად, მყიდველი (შპს „ო-ი“), გამყიდველის მიერ მისთვის პროდუქციის (საქონლის) უშუალო გადაცემის მომენტიდან, იძენს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს თავისთავზე ამასთან დაკავშირებულ ყველა რიკს. ამავე ხელშეკრულების 1.4 პუნქტის მიხედვით, საქონელი გადაცემა მყიდველს ერევანში, ხოლო 1.5 პუნქტის თანახმად, ერევინიდან ბათუმამდე ტრანსპორტირების ხარჯებს თავის თავზე იღებს მყიდველი. ხელშეკრულების 2.1.ა პუნქტის მიხედვით, მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნანილს წარმოადგენს ინვოისი.

დასახელებული ხელშეკრულება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, არ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოპასუხე ე. ბ-ე წარმოადგენდა მოსარჩელე შპს ერთობლივი სანარმო „რ. კ-ის“ აგენტს. მოპასუხეს ხელშეკრულებით არ ევალებოდა არც მოსარჩელის სახელით მოქმედება, არც მისი ინტერესების დაცვა საქართველოში და არც მისი საქონლის საქართველოში რეალიზაცია. ეს ხელშეკრულება შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. ამგვარი სახის სახელშეკრულების (შპს „ერთობლივი სანარმო „რ. კ-ი“) აგენტია. ასეთი მოსაზრება არ გამომდინარებს არც საქმეში არსებული ინვოისების შინაარსიდან.

კასატორი სადაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოტივად ასევე მიუთითებს მოპასუხეს არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე, რაც მისი განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათოლად ცნობის საფუძველია. საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს კასატორის დასახელებულ არგუმენტზე, რამდენადაც მხარეს ამის შესახებ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში არ მიუთითებია, შესაბამისად, მოცემული საკითხი არ ყოფილა საქმის განმხილველი სასამართლოს მსჯელობის საგანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნანილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. ამდენად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კასატორის ამ მოსაზრებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს ერთობლივი საწარმო „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.